

(1472)

Co

3018500

1872-3-11?

211.000.4.3

X - XI - XII (3-27-31)
116

Handwritten notes, partially obscured by lines.

Handwritten notes, partially obscured by lines.

[Faint, illegible handwritten text, possibly bleed-through from the reverse side of the page. The text is mostly obscured by ink smudges and fading.]

Handwritten red numbers at the top of the page.




6365

1873

მეათე, მეთერთმეტე
და
მეთორმეტე წიგნები

თფილისი

გ. წერეთლის და ახს. (დუბელირის)





1873

1873

მესთე, მეთერმეტე
&
მეთარმეტე წიგნები

თფილისი
გ. წერეთლის & აძს. (დუბელირის) სტამბა



Дозволено цензурою Тифлисъ, 20-го января 1873 г.

მკათე, მეთოდთმე და მეთოდმეტე წიგნების

შინაარსი

რამდენიმე ხანა პოემისა «აჩრდილი» (თსსულება)

ილ. ჭავჭავაძისა

ძუნწი გმირი (თსსულება ჰუშკინისა) თარგმნილი

თ. წაფიულ ერისთავისა.

მავნე სული (ამბავი მოსკვის ცხორებიდგან)-დ. ე.

ჩვენი ცხოვრების ყვაილი (მოთხრობა) გ.—თე-

ლისა.

ძველი მაგრისი (ლექსი) კ. ო.

წყლებზე (უქმი ტუჩისტის მოთხრობა) ი. დ.

~~მოსკვისი = სკატი~~ ერისთავისა

იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი
დღეები (საქართველოს ისტორიის მასალები)

ბაირონის გიაურიდგან (თარგმნილი) ფაშელისა.

მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა.

ნ. ცხველამე

ჩიტი (ლექსი). დ. მ.

მცირე ტომთა ენებზე მ. ჰეტრიძე

თფილისის გაოხრებაზე (ლექსი)

ამ დროის ვითარება გ. წერეთლისა.

ჩვენი მწერლობა (კრიტიკა). ნ. სკანდელისა.

განცხადება

«კრებულის» გამოცემაზე 1873 წელს

აქამდის «კრებული» თავ-თავის დროზედ არ გამოდიოდა; იმისი რედაქცია და თანამშრომლობა, პატივსაღები მიზეზებისა გამო, თითქმის უფრო ხშირად ერთ კაცზედ იყო მიგდებული; საბეჭდავი მასალებიც თავის დროზედ არა ჰქონია რედაქციას. ესლა საქმე გამოიცვალა. რამდენმე ღირსეულმა ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის მწერალმა მოგვცა სტატიები და შემდეგისათვისაც აღუკითქვა ნიადავი თანამშრომლობა. საბეჭდავი მასალებიც მთელი წლისათვის დამზადებულია. რედაქციას დიდი იმედი აქვს, რომ მკითხველებს თავ-თავის დროზედ რიგიანი წიგნებში გაუგზავნოს. ამიტომაც რედაქცია აცხადებს ხელის მოწერის პილებასა.

«კრებულის» შინაარსი ამ წელს უნდა შეიცვალოს: რედაქციას სურს, რომ ხელოვნებას ნაწარმოებს გარდა, ჟურნალის საზოგადოებრივ მხარესაც შეძლებისამებრ ყურადღება მიაქციოს და გაავრცელოს თანამედროვე ისტორიის, კრიტიკის და საზოგადოებრივი მიმოხილვის ნაწილები.

ამ იანვრიდამ დაწყებული «კრებულის» სარედაქციო შრომაში მონაწილეობას მიიღებს უფ. კირ. ლორთქიფანიძე. ჟურნალის მუდამი თანამშრომლობა იკისრეს უფ. სკანდელმა, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა და ილ. ჭავჭავაძემ. ამას გარდა დრო-დროთა თანამშრომლობა აღგვითქვს: უფ. დ. ერისთავმა, რ. ერისთავმა, ს. მესხმა, პეტრიძემ, ფაზელმა, დ. ყაზიბეგმა, ნ. ცხევედაძემ, ჭალაღიდელომა, ბ. ჯაფარიძემ და სხვა ახალ გაზდა მწერლებმა.

ამ ჟამად რედაქციის ხელშია: ილია ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის რამდენიმე მოთხრობა და ლექსი, გ. წერეთლის მოთხრობა და ისტორიული სურათები და მასალები და სკანდელის კრიტიკული სტატიები.

ამას გარდა, რედაქციამ იშოვა დასაბეჭდად ნ. ბარათაშვილის ლექსები და იმისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის.

ამ წლის პირველი წიგნი გამოვა იანვრის

† სურათი 1.7 ბაი 1.7 2001

დამლოევს. აპრილიდამ დაწყებული «კრებულის» წიგნები გამოვა თვისა-და-თვის თავზედ.

ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა ს ჰ ი რ ო ბ ე ბ ი:

«კრებული» ეღირება:

		გაუგზავნელათ		გაგზავნით.	
ერთი წლით	—	5 მან.		6	»
ნახევარი წლით	—	2, 50.		3	»
თითო წიგნი	—	» 50		»	60.

«ღროება» და «კრებული» ერთათ ეღირება ერთი წლით 9 მანეთი და ნახევარი წლით 5 მანეთი.

ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა მ ი ა დ ე ბ ა:

თ ფ ი ლ ი ს შ ი. «კრებულის» ან «ღროების» რედაქციაში, გ. წერეთლის და ამხ. სტამბასთან, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში, აგრეთვე ივანოვის ბიბლიოთეკაში.

ქ უ თ ა ი ს ს: გ. კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში, და ს. მესხისას, სილაზე.

1862 წლის უკანასკნელი სამი ნომერი გამოვა ერთად იანვრის დამლოევს.

«კრებულის» რედაქცია»

წამდენიმე ხანა ზოემისა

«აჩრდილი»

I

აღმოჩნდნენდა მსუ დიდებულათა
და განანათლა ქვეყანა ბნელი;
გაკვასის მთების წვერთა ძალაღთა
ზედ გაჭდაჭფინა ოქროს ნათელი,
აღმოჩნდა მთების ზემოდ მკინვარნი
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ, —
იგიუ დიადი, იგიუ მკინვარნი,
იგიუ დიდებულ და დადუმებულ;
ქვესკნელთ ძალთაგან თითქო ის მედგარად
ცის გასარღვევად აღმოჩნდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.

კრებულო

მისი ყინულით ნაკვეთი თავი
 მოიწითო მზისა ოქროს სსივებით;
 ქვეყანას მშვიძალს მის ფრთეთა ზვაჲ
 დასცქერის ჩინსკით და ძუჭარებით, —
 თითქო ელისო განკითხვის დღესა,
 რომ იგრიადოს, წამოიქნოს,
 სოფელს დაეცეს, მერედ ქვესკნელსა
 თვითც დაიდუმოს, ისიც დადუმოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარო
 იყო იმ დღისა ღამაში დილა,
 რომ თვით მუხნვარის ჩინსკა და ზარი
 იმ დღის მადლსა დაემოწმილა.
 ქვეყანაც იყო დაუუღებელი,
 თითქო დუმილით ეუწნ უგდებს ცასა, —
 და ცაც უღრუბლო და მსიარული
 გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
 ხოლო ვი ჩემი უნდა გონება
 არ მოიხიბლა იმ დღისთაცა...
 «ნუ გჯერსო, მითხრა, ეს მყუდროება,
 «ტყუისო ცაცა და ქვეყანაცა!»

წამ გვაჩი დილა ქვეყანას ბედგროულს
 აბეკრჯერ სხვა დროსაც გაჭსთენებია,
 ამაგრამ ანც ერთხელ მის გუფსა ვნებულს
 ამაღლი ცისა ან მიჭყარებია.
 ანულ ტუეილია, რასაც ეხლა ჭკრძნობ:
 აქვეყნის დრტვინვაა დაუძინარნი, —
 აღმად ჩააკვირდი მის დუმილს და ჭსცნობ
 «თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!...»

III

მაგრამ იმ დილის სიტკბოებაში
 მსწრაფლ გამიფანტა ეჭვთა ღრუბელი
 და ყოვლად მსხნელმა სასოებაში
 მომცა ნუგეში მაცხოვრებელი.
 ამა ნუგეშით აღძრული სული
 აღმევსო ნელის სისარულითა;
 ეჭვთაგან, წინად გვემული გული,
 განცხოვლდა წმინდის სიუვარულითა;
 გარდმომეკლინა ყოვლად შემძლეები
 ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
 აღმიფრთოვანნა მან ოცნებები
 და განმიწმინდა სეღვა და სმენა:

კრებული

მეწვივნენ იგი უცხო სიღვანე,
სავსენი ღსენით, ნეტარებითა,—
რომელთაც წარჩქთ კაცთ გულის-თქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა.

ილია ჭავჭავაძე.

მუნწი გმირო

თხზულება ა. ზუშკინისა, (1330 წ.)

(თარგმნილი რუსულიდან თ. რაფიელ ერისთავისაგან 1872 წ.)

წარმოდგენა ზირველი.

(ბურჯუში)

ალბერ და ივანე.

ალბერ.

რაც მოხდეს-მოხდეს, უნდა აგვიღე
შე ჯირითშია. აბა ივანე,
მაჩვენე აქა, ეგ მუზარალი.

ივანე (მიართმევს მუზარალს)

გახვრეტილია, სულ წამხდარია,

კრებული

არ შეიძლება ამის დახურვა...

ახალი უნდა ვიშოვნო სადმე.

რა რიგათა მკრა იმ დაწყევლილმა!..

ახ, დელორჟე, დელორჟე! მოგტყდეს კისერი,
შენ შეგაჩვენა ჩემმა გამჩენმა!

ღვანე.

თქვენც გვარიანათ გადაუხადეთ:

უზანგოები დააცლევინეთ,

ცხენიდან მარჯვეთ გადმოუძახეთ,

ასე რომ მთელს დღეს უსულოთ ეგდო...

მისი მორჩენა ღმერთზე ჰკიდია...

ალბერ.

ის ხომ ზარალში მაინც არ არის;

მას პოლოტიკი ვენეციისა

მთლათ გადაურჩა; მკერდი კი თვითონ

გროშათ არ უღირს, არც სხვას იყიდის.

რათ არ მოეხადე იმას თაყიდგან

იქ მუზარადი! მოეხდიდი მე რომ

არ შემრცხვენოდა იქ ქალებისა

და ჩვენის მთავრის...წყეულო დელორჟე!..

ნეტავი ჩემთვის შუბლი გაეპო!

ქუნწი გმირი

ტანისამოსიც რომ მეჭირვება...
ამ ბოლოს დროსა ყველა გმირები
და რაინდები იყვნენ მორთულნი
ატლას ბამბითა და ხავერდითა;
მე კი მარტოკა ვიყავ ჩაცმული
აბჯარ-ჯაფშნითა მთაფრის მეჯლიშში.
მოვიბოდიშე მხოლოდ იმითი,
რომ ჯირითშია მიველ შემთხვევით....
მაგრამ მითხარი: დღეს რაღა უთხრა?
ახ, სილარიბევ, ახ, სილარიბევ!
როგორ გვიჭმუხავ, გვიმცირებ გულსა!
როცა დელორჟმა მძიმე შუბითა
მე გამიხვრიტა ზუჩი და ცხენი
მკვირცხლათ გაიგდო, მაშინ მეც ვქუსლე
ჩემსა ემირსა-ცხენების თვალსა
და თავშიშველი გამოუდექი
გრაფსა დელორჟსა...წამოვეწიე....
რომ შემოვტყორცნე, გადავისროლე
ოცს ნაბიჯზედა, როგორც რომ ბურთი..
მაშინ ქალები ერთობ წამოდგნენ;
თვით კლოტილდამა უნებურათა

შეჰყვირა, უცებ ორივე ხელები
 მან მიიფარა ლამაზ თვალებზედ....
 და კარის კაცნი მიქებდნენ ძალას,
 სიშამაცესა და სიმარჯვესა!

მე კი, გარწმუნებ, სულ გაღვირიე
 მუზარადისა გახერეტი სათუის...

აბა, მითხარი მიზეზი ჩემის

უცნაურისა მამაცობისა:

მითხარ, რა იყო?—ძუნწობა, სწორეთ...

ლიახ, ძუნწობა!.. განა არ იცი,

შემეყრებოდა სიძუნწე, რადგან

ერთს ჳერს ქვეშ გსცხოვრებ მამა ჩემთანა...

ნეტა რას შვრება ჩემი ემირი?

იგანე.

ძალიან კოჭლობს; იმაზედ ჯდომა

ჯერ, სწორეთ გითხრათ, არ შეიძლება,

ალბერ.

რა გაეწყობა... შავ ცხენს ვიყიდი:

არც ბევრს ითხოვენ, ვგონებ, იმაში?

იგანე.

ბევრს არ ითხოვენ, მაგრამ ფულები

შამოგვლევია.

ალბერ.

ნეტა, რა გითხრა
იუდის კერძმა, ცრუ სოლომონმა?

ივანე.

მოგახსენებდათ, რომ უგირაოთ
ფულს აღარავის აღარ ვაძლევო.

ალბერ.

ქრისტემ დასწყევლოს! მე სად ვიშოვნო
გირაოები?

ივანე.

მეც ასე ვუთხარ.

ალბერ.

მერე?

ივანე.

— ქოშინობს და იბუზება.

ალბერ.

ასე ეტყოდით, მამის ჩემისას:

მდიდარია თქო, როგორც ურია...

ჩაკვდება ღღეს-ხვალ და მე მარტოკა
ვრჩები მემკვიდრეთ.

კრებული

იგანუ.

ეგეც უთხარი.

აღბერ.

მერე?

იგანუ.

კომინობს და იბუზება.

აღბერ.

შენ, ჩემო თავო!

იგანუ.

თვითონ უნდოდა

მას თქვენთან ხლება.

აღბერ.

მადლობა ღმერთსა!

თუ კაცი კი ვარ, იმას აქედგან

მე არ გაუშვებ: თავი დაიხსნას...

(კარებს აბჯახუნებენ).

ვინ არის მანდა?

(შემოდის ურია).

ურია.

უუძღაბლესი

თქვენი მსახური...

აღბერ.

ოჰ, მეგობარო!

შეჩვენებულო, ჩემო ურიაფ,
პატივცემულო, ჩემო სოლომონ,
მობრძანდი აქა: მაშ, როგორც მესმის,
ვალს აღარ მანდობ?

უწია.

ეჰა, მოწყალე,

ბატონო, გმირო, თქვენს თავსა ვფიცავ,
მზა ვიქნებოდი, სიხარულითა
თქვენს სამსახურსა, სიამოვნებას...
მაგრამ, რაუყო, არ შემიძლიან...
ფული სად არის, ვინ მომაქვავა?
სულ დავიღუპე, თქვენებრ გმირებს რომ
მწით შევექენი... აღარ მაძლევენ...
თქვენდა მინდოდა თხოვნა, ვედრება,
ვგებ ცოტა რამ გებოძებინათ,
ძველი ვალიდან...

აღბერ.

შე, ავაზაკო!

ფული რომ მქონდეს, ხმას კი ვაგცემდი?!.

კრებული

კარგია, კმარა, ჩემო ჭოლომონ,
სულ ამოყაჭე ყვითელ-ყვითელი,
ასიოდ ოქრო... ჯიბეებს ნულარ
დამაჩხრეკინებ...

ურია.

ასიოდეო?!...

შე დალოცვილო!.. ასი რომ მქონდეს!..

ალბერ.

ჯერ გამიგონე... არა გრცხვენიან?

შენს კარგს მეგობარს, არ გამოიხსნი?

ურია.

თქვენ თავსა ვფიცავ...

ალბერ.

კარგია, კმარა!

შენ გიფხრავია გირაო, მაგრამ

მე შენ რა მოგცე საწინდრათ, მითხარ?—

ლორის ტყავი თუ?... მე რომ გირაო

მქონოდა რამე, ხომ გაუყიდდი.

შე ღორო, შენა! ჩემებრ გმირისა

სიტყვა უბიწო არ. კმარა შენთვის?

ურია.

თქვენი სიტყვები, თქვენი ბრძანება,

მანამ ცოცხალხართ, ღიახ ბეერს ჰნიშნავს:
 იგინი უცებ, სულ ადვილათა
 თქვენ გაგიღებენ განძის ყუთებსა
 ჭლამანდიისა-ვაჭრებისასა,
 მაგრამ ეგ სიტყვა მე რომ ვადმომცეთ,
 საწყალს ურიას და (ღმერთმა ნუ ქნას)
 რომ მიიცვალოთ... მაშინ ის სიტყვა
 ჩემს ხელში, სწორეთ, მსგავსი იქნება
 გასაღებისა, მღელვარე ზღვაში
 გადაგდებულის კლექტილის ყუთის.

აღბუნ.

ნუ თუ მამაზედ უწინ მოგკვდები?

უნია.

ვინ უწყის ეგა? ჩვენი დღეები
 ჩვენგნით არ არის, ვიცი, დათვლილი...
 წარვიდა ღამე, წარვიდა დღე,
 ერთი ყმაწვილი წუხელ ყვარდა, —
 დღეს გარდიცვალა... ოთხმა მოხუცმა
 ოთხათ წახრილთა, გაიდვეს მხრებზედ
 და ხენეშა, კვნესით მათ წაასვენეს
 სამარემდინა... ღიახ, ბატონო!..

კრებული

მამა თქვენი ჯერ მხნეთა ბრძანდება,
 ღმრთით კიდევ გასძლებს, ათს, ოცს, ოცდა
 ხუთს,
 ოცდა ხუთმეტს წელს, ორმოცამდინაც
 ფგონებ შეაწევს....

აღბერ.

მიჰქარაე შენა!

ოცდა ათს უკან მე შეფიქნები ორმოცდა
 ათის
 და მაშინ ფული რილასვის მინდა?

ურია.

ფული, ბატონო?—ფული ყოველთვის,
 ყოველს დროშია საჭირო არის...
 ყმაწვილი კაცი ფულში დაეძებს
 მარჯვე მსახურებს, ჰგზავნის იქა-აქ;
 მოხუცი ეძებს მათში მეგობრებს
 იმედიანებს და უფროთხილდება,
 როგორც რომ თვისსა თვალის სინათლეს!..

აღბერ.

არა, მერწმუნე, რომ მამა ჩემი
 მათში მსახურებს კი არ დაეძებს

და არც მეგობრებს; ის ხედავს მათში
 მებატონეებს და მათ მსახურებს
 თვითონ ერთგულათ, როგორც რომ მონა
 აღჭირიისა, როგორც რომ ძალლი
 ჯაჭვით დაბმული.....სცხოვრებს ქოხშია
 უცეცხლოშია, მარტო წყალსა ჰსომს
 ხმელა ჰურსა სჭამს, ღამე არ ჰსძინავს,
 დარბის და გმინავს და იყეფება! —
 ოქროები კი ზანდუკებშია
 მყუდროთ აწყვიან, მშვიდობიანათ,..
 მაშ მომითმინე, გაჩუმდი ეხლა,
 როცა იქნება მე მოვიხმარებ
 იმ ოქროებსა, მოვიმსახურებ,
 დაუფრთხობ მე მათ მყუდროებასა!

ურია.

ღიან, მჯერა მე, რომ მამის თქვენის
 დამარხვაზედა ცრემლებზედ მეტი
 ოქრო ითხვეის!...ინებოს ღმერთმა,
 მალე გაღირსოსთ მემკვიდრეობა.

აღბერ.

ამინ!

კრებული

უნია.

ვეგონებ, რომ ეგე შეიძლებოდეს.
 ალბერ.

რა?

უნია.

ძითომ ეფიქრობ საშუალობას.
 ალბერ.

რანაირია?

უნია.

ერთი მცნობი მყავს
 მოხუცებული, საწყალი ვინმე
 სხვა და სხვა წამლის შემზავებელი...
 ალბერ.

ხომ არ ზარაფობს და შენსავითა
 არა ჰყვლეფს ხალხსა?... ან თუა შენზედ
 პატიოსანი და ათზედ ასს წილს
 ხომ არ თხოულობს იგი სარგებელს?..

უნია.

არა, ბატონო, მისი ეაჭრობა
 სხვანაირია: იგი ამზადებს
 უცხო წამლებსა... გასაკვირვალსა...

მათ საოცარი მოქმედება აქვთ...

ალებერ.

რათ მეჭირვება?

ურია.

ერთს ჭიქა წყალში

სამიოდ წვეთი საკმაო არის. .

ვერც გემოვნებით და ვერც ფერიტა

ვერას შეატყობთ... მაგრამ ვინც დაჰლევს

ვერც ტკივილს იგრძნობს, ვერც გულის

რევას,

ისე მოკვდება უტანჯველათა.

ალებერ.

შენი მოხუცი საწამლავს ჰყიდის?

ურია.

ღიან, ბატონო .. იმითიც ვაჭრობს.

ალებერ.

მერე? რას მირჩევ?.. ვისესხო მისგან

ორასიოდე შუშა წამალი


და თვითო ოქროთ გამივა თვითო...

ხომ ასე ჰფიქრობ?..

ურია.

არა, ბატონო!

6365



კრებული

მე რას დამცინით... ასე მეგონა,
რომ მამის თქვენის სიცოცხლე კმარა,
აწი დრო არის, რომ განისვენოს...
ფიქრობ: იქნება თქვენ ინებებდით...
აღბენ.

მამის მოკვლასა?!.. როგორ მიბედავ,
შე, ავაზაკო?!.. დასტურ იუდავ?..
ივანე, თოფი!.. სტაცე ურიას!..
როგორ გაბედე შენ მაგისი თქმა?..
შე ძაღლო, შენა!.. გველის წიწილო!..
არ იცი, რომ მე მაგ თქმისთვინა
აქ ჩამოგახჩობ ლობის მელქანზედ?..
უნია.

გეხუმრებოდით, თქვენს მზესა ვფიცავ!
აღბენ
ივანე, თოკი!

უნია.

გეხუმრებოდით...
ვინ გაჰბედავდა?!.. ფული მოგართვით...
აღბენ.

გადი, შე ძაღლო, გადი აქედგან!...
(უნია გადის).

აი, საღამლის მიმახწევიანა
 მამის სიძუნწემ!... რა გამიბედა!!
 ეინ გამიბედა?!—იუღის კერძმა!..
 სულ მთლათ ვკანკალებ... ივანე მასვი
 პატარა ღვინო!... ივანე, გასწი,
 გამოუდექი იმ ურჩიასა.
 და გამოართვი ის ოქროები;
 რომ იძლეოდა... ან არა, მომე
 ჯერ საწერელი... იმ ავაზაკსა
 ბარათს დაუწერ.—მაგრამ, გიბრძანებ
 აქ არ მომგეარო, არ დამნახო
 მე ის იუღა... მოიცა, მაცა—
 მისს ოქროებსა სუნი ექნება
 საწამლაეისა, როგორც რომ ვერცხლსა
 მისის წინაპრის... მე ღვინო გთხოვე.

ივანე.

ღვინო არა გვაქვს, არც ერთი წვეთი.

ალბერ.

რომ მოგევიდა, ესპანიიღვან,
 ჩვენ, ჩვენ საჩუქრათ, რემონისაგან?

ივანე.

წუხელ წაულე ავადმყოფს მკედელს

უკანასკნელი ერთი ბოთლიკა,

აღბერ.

კი მახსოვს, ვიცი... მაშ წყალი მასვი.

ამ გადაღლებულს წყეულს სიცოცხლეს

სიკვდილი მიჯობს... კმარა მოთმენა!

გადავიწყვიტე; წაფალ მთაეართან,

ყველას შეეჩივლებ, რომ მამაჩემსა

მოაღლევენოვს ჩემთვის რიგზედა,

როგორც შეილისთვის... თორემ მე ასე,

ძალლის ლეკვივით, სიცოცხლე, სწორეთ,

არ შემიძლიან... თავის წრუწუნა

ხომ არა ვარ, რომ გაეძლო ხერგელში!..

მუნწი გმირი

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა მ ე ო რ ე

(სარდაფი)

ბარონი *)

როგორც ყმაწვილი თავქარიანი,
გიჟმაჟი, ცელქი, დაუდგრომელი,

* ბარონი—ესპანურია და ჭნიშნავს ხარისხოვან აზნაურს, ანუ შთამომავლობით კეთილშობილს მემამულეს; ასე უწოდებენ როგორც ესპანიაში, აგრეთვე გერმანიაში, რუსეთში და სხვა სამეფოებშიაც. ამ გვარადვე გ რ ა ფ ი ნემენტური წოდებაა ხარისხისა და იგივე მნიშვნელობა აქვს დღეს ხსენებულს სამეფოებში.—ეს წოდება განასხვავებს დაჯილდოებულს ამ ხარისხით შირს სხვა უბრალო აზნაურის შვილსედ, როგორც ჩვენში (საქართველოში) იყო განსხვავება პირველს—აზნაურის შვილს და შუა აზნაურის შვილს შორის ამ გვარადვე შუა აზნაურის შვილისა და ცალმთავრ აზნაურის შვილს შორის. შუნიშვნა მთარგმნელისა.

ის სწრაფის ხილვას როსკიპის ქალის,
 ანუ დიაცის უგუნურისას,
 მისგანვე უღმრთოთ მოტყუებულის,
 ეგრეთვე მეცა მთელს დღეს ველოდი,
 იმ წუთს, რომ აქ მე ჩამოვსულვითყავ,
 ჩემს საიდუმლო ბნელს სარდაფშია,
 ერთგულს ყუთებთან... ვიშ, რა დღე არღ,
 დღე ბედნიერი!.. დღეს შემეძლიან —
 მეექსე ყუთში, აუვსებელში,
 ჩაეყარო ოქრო, კვლავ ერთი მუჭი.
 ხომ ცოტა არის, ასე გვგონია,
 მაგრამ საუნჯე ცოტ-ცოტაობით
 იზრდება. სადღაც მე წამიკითხავს,
 რომ ერთმა მეფემ თვისთა მხედართა
 უბრძანა თვითო მუჭის მიწისა
 მოტანა. ესრეთ გაკეთდა გორა,
 ტურფად ამაღლდა, ამაყად მცქერი.
 მაშინ მეფესა შეეძლო მზერა
 მისი სერიდგან და მიმოხილვა
 ევლთა საფსეთა, თეთრის კარვებით,
 და ზღვისა, სადაც სცურევენ ხომალდნი;

ეგრეთვე მეცა, ზა მომაქეს თვითო
 პატარა მუჭა, სარდაფში ხარკი
 ჩვეულებრივი, შით აღვამალღე
 აქ ჩემი ბორცვი; მისის ქედიდგან
 მე გადავხვდავ რასაც კი რომ ვფლობ...
 რისა არა ვარ, ან კი მფლობელი?
 ვით რომელსამე ეშმაკს, სატანას,
 აქედგან ძალმიძს ვმართო ქვეყანა.
 თუ კი ვისურვებ—დასტურ სამეფო
 სასახლეებში აშენდებიან
 და მშვენიერნი ჩემი ბალები,
 ფურიეებით აივსებიან;
 თუ კი ვისურვებ, მოვიწადინებ
 მე მუსიკოსნი ხარკსა მიძღვნიან
 და გენიოსნი შემონებიან!
 მასთან კეთილსა, მშრომელსაც მასთან—
 ლამე ნატეხსა და მოქანცულსა—
 ექმნებათ ჩემგნით ჯილდოს ლოდინი
 მოწიწებითა. —დაესტვენ თუ არა:—
 მორჩილათ, თრთოლით, შემოიპარვის,
 სისხლით შესერილი ბორცუბანი, —

შემოცოცდება სისხლის მწყურვალად, —
 დამიწყებს ლოკვას ხელებისასა,
 თვლებში ცქერას ყურადღებითა,
 რომ წაიკითხოს, ამოიკითხოს,
 მათში სურვილი ჩემის ნებისა!..

ყოველიფერი მემორჩილება,
 მე კი მორჩილი არაფრისა ვარ;

მე მესმის ძალა ჩემის დიდების,
 ჩემის საუნჯის ძლიერებისა, —
 და მე ეს ცოდნაც კვალად მეყოფის.

(ჩასცქერის თავის ოქროებს)

თითქოს რომ ბევრი აქ არ არისო,
 მაგრამ რამდენის კაცთა ზრუნვისა,
 სიცრუის, ცრემლის, წყევა—ვედრების,
 იგი ჩვენდა არს წარმომდგენელი!

(სჩხრკეკავს ოქროებს).

აი, ბაჯალლო, ძველებურია,
 დღეს მომიტანა მე ერთმა ქვრივმა,
 (სამი ობოლი თან ახლდა მასა);
 მაგრამ მანამდის უომცემდა ამას,
 შუადღემდისინ ფანჯრების წინა

იყო დაჩოქილ, მწარეთ მოსთქმიდა,
 წვიმა შიგ პირში უშხაპუნებდა,
 ის კი იქიდგან აღარ იძროდა, —
 ფარისეელობდა, ეგონებ, თვალთმაქცი!
 შემეძლო მისი გაღება, მაგრამ,
 რაცღა მამხელდა, რომ ქმრისა ვალი
 მოეტანა მას ჩემთვის, რადგანაც
 ციხეში ჯდომა ეზარებოდა.
 აი, მეორე, ოქრო წითელი.
 ზარმაცი თიბოს მოტანილია,
 სად იშოვნოდა ის არამზადა,
 გაქნილი, პლუტი? მოიპარავდა,
 ან დიდს შარაზედ, ლამე, ტყეშია...
 ოჰ, ღმერთო, ღმერთო; ჩვენ რომ ვიფიქროთ,
 წარმოვიდგინოთ, რომ რაც აქ განძი
 დაცული არის და რაც რომ მისის
 შეძენისათვის დათხეულია:
 ცრემლი, ოფლი, თუ სისხლი უმანკო,
 რომ მსწრაფლ აღმოსკდენ დედამიწიდგან,
 ქვეყანა ისევ წარიღვნებოდა
 და მე ჩემს ერთგულს სარდაფებშია

დაეიხეჩებოდლი... მაგრამ დრო არის...

(ზანდუკის გაღებას აჩივებს).

ყოველთვის როცა ყუთის გაღებას
დაევირები, მომდის კანკალი,
სულ ავენთები!.. შიშით კი არა...
ვისი მეშინის? კაცი არა ვარ?..
გმირი ვარ, ხმალი გვერდზედ მკიდია,
მტრისა გულისა გამაგმირალი.
მაგრამ გულის მაწევს რალაცა გრძნობა
მე უცნაური და მიწუხებს მას...
ჩვენ გვარწმუნებენ მკურნალი ესრეთ,
რომ არიანო ისეთნი ჰირნი,
რომელნიც კვლაში ადამიანის
ჰპოებენ ნამდვილს სიამოვნებას.
მეც, როდესაც ზომი გასაღებს უყრი
ყუთის კლიტეში, იმნაირივე
გრძნობით შეცული ვარ ხოლომე სწორეთ,
როგორც ისინი, როცა თვისს მსხვერპლსა
დასცემენ ხანჯალს უმანკოს გულში!—
ტკბილ არს ის წუთი, საშინელიცა!
(აღებს ზანდუკს)

ეჰ, შახედეთ ჩემს ნეტარებას!

(ზანდუკში უჩის ფულებს და
ესაუბრება:)

ჩაბრძანდით, კმარა თქვენი წანწალი
ქვეყანაზედა, საღაც კმონებლით
და მსახურებლით საჭიროებას, ხან
ხან კაცთა ჟინთა, დაუთვალავთა.
აქ განისვენეთ ძილით, ძალისა
და მყუდროების, როგორც ღმერთებსა
სძინავთ სამყაროს ცის სიღრმეშია!
დღეს მსურს მეჯლიში, ქეიფთა
აფანთებ სანთლებს ზანდუკებს წინა
გავალებ ყველას, დავსდგები შუა
და გარდავხედავ ბრწყინვალე ზვინებს.

(ანთებს სანთლებს და ადებს
ზანდუკებს).

დღეს ვმეფობ! ვინა, ვინა! ვამ ელვარებას!
მემორჩილება ჩემი სამეფო;

მასშია ჩემი ბედნიერება,

ჩემი პატივი, ჩემი დიდება!

მე ვმეფობ... მაგრამ, ჩემს შემდეგ ვინღა

ჩაიგდებს ხელში უფლებას მისას?
 ჩამი მემკვიდრე?! ფანტია, გიჟი?—
 ის უგუნური ყმაწვილებშია,
 და დარდიმანდი ლოთი— ფოთებში?..
 რაკი სულს დავლევ, შემოვა აქა,
 ამ მშვიდობიანს, მყუდრო ადგილას,
 თან მოჰყვებიან სასახლიდანა,
 პირმოთნეები, კარისა კაცნი,
 უზომოთ ხარბნი და ჩემსა სხეულს
 გასაღებებსა ამოაცლიან...
 ნამალევათა და გააღებენ,
 დიდის ხარხარით, ამ ზანდუკებსა..
 მაშინ მოსქდება საუნჯე ჩემი
 და იწყებს დენას ფარჩის ჯიბიდგან,
 გახვრეტილიდგან... ახ, შვილი ჩემი,
 წმინდა ჭურჭელთა, მაშინ დაამტვრევს,
 დაათრგუნვინებს; სამეფო ზეთით
 ტალახს გააძლობს, გააბნევს სარჩოს!
 მაგრამ ეიკითხოთ: რომლის უფლებით?
 ნუ თუ მუქთათ მე, ესე ყოველი
 მხვდა მომცემია? ანუ ხუმრობით,

როგორც ყომარბაზს, შემიძენია,
მარტო კამათლის გაგორებითა
და ისე ჯიბე გამიტენია?..

ვინ უწყის რამდენს მოთმინებასა
მე თავი ჩემი დავატანჯვინე,
რამდენი ჟინი, სურვილი, ნდომა,
მე ჩემსა გულსა დავათმენინე.

ვინ უწყის, რომე ესე საუნჯე,
რამდენს ფიქრებათ, რაოდენს ზრუნვათ,
ღამე ნატებსა მე დამჯდომია?

იქნება ფიქრობს ჩემი მემკვიდრე
რომ გული უკვე დამხავსებია,
და აღარც ნდომა, აღარც სურვილი,
უგრძნობელსავეით აღარ მქონია?

ან ჩემი შვილი, თუ ფიქრობს ასე:
რომ სინიდისი გამცივებია?

და სინიდისსა, — შემაწუხებელს უღრღნია?
იმ სინიდისსა ცუდს მესაუბრეს,
ვით რომ მოვალეს, ბრიყეს და უჯიშოს,
ვით მოუწევველს, უდრო სტუმარსა,
გამგელლებულსა, უწყალო მხეცსა,

აღ-ქაჯსა, დევსა, დიდ-პყალოვანსა,
 ჯოჯოხეთიდგან გამოგზავნილსა,
 რომლისგანაც კი კრთება მთოვარე,
 საფლავნი შფოთვენ და კვდრებს სდევნიან!?
 ნუ თუ მე ვიყავ გაქვავებული,
 ამ სინიღისის განშორებული?..
 აბა, ძამიაფ! ჯერ შეიძინე
 ამ გვარის ტანჯვით ოქრო, საუნჯე
 და მაშინ ენახოთ, თუ რამ გაბედავ
 ისე უწყალოთ მისს დაბნევასა,
 რაც რომ სისხლითა შევიძენია!
 ახ, რომ შემეძლოს ჩემის სარდაფის
 დაცვა უღირსთა მზვერავეთაგანა,
 ახ, რომ შემეძლოს საიქიოდგან
 მოსვლა იღუმალ ჩრდილათ ჯაშუშის,
 ჯდომა ყუთებზედ, დაცვა საუნჯის
 ცოცხალთაგანა, როგორც რომ ეხლა!..

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა მ ე ს ა მ ე

(სასახლეში).

ალბერ, მთავარი.

ალბერ.

ჩემო ხელმწიფე, ირწმუნეთ ჩემი:
დიდი ხანია რაც ვითმენ სირცხვილს
სიღარიბისას, დამცირებისას.
გაჭირვება რომ არ დამდგომოდა,
ვერ გაიგებდით ჩემს საჩივარსა.

მთავარი.

მჯერა და მრწამს მე პატიოსანო
გმირებთაგანში... ამ გვარი კაცი,
როგორც რომ თქვენა თვისსა მშობელსა
არვის დაასმენს, არსად უჩივლებს
გაუჭირვებლათ... დამუვიდლით თქვენა
მე მამა თქვენსა, განსაკუთრებით,

კრებული

საიდუმლოთა, შეგონებითა,
 ვაკისრებინებ თქვენს პატრონობას.
 აქ მოველი მას. კაი ხანია,
 აღარ მინახავს. ის ჰმეგობრობდა,
 დიდათ, პაპაჩემს. მე მახსოვს, როცა
 პატარა ვიყავ, შემსობდა ხოლმე
 თავის ცხენზედა და დამხურავდა
 თავის მუზარადს, როგორც რომ ზარსა.—

(ფანჯარაში იუყრება).

ნეტა ვინ არის? ის ხომ არ არის?

ალბერ.

ღიახ, ბატონო — სწორეთ ის გახლავსთ.

მთავარი.

მაშ შედი, მალე, მაგ ოთახშია,
 მე დაგიძახებ.

(ალბერსი გადის, ბაჩონი შემოდის).

მშვიდობა შენდა

გმირებთა გმირო! მოხარული ვარ,
 რომ გხედავ ასე მხნელ და მამაცათ.

ბაჩონი.

ბედნიერი ვარ, ჩემო ხელმწიფე,

რომ შეესძელ თქვენსა ბრძანებაზედა
თქვენთან ხლება მე.

მთავარი.

კაი ხანი?

არ მინახვიხართ. ხომ გახსოვარ მე?

ბატონი.

მე, ხელმწიფეო? ასე მგონია,
გუშინ იყო თქო... როგორი ანცი
ბავშვი იყავით... განსვენებული
დიდი მთავარი ბრძანებდა ხოლმე
ჩემო ფილიპე (ასე მეძახდა)
რას იტყვი შენა?—ოცს წელს უკანა,
ჩვენ გამოვიჩნდებით ამ ბალანასთან,
(ვითომ თქვენთანა), სულელებათო!..

მთავარი.

მაშ განვახლოთ კვლავ ნაცნობობა.
რათ დაივიწყეთ ჩემი სასახლე?

ბატონი.

მოვხუცდი მეფევე! მე სა სასახლეში
რას გავარიგებ? თქვენხართ ყმაწვილი
თქვენ გიხარიათ: ჯირითი, ცეკვა
და მეჯლიშები... მე კი ამისთვის
აღარ ვვარგივარ. და თუ ღმრთის მადლით
ომი გაგვიჩნდა, მაშინ კი მზავარ,
ხენეშით და კენესით მოვაჯდე ცხენსა...
იმდენი ღონე კიდევ მექმნება,
რომ თქვენთვის ხმალი კვლავ მოვიქნო!

კრებული

მთავარი.

ჩვენ ვიცით შენი ერთგულებაი:
 პაპა ჩემს ჰყავდი შენ მეგობრათა,
 მამა ჩემი შენ პატივსა გცემდა
 და მე ყოველთვის გრაცხდი ერთგულათ
 ჩვენის ტახტისა, მამაც-გმირათა...
 მოდი აქ დავსხდეთ. შეილები არ გყავს?

პატონი.

გახლავსთ, ბატონო, ერთი ბაღანა.

მთავარი.

რატომ არ ვხედავ ჩემს სასახლეში?
 თქვენ თუ მოგწყინდათ ჩვენთან ყოფნაი,
 იმას ხომ მაინც შეჭფერის ხლება
 მისი მთაფრისა...

პატონი.

არა, ბატონო,
 ჩემს შეილს არ უყვარს გარეთ გამოსვლა
 ლხინი, შექცევა... რალაც დახშული
 ზნისა რამ არის, სულ მთლათ მხეცურის
 ხასიათისა—ტყეში და ღრეში
 დაეხეტება ირემივითა.

მთავარი.

არ ვარგა, სწორეთ, გარეგანობა.
 მაგრამ შევაჩვეეთ მხიარულებას,
 მეჯლიშს, ჯირითსა... გამომიგზავნეთ
 და სარჩოც კარგი და ღირსებული
 მას დაუნიშნეთ... რას მოიწყინეთ
 და იღრუბლებით?—თუ დაიღალეთ?

ბატონი.

არა, ბატონო, არ დავლალულოვარ,
მაგრამ შევეძრწუნდი... მე ვერ ვბედავდი
თქვენთან გამხელას ჩემის შეილისა
ყოფა-ქცევისას და მოიძულეთ.
ის—მოგახსენოთ—ღირსი არ არის
თქვენთან ხლებისა და აღარც თქვენის
ყურადღების და მოწყალებისა:
საუბედუროთ, ის დროს ატარებს
გარყვნილებაში, ბოროტებაში!...

მთავარი.

უთოოთ მიტომ, რომ მარტო არის...
მარტოკაობა, უსაქმოობა
ჰლუპავს ყმაწვილს კაცს...
გამომიგზავნეთ და დავაფიწყებ
გარეგნობისა ჩვეულებათა.

ბატონი.

ჩემო ხელმწიფე, მომიტევეთ მე,
რომ დათანხმება არ შემიძლიან.

მთავარი.

რა მიზეზია?

ბატონი.

გთხოვთ დამითხოვოთ...

მთავარი.

გიბრძანებ მითხრა, ეხლავ ამიხსნა
მიზეზი შენის უარყოფისა.

ბატონი.

შეილზედ გახლავარ გარასხებული.

ვრეხული

მთავარი.

მითხარ, რისთვისა?

ბარონი.

დანაშაულებელ,

ბოროტ საქმეზედ.

მთავარი.

რა ქმნა ისეთი?

ბარონი.

გთხოვთ დამითხოვოთ...

მთავარი.

მიკვირს დიდათა!

ან თუ გერცხვინის შენ შენის შვილის
მოქმედებანი?

ბარონი.

დიახ... მრცხვენიან...

მთავარი.

რა ქმნა ისეთი?

ბარონი.

რა ქმნა... ბატონო?..

მას ჰსურდა ჩემი მოკვლა.

მთავარი.

მოკვლაო?!..

მაშ მე მას მივცემ სამართალშია,
როგორც ბოროტსა და ავაზაკსა.

ბარონი.

მე მაგეების დამტკიცებასა არა ვკისრულობ,
თუმცა კი ვიცი, რომ მას სიკვდილი
ჩემი სწყურიათ; კი ვიცი,

რომ მიპირობდა...

მთავარი.

რასა?

ბატონი.

გაქურდვას.

(აღბერი შემოვარდება ოთახში)

აღბერ.

ბატონო, მამაე! თქვენ სცრუობთ, სწორეთ!

მთავარი (შეიშხ)

როგორ გაბედეთ?...

ბატონი.

აქა ხარ შენა?!..

შენ გამიბედე?!. შენ შეიძელი

მაგისი თქმა, რომ მე ესცრუობდე აქ,

ჩვენს ხელმწიფესთან?... - შე გამიბედე?..

მაშ მე გმირებში აღარ ვყოფილვარ?..

აღბერ.

თქვენ სცრუობთ, სცრუობთ!..

ბატონი.

ღმერთო, მართალო!

მაშ რატომ მეხი არ დამეცემა!...

აილე ესა და მე და შენა

ხვალ გაგვასწოროს ხრმაღმა გორდამა!.

(გადაუგდებს სკლათომანს *), შეიძლი მარ-

ათ აიღებს).

*) სკლათომანის გადაგდება, ევროპაში ნიშანია სმაღში გამოწვევისა. —

კრებული

აღბურ.

მადლობელი ვარ.—აი, პირველი ჯილდო
მამისა!

მთავარი.

რა ვნახე, ღმერთო, აქ, ჩემს წინაშე?

შვილმა მიიღო მამისაგანა

გამოწვევა ხმალში! შეხედეთ

რა ღროს შევესწარ, რა ღროებაში

შემხვდა გვირგვინი მე მთავრობისა!..

(მამას) გაჩუმდი, კმარა, შე უგუნურო!

(შვილს) შენც, ვეფხვის ლეკვო!.. გადაისროლე,
მამეცი აქა, ეგ ხელთათმანი!... (ართშეკს
ხელთათმანს)

აღბურ.

დიდათ ვინანი!

მთავარი. (შვილს).

შეჩვენებული!

რომ ჩააცივდა, შიგ გაუყარა

სულმთლათ ბრჭყალები...გა, აქედგანა!..

ალარ მეჩვენო, მანამ მე თვითონ

არ დაგიძახო!

(აღბურ გადის).

(მამას) შე უბედურო,

მოხუცებულო, არა გრცხვენიან?

პარონი.

შემინდევ მეფევ!.. დგომა არ ძალმიძს...
აგერ მუხლები მე მედრიკება..

მცხელა!... ვიხრობი!... გასაღებები

რა მექნა?.. ჩემი გასაღებები!.. (დაეცემა).

ძაჯაჩი.

ახ, ღმერთო ჩემო!.. მოკვდა საწყალი!..

ახ, ღმერთო, ღმერთო, რა დროს შევესწარ!

რა დროში ვცხოვრობთ და რა ხალხშია!..

მახე სულები

ამბავი მოხევეთ ცხოვრებისაგან

ერთს მოხევის სახლში სხედან: ივანე, პავლე, სამი სტუმარი და დედაკაცები. დედაკაცები კერის პირსა სხედან და კაცებიცა ზოგი პატარა სამ-ფეხა სკამებზე და ზოგიცა გძელ სკამზე, რომელი დიენის მაგიერი არის და ლასტის ერთი ბოლოდამ მეორემდის სწედება.

— იცით, ხალხნო, წუხნელი პოვლეს რაი მოუვიდა, იტყვის ივანე.

— რაი?

— ოხშობის *) დრო იყო, ისრი გარეთით პოვლეს ხმა მეგვედინა:

— ქალავ! ა...ა ქალავ!

— რაიო, გარეთ მყოფს მალიკომ დაუძხა.

— ჩირალი გააქვერ-ლაო.

*) ვასშობის ნაცვლად აქ ოხშობას. ხშირად კა— ქართულში ო იქცევა და ვიტყვიტ სოლმე: კომლი, (გვამლი), დახდო (დახდვა) მთაში მცხოვრებელმა ქართველებმა ეს უფრო ხშირად იცინა.

— «აეაი მე, ჩემს დანელებასა!» დაიწყო ტირილი ქალამა, «აეაიმე, ჩემს მასხლეტასაო!

ჩირალი გააქვრეს და მას უკან შავიდა პოვლე და პირდაპირ დასაწოლათ მიერდა თავის საგებელჩი. ადამიანებს მთელი ღამე ერთი ოგლახი ღა ედგა.

— წმინდაო გივარგიო, შენ გვიშველე; წმინდაო გივარგიო, შენ გვიშველე და, გაზხახოდეს. აბა იმ ღამეს რას-ღა ვკითხავდი. წყეულებს რომ უწოლებიათ, ის კი გავიგეთ. დღეს დილაზე-ღა გვიამბა.

— ჩვენც გვიამბე-ღა, პოვლე როგორ იყო, ეტყვის ერთი სტუმარი.

— იმ გორა, რომ სტეფან-წმინდით რომ არ წამოვე, ეკალიჩი ერთი მეღაის მაგარი რაიმ ღამხვდა. გამიძღვა წინა და ერთი ვერსი რაიღაც ჩემ წინ იარა. მამრე გაქვრა კიდეც. მამრე ბატარაი რომ ამოტიარე, რჩი ადამიანი (დღედაკაცი) შამხვდა გზაზე, ერთი ერთკე მუდგა გზასა და მოორე მოორეთეჟე, და ჩემს სახელს მიძახოდეს. შამინდა ცხენი, კიდეცა გამაიქცა წინისაკე. ამ რბოლაჩი უკენ რაიმ შამამიფრინდა ცხენზე. გავიძვერ სატეეარი კიდეცა, და დაუწყე უკენ ქნევა. როდის დამანება თავი წყეულმა კი, არ ვიცო. სახლთან რომ მოვე, მაშე-ღა მამაგონდა—ცხენი თუ არ დაეჭვრ მეტქი სატეეარის ქნევითა, მაგრამ, მადლობ ღმერთსა! არ დამიჭრა.

— კაია, თუ ღმერთი გწამს, შეგშინებია და ისა-ა, ცხო არც რა.

— რაი შეგშინებიაო! იტყვის ერთი სტუმარი; მაშ ეშმაკი არა-ა?... ეშმაკი რომ არ იყოს, ჩვენ მაშ მიგუდას *) რაისთვი ვცხოვრობთ!?

— როგორა?

— იმ გორა, რომა ჩვენ ხევსურები ვიყვენით და ხევსურეთს ვიდევით. იქნება შენც გაიგონე, რომა ეხლაც გვექონდა იქა მამულზე და ვა და წაგვართვეს კი ის მამული; და ეშმაკის წყალობითა ვართ ეხლა მიგუდასა.

— აი კიდევა!

— რაი აი კიდევაო!!.. ყური დამიგდე-ლა, მე გიამბობ როგორც იყო. — ჩვენს პაპის პაპის პაპასა როსტომ ექვინა. ძრიალ კაი კაცი სადმე იყო, რომ მეტი არ შაიძლება. 24 შვილი ხყვალა, ბევრი ცხორი, ბევრი ფური, — ისრი, რომ მეტი არ შაიძლება. იმასთან, თურმე, მტრობასა მტერიც ვერ ღბედავდა ისითი ძრიალი ოჯახი თურმე ხქონდა. ერთხალა გზაზე სადმე მოდიოდა და გასცქირა კიდევცა, და ეშმაკები გზის პირს სიფროზე სხედან. ლუდი, არაყი დიდის ვერცხლის თასებით წინ უდგიათ; სჭამენ, სო-

*) სოფელი მიგუდა მდებარებს თითქმის 10 კვლის სიშორეზე სტეფან-წმინდიდამ (ყაზიბეკის სტან-ციილამ)-

მენ, ლხინობენ, რომ მეტი არ შაიძლება. რომ დაინახეს როსტომ, დაიძახეს კიდეცა:

როსტომ მოდის რეშითა,
ცხენი მოხყავ ხენეშითა;
ეშმაკებო, მეეცალეთ,
თორო დაგხეთქსთ ფეხითა.

ეს რომ გაიგონა, გამააქანა როსტომმა ცხენი, კიდეცა. ერთსა ბალლი ხყვალყო აკონჩი; გააჭყლოტინა ის ბალლი, დასცა ერთს ლუდის თასსა ხელი, (ვერცხლისა არის, მამრე ზატს შასწირა იქაურსა, ხეესურულსა. ასეთია, რომ არ შაიძლება არცადა ისითი)...ა, შენი ჭიიმე!.. დასცა იმ თასს ხელი, კიდეცა, და გამააქცია ცხენი. მამრე დასწყია თურმე ეშმაკმა, კიდეცა, ერთი შვილი მყონდაო და ისაც მომიკალო; ღმერთმა შენს სახლჩი ერთის მეტი ნუ ამყოფასო შვიდ შვილობამდე, რომ არც გასწყდეთო და არც გაშენდეთ, ისრიო. მასუკენა დაზარალდა როსტომის სახლი; ზოგი ჭირით გაუწყდა შვილები; რომ დაცოტაედეს, მამრე მტერმა მიხყო ხელი (აბა კაის კაცსა მტერი რად არ ეყვალებოდა!), ახლა იმან დახოცა. ისრი, რომა ერთი-ლა დარჩა, ისაც ხმლით დაკუწვილი და სნეული. აღარ ეცხოვრებოდა მტრის შიშითა ხეესურებჩი და მიგუდას გარდმოსახლდა. მასუკენა, ეხლა მელა მყავ შვილი, რომ თავის მამა იცნა, თორო, როგორც შვილი ვის გაუჩნდის, მამა მოკვდის; შვილი მამას ვერ გაიცნობ-

დის-კე. ესრე იყო... ეხლა შენ დაგინიჭია, წყე-
ული არ არისო. მაშ ეს რაია, თუ არ არის!?!..

— როგორ არა-ა, ჩემო ყველაო; წმინდამ გი-
ვარგიმ დასწყიას, რომთენს უნახია და რომთენი
უწოლებია! დაიძახებს ერთი დედაკაცი.

— არის კაცო! მაგრამ ეშმაკი გულადსა და
ჯანიანს კაცს კი არ ეტანება. რომენსაც მხრე-
ბჩი სინათე არ ვაზდის, იმას ეტანება, ცხოს არა
გულადსა და ჯანიანს კაცს კი დევი ეტანება,
იტყვის ერთი სტუმარი... მე და ჩემი დედაკაცი
გულამყარს ვიყვენით ხატჩივა. (ძრიალ ძრიალი
ხატია, დიდება იმასა და შეგეწიასთ იმის მად-
ლი!) ა, შენი ჭიიმე!... ვიყვენით...

— აც-ლა! რომენი ხატია, დიდება იმის ძალ-
სა? იკითხამს ერთი დედაკაცი.

— ფუცის ანგელოზი, შეგეწიასთ სუყველას
იმისი მადლი!

— შენიმც შამწევი იქნება, ეტყვიან სხვანი.

—...ა, შენი ჭიიმე!... ვიყვენით ხატჩივა, კიდევცა
და ერთი თუში მასულიყო იქა; შორით რაიმ
იყო ძრიალა. დიდის სამსახურით მასულიყო:
მეეტანა ერთი საპალნე ღვინო, მეეყვანა ერთი
მაზვერი, ასეთი, რომე კაცთ გასაკვირვებელი
რაიმ იყო ლომის მაგიარი;—ქვეყანა იმას-ლა
ხკვირდა...ა, შენი ჭიიმე... თაფათ თუში ისითი
ვაჭიკაცი, რომ რასლა იტყვის კაცი: მაღალი,
მშვენიარი. დაუწყეს კიდევცა კითხვა: ვინა ხარო,
საითა ხარო? რაის სოფლის სახელით თქო, კი

აღარ მახსოვს, იქითა ვარო. თავის სახე-
ლიც გვათხრა და ისაც დამოვიწყდა. ა, შენი
ჭიმიე... მამრე გვიამბა კიდევცა: მე აი როგორ
მოვე- ამ ხატის კარზედა, დიდედება ამის ძაღ-
საო. სამუხზი ცხორი მედგაო და ერთხალა ერთი
ასამდი ცხორი მამისხლტაო საიტკელაცაო. წავე
იმათ საძებნელათაო. წინა ღამეს ბატარაი თოვ-
ლი მოვიდა, ისრი ყაპყის მაჯიარო. (კარგა ხანს
ჯიარეო, მიღამდებოდა კიდევცაო დილას წამა-
სულს კაცსაო. მაგრამ ჩემის ცხორისა კოლიც
ვერცადა ვნახეო.) მამრე ის-ისა-ა დაბინდებას რომ
აპირობდაო, ირმის კოლსა შევხვდი, ვიპოვნე
და ღმერთმა მამცაო... ა, ა, შენი ჭიმიე!.. მანამდი
დამიღამდა კიდევცაო. დაეჯე ერთის ხის ძირსა, და-
ვანთე დიდი ცეცხლი, გავთალე ორი შამფური
და დაუწყე მწოდებს წეო... ა, შენი ჭიმიე. ჩემს
ახლო მთა იყოო და ერთი დიდი ხევი ჩამოდი-
ოდა ტყიანო. ბატარამ ხანმა რომ გაიარა,
დადგა ერთი საშინელი ქუხილი და მეედვა ამ
ხევეს ცეცხლიო. კაცს ეგონებოდა, ქვეყანა იქ-
ცევა, ისითი ამბოვი-ლა იყოო. ამ ვაგლახნი
მივიცქირეო და ერთი მთის ოდენაი კაცი კი წა-
მამადგა ზედაო. მოვიდა და ცეცხლთან კი ჩა-
მომაჯდაო.

— წმინდაო გივარგო, შენ დაგვწერე ჯორი,
იტყვიან დედაკაცები.

— ა, შენი ჭიმიე!... ჩამოჯდა ცეცხლას პირა-
საო, აიღა ერთი შამფურიო და—

კიწიწორა, კიწიწორა,
ეს მწოდი ჩემთვი შამწორა.

გამაივლა შამფური პირჩი და ცარიალაი შამ-
ფური-ლა გარდმამიგდაო. ახლა მოორე აილა,
კიწიწორა, კიწიწორა,
ეს მწოდი ჩემთვი შამწორა.

ისაც ისრი გამაივლა პირჩი და შამფური კი
გარდმამიგდაო. ახლა ცხო მწოდები ავაგეო და
იმეებსაც ისრი უყო. ვიფიქრე, რაი ვქნაო. ჩემი
თოფი ხეზე მიყუდებული იყო და წინავე რო-
გორც-ვე დავინახე, ავიღე და მუხლებზე დავიდე-
ვო.... ა, შენი ჭიიმე!.. ახლა თოფი მუხლებზე
მიდევს, და ვფიქრობო: ვახალა, თუ რაი ვქნაო?
ვახალა და, ზარბაზანიც ვერას უზამსო; არ ვახა-
ლა—რაი ვქნაო? დაუწყე ხატებს ხვეწნა, კიდეცაო:
დიდებულნო ღვთის ანგელოზნო, თქვენ მი-
შველეთ. დააღნა ლაშნი კიდეცა და—ლლუ-
ლლუ-ლლუ-ლლუო, მაჯავრებს. ჩამოვთოლე ხა-
ტების სახელები: კოპალე გმირო, ლაშარის ჯო-
რო, კიდევ ცხვებიცა და აბაი! ღლუ-ღლუ-
ღლუ-ღლუო და გამაჯავრებს კიდეცაო. ვიცო-
დი რომ ერთი რაიღაც სალოცავი არისო, წყეუ-
ლების მტერი; გაგონილი მქონდაო, მაგრამ სა-
ხელი კი ვეღარ მოვიგონეო. როგორც ის ჩა-
ვაფიქრიო და წაუვიდის ფერი კიდეცაო. ბევრი
ვაწვი-ვიდაგეო და ვერ მოვიგონე იმის სახელიო.
მამრე ბოლოს დროს-ლა დავიძახეო კიდეცა:
დიდებულო ფუცის ანგელოზო, შენ მემეხმარე

შენს უყმოს ყმასაო!

— უყმოს ყმასაო!? და ეგ რაი-ლა-ა, შენ გენაცვალე, იკითხავს ერთი დედაკაცი.

— ეგ ის არის, რომა კაცი რომ რაიმე ხატის საყმოში არა ცხოვრობს, იმასა, იმ ხატის უყმოს ყმას ხქვინენებენ...

... ა, შენი ჭიიმე! დაეიძახეო კიდეცა: დიდებულო ფუცის ანგელოზო, ღთის შვილო, მიშველე შენს უყმოს ყმასა და, შენმა მადლმა, სამსახურით შენს კარზე მოვიდეო. ვთქვი თუ არა, წამოვიდა ცაჩი ის დალოცვილი, ცეცხლის მაგიარი, დაასქდა ამ დევსა და ნაცრად იქცა კიდეცა ეს დევი. ორანი ბატარიანი ყურანი-ლა დარჩნეს... ა, შენი ჭიიმე!..

— ჰო, ეგრე იცის დევმა, რომ რამე არ მოხკლავს, თითონ კი ნაცრად იქცევა-კე და ყურანიკი დარჩებიან-კე.. წესი არა-ა, რომ ყურებიც ნაცრად იქცნეს.

— ... ა, შენი ჭიიმე!...ნუ გეშინიან ჩემო უყმო ყმაო, მითხრა კიდეცაო. ადევ და ამ ჭალას თავქვე დახყევ; თოფის სროლით და კივილით ჩაიარე და სამჯრის მეტლათ კი ნუ ახლი. გათენების პირზე შენს ცხორსაც იპოვნი. მე კი აქათით ბაღდადის კოყანაჩი უნდა წავიდე; ურჯულოებჩი ერთს ჩემ ყმას უნდა მივეშველა.. ეს რომ თქო, კიდეცა, წავიდა ის დალოცვილი ისრივა, ცეცხლის მაგიარი ცაჩი...(არ შაიძლება, თუ რომ კაცი ეგეთს გაჭირებაჩი იქნას და

შეხვეწას რომ არ მიეშველას.) მამრე, შინ რომ მოვე, არც მე ვიცოდი და ვერც ცხვებმა მითხრეს — როდის არის-კე იმ დალოცვილის დღეობა. ერთმა სასაკვიროლო საქმემ მიშველა მაგ გაჭირებაში. — ეს მაზვერი, აქ რომ მოვიყონე, თათარში ვიყიდე. არ უდგებოდა საქონელსა, ველარ შამოვაგდეთ სახლში. ერთს დღეს თითონ შამოვიდა სახლში და დაიკივლა; მამრე დაბრუნდა და გავიდა გარეთა. გაგვიკვირდა, ეს რაი ამბოვიო, რომ აქამდრ სახლში დაღითაც ვერ შამოვაგდეთ და ეხლაც კი თითონ მოვიდაო.. ა, შენი ჭიმიე!.. იმ ერთხალა ყური არ ვათხოვეთ. მოორედ კიდევ შამოვიდა და კიდევ ისრი ქნა. გამოვე, კიდევცა და გავყევე. წინ ის მიმიძღვება უკენ ცქერითა, ითამ — მამ დევს თუ არაო? მაში-კი ვიფიქრე: ეს იქნება დიდებულის ფუცის ანგელოზის ნანებები საკლავი მეთქი. ეს რომ გავიგე, მევემზადე საჩქაროდა, ვიყიდე ერთი საპალნე ღვინოცა და გავყევე ამ მაზვერსა. იარა, იარა, მე უკენ მივდე და სწორად რა დროსაც უნდოდა, იმ დროს-კი მამიყონა ხატის კარზე. — ესრე კი გვიამბა იმ თუშმა.

დ. ე.

სტეფან-წმინდა.

Handwritten notes in Georgian script:
 ...
 (სტეფან-წმინდა) ...
 ...
 ...

ჩუენი ცხოვრების

ყვავილი

გუძღვნი ო. . . ნ. . .

V თავი

სიმონეთის ქოხი და იქ შემოდამება, როცა
დიტო გაემგზავნა შინისკენ.

ქრისტეშობისთვის თუთხმეტი იყო. ზამთრის
ქარი კლასის ჭერიტმაღლებში ზმუოდა და ხანდა-
ხან იმის კედლებს აკვანსავით არწებდა. დარე-
კეს თუ არა კლასის გათაფებისა, დიტომ სწრა-
ფათ აიკიდა თავის წიგნების ბოლჩა და სირბი-
ლით გამოსწია შინისკენ. გზაზე რამდენჯერაც
მარჯვენა ფეხს დაჰკრავდა მიწაზე, იმდენჯერ ფე-
ხის ცერი თავს გამოჰყოფდა გახეულ წალიდგან
და ჩაძვრებოდა ტალახში, თითქოს იმაში თით-
ხნა ეხალისებოდესო. სუსხი ქარი ემაწვილს
პირდაპირ სცემდა და თვალებიდგან ცრემლებს

აყრევინებდა. თოვლ-ჭყაპმა ცეცხლი მოუკიდა იმის სახეს, მაგრამ კლასში ერთი მომეტებული წამის გათევას, მაინც ამისთანა ამიდში ყოფნა ერჩივნა ერთი ორად. ამ შემთხვევაში ცივი ტალახიანი ფაცხა დანარჩენს მოწაფეებს დიდებულ კოშკათ მიაჩნდათ, სადაც მხოლოდ ელოდენ ტკბილს განსვენებას. დიტო ყველაზე უმაღლეს ვარდა ფაცხაში, მიჰკიდა კედელზე თავის ბოლხა, მობრუნდა და სიცივით გაფიჩხებულს ხელელებზე სულის იბერავდა. ამ დროს გარეთგან მოესმა რაღაც კიჩინი: «ოჰ, თონიკე მოსულა... თონიკეს გოუმარჯოს... თონიკე აცოცხლა ღმერთმა...» და სხვ. დიტო შურდულივით გამოვარდა გარეთ და წინ შეეფეთა დაუფიწყარს თონიკეს, შეახტა კისერზე და გუდასავით ჩამოეკიდა. თონიკემ ხელში აიყვანა ძველი პაწაწა მტარვალი, ყმაწვილმა უეცრათ გადინახარა და თვალებიდგან სიამოვნების ცრემლი გადმოჰყარა. ეს ამბავი ძალიან გაუკვირდათ დანარჩენ შეგირდებს და ერთ ხმით შესძახეს: «რა დაგემართა თხის ტვინა... ხომ არ გაგიყდიო...»

— ღიტო, შინ წამოხვალ?—ჰკითხა ალერსით თონიკემ.

— კი—სიამოვნებით უთხრა ბატონისშვილმა.

— დიად, როგორ არა, გაგიშვებენ... ჯერ ხომ არ ღოუთხოვნივართ.—შესძახა ერთმა შაგირდმა.

— რომ არ გამიშვებენ, ძალით წაეალ. მე აქ ველარ დავდგები. სად უნდა ვუცადო დათხოვნას?... იქნება სულაც არ დაგვითხოვონ...არა. მე თონიკეს აღარ მოვშორდები... არც კლასში წაეალ ამას იქით...

მართლაც თონიკე უ ღიტოვით აღარაფის უნახავს. ის სადილის დროსაც გვერდით უჯდა და თავის მეგობარს და ვახშმათაც. ასე გაშინჯე დასაწოლათაც აღარსად გაუშვა. მეტი ღონე არ ჰქონდა თონიკეს, ღამე ყმაწვილების ფაცხაში უნდა გაეთია და ძილის დროს იმის კაბის ყური ღიტოს ხელში ეჭირა.

იმან თონიკე რომ დაინახა, თავის მკვირცხლი მესხიერებით მაშინვე გამოიხატა მთელი უწინდელი ცხოვრება მამის სახლში, საცა თვითონ

დიტო იყო ყველას მბძანებელი და სადაც
 ამისთანა ვაჟაკი, როგორც თონიკე, ტი-
 კინათ (დედოფალათ) ჰყავდა გამხდარი: —
 უნდა — გაროზგაგდა, უნდა გააქცევდა, უნდა
 ააყენებდა, უნდა დააჯდენდა, უნდა წვერ-
 ულვაშს დააგლეჯდა, უნდა ცხენათ გახდი-
 დიდა. დიტოს წარმოუდგა ის სურათი, როდეს-
 საც მამა და ის მშვენიერს ყარაბაღურს მოდ-
 გმის კვიცებზე გაისეირნებდენ სათემოთ სოფლებ-
 ბში, სადაც დიტო ხის დამბაჩებს ზარბაზნის
 დანიშნულებას აძლევდა და მთელი დღე შა-
 ლდული (სროლა) ჰქონდა გამართული; იმ
 დროს ვინ იფიქრებდა, თუ ქვერიას წნელები,
 მასწავლებლის ლინეიკა და გაუგებარს ენაზე
 სწავლება ემაწვილის თავისუფლებას დაამონა-
 ვებდა და იმის მკვირცხლ-ჰკუთას ბორკილს შე-
 აბამდა; დიტომ შეადარა თავის ჩიტსავით თავისუ-
 ფალი ძველი ცხოვრება უხლანდელს ტანით და-
 ჩაგრულს და გონებით შემუსვრილ ს მდგომარეო-
 ბას, ერთი საშინლათ გააზანზარა ტანში და გიჟუ-
 რათ გააცინა. ნუ თუ ეს ნიშნავდა მხიარულებას?

არა. ეგ იყო კენესა დაჩაგრულისა. ამით იმან მოიგონა დაკარგული თავისუფლება და მამინ უფრო მაგრათ მოსკიდა ხელები თათვის განახულს ბედნიერებას: ეშინოდა, ვაითუ მისმარი იყოს თონიკეს წახეაო. ის იმ წუთას აღარ გრძნობდა თავის აუტანფლს თაგირდობას, კიდა როდეს ტკბილი სისმარი ხელიდგან არ წასვლოდა, კენესით ჩასჩინებდა ყურში თონიკეს: «არიქა, მალე წევიდეთ შინ, მალე წევიდეთო»...

— ახლა ძნელია ამისთანა ცუდს ამიღში შინ წასვლა. გზაზე სტაციებით მოკვდები.

— აჰ, სიტყვით კი არა, თუ გინდა, რაც მაცვია, იმასაც გევიძრობი და მაინც არ შემცდვდება. — თონიკე, თარი მომატყუო... ხომ წამიყვან... რომე გამეპარო, ან ბიძიამ არ გამიშვას, ფეხით გდევ. თუ დამიჭორეს, წყალში გადავარდები... არა, თონიკე, მე აქ საშობოთ ვერ დავდგები... არა, არა... არა... — ამ სიტყვების თქმაზე იმანი გადმოაჭყარა ცრემლები და თხოვნა მწარე მოთქმით გადაექცა.

— დიტო, გაჩუმდი გენაცვალე.... წაგიყვან.

რაც უნდა დამემართოს, მაინც წაგიყვან. ბიძა-
შენმა რომ არ გაგიშვას, ჩუმათ წაგიყვან... გა-
ჩუმდი გენაცვალე.... გაჩუმდი. — ევედრებოდა
თონიკე, მაგრამ ყმაწვილი უფრო და უფრო
იხრჩობოდა ცრემლით უნუგეშობის გამო. იმან
კარგათ იცოდა, თუ რამდენათ უწყალო იყო
ამ შემთხვევაში იმის ბიძა.

ეს ამბავი თონიკემ ყოველივე დაწვრილებით
მოახსენა ჟვეერიას და ძმის წიგნიც გადასცა,
რომელშიაც სთხოვდა შეილის შინ გამოგზავ-
ნას.... ჟვეერია თანახმა გახდა ყმაწვილის და-
დახონაზე. ეს რომ დიტოს გამოუცხადა, მაშინ-
ვე კატასავით შეახტა თონიკეს კისერზე, ჩამო-
ეკოწიწა ორივე ხელებით და პირზე აკოცა.
მერე ჩამოხტა და დაიწყო ასკინკილას თამაში.
სხვა ყმაწვილები რომ ხელაღდნენ ამ ამბავს,
გული სწყდებოდათ ყველას. ჰსურდა ამ დროს
დიტოს ალაგას ყოფილიყო, რადგან ერთი
დღის კლასში წაუსვლელიობა ერთი წლის სი-
ცოცხლეს ერჩინათ.

თონიკე ჩამოვიდა სოფლიდგან პურის გასა-

სყიდათ. ამის გამო იარაღის მაგიერათ, იმის ცხენს კეხი ედგა და აღვირის მაგიერათ თოკის აფშარა ჰქონდა ადებულო; დიტოს თვალში თონიკეს ფერდებ მიკრული კეხიანი ცხენი და დიანის რახტით შეკაზმულს ჩერქეზულს ბედაურს არ დაუარდებოდა. იმ დროს ეს ცხენიც ისე საყვარელი შეიქნა იმისთვის, როგორც თვითონ თონიკე, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე განათავისუფლა ყვაილი იმ საპყრობილიდგან, რომელსაც უწოდებდენ ლემნაზიას და სადაც ბორკილებათ და ხუნდებათ გამხდარიყო უცხო ენაზე სწავლება. ამისთანა სწავლებას მართლაც ბორკილებზე და ხუნდებზე უფრო მაგრათ ჰქონდა შეპყრობილი მთელი ჩვენი ახალგაზდობის ჭკუა და მესხიერება. ძვირათ თუ ვინმე გადარჩენია ამ ბორკილებს ჩვენს შთამომავლობაში გონებით და მესხიერებით დაუჯუჯავებელი. როდესაც ჩვენი ნორჩი ახალგაზდობა ამ საშინელს გონებითს წვალებაშია ჩავარდნილი, ნუ გიკვირს, მკითხველო, თუ დიტო კლასიდან ადრე დათხოვნას საპყრობილიდგან განთავისუფლებას ადა-

რებდა და როგორც ოცს წელიწადს სიბნელეში მყოფი ტუსალი სინათლის დანახვაზე გაიხარებს, იმასაც ეგრე უხაროდა განთავისუფლება. ნურც ის გიკვირს, თუ ამნაირ სწავლების შემდეგ ჩვენი ახლანდელი განათლებული თაობა გონებით უძლური და კუზიანები არიან. ჩასვი შვიდი წლის ყმაწვილი საპრობილეში და გამოუშვო ოცი წლის რომ შეიქნეს, თუ ჯუჯა არ გამოვიდეს. ჩვენი ახლანდელი აღზრდა ჩვენი გონებისა და მებსიერებისათვის ისეთივე საპრობილეა როგორც მეტეხის ციხე ყაჩაღებისათვის. მაშ ნუ გიკვირს, მკითხველო, თუ ჩვენი ახალი თაობა ამ გვარი სასწავლებლის ჰაერით მოწამლულია. უფრო სამწუხარო და სატირალი კიდევ ის არის, რომ ეს ჰაერი თან და თან თუ უფრო ხდება, ბოლომდე არ იწმინდება.

რა კი ამაებს წარმოვიდგენთ, მაშინ, რასაკვირველია, დიტოსთან ჩვენც დიდათ გაფიხარებთ, რომ იმის ნორჩს ტვინს რამდენიმე დღით მაინც შეეხსნა საშინელი ბორკილი უცხო ენაზე სწავლებისა.

მეორე დღეს ღამის შვიდს საათზე დიტო კეხიან ცხენზე შესკუპებული და იმასთან რვა ცხენოსანი გლეხი ჩამოხდენ სიმონეთის ქობში.

— დიტო, ხომ არ შეგცივდა? — ჰკითხა თონიკემ, მოხვია ხელი და როგორც გაფიხხული ხრამული, ცხენიდან ჩამოიღო.

ყმაწვილს მართლაც ცივი ქარისგან ხელფეხი გაშეშებული ჰქონდა, ფეხზე ეფლარ დამაგრდა, წაბორძიკდა და წაიქცა; მაგრამ თონიკეს რომ იმაზე ცუდი აზრი არ აელო, წაქცეულმა უბასუხა: «არა, არ მცივა; მე სიცივე სულ არ შემიტყვრა გზაზეო». მერე ზეზე წამოდგომა რომ მოინდომა, სიცივისაგან გაშეშებული ხელები და მუხლები ეფლარ მოიხმარა და როგორც წყლიდან ამოყვანილი თევზი, ისე ფორთხავდა მიწაზე და თან იძახოდა: «არა, სულ არ მცივა». ალბათ იმიტომ იჩენდა მაშინ თანა კერპობას, რომ ეშინოდა, ღმერთთაგან გაუწყრეს, ისევე უკან არ დამაბრუნოსო.

— «ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო» — წაიღუდუნა თონიკემ და დააბაკუნა ფეხები მიწაზე.

«ოჰ, ოჰ, რა სიციფვა, სწორეთ ხელები გამი-
ყინა... არიქა, ბიჭებო, მოიტანეთ ჯირკები, ერ-
თი ჩვენებური მაღლიანი ცეცხლი დაეაგუგუ-
ნოთ». ერთს წუთას წამოაქციეს უზარ-მაზარი
მუხის ხე გაჰკრეს კვესი და მეოთხედ საათში
ცეცხლის ალი ხეების წვერებს უსწორდებოდა
სიმაღლით.

სიმონეთის ქოხი იყო დასკუპებული, შუა-
გულს ეწერში, გზის პირათ. ის იყო ერთი პა-
ტარა ფიცრული სახლი, ყაერთ დახურული,
ერთმანეთის პირ-და-პირ კედლებში ორი შესა-
ვალი საკარეები ჰქონდა გამოჭრილი, მაგრამ
ზედ კარები არ იყო ჩამოკიდებული. ვინ აშე-
ნებდა ამისთანა სახლებს ჩვენს უდაბურს ტყეებ-
ში გზის პირათ, კაცმა არ იცის: მაგრამ ეს კი
ვიცი, რომ იმერეთში საცა ეწერი და უდაბური
ალაგები იყო, ამისთანა ქოხები თითქოს ტყის,
ან უდაბნოს ყარაულებად იდგენ. მგზავრი, აე-
დარში, ან თუ გზაზე დაღამდებოდა, უე-
ჭველად იქ დადგებოდა და ამ შემთხვევა-
ში ისინი გაცივებულს ტრახტირებს მოაგონებ-

დენ კაცს, სადაც ყოველს მგზავრს თანვე უნდა მიეტანა თავის სადილ-ვახშამი და, თუ უფარე-შოთ ყოფნას დაჩვეული არ იყო, ისიც თან წაეყვანა.

ხმელი მუხის ტოტები ტკაცანით იწვოდენ დიდ ხეს ცეცხლი მაგრათ მოედო. ჩვენი მგზავრები გარს შემოუსხდენ გუგუნა ცეცხლსა და სითბომ რომ ვაცივებულს ტანში დაუარა, მაშინვე ჩიბუხები ააბოლეს. მოსულიერებულნი დიტო თონიკეს უჯდა კალთაში და მხიარულად ურევდა ჯოხს ნაცარში.

— თონიკე, ცოტა რომ დევისვენოთ, მერე წევიდეთ, თვარა ჩვენ ხვალ შინ ვერ მივაწევთ.

— კი, გენაცვალე. ცისკარი როგორც ამო-კაშკაშდება, მაშინვე გაეწიოთ. ოლონდ შენ ნუ შეგცივდება და სხვა არა გვიშავს რა.

— დიდი ხანია კილო ცისკრის ამოსვლამდის?

— ცისკარი რომ ამოვა, იმის მერე იმ-დენი დრო გავა, რამდენიც დილის იქრაჟი-დგან კარგ წირვის დრომდის იქნება.

— აბა, გათენებამდის ქე ჩავალთ ზესთაფონს,

— ზესთათონის არ ვიცი და ჩოლაბურის წყალს უსათუოდ მივატანთ.

— ცისკარზე უფრო ნათელი მასკვლავი ნეტად თუ კილო იყოს?—იკითხა ერთმა გლეხმა, ვაჟ მოილო პირიდგან ჩიბუხი და გააფურთხა.

— ცისკარს მზის მოციქულს უძახიან. ის ქვეყნიერებას უცხადებს ნათლის მოფენას. მამალი ცისკარს რომ დეინახავს, ფრთას მაშინ შემოჰკრავს და დეიყივლებს.

— მამალი იესო ქრისტის მოციქულია. — თქვა მესამემ. თურმე პეტრემ მოციქული რომ იესო ქრისტეს გოდუდგა, მამალი იქ იყო, დოუყივლა და უთხრა, გრცხვენოდეს შენს მოძღვარს უმტყუნეო, პეტრემ თურმე იტირა. იესო ქრისტემ მამალი დალოცა და პეტრეს თანამდებობა იმას მისცა. მას აქეთ ყივის თურმე მამალი და ქრისტიანობას აფთხილებს ცისკრის ამოსვლაზე: ადექით, პირჯვარი დეიწვრეთ ნათელი მოგვიახლოვდეთ.

— თურმე ვინც ცისკრის ამოსვლაზე დეიბადება, ის უეჭველად ცხონდება. — გამოუტრია მეოთხემ.

— ეგ კი არ ვიცი და მე ლაცდილი მაქვს, მამალი რომ ვახშობისას ღეიყივლებს, თუ მაშინვე თაფი არ წაწყვიტე, იმ ოჯახში ვინმე მოკვდება—სტქვა დაჯერებით თონიკემ.

— თონიკე, თუ ღმერთი გწამს ერთი ჩხუბის ამბავი მოგვიყევი. როგორ იყო, ჯარში რომ გაგაწვიეს თათრების საჩხუბრათ...კი, ვიცი ბევრი გაჭივრება გამოგივლია.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ მომაყოლებ. რაც მე იქ გამოვცადე, მგონია ხორც შესხმულს კაცს არ გამოვცადოს.

ამდროს ღიტო წამოხტა და მოეხვია კისერზე თონიკეს:

— გეთაყვანე, თონიკე, მოყევი; თუ ჩემი სიყვარული გაქ, მოყევი, რაღა იყო».

თონიკემ დაიწყო.

VI. თაფი.

ბანი. თონიკეს პირველი ჭამბავი

პირველად რომ ომიანობა გამოაცხადეს თათრებზე *) ვინ იცის ჩვენში რა ჭორები იყო.

* ე. უარბისი კომპეა ლაშარაკი.

ამბობდენ, ვითომც სულ მთელი მაჰმადიანობა რუს ხელმწიფეზე ადგომილაო: საქართველოს თავადაზნაურობის შეწუხება და გლეხების გაბატონება რატომ გინდაო. ჩვენ საქართველოს სამეფო თვითონ იმის მეფეებისგან გვაქ ჩაბარებული, რომ ქვეყანა როგორც იმათ ღროს ყოფილა, ისე იყოს, გარეშე სახელმწიფოს იმის დაწყობილებაზე ხელი არ ჰქონდეს, არც გაბედოს იმის გამოცვლაო, მანამდის საქართველოს ხალხი თავის დაწყობილების შეცვლას და ახალი კანონების დაწესებას თვითონ არ მოიფიქრებსო. რუს ხელმწიფეს თავის ნებით უფიქრებია საქართველოს წესების მოშლა: ხალხს არ დაკითხებია, არც გლეხს და არც თავადაზნაურობასაო. ეს საქმე იმან თავის ნებით განიზრახა და იმის გამო ჩვენ, საქართველოს მეფეების ანდერძის ძალით, ვერ მივცემთ ნებას რუსთ ხელმწიფეს, რაც სამართლით, არ ეკუთვნის ის მოიქმედოსო. ამაზე თურმე სხვა ქვეყნის სახელმწიფოებიც თათრებს მიმხრობიან და უთქვამთ, რუს ხელმწიფე, ნიკოლაი, უნდა

შევტუქსოთ მაგისტანა ხალხის ძალდატანებისთვისაო. იმდროს გაეარდა ჩვენში ხმა, რომ თათრებს ლეკებისთვის მოციქულები გამოუგზავნიათ; შეიარაღდით და ითულეთ საქართველოში, რუსების ჯარი წაახდინეთ და ქართველებს ხელი არ ახლოთ, ეგენი თქვენი და ჩვენი მეზობლები არიანო. ეს ამბავი რომ მოვიდა ჩვენში, ხომ გახსოვთ როგორი შიშიანობა იყო.

— ეგ ვის არ ახსოვს.— წამოიძახა ჩიბუხიანმა— ჩვენ სოფელში თქვეს ლეკების თარეშები გადმოვარდნილან და ორი წლის ვაჟებს იტაცებენო.— ერთხელ წვიმიანი დღე იყო, საღამო ჭამია. უეცრად შეიქნა ყვირილი, არიქა ლეკები ჩამოგვესიენ სოფელში და ყმაწვილებს იტაცებენო. ერთ წამს მთელი ჩვენი სოფლის კაცები ფეხზე დადგენ: ვინ ნიჩბით მორბის, ვინ ცულით, ვინ წალდით, ვინ თოფით, ვინ ხანჯლით და ვინ შუბით. ვისაც რა მოხვედროდა ხელში, იმით მორბოდა. დედაკაცების კვილეჟივილმა ჩვენი სოფელი ეიკლო. წვევდით საძებნელათ და გზაზე ერთს ბუძგნარში (ეკლიანი

ტყეა) ფაჩუნნი მოგვესმა. დავეკივლეთ ერთის ხმით, შემოვერტყით იმ ბუძგნარს, დოუშინეთ თოფები და ამ დროს ხარის ღრიალი გვევიგონეთ. თურმე ნუ იტყვი, ლეკების მაგიერათ ჩვენი ღვდლის ხარი დაგვირჩა. ის იყო, დაშლას ვაპირებდით და შინ წაესლას, რომ ერთმა ჩვენთაგანმა წა მოიძახა: მაგ. ხარი კი არა, მოჯადული ლეკიაო. ჩვენ კომ დაგვინახა, ჯადო წეისვა და ჩვენი ღვდლის ხართ გედიქცაო. მაშინვე ვეცით იმ საწყალს და სულ ნაწილ-ნაწილათ დავეგლიჯეთ. მეორე დღეს ჩვენი ღვდელი მორბის წვერებ გაწეწილი და გვიყვირის: «თქვენ, შე ჩვენებულებო ხარი რაზე მომიკალითო.» რაც მაშინ სერი ვნახეთ, არ მინახავს მისდღეში....

— ჰო, ომიანობაზე გამბობდი.— განაგრძო თონიკემ. გევიდა ერთი წელიწადი, გევიდა მეორე, ომი არ თავდებოდა... ბოლოს ხმა გავარა და ფრანციელებს და ანგლიელებს რუსების ჯარი დოუმარცხებიათო და რუსს იმითი უპირებენ დასჯას, რომ საქართველო და მთელი კავკასია უნდა ჩამოართვან, რადგან დარწმუნებულან

რომ როგორც ზიგია, ისე ვერ ექცევიან ქართველ-იმერლობასაო. ადამის წლიდგან ქრისტიანობისათვის ამ ხალხს ბევრი სისხლი დაუქცევია და ქრისტეს წინ მოვალე ვართ, ამიერიითგან აღარავის შევაწუხებინოთო. ამიტომაც კავკასია უნდა წავართვათ და თავის ნებაზე უნდა მიუშვათო: არც თათარს უნდა ჰქონდეს იმაში ხელი და არც რუსსაო. ამ ამბებთან მოგვივიდა უეზდის ნაჩალიკის მოწერილობა: ყველა სახელმწიფო და საეკლესიო კაცები ჯარში უნდა წამოხვადეთო. მისთანა შენს მტერს მე დღე დამადგა. ბევრი ვიკუნტე, მარამ არა გემეწყო რა. ხუთჯერ გედვირჩინე თავი და მე ექვსე ჯერ იასაულებმა გზა შემიკრეს. ქართლში რომ მინდოდა გადავარდნა, ხეფინისხევის ტყეში მომასწრეს და დამიჭირეს. ვევიკიდე ზურგზე ჩემი ძველი შაშხანი, გამოვეწყვე საგზლით და ჩამიყვანეს ქ., სადაც იმდროს იდგა ჩვენი ქვეყნის საგლეხო მილიცია. ჩვენი დრუჟინის ნაჩანიკი იყო პ. ჰკუათხელაძე. ასეთ ცხენზე იჯდა, რომ ერთი დაგეწრუჰუნებინა მაღალ

ღობეს თავს გადაეცლებოდა. ასე მეგონა მაშინ-
 ვე წამლის კვამლში გამხვევენ მეთქი. შენც
 არ მომიკვდე! ორი კვირე მეტი ვიდექით ქ...
 მახლობლათ და ყოველ-დღე ღხინს ვეწე-
 ოდით. შემეწია ღმერთი და ჩვენმა თავა-
 დებმა შეიტყვეს, რომ კარგი ხმა მქონდა.
 როგორც, იცი გალობა და სიმღერა ჩემ ხელთ-
 არის: «ძილის პირი», «მრავალ ჟამიერ», «მოსე-
 ლისა», «გიხაროდენ მიმადლებულო» და სხვა
 ამისთანაებში ჩემისთანა ბანს ვერავინ იტყოდა.
 «ჩონგურა», «ქართული» და ორი დელა» უჩე-
 მოთ არ ითქმებოდა. რა კი ერთხელვე მოჰკრეს
 ყური თავადებმა ზაქივით ჩემ ბანის ღრიალს,
 მაშინვე მიმიწვიეს თავის სუფრაზე. ქართულ
 სიმღერას რომ დეიწყებდენ, ერთს ასეთს შე
 მოვდახებდი, რომ ვინც იქ იყო ყველა ყურ-
 ში თითებს დეიცობდა. ამის მერე იმათ აღარ
 მოვცილებივარ. დამარქვეს «ბანი» და უკაცრავალ
 პასუხია, ორი წამი რომ გარეთ დამგვიანებო-
 და, მაშინვე ყვირილს დეიწყებდენ «ბანო», «ბანო»,
 «ბანოვო». ერთი სიტყვით გულში ვფიქრავდი,

ღმერთმა ამისთანა ომიანობა ნურც სააქაოს და ნურც საიქიოს ნუ მომიშალოს მეთქი. თბილ ძროხის ბექს პირველათ იქ მოიტანდენ, საცა მე ვიჯექი. სადილ-ვახშმათ ყიფიანის ღვინო და პირველი ცოლიკაური ჩოგორ გამომეღეოდა. ისე გვეიმსე ტანში, რომ გასუქებულს საშობო ტახს დევემზგავსე. ფული ბევრი მქონდა. ყოველ სიმღერის შემდეგ ჩემ ქუდს ჩამოვატარებდი და, ვინც იქ იყო თავადი და აზნაური, თითო ორშაურიანს, ყველა ჩამიგდებდა და გამივსებდენ ქუდს. ერთი სიტყვით ფლავში ვიყავი კისრამდი ჩაფლული. მე არა მაწუხებდა რა ჩემი სახლობის მეტი. მარტო ხანდა-ხან რომ მოვიგონებდი ჩემს პატარა ბიჭებს, გული ჩამაწყდებოდა და მაშინ თავში გამიელვებდა გაპარვის აზრი; მარამ ვიცოდნ, გზაზე იასაულები იყვენ დაყენებული და რომ გამებედნა, ცული დღე დამადგებოდა. ამიტომ ვიყავი ჩემთვის. ორ კვირეს იქით მოვიდა ფიცხელი ბრძანება, რომ ჩვენი მილიცია სწრაფათ აბარგებულიყო და დღე და ღამე ევლო ჩოლოყისკენ. ხმა დაეარ-

და ომართაშა დიდი ჯარით გამოსულა ყულევს
 ღმრის ჩვენ შესაბმელათო. ამ ამბავმა ბევრს
 უცვალა ფერი. მეც, უნდა გითხრა, გულმა
 შექარებით დამიწყო ფეთქაა და თავში კილო
 უფრო დაჯერებით გამიხლოვა ამ აზრმა: «თო-
 ნიკე, გეიპარე შინისკენ, თვარა ცოლ-შვილს
 აგიტირებენო.» მეც ვეძებდი მარჯვე დროს.
 ბძანებმა მოსვლის მერე დაგვაწყევს რაზმებათ,
 დაგეთვალეს, რომ არაფინ ჰკლებოდა. ჩემ სა-
 ხელს ბანიც მიუმატეს, ასე რომ მე ამის შემ-
 დეგ მეძახოდენ «თონიკე-ბანი-ბათიაური.» მერე
 როგორც გეტყვით, ამ გაპტყელებულმა სახელ-
 მა ძალიან კარგი საქმე მიყო. იმავე დღეს
 წყობის წესი დაგვირიგეს და მე გამხადეს ათის
 თავად. უნდა გითხრათ, ჩემი რაზმი ერთობ
 უნუგეშო შესახედაფი იყო. ამ ათს კაცში არც
 ერთს მთელი ჩოხა არ ეცვა. იმათ იარაღის
 ამბავს ნულა მკითხავთ. იმათში ერთსაც არ
 ჰქონდა გაწმენდალი თოფი. ერთს თოფის კონ-
 დანი შუაში ჰქონდა გატეხილი და მერე ბაწ-
 რებით იყო ლულაზე მიკრული. მეორეს თო-

ფის ჩახმახის ზედა ფეხი მოშლილი ჰქონდა, ასე რომ თუ თოფის გასროლა უნდოდა, ხელით უნდა ეესწია ჩახმახის ნისკარტი და მერე ხელითვე უნდა შეემაგრებინა, თვარა თავისით ვეღარ დგებოდა. მესამეს თოფის ლულა ჯანგით ჰქონდა ამოქმული. როცა გაგვზინჯეს ტყვია წამალი დაგვირიგეს და გვითხრეს: აბა, ერთი გატენეთ და სროლა გავაჩინოთო. გულის წმინდით უნდა გითხრათ, რომ ჩემჯარს ათში ორს არ გავარდნია თოფი ერთმა იმათგანა, ვითამ უნიშნა, შეაყენა ჩახმახი ზედა ფეხზე და ფეხის გამოკრა რომ მოინდომა თავი განზე გაწია და თვალები დაჭუტა ასე ეგონა თოფი სახეში მომხედებო. მოდი და ამისთანა ჯაგლაგებს უნდა გეექცია ომართაშის ჯარე. მაშინვე ვიფიქრე ამათი პატრონი კარგი არა დამემართებარა მეთქი, პირველ შემთხვევაშივე თხებივით გერთანტებთან-მეთქი და გულში კიღო გევიღლე: «თონიკე კვიმატაძე, თავს უშველვ თვარა ცუდათ არის შენი საქმე».

მესამე დღეს დავბინავდით ნიგოფის მინდორზე.

ასე გვექონდა ბძანება. ოსმალთს ჯარი შეიღოს
 ვერსშხედ იყო ჩვენ ლაგირიდან და ჩვენი მო-
 წინავე ყარაულები სამ ვერსტზე იდგენ. თათ-
 რები ლამით მოსვენებას არ აძლევდენ ჩვენს ყა-
 რაულების ჯარს. ათი თორმეტი მარჯვე კაცი
 წამოვიდოდა ჩვენსკენ უმთვარო ღამეში, მოეპა-
 რებოდენ ტყით ჩვენს ყარაულებს, დოუწყებდენ
 სროლას: ან მოგვიკლავდენ, ან დაგვიჭრიდენ
 ჩამდენსამე კაცს და მერე გვიქცევოდენ. ამ ლა-
 მით დაცემამ ჩემი ჯარი ერთობ წაახდინა. ისინი,
 თავი რომ მახეში გეებმება, ისე იცქირებოდენ,
 ფიქრობდენ იქნება სადმე გასაძრომი ალაგი მოვძებ-
 ნოთ და გვეიქცეთო. არც მე ვიყავი ნამეტნათ გულ
 მაგარი. ერთ ღამეს თვითონ ლაგერში მოგვიკლეს
 კაცი. ამან ისე შემაშინა, რომ მასაქეთ სულ
 ღმერთს ვევედრებოდი: «ღმერთო, ამ უბედურე-
 ბას მალე გადამარჩინე მეთქი». სამი დღის მე-
 რე ჩაგვაყენეს მოწინავე ჯარში და ნაშუადღევს
 სროლა აგვიტყდა. ჩემი ჯარის კაცებს არც
 ერთს კაცის ფერი აღარ ედევათ. ერთს დაქან-
 გულ თოფში ტყვია გაკვეთებოდა, გაჯაფ-

ჩებულის ზუმპას ურტყამდა, იქნება ტყვია ჩავ-
დენოვო და თან მუხლები უკანკალებდა: «ჩა-
ლი, შენ რჯულ ძაღლო, ჩადიო». ამდროს
ზუმპაც გოუტყდა. დევინახე თუ არა, მივარდი
იმწამს და შეესძახე: ჰატ, შემხდალო, შე უხე-
რო, ზუმპა რავა გაგიტყდა-მეთქი; მოიტა დანა,
ახლავ იმ ხევში მოვჭრი შეინდის წნელს და ზუმ-
პას გაგიკეთებ-მეთქი. საწყალმა უარის უთქმე-
ლად მომანება თოფიც და დანაც. მოგეცა სიცო-
ცხლე, ვჭტაცე დანას ხელი და ჩავძვერი ხევში.
ეს ხევი ზევიდგან ბუძგნარით ისე სქლად იყო
გადახურული, რომ იქიდგან ჩიტსაც გოუჭირ-
დებოდა ამოფრენა. მოგეცა ღვთის წყალობა,
მე ამ ხევში მოვკურცხლე ვთქვი, მომცა
ღმერთმა დრო და ეს არის თუ უშველი თავს,
ახლა უშველი, თვარა ჩემს ძელებს ყორ-
ნები დასძახებენ მეთქი. პატარა ხანს, მესმოდა
ბუნდათ ძახილი: «ბანო, ბანო»...»; მერე ხმა
სულ მიწყნარდა. თოფ-ზარბაზნის ხათქა-ხუთ-
ქის მეტი აღარა მესმოდარა. ხევის ბუძ-

გნარში სულ წყლის გაყოლება ვიარე, სანამ
კარგა არ დაღამდა. მერე ამოვედი იქიდგან და
გავყევი ტყე-ტყე რიონის ჭაღას. იმ ღამეს სულ
მგელსავით მოვძუნძულობდი. ინათლა თუ არა,
საჩინოს პირ-და-პირ გამოვედი სამტრედიას მახ-
ლობლათ....

აქ გავწყვეტავ ჩემს ამბავს, ზოგი ხვალისთვის
იყოს. გოგიელა, ხვირჯინიდან პურები ამოიღე,
მე აქ ტიკტორას მოვხსნი თავს. ხელზე წვევიჭა-
მოთ. მერე იქნება ერთი ძილი კილო მოვას-
წროთ ცისკრის ამოსვლამდის, თვარა ყმაწვილი
დაღალულია და, თუ არ დეიძინა ამელამ, ხვალ
უფრო გოუჭირდება მეზაერობა.

— ვინ, მე? — მკვირცხლათ წამოიძახა დი-
ტომ. შენ ჩემი ჯავრი ნუ ფაქ. არც დაღალუ-
ლი ვარ და არც მასე ადვილათ დამეძინება.
არა, შენ თქვი შენი ამბავი, ის გირჩევნია და
ხელი წვერში ჩაავლო.

— არა, შენი ჭირიმე. ახლა მეტი აღარ იქ-
ნება. ენა დამელალა. შენ თუ არ გეძინება, მე
მეძინება, ბატონო....»

დიტო თანახმა გახდა. ამოაწყეს გომი-
ჯები. თონიკემ ამოიღო ხურჯინიდგან ერთი
თი კარგი დედალი და გამოცდილებით აქნა.
პაწაწა ყანწი ღვინით საესე რიგ-რიგათ გა-
დადიოდა ერთი ხელიდგან მეორე ხელში ამ-
ნაირი ჩამოლოცვით: «დიდება ღმერთსა, ღმერთსა
თო გოუმარჯვე შეფესა და მასპინძელსა, შენა
დობა ბატონო.» კანკათ რომ შეხარხოშდენ,
მერე დიტოს ქვეშ გაუფინა თონიკემ ცარიელი
ტომრები და დააწვინა, ზევიდგან, ფარაჯა წააი-
ფარა. ერთს წამს იქით ყმაწვილი ტკბილს ძილს
მიეცა, ვინ იცის, იქნება ეს ძილი პირველი იყო
ასე ტკბილი მას შემდეგ, რაც ყმაწვილს თავის
მამის სახლი დაუგდია და წამოსულა ქ... სას-
წავლებლათ.

VII. თ ა ვ ი

გამბარული. თონიკეს მეორე მათხრობა

მეორე დღეს უღევზე რომ გავიდენ შუაღლე იყო. მოწმენდილს ცაზე მზეს სითბო სრულე-ბით დაჰკარგოდა. დასაველეთის ცივი ქარი ჩვე-ულებრივით ჰქროდა. დიტოს სიცივისაგან საქ-მე ჰქონდა გაჭირებული. ბოლოს თონიკემ გა-ინხადა ჩოხა და ყმაწვილი ზურგიელსავით შიგ გაა-ხვია; მერე გარშემო წვრილი თოკი შემოახვია, ხელებიც ჩოხაში ჩაუტანა და ისე შესვა ცხენ-ზე. აფშარა კენის ტახტაზე დაამაგრა და უკან ერეკებოდა, როგორც საპალნიანსა. ცალმხრივ იყო გაკრული ბოსლევისა და დილიკაურის მშვე-ნიერი ხეობა, რომლის მუქი მწვანე სერები ორფათ მიიგრინებოდენ უზაზ-მაზარ რგოლებ-სავით კავკასიის ქედიდგან მოყოლებული და დააწყდებოდენ ზესტაფონის მინდორზე. ამ სე-რების სიღრმეში მიიკვლავნებოდა ალმასის გვე-ლი ყვირილა. სადაც ყვირილის სათავე ეგულე-

ბოდათ ჩვენს მგზავრებს, იქ იწყებოდნენ თოვლით გადათეთრებული კავკასის მთის წვერები, რომელსაც ძირს არშიასავეით გაკვროდა ლურჯი ფერი საჩხერისა და ჭალის მთებისა. მშვენივრათ შეზავებული ლაქვარდი და თეთრი ფერი ამ ორ წყება მთებისა მგზავრის თვალებს ატკობდა.

— დიტო, ახლა ხომ აღარ გცივა.—ჰკითხა თონიკემ.

— არა.

ამ დროს ცხენი დაწვდა ხმელ ბალახს მოსაგლეჯათ. როგორც ეტყობოდა თავის მხედარს აინუნშიაც არ აგდებდა.

— ჰაჰუ, შე სამგლე!—შესძახა თონიკემ თავის ცხენს და მიაწნა გვერდებზე იფნის ჯოხი. ცხენმა უცბათ ამოჰკრა თავი და გვერდზე გახტა. ჩოხაში გახვეული დიტო გადმოვარდა და ცოტა დააკლდა იქვე აშვერილს ძირკვის ქაცვზე გოჭივით არ წამოეგო.

— ოჰ, ეს რა მომივიდა. შემოიკრა თავში ხელი თონიკემ.—ვაი, შენ ჩემო უბედურო თავი

VII. თ ა გ ი

გამოხატული. თონიკეს მეორე მათხრობა

მეორე დღეს ულევზე რომ გავიდენ შუაღლე იყო. მოწმენდილს ცაზე მზეს სითბო სრულე-ბით დაჰკარგოდა. დასაველეთის ცივი ქარი ჩვე-ულებრივით ჰქროდა, დიტოს სიცივისაგან საქ-მე ჰქონდა გაჭირებული. ბოლოს თონიკემ გა-იხადა ჩოხა და ყმაწვილი ზურგიელსავეთ შიგ გაა-ხვია; მერე გარშემო წერილი თოკი შემოახვია, ხელებიც ჩოხაში ჩაუტანა და ისე შესვა ცხენ-ზე. აფშარა კეხის ტახტაზე დაამაგრა და უკან ერეკებოდა, როგორც საპალნიანსა. ცალმხრივ იყო გაკრული ბოსღვევისა და დილიკაურის მშვე-ნიერი ხეობა, რომლის მუქი მწვანე სერები ორფათ მიიგრიხებოდენ უზახ-მაზარ რგოლებ-სავეთ კავკასიის ქედიდგან მოყოლებული და დააწყდებოდენ ზესტაფონის მინდორზე. ამ სე-რების სიღრმეში მიიკვლავნებოდა აღმასის გვე-ლი ყვირილა. სადაც ყვირილის სათავე ეგულე-

ბოლოთ ჩენს მგზავრებს, იქ იწყებოდენ თოვლით გადათეთრებული კავკასის მთის წვერები, რომელსაც ძირს არშიასავით გაკვროდა ლურჯი ფერი საჩხერისა და ჭალის მთებისა. მშვენივრათ შეზავებულ ლაქვარდი და თეთრი ფერი ამ ორ წყება მთებისა მგზავრის თვალებს ატკბობდა.

— დიტო, ახლა ხომ აღარ გცივა. — ჰკითხა თონიკემ.

— არა.

ამ დროს ცხენი დაწვდა ხმელ ბაღასს მოსაგლეჯათ. როგორც ეტყობოდა თავის მხედარს აინუნშიაც არ აგდებდა.

— ჰაჩუ, შე სამგლე! — შესძახა თონიკემ თავის ცხენს და მიაწნა გვერდებზე იფნის ჯოხი. ცხენმა უცბათ ამოჰკრა თავი და გვერდზე გახტა. ჩოხაში გახვეული დიტო გადმოვარდა და ცოტა დააკლდა იქვე აშვერილს ძირკვის ქაცვზე გოჭივით არ წამოეგო.

— ოჰ, ეს რა მომივიდა. შემოიკრა თავში ხელი თონიკემ. — ვაი, შენ ჩემო უბედურო თავ-

ვლ! უცბათ მივარდა ყმაწვილს და წამოაყენა ხომ არა გტყენია რა, გენაცვალე, ღიტო.

— არა.

— ჰაი, იმ სამგლემ ეს რა ქნა. აიყენა ხელში ყმაწვილი დაეწია ცხენს და მოქნილი იფნის ჯოხი უშიშვლა გვერდებზე:— ჰა, შენც პატრონი, შენი!... როგორ გაბედე ჩემი ღიტოს გადმოგდება.

მერე შესვა ზედ ყმაწვილი და უთხრა: ღიტო, გენაცვალე, მაგრათ მოუჭირე ბაყვები, აღარ გადმოგაგდოს.

ისინი დაეწიენ წინა მგზავრებს და ღიტომ უთხრა თონიკეს:— აბა, შენ რომ წუხელის ამბავს დაგვპირდი ახლა მოგვიყევი.

— ჰო, საჩინოს პირდაპირ რომ გამოხედო მერე... — შესძახეს ერთ ხმით ამხანაგებმა.

«სამტრედლასთან რომ მოვედი, რბონს გაღმით მოღვენ რამდენიმე ცხენოსნები. ეთქვი ვეპ, გამიწყრა ღმერთი და ეს არის! იმ ცხენოსნებთანაა ში ერთი ჩაფარი იყო. თვალთ რომ შეესწროთ, ჩემი შველა აღარ იქნებოდა ერთი

უკან დევნიე და მერე მოვკურცხე, მარამ რათ გინდა! .. გაქნებულნი ცხენიც ველარ მომეწოდ-
და. მივეცი თავი ტყეს და ერთი საათი შეუსვენ-
ებლათ ვიგლიჯინე თხილნარში. კარგათ წირ-
ვის დრო იყო, რომ საჩინოს ბეგი ევივაკე და
მინდორზე გავედრი. ეს მინდორი საყანე ყოფი-
ლიყო. შარშანდელი ნათესა სიმიდის ჩალის
ღერები ჯერ კიდევ არ წაქცეულ იყვნენ. აქ გა-
ნიერს საყანეში აქა-იქ ეიმართებოდნენ თვალ
აუწვდენელი კაკლის ხეები. თითქმის ორი დღის
მშიერი ვიყავი, თან მქონდა მარტო თოფი;
სხვა ხაბაკ-ხუბაკი სულ ჯარში დამრჩა. სირბი-
ლით ოფლში გევიწურე. მოვედი და ერთს
კაკლის ქვეშ შევისვენე. ცოტა ხანს იქით გე-
ვიხედე, მოდის ერთი პატარა ბიჭი და «ორი-
დელას» მოიძახის. მხარზე გოუღვია წინ საბიჯ-
გი ჯოჯი და ზედ წამოუკვამს ერთი კვახი (გო-
გრა). როგორც მომიახლოვდა, დოუძახე:

— ძამია, ვისი ბიჭი ხარ — მეთქი.

— შანკულა ლორთქიფანის კაცი გახლავარ.
გამარჯობა კაი კაცოვო — მომატანა.

— ღმერთმა შენც გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია—
მეთქი. აქედან შორს დგას შენი ბატონი?

— არა, ბატონო. ეგერ, (თითი გვიწვდინა)
კაკლის ხეები, რომ ჯგუფათ დგას:.., ხედავ მე-
სერს,.. იგი მესერი, იმის ეზოა.

— რაფარი საბატონო კაცია—გკითხე.

— ბატონი ყველა გლახაა. დეიქცა და დე-
ილუპა, სადაც ბატონის სახსენებელი იყოს...
პანკულა ამ ხსნილში მოკედა (მკათათვე იყო),
ახლა ქალბატონია იმის მაგიერათ. ერთი ქალი
ჰყავს და იგიც უკვდება.

— თუ იცი, რითია ავით?

— რაეცი ბატონო. ზოგი ამბობს თვალ-
ნაცემიაო. ქალბატონი სულ თავის მეზობლებს
აბრალებს: ხარბია ლორთქიფანიძით ვარო დაქ-
ცეული და წყალ-წალებული ხარბიას თავისდღეში
სიმიდი და ღომი იმდენი არ მოსვლია, რომ მეორე
მოსაველამდის ყოფნოდეს. არ იცის კაცმა, რითი
რჩება.. რჩება კი და ცოლშიელსაც არჩენს.
ამბობენ, კუდიანიო და მგელზე ჯდება და როპა-
პისგან ძალიან ბევრი მოწყალება ეძლევაო.

— ვითამ შენი ქალბატონი იმას აბრალებს ქმრის სიკვდილს.

— კი, ბატონო. ყოველფერს იმას აბრალებს. ამ წელიწადს ქმარს გარდა ხუთი სული ხვდაგი (ძროხა და ხარი) და ორი თითო წლის ღორი მოუკვდა. პანკულაც იმითი იყო ავით, რითაც ახლა ქალი შეილი ჰყავს. სიცხე აქვს საშინელი. ხანდახან ქე მოიხედავს, კარგათ შეიქნება და ხან ისეთს სიცხეს მიცემს, რომ სულ ბოდავს და შეფოთავს. ქალბატონი ამბობს ხარბია ლორთქიფანიძემ ჯადო შამომიგდო კარის ძირშიო. ყოველკვირას ღვდელს აიაშმას ახდევინებს შინ, მარა მაინც არაფელი ეშველა.

— რაჰქვია შენ ქალბატონს.—

— სიდონია.—იმის ქალს.—მაკრინეო. მომიგო პატარა ბიჭმა.—შენ სიდოური ხარ, ბიძია.—მკითხა მან.

— მე, ჯარის კაცი ვარ. ჩვენი ჯარი სულ თათრებმა გაწყვიტეს. პომპოლიკი იოსელიანი მოგვიკლეს და ომარ-ფაშა თავის ჯარით, დღეს თუ ხვალ, ქ...შევა და თათრობა გადმოვარდება.—მე მთხრობლად გამომგზავნეს.

— დედაია, დედაია, ახლავე ქალბატონს უნდა უთხრა მაგი საქმე... — იყვირა პატარა ბიჭმა და მოფრინდა სოფლისკენ.

ეს კარგი ამბები შეეოტყვე იმ ბიჭისგან — ვთქვი ჩემს გუნებაში. — ცოტახანს შევიცდი და მერე მივადგები იმ ქალბატონს. როდესაც მოვისახრე, რომ ის ბიჭი მისული იქნებოდა თავის ბატონის სახლში, მერე მეც გვეიღვეი თოფი მხარზე და მივადექი კარზე სიღონია ლორთქიფანიძის ქერივს. მესერთან რომ მივედი ერთგან პატარა ჩელტის (ლასტის) ჭიშკარი იყო გაკეთებული. ვკარი ხელი და ჭრიალით გვიღო გადავაბიჯე ეზოში და დავდექი ერთს დიდს კაკლის ძირას, სადაც მიწა იყო დატკეპნილი. კაკალზე ორშიმო (ღვინის ამოსაღები) ეკიდა. აქა-იქ ბლის ქერქები, ეყარა და ერთგან ცალფა ჭურის (ქვევრის) სახურავიც ეგდო. ცხადათ ეტყობოდა; რომ ამ კაკლის ძირში ღვინით სავსე ჭურები ეფლა.

დავჯექი თუ არა კაკლის ძირში, ოდიდგან (ფიცრული ოთახებიანი სახლია) გამოდგა ერთი

ხანში შესული ქალი, სულ შავით და გასძახა საჯალაბოსკენ: — წყნარისახარ, წყნარისახარ.

— ბატონო. — გააგონა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— ნიკოია გაგზავნე ღვინის ამოსაღებათ და სადილი შემოგვიტანე.

— ნიკოია, ბატონო, შინისკენ გოუდგა, თათრები მოდისო, მე აქ რა დამაყენებს, დედა-ჩემს უნდა უთხრაო.

— დედა, დედა, გენაცვალე, რავექნა არ ვიცი, ამდენი უბედურებისაგან გედვირევი სწორეთ. ვაი, საწყალო პანკულა, ვის დოუტოვე შენი ოხერი ცოლ-შვილი ამ უბედურს დროში — დეიწყო მწუხარება შავიანმა ქალმა. მაშინვე მივხდი სიღონია ეს იქნება მეთქი.

— გოგიელა, არ მოსულა ყანიდან.?

— ეგერ მოდის. მართლაც ამ დროს ჭიშკარზე გადმოაბიჯა ერთმა ახალგაზდა წვერ-ულვა-შიანმა ბიჭმა და მხარზე თოხი ჰქონდა გადებული...

ქალბატონმა რომ ბიჭი ღვინახა, უთხრა: გო-

გიელა, მოიცადე მაქანა, ჭურს მოხადე — თავი და მე დოქს მოგიტან.

გოგიელა მომესალმა. ამდროს მობრძანდა სიდონია: დედა-შვილობას მალე აამსე ეს დოქი. შვილობა თქვენდა — მომიბრუნდა და სალამი მომცა.

— ღმერთმა თქვენი ჭირი მომცეს-მეთქი და შეც მდაბლათ გოდუხადე სალამი.

— სადოური ბრძანდები? იქნება ჩხუბიდან მობრძანდები?

— კი, შენიჭირიმე.

— ამბავი გეცოდინება. პატარა ბიჭი მოვიდა, ვინცლა ჯარის კაცი ენახა და ეთქვა თათრებმა რუსები დაამარცხესო და ომარ-ფაშა ქ... მოდისო. აი, ის წვილო, შავმა წყალმა, შინ გემექცა.

— არა, ბატონო, ვინ მოგახსენათ მაგისტანა სიცრუე? — მე უთხარი. — ის კი არა ჩვენმა ჯარმა გეიმარჯვა და სულ ზღვამდის ზღიეს თათრებს. პაპუნა ტვინთხელაძის კაცი გახლავარ და შინ გამგზავნა სამახარობლოთ: მოვდივარ და ხუთი ჯორკიდებული სულ თვალი და მარგალიტით დატვირთული მომაქცსო.

— შენ პირს შაქარი. ჩემო ძმობილო. დაღალული იქნები, გოგიელა, მაგ კაი კაცს კარგათ გოუმასპინძლდი. კარგი მოციქულია.... ვაი ნეტაი იმას, ვინც ოხერ ობლათ არ არის დარჩენილი; თვარა იქნება ჩემ პანკულასაც კი ეშოვნა ერთი ჯორ-კიდებული.....ვაი, შეუბედურო, ვის ამარა დატოვე შენი ოხერი ცოლ-შვილი. ამ სიტყვებთან სრემლები წვიმასავით გადმოყარა.

ამ დროს მე დევინარე განზედ, ერთი საძყურა ბალახი მოვწყვიტე, დავაჩერდი ზედ და ღრმათ ამოვიხენე: ჰაი, ჰაი.....»

— ძმობილო, რაია, რეიზა ამოიხენეშე.

— მე ვხედავ, რომ თქვენს ოჯახს უბედურების ჩარხი დატრილებია უკულმა-მეთქი.

— რაეა, ბატონო....გაოცებით შემომძახა სოდონიამ.

— თქვენს ოჯახს დიდიხანი არ არის, რაც თავი წართმევია.

— უიმე, გენაცვალეთ. მაგი რითი შეიტყვეთ..

— სულ ყველაფერს ეს სამყურა ბალახი მეუბნება. ხედავთ, ყურები რაეა საწყლათ ჩამოუშვია....

— უიმე, ჩემო ხელმწიფე!... ღვთის სტუმარი მომდგომია კარზე და აგია. გოგიელა, გეიქეცი, ჩემო გოგიელა და ერთი კაი დედალი შეგვიწვი აგი ღვთის კაცი დღეს ჩემი საკუთარი სტუმარია. მერე მობრუნდა ჩემკენ და ტირილით შემომჩივლა.

— კი, ჩემო ბატონო, დეიფსო პანკულას ოჯახი, მასაქეთ, რაც მედა ჩემი მაკინია ოხრად დაგვაგდო...

— და თქვენ ამ ხსნილში მოგსვლიათ ეს უბედურება.

— კი, ჩემო ხელმწიფე, ამ ხსნილში წვილო თქვენი ჭირი. ეს რა ღვთის მაღლი მოგვევლინა დღეს. თქვენ, ბატონო, მკითხავი ბძანდებით?

— მე კი არა, აი, მკითხავი, ეს სამყურა ბალახია. როგორც სარკეში სულ ისე ვხედავ თქვენს ოჯახის უბედურებას ამ სამყურა ბალახით..

— უიმე, უიმე, დამკოლეთ, დამმარხეთ, გააბა

კენესა შიშით თაეზარ დაცულმა სიღონიამ.

— თქვენ გყავთ ერთი ქალი, იმას ჰქვია მაკრინე; ახლა ის ძალიან ავათ არის. იმას ისეთივე ავადმყოფობა სჭირს, რაც საწყალ მამა მისს სჭირდა... გაღალუღლია.

— კი, ბატონო, კი შენა ქირიმე. ჩემი ოჯახი მაგ ხარბიას ავმა თვალეზმა გააოხრა. ღმერთო, შენ დასწყევლე მაგის სახსენებელი. წმინდაო გიორგი, შენ დეიფარე ჩემი ოჯახი მაგ ტარტაროზისაგან.

— ჰაი, ჰაი, დევიწყე კიღო ხენეშით. თქვენი ქალი გაღალუღლია, მაგრამ ჯერ კიღო ჯაღო ნაწევი არა აქვს. თქვენ სწორეთ ღმერთი შეგწევიათ, რომ მე ასე დროზე მოვაადექი თქვენ კარს. ერთი დღე რომ კიღო დამეგვიანებინა, თქვენი ქალი ცოცხალი აღარ იქნებოდა...

— ჩემო ღმერთო, ჩემო ხელმწიფე, მიშველე, მიხსენ მაგ ბოროტი ხელისაგან. წეღე, ნახევაჩი ჩემი საცხოვრებელი, წეღე, ოღონდ, მაგ ტარტაროზისაგან დეიფარე ჩემი ოჯახი. — ცხარის ცრემლით შემომჩიოდა ქალბატონი სიღონია.

რა ბევრი გაეაგრძელო, იმ დღეს, ღვთის წყალობა გაქ, მე კარგი მასპინძელი შევიქენი. მშენიერი დედალი, ტათამწვარი, თბილი მჭადი, ცხელი ღობი და საჩინოელი თეთრი ღვინოთი ისე შეეჭორიკდი, რომ იმ ორი დღის უჭმელობით რაც დამაკლდა, სულ ერთიანათ შევისრულე. სადილს შემდეგ მეორე ოთახში დაშიგეს ბუმბული და ფარჩის საბანი. ისე ლაზათიანათ მოვისვენე, რომ კარგა ვახშობამდის აღარ გამომღვიძებია. თურმე ჩემს ძილში ჩემ ოთახთან მუდამ გოგიელა ბიჭი ყარაულათ მიდგა, ვინიცობაა გამომღვიძებოდა, მაშინვე შემოსულიყო და ჩემი ბძანება აესრულებინა. ჩემმა გულთამისობამ ისე იმოქმედა, რომ სიღონიას თვალში მე თუ ანგელოზი არ ვიყავი ზეციდგან ჩამოფრენილი, არ ეგონა. ჩემს ძილში ის შესულიყო თავის ავათმყოფთან და მხიარულათ ენუგეშებინა. დაბინდებულზე გამოვიღვიძე და კედელს იქით ამისთანა ლაპარაკს მოვკარი ყური:

— შვილო, ერთი ანგელოზი კაცი მოგვეფ-

ლინა, იმისთანა, რომ ყოველი ჩვენი უბედურება სულ დაწვრილებით მომითვალა. დედა-შვილობამ ისეთი გულთმისანი ყოფილა, რომ არასფერი შეუტყობელი არ მოჩვენია. სულ დაწვრილებით მითხრა, თუ ვინ ყოფილა ჩვენი მტერი და ვის დოუმსია ჩვენი ოჯახის ცეცხლი. დიდი ხანია ვიცოდნი ხარბიას ავთვალობა, მაგრამ რაცლა არ მჯეროდა აქნობამდის. მაგ კურთხეულმა კაცმა, სულ ხელის გულსავეთ მიამბო, რაც გულში მქონდა; ასე მეგონა ჩემი გულიდგან კითხულობდა. საკვირველი მკითხავე და გულთმისანი ყოფილა. მადლობა შენთვის ღმერთო, რომ სულ არ მოგიძულეებივარ და მაგი წმინდა კაცი ჩემკენ გამოგისწავლებია.

— როგორ ხარ—გენაცვალე?

— ახლა ქე ვარ უკეთ. თავი ისთე არ მტკივა და ჯდომაც მინდა...

— ა, ბატონო, თუ წმინდა კაცე არ არის მაგი; როგორც მოვიდა, ჩემს მაკინიასაც საღავეთი მიეცა. დეილოცა, ღმერთო, შენი განგება, სწორეთ თაყვან-საცემი კაცია. — ქე, შამო-

ვიყვან შენთან. გენაცვალოს შენი დედასიღონია, კი ნუ შეგრცხვება, კი ნუ შეკრთები, ჩემო დედა. ღვთის ნაირი კაცია: თვალები სულ ძირს აქ დაშვებული. რომ ელაპარაკება ვისმე, ერთხელაც არ შეხედავს. ბერსავით ერიდება ქალის სახეს. წმინდა კაცია და იმეტომ....». ვინ მოსთვლის რამდენი რა არ ელაპარაკა ჩემზე თავის ქალს. მე სულ მესმოდა რადგან იმ დროს კარგა გამოძინებული ვიყავი. ჩემ პირ-და-პირ ოთახის კარი ცოტათ გაღებული იყო და იმას იქით გიგოლია დევინახე; რაცლას ფოთარობდა. ყმაწვილ ქალს ხმაზე შევატყვე, რომ ახალგაზდა იყო და, რომ წარმოვიდგინე, ცოტა ხანს იქით იმის ხელი ხელში მეკავება მეთქი: სიამოვნებით გამაზმორა და გულმა აჩქარებით დამიწყო ფანცქალი.....»

ამ სიტყვებზე მგზავრებმა ერთბაშით გაიცი-
ნეს და დიტო სულ ხითხითობდა.

«ქალის ოთახში ცოტა ხანს იქით სიჩუმე დადგა ამდროს დავახველე და ღონივრათ გავიშვებუნე — გვიღვიძა, გვიღვიძაო — მომესმა ხმა.

«ბიჭო გიგოლია პირსახოცი და პირსახანი წყალი მიაართვიო მოისმა სიღონიას ხმა. ერთ წამსაც არ გაოუვლია, გიგოლია მხარზე გადაკიდებული პირსახოცით შან შემოიტუჭა, ერთ ხელში ეჭირა ტაშტი და მეორეში თუნგი. კარგი ექენი, რომ ახალუხი არ გამიფალარათებია, მეშინოდა უპერანგობა არ შემნიშნონ-მეთქი. წამოვდექი, როგორც თავადის შვილს ეკადრება, გვეიზმორე წელში, ერთი დავამთქნარე და მეჩრე პირის ბანას მოვყევი. ამეებს რომ მოვრჩი გამოვედი კარში და წინ ჩემი მძახალი სიღონია მომეგება...»

— ისემც გიშველის ღმერთი, გარუჯულ გლესკაცს თავადის შვილის ქალი მძახლათ დოუჯდეს—თქვა ერთმა მგზავრმა, სხვები იცინოდნენ.

— ბატონო, რაეა მოისვენეთ, ვაი ჩემი უბედური, თავი თუ ძალით გამოგალვიძეთ. — დამიწყო ბოდნიში სიღონიამ.

— არა, შენი ჭირიმე. ისე ღმერთმა ბედნიერება დაუბრუნოს თქვენს ოჯახს, რაეარც მე

კარგათ მეძინა.—ახლა მაგდენი დრო აღარ და-
გერჩენია-მეთქი ვახშობამდის და მინდა თქვენი
ქალი ვნახო, კარგათ ავათვალ-დავათვალიერო,
მაჯა უნახო-მეთქი.—მოვახსენე ქალბატონს
სიდონიას.

— უი, კი ჩემო ხელმწიფევ, მეც ქე, მინ-
დოდა შემოგვედრებოდით მაგისტანა საქქეს.
გთხოვთ, შენი ჭირიმე, კარგათ გაშინჯეთ. თქვე-
ნისთანა ღვთის ნაირს კაცს რა დევშლება...»

— ჰა, ჰა, ჰა—გადიხარხარეს მგზავრებმა და
დიტომ.

— «მე ამ სიტყვებზე ჩავახველე და წვერ-
ულვაშზე გადვისვი ხელი. ტანში ტკბილმა
ქრუანტელმა დამიარა».

— აბა, მობძანდით, ჩემო ბატონო, ჩემი
მაკა მზათ გახლავსთ თქვენისთანა ღვთის კაცის
მიღებისათვის.

«ამ სიტყვების მერე წამიძღვა წინ სიდონია.
ქალის ოთახში რომ შევედი, ცალ გვერდით
იდგა ტახტი ფარჩის საბნით გადაფარებული და
იქიდან მშვენიერს შავთვალ-წარბა თექვსმეტის

წლის ქალს ამოეყო თავი. ისეთი სქელი თმები ჰქონდა რომ გულზე კონა-კონათ ეწყო. მაკრინე, (ახლაც გამაზმორებს, იმის სიმშვენიერეს რომ წარმოვიდგენ), წელამდის საბან გადახდილი იყო და იმის მარჯვენა მკლავი ბროლის გველსავით იყო საბანზე გაწოლილი. შაეი, მელნის თვალები ძირს ჰქონდა დაშვებული და ისეთს სიმშვიდეს ჰხატავდა იმის ანგელოზურად სახე, რომ იციდგან ჩამოვარდნილს ჰგავდა. მართლაც, ცოტათ გამხდარი, იმის ფუნთუშა ლოყები მოყვითანოთ იყო განათებული. იმის ლამაზ სახეზე თართოდა მკრთალი სანთლის ლანდი. ეს რომ დევიანზე, ასე მეგონა, მაკრინეს უმანკოს სახეს ანგელოზი ოქროს ფრთებით აგრილებს მეთქი სწორეთ საკვირველი ლამაზი იყო. მე ეთქვი გუნებაში: მაგისტანა მშვენიერების ღირსი ჩვენი ქვეყანა არ არის და ახლა რომ კიდევ მორჩეს, მაგას დიდიხნის სიცოცხლე ამ სოფლათ მაინც არ უნდა ჰქონდეს-მეთქი. და სწორეთ მოგახსენოთ რაცღა ხელის შეხებასაც ვერ ვბედავდი, რომ სიღონიას არა.

— მაჯა უნახე, ჩემო ხელმწიფე. ისე ნუ მომიძულე, რომ ჩემი მაკინია კარგა არ გამიშინჯო და ყოველფერი დაწვრილებით არ მითხრა, რაც შეგიტყვია. ნუ მოერიდები, ჩემო ბატონო, რაც საჭირო იყოს, ყველა ოუსრულე.» —

— ჰაი, შენ დაგლახერა ღმერთმა, შე არაწმინდა სულო. — სიცილით ეუბნებოდენ მგზავრები.

— «მაჯაზე რომ ხელი მოვკიდე, სულ ავკანკალდი. იმის მშვენიერი ბროლის თითები ხელზე დევიწყვე და, როგორც მიმინო მწყერს, ისე შევცქეროდი. ქულა მკერდზე თოვლსავით თეთრი კოკრები ამოსვლოდა. ამას რომ შევხედე, თავი დამირეტიანა. ვითამ მაჯას ვუშინჯავდი, მარა ჩემს გულში სულ სხვა ცეცხლი ეინთო. რა კი ერთხელვე შევაფლე თვალი ამ მზეთ უნახავის გულ-მკერდს, ანდამანტივით მიიტაცა ჩემი თვალები. გაეჩერდი, გავშეშდი და თვალების მოშორებაც ვეღარ მოვიფიქრე. მერე კანკალით დავდევი თავის ადგილას ეს ბროლის გველი, მკერ-

დისკენ გადაპარე ხელი შევანძრიე იმის კოკრე-
ბი და ბოლოს ლოყებზედაც შევეხე. ამ დროს
ქალი უნებურათ შეკრთა, ალბათ საშინლათ
ეუცხოვა ჩემი მურტალი ხელის მიკარება...»

— ჰაი, ჰაი, — ამოვიხენე შე — ბრალი არ არის
ამისთანა ზეციერს ქალს მგლის კლანჭები მოხვე-
დროდეს მეთქი...»

— მართლაც რომ მგლის კლანჭები ყოფი-
ლან შენი ხელები — ერთხმათ წამოიძახეს მგზავ-
რებმა.

«ეს რომ გეიგოხა სიღონიამ, მოჰყვა კენესას
და ლოყების პოტენას: — უი, უი, გენაცვა-
ლეთ, რავა ყველაფერს მიხვდა ეს ღვთის
კაცი. კი, ბატონო, სულ მასთე გახლავსთ. ასე
ამბობენ, შენ გენაცვალოს ჩემი უბედური თა-
ვი, რომ ხარბია ჩანდახან მგლათ გედეიქცევაო
და ხან მგელზედაც შეჯღებაო. გამოიხსენი ჩემი
მაკინია მაგ მგლის კლანჭებისაგან შენ შემო-
გველოს ჩემი თავიო.»

«რა კი წამლობაზე მიდგა საქმე ვთქვი გონე-
ბაში, ისეთი უხიაკი რამე უნდა მოვძებნო,

რომ არა გზით არ იშოვებოდეს, თვარა ჩემი მკითხაეობა ახლავე გაცუდდება. მოვიღრუბლე, გედვისვი ჩემებურათ ხელი წვერ-ულვაშზე და მძიმეთ დევიწყე: ეგ ყველაფერი ადვილია, თუ თქვენ ორ მასალას მიშოვნით მეთქი. ამისთინა გაღალუღლს უსათუოდ არჩვის რძე და თახვის გული მოუხდება—მეთქი.

— უი, დაქოლვილი ჩემი თავი, სად ვიშონო მაგისტანა წამალი. სულ მთელი ოჯახიც რომ დაეაგირაეო, მაინც არჩვის რძეს და თახვის გულს ვერ ვიშონით. სადაა, შენი ჭირიმე, მაგისტანა ნადირი აქეთ. გამიგონია არჩვი რაჭის მთებშიაო და თახვი იქაურ წყლებშიო. ეინ იქნება იმისთანა ჩვენში, რომ მაგი ამისრულოს. თუ მაგის მეტი არა ერგებარა; აბა მოგიკლავარ და იგია. ნუ გამწირაე, ღმერთი შენც ნუ გაგწირაეს. იქნება სხვა რამე უფრო მოსახერხებელი წამალი იცოდეთ.

— თუ ის არა, აბა მაწონი მაინც მიშოვნეთ და ყორნის ნალეელი.

— არც მაწონს აკეთებენ ჩვენში, შენი ჭი-

რიმე, და ყორანიც ძნელი მოსაკლავია; მარამ თუ ღმერთმა შენი თავი მომცა, ჩემო ხელ-მწიფევე, ალბათ იმასაც გაფიქრებინებს, რომ, მანამდის მომიცადო, სანამდის ყორნის ნალევლს და მაწონს ვიშოვნოდე.

«ვაი, დევილუპე—ეთქვი ჩემ გუნებაში. მართლა ღმერთი არ გოუწყურეს და ბიჭები არ დამასიოს! თუ ნებით არ მოვიცადე, ძალათ არ მომაცდევინოს-მეთქი. ერთი ღონიერთ ჩავახველე და დევიწყე:

— მე ჩემო ბატონო ხვალ დილით უნდა გიახლო—მეთქი—მარამ თქვენი ქალის ნუგეშინიათ, რაკი მე გადავავლე თვალი და გავშინჯე, აწი ხარბიას ჯადო მაგდენს ვერაფერს უზამს. იქნება ასე უცებ არ მორჩეს, რადგან რაც მე გითხარით, ის წამალი ვერ მიშონეთ, მარამ როგორც მაწონს იშონით და შიგ ყორნის ნალევლას გაქნით და დაალევინებთ, მაშინვე უკეთ გახდება და ეს წამალი ყოველ დღეს სამჯერ რომ ასვათ, ერთ თვეზე ფეხზე წამოდგება

— კი, მარამ ისთე ნუ მომკლავ, ხვალ სა-

ლამომდის მაინც აქ არ მომიცადო, ნახო, რა დეემართება: მოუკლებს თუ არა ეს ავთამყოფობა და მერე თქვენი ნებაა, ღვთის კაცს ვინ დაგაკავენსთ.

გამიწყრა ღმერთი და ეს არის ვიფიქრე. — თონიკე თავს უშველე თვარამ ცუდათ არის შენი საქმე, მიუბრუნდი და ვუთხარი:

— მე ახლავე ვიცი ხვალ შუადღის დროს მაგას თავის ავთამყოფობა ისევე მოუვლისმეთქი; მარამ, როგორც თავი ატკივდეს, მაშინვე ჭარხლის ფოთლები დაკრიფეთ და სულ თავიდგან ფეხებამდის შემოაფინეთ: მერე კარის შემოსავალის ძირში ღაღარი (ცხელი ნაცარი) დაყარეთ გაღალმით და გაღმოდმით. ჭარხლის ფოთლები კი დღეში ოთხჯერ გამოუცვალეთ და მაშინ ნახავთ, რომ ძალიან შელავათი მიეცემა. და მე თუ ხვალ დიღობთ ადრე არ წევვდით მოგიკლავართ და ეს არის ტვინთხელაძეს ჩემს მეტი მახრობელი არაეინ გაუგზავნიან შინ და თუ ღროზე არ მივედი და შემიტყო ცოცხლათ ჩამომკიდებს ხეხემეთქი.

— შენი ნებაა, ჩემო ხელმწიფე, მწუხარებით ამოიღებრა სიღონიამ.

აქის მერე დავლოცე ავთმოფი, ჯვარი გადავსახე და გვეელი ჩემს ოთახში. აბა, თონიკე თავს უშველფე, ხვალ აღრე გაიქეცი, თვარა ან ვინმე გამოქეული ჯარის კაცი, ან ჩაფარი გნახავს და ან მაგ ქალს თავისი ავთმოფობა ისეე მოუელის. მე როგორც ვატყობ მაგას კანკურაში ცხელება სჭირს და ხვალ იქნება უარესათაც შეიქნეს. მერე რაღას იზამ — ვთქვი ჩემს გუნებაში. — მკითხაობის სახელი თუ წაგიხდა, იქნება კაი-კაიცი მოვაყოლონ მაგ ბექებში ცრუ წამლობისთვის და მკითხაობისთვის.

— დილით რა დროს წაბძანდებით, ჩემო ხელმწიფე, მოდგა სიღონია კარზე და მკითხა.

— რაც აღრე იქნება, ის სჯობია.

— სიღაური ბძანდებით, ან სახელი და გვარი რა გაქვთ? ვინიცობაა საქმე ძალიან გამიჭირდეს, თქვენს მეტგან გზა არა მაქვს. მაშინ უნდა მომეხმაროთ ისე, როგორც თქვენი ღვთის გულისაგან მოველოდე.

— მე გახლავარ ბანი ბატიაური კვიმატაძე.
 ვიცრუე მქვია თონიკე, გახლავარ კუდაროდგან.

— ნეტაი სითკენ უნდა იყოს მაგი ქვეყანა.

— ეს გახლავს ოსეთისკენ-მეთქი.

— თონიკე ბანი-ბატიაური-კვიმატაძე —
 თქვა განკვირვებით სიღონიამ.

— კი ბატონო, სახელზე გეტყობათ, რომ
 თქვენ საკვირველი კაცი ბძანებულხართ. რაფარც
 თვითონ ბრძანდებით უცხო, ისე სახელიც უც-
 ხო გქონებიათ. — აბა, გენაცვალოს ჩემი თავი,
 ამაღამ საგძალს დაგიმზადებთ. უკაცრავათ კი
 ვარ თქვენთან, რომ თქვენ შესაფერად ვერ
 გაგისტუმროთ, მარამ ჩემი ოჯახის საქმე მასა-
 ქეთ დეილუპა, ცხონებულმა პანკულამ რომ
 დამაგდო ოხრათ — თქვა ეს და კარი გეიარა. იმ
 ღამეს მოგეცა სიცოცხლე მე მშვენიერი ვახ-
 შამი მომიტანეს. შემწვარი, ბროწეულ გადას-
 ხმული ქათამი, ახლათ ჩადებული მიხაკ-ღარი-
 ჩინიანი ინდოური, მშვენიერი სულგუნი, ზედ
 ცხელი ღომი და წყალტუბელი ყვითელი
 ღვინო. ერთი სიტყვით რაც გამოქცევა

ზე გაჭირება გამომეცადნა, სულ დამავიწყდა. დაღალულობა კი არა, იმ ერთ ღამეს ერთი გოჯა სისქე შემემატა.

— ვაი, შენს ტყავს, შე არა წმინდა სულო, გააწლაკუნა პირი ერთმა გლეხმა და ისე თქვა.

ვახშამს უკან გარეთ გამოვედი, გეგიარე საჯალაბოსკენ და იქ გამდელსა და ბიჭებს ერთი ამბავი ჰქონდათ ჩემზე.

— დედა, დედა, რა მკითხავი ყოფილა ის კაცი! სულ ხელის გულზე წოუკითხა ქალბატონს, რაც ხარბია ლორთქიფანიძისგან ცუდი საქმე მოსვლია— ამბობდა გიგოლა.

— ქე, მეშინია, ახლა ჩვენც არ გაგვღალოს იმ ოხერმა... გიგოლიას შევატყვე, რომ როცა მემსახურებოდა შიშით ხელები უკანკალებდა. მეც რასაკვირველია ძალიან უშუღლიანათ შევეცქეროდი, რომ უფრო დიდი შიში მიცემოდა ჩემი. მეორე დღეს დილით აღრე ჯერ კარგათ გათენებული არ იყო, რომ სიღონია საჯალაბო სახლში რაცღას არიგებდა. სამგზავროთ რომ გამოვეწყვე, ლორთქიფანიძის ქერი-

ვი გზმოვიდა და მითხრა: ჩემო ხელმწიფე, თქვენ-
მა ლოცვამ წუხელისვე გასჭრა. ჩემა მაკინიას
კაი ძილი მიეცა; ახლაც ქე ძინავს რივიანათ.
უკაცრავათ გახლავარ, თქვენ საკადრისათ ვერ
გისტუმრებთ, მარამ რაგეეწყობა... — «გოგიელა
გამოდი ჩქარა». მართლაც გოგიელა გამოვიდა
ყოვლის სიკეთით დატვირთული. ცხელ-ცხელი
მჭადები, მრგვლათ მოხარშული ქათამი და ერ-
თი ტიკჭორა ღვიანო ხურჯუნიანა უსაგძლეს
შენს თონიკეს. მერე თვითონ სიღონია
უცბათ შეტრიალდა ოდაში და გაძმოიტანა ერთი
ღარაია, ორი ქსანი აბრეშუმი და ზედ ორი
ცინცხალი მანათიც დაადვა: «ეს რა თქვენი სა-
კადრისია, მარამ იქნება ამით მაინც გაგახსენ-
დეს ჩემი უბედური ოჯახი». ვთქვი, ღმერთი რომ
მისცემს კაცს, ორი ხელით მისცემს. საჩუქრის-
თვის დიდი მადლი გადაუხადე და მოვახსენე:
ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ მარტვა თქვენი
ქალისთვის ორ კვირეს იქით აქ დევიბადები-მეთ
ქე და ჩემს წამლებს თან წამოვიღებ.

— ვაი, ღმერთმა დაგიმადლოს, ჩემო ხელმწი-

ფე ეს რა ბედნიერ ფეხზე მოგოყვანა ჩემმა წმინ-
და მთავარ ანგელოზმა.

— შეიძლება ბძანდებოდეთ: მეთქი. საჩქა-
როთ ევიკრდე ხვირჯინი ზურგზე, გვევიღვეი თო-
ფი მხარზე და მოვქუხლე, მარამ ჩრტორ... სულ
ტყე-ტყე მოვრბოდი გლიჯინით. ორი საქმის მე-
შინოდა: ერთი რომ იმ ქალს ჩემ იქვე ყოფნა-
ში არ გამოეღვიძნა და ისევ თაფის ტკივილი
არ გვეცხადებინა; მეორე ვინმე არ შემხვედრო-
და შარავზაზე, არ ვეცენე. ამნაირათ ხითათს
თავი დავაძებე და ნებიერთ ამოვისულთქე.
ვთქვი: ანაჟური თქვენს საქმეს, აწი ასემც გიქ-
ნიათ, სულ გამწყდარხართ-მეთქი. მარამ მაკინიას
სილამაზე აქამდის თვალში მიდგას, ისეთი
მოჩვენება რამე იყო ის დალოცვილის შეილია.

— გემო კი ვაგვიცენია და.... თქვა ერთმა
მგზავრთავანმა....

დაბინდდა. ჩვენი მგზავრები ამდროს ბერეთი-
სას ტყეში მიდიოდენ. ქარი, სულ ჩადგა და
მოწმენდილს ბერეთისას უცაზე ვანსკლაფები

აკამკამდენ. იმ ღამეს დიტო ჩამოხტა თონიკეს სახლში.

ბერეთისა არის ერთი მიყრუებული უთავად-აზნაურო მთის სოფელი; იქ სულ წმინდათ გლეხები დგანან—ზოგი საეკლესიო და ზოგი სახაზინო. შესანიშნავია ამ სოფლის ხალხის ცხოვრება: მიწა ისე მომცემი არ არის, მაგრამ ხალხი გამრჯელია. იქ ღარიბს გლეხს ვერ ნახავ, თავის საყოფი სარჩო და საქონელი ყველას აქვს. ცხოვრებენ სუფთათ ფიცრულ სახლებში. ყოველს სახლს ბუხარი აქვს და აშენებულია ქვითკირის პალატზე, რომელიც საქონლის გომათ არის გადაქცეული.

თავად-აზნაურები ჭირივითა სძულთ ამ სოფლის კეცებს და ახირებულათ სახელმწიფო მოხელეებსაც—ნაჩანიკს და იასაულს—არ ისტუმრებენ. იმათ უყვართ თავისუფალი ცხოვრება და იმდენათ აფასებენ ამ მდგომარეობას, რომ ხშირათ წამოსულა უკან თავ-გადაფრეწილი იმათი ნაჩალნიკის იასაული, თურმე კიდევამიტომ ცხოვრებენ აქ ასე კეთილ მდგომარეობით. შარავ,

სახელმწიფო გზა, ძველიდგანვე ყოფილა ჩვენი ქვეყნის ამწიოკებელი და გამალარიბებელი, თავად აზნაურებიც შარა გზების სოფლებზე დამკვიდრებულან ძველიდგანვე. მხოლოდ მიყრუებულს მთის ადგილებში დარჩენილა ჩვენი მამაპაპური ძველის-ძველი თავისუფლების მოყვარეობა და თანასწორობის გრძნობა. მხოლოდ ამ მიყრუებულს ალაგებში ანთია ჯერ კიდევ გაუქრობელათ თვითარსებობის და დამოუკიდებლობის ცეცხლო. ბარი ადგილი ყოველგან გათელილია ჩვენში. იქ მონებრივს გრძნობას ძალიან გაუდგამს ფესვები. საკვირველია, რომ თუმცა თონიკე ბერეთისელი იყო, მაგრამ იმას მონებრივი გრძნობა უფრო გამჯდარი ჰქონდა ხასიათში, ვიდრე გულ-ამაყი და შეუპვარი გული ბერეთისის გლეხებისა. ჩემის აზრით ეს ნაჩაღნიკის ყმობაში გაზღის ბრალი იყო. ბერეთისის მცხოვრებლებში მარტო ეს ერთი გამოჩნდა, რომ შინ თავისუფლებით მჭადის ჭამას ნაჩაღნიკის მონებაში პურის ჭამა ირჩია.

VIII. თავი.

შინ მისვლამდის დიტოს თონიკე აწთობს სსვა და სსვა ამბებით. დიტოს შინ ყოფნა დღესასწაულესუ.

მეორე დღეს მამლის ყიულზე დიტომ გაიღვიძა და თონიკეს შესძახა: «ადექი, თონიკე, ადექი დრო არის ცხენი შეკმაზო, თვარა დაგვგვიანდება.» თონიკეს არაფრად იამა ეს ამბავი, იმას სულ სხვა პლანები ჰქონდა დაწყობილი, იმის აზრით იმ დღეს ბატონიშვილი და ის იქ ჟუნდა დარჩენილიყვენ. თონიკე კარგად დაღალული იყო, ვითამ იფიქრა, ამ ერთ დღეს შინ მოვისვენებო და მეორე დღეს დილით ადრე დიტოს მამას ვესტუმრებო; მაგრამ ძალიან შესცდა თავის პლანებში, როცა თავისი საქმე ასე კარგათ გაჩაჩხა, დიტოს სურვილი აზრშიაც არ მოსდიოდა; და ახლა ძილში რომ მოესმა უწინდელი მტარვალის ხმა, მაშინვე მიხვდა თავს.

ვის შეცდომას: «ოჰ ეს რა ღმერთი გამიწყრა, წუხელისევე როგორ არ გამოვკითხე და არ დავაჯერე ჩემ ანგარიშზე». ის კარგათ გრძნობდა, რომ ანგარიშში მოტყუებულიყო, და ვითამ მძინავსო, ერთ ხანს თავი მოიქცეოდა: დიტოს ძახილს ხმა არ გასცა. ბატონის შეიღმა ძახილით რომ ვერა გააწყორა, წამოდგა ლამეში, გასწია იქითკენ, საცა თონიკე იწვა, დაადგა თუხი თუხზე წაბორძიკდა და თავზე დაეცა.

— ვინ არის, — გაოცებით შეჰყვირა თონიკემ და წამოაჯდა.

— ვაი შენ! — დაუყვირა დიტომაც. — რომ გიძახე, კრატომ არ გამაგონე.

— ჰო, დიტო, შენ ხარ, — გაიშმუშენა და ვითამ ძილში წამოიკრინტა: — რა გინდა, გენაცვალე, წყალო ხომ არ მოგწყურებია?

— წყალი კი არა, ის კიდო. ადექო წვეიღეთ; მამლები ყივიან.

— მამლები კი არა, ახლაც არ დავწეკით? — მოგჩვენებია, რა დროს მამლის ყივილია?

— სამ დროს მოისმა მამლის ყივილი.

— ჰე, თუ მომჩვენებია. არც ახლა დეიჯერებ.

— აი, მელამ გადააშენოს მაგათი სახსენებელი. ვაი, ერთი მივსწვდე, რომ სულ ყველას თავები წავწყვიტო. ჯერ რადროს მამლის ყივილია. ვახშამს შემდეგ მამლის ყივილი კარგს არას მრასწავებს. ნეტაი ერთი მაგათი თავი მომცა და სხვა არაფერი მინდა.

— რას ამბობ, კაცო, ვახშამს შემდეგ კი არა, ეს არი გათენდა. გვიხედე კარში და მაშინ შეიტყო.

— აღრეა დაწეკი გენაცვალე, დაწეკი. რა ამბავია, რომ სულ არ გძინავს. დაწეკი, თვარა ავით გახდები.

— შენ ბევრს ნუ მასხარობ ადეკი, ადეკი, და დაუწყო ჩმეტა.

— უჰ, უჰ. უჰ!... დიტო, მოგკედი!... ფიცხლად წამოვარდა თავის ლოგინიდგან. მივიდა ბუხართან და დაუწყო ჩხრეკა ცხელ ლადარს, მოაგროვა ნაკვერჩხლები და ერთ წუთას ცე-

ცხლი ანთო. დიტომ იგრძნო დილის სუსხი და გაექანა ისევ თავის საწოლში ჩასათბობათ. თონიკე მიუხედა და დაუწყო სივერაგით რჩევა:

— დიტო, ძალიან სცივა ამ დილაზე. ცოტა დაღალული ვართ. ცხენი მაინც ფეხზე ვეღარ დგება. შენ რომ წახედიხარ, ჩემი ცხენი წეიქცა ბაგაზე და ხენეშა დეიწყო.

— უჰ, რაღა ტყუი. მე სულ მესმოდა, რა ვარც ახრამუნებდა თივას. მთელი ღამე ყბები არ გოუწყნარებია, სულ ჭამდა და ფეხებს აბაკუნებდა. ახლა გამძღარია და მოსვენებული, მეტი რა უნდა. შენ აქ გინდა დღეს დადგომა და მიტომ მეუბლები: მაგას. კი ვიცი შენი ამბავი. საცლა სიდონია ლორთქიფანიძის ქალი მოატყუე; მკითხავი ვარო, მე როგორ ვერ მომატყუებ; მარამ ნუგეშინია, არ დაგიჯერებ. ბევრს ნულაპარაკობ, გათავებუელია რომ უნდა წევიდეთ.

თონიკემ თავი მოიფხანა. გულში გაივლო: «აჰ, საქმე წასულია, უნდა წევიდეთ, მეტი გზა არ არისო. ის თითქოს ახლა შევიდა გონში, რომ დიტოს აღდგომის მოსვლასავით ჰსურდა»

შინ მალე მისვლა და მთელი თათრის ჯარით
რომ დასეოდა, მაინც ველარ დააყენებდა. ამის-
თვის იმას წინააღმდეგი ვალარა უთქვამს რა,
მხოლოდ საქმეს მიიმეთ ეკიდებოდა. იმდენი
იზოზმანა, იმდენი იზარშატა, რომ ისანამ ჩაი-
ცვამდა და ცხენს წყალზე წაიყვანდა დასალეა
ვით იმდენათ გათენდა, რომ იმის უმცროსმა
შვილმა ღორები და თხები გამოორეკა. თორნიკემ
მამობრიულის გრძნობით შეაელო თვალი თა-
ვის ყოჩალს შეილს და გამოელაპარაკა.

— მამა, თხები რაფა გყავს? ხომ არ მოგვ-
კდომია, ან არ დაგკარგვია?

შვილი წამოვიდა მამისკენ მხიარულებით, ერთ
ხელში ნახევარი მჭალი ეჭირა, მეორეში გძელი
სახრე და პირი ლუკმით ჰქონდა გამოტენილი.

— არა, ბაბა, ძალიან კარგათ მიჭირავს
თვალყურით. გუშინ ბიჭები ვრთკაობდით ჩვენ
ახოში და ივანას ბიჭმა შარი მომიგო. ვეცი
და იგიც მეცა, გამოვდევი კვანტი ფეხში და
ისეთი ვზდრიკე მიწაზე, რომ ვაი დედაო, დეი-
ძაქა.

— ამფერ ბიჭოს, მარჯვეთ ყოფილხარ. — გა-
იცინა თონიკემ უღვაშებში, მოხვია ხელი და
თვალეებში აკოცა. — მალე გარეკე, გენაცვალე,
თხები და კარგათ გეჭიროს თვალყური.

შეილი მხიარულებით დაუსხლტა ხელიდგან
მამას, გაიქცა თხებისკენ და გაჰკიოდა: «ბე-
ლაჰ! — ბელაჰ... სიჰ, სიჰ!» მერე ხმა მალლა დას-
ძახა «ორიდელღა» და სქელს ტყეში შორს გა-
სმა იმის ძახილი. თითქო თვითონ ტყეც ჰგრ-
ძნობდა ახალმოზარდის თავისუფლებით მღე-
რას და ამხნევებდა ამ სიტყვებით:

გაჰკიოდე, «ვიდრე დარი გიდარის,

ვიდრე ემდის ხარ ყრმაო თავისუფალი».

წირვის დრო იყო თონიკე და დიტო, რომ
გზას დაადგნენ. ბურუსიანი დღეში ქარი არ
ქროდა, მაგრამ ცინცხალი სიცივე და სქელი
ღრუბელი ამტკიცებდა, თუ არ დღეს, ხვალ მა-
ინც გამოუშვებს თოვასაო. დიტოს ძალიან
მოეწონა თონიკეს მოთხრობები და სთხოვა: —
თონიკე, კიდო მომიყევი რამე ანბავი, თონიკემ
შეატყო, რომ დიტოს სიცივემ მოუჭირა და

რომ გაერთო, ერთი მაგრათ ჩაახველა და დაიწყო:

— «ბევრი წვალეზაც გამოვიარე თათრის ჩხუბში, მარა ბევრი კაი ქვიფიც გამომივლია. მოგეცა სიცოცხლე პ. ტვინთხელაძემ ჩვენი ფულებით ჯიბეები გეიტენა. გამოცხადებული გექონდა ყოველთვეში მილიციის გლეხს ათი მანეთი ექნება სარჩოთო, მარამ, არ გაგიწყრეს ღმერთი, ჩვენ ათი ფარაც არ გვენახოს იმ ექვსი თვის განმავლობაში, რაც ჯარში ვიყავით. ჩივილი გვინდოდა, მარამ ვინ მიგიშვა ღენარლამდის. იმის პერეოჩიკები ტვინთხელაძის ნათესაეები იყვენ და რაფარც მივიდოდით ღენერლის კარზე, პერეოჩიკი უბძანებდა ყაზახის დეჟურნს და სულ მუჯღლუგუნის ცემით გამოგვაგდებდენ. ჩოლოყს რომ მივედით, მაინც ძალიან გაჭირებაში ჩავარდით, აღარც მე გამომადგა ჩემი ბანობა. ქ...დგან რომ წვედით, გზაზე გოუარეთ ერთ ჭყონიას. თურმე ნათლიმამა ყოფილიყო ტვინთხელაძის და ისეთი გაგვიმასპინძლდა, რომ რაზ გინდა უკეთესი.

ასეთი ღვინო მოგვიტანა, რომ იმის უკეთესი ლოსიანთხევისაც არ დამიღვევია. როცა ჩოლოყში გაგვიჭირდა საქმე, ვთქვი, წავალ იმ ჭყონიასთან და ტვინთხელაძის მაგიერათ ვთხოვ ერთ ცალს ღვინოს და იმის შეჭამადს მეთქი. ღვთისწყალობა გაქვს, გავაზრახე ჩემი რაზმის ორი კაცები წვეიყვანეთ ცხენი, გამოვსწიეთ ლაგერიდგან ჩუმათ შუალამისას და დილით უთენიათ მივადექით ჭყონიას კარზე. ჯერ კიდო ყველას-ემინა. ცოტა ხანს შევისვენეთ და მერე წვეელი მე მასპინძელთან და მოვახსენე პ. ტვინთხელაძემ გამოგვგზავნა, თუ ჩემი ნათელმძირონობა გწამს შენი კაი გურიანთული ღვინო ერთი ცალი გამომიგზავნეო. ჭყონიამ გედისვა ულვაშებზე ხელი და წამოიძახა: უი, ჩემს თავს, ტვინთხელაძემ შამომითვალა და მე საჯაყი მაგას არ აუსრულებ? აბა, სულ მთლათ დაფსილი ყოფილა ჩემი ოჯახი და აგია.» მაშინათვე გასძახა თავის ხელოსანს (მოურავს) და უთხრა: «ჩემი გაწირვის დღე აგია. რაფარც გწამდე, ისთე მომექეცი. ერთი ცალი ჩემი გურიანთული ღვინო,

არი ინდოური, შენი მოწონებული და ერთი დიდი მქალი ახლათ ახლავს შეუმზადე ამ კაცებს და გოუშვი. მარა ჩემი სიკვდილი გინახავს, თუ აგი ყაზილარები არ დამითვრე ქურის თავზე... ჰე, გახტი. რაც გითხარი, ისთე ჩქარა ჰქენი, რა ვარც გწამდე...»

— მაგი რა... ჩემა მტერმა თქვა!... აგი წახებდრ, რავა მხედავ? მეტყვი და არ ავასრულებ, აბდალღვი ვარ თუ?— წვილაპარაკა ხელოსანმა.

მოგეცა სიკოცხლე ჩვენ გარგათ შევზარხოშდით, დავტვირთეთ ცხენი და მოვედით გულ მხიარული. ლაგირს რომ მიუახლოვდით მოდის შვიდი რუსის სალდათი.

— ჩტო ტი კაკოიო... და დაგვირუსულეს. ერთმა ხელი სტაცა ჩემ ცხენს და უნდა წვერთმია ეს ჩინებული საგძალი.

— ნი ჩტო, ნი კაკოიო... — მეთქი და ვკარი გულზე ხელი. წაბორძიკდა ის ჩემი ცოდვით სამსე და ისეთი დეეცა, რომ ცხვირზე ერთი წყება ტყავი გადაძვრა. ახლა დაგვიწყეს სხვებმა ჩხუბი და ქე არ დაგვიშინეს თო-

ფის კონდახები. დევრიეთ ჩვენც და შეგვექნა ერთი საშინელი ცემა. მოგეცა სიცოცხლე, ამ სამმა კაცმა იმ შვიდს კაცს არმული ავადინეთ! —

რომელსაც ხელი მოვკიდე, დოურუსულე ჩემებურათ:—ჩტოტი კაკოი, ზაჩემ კუდი გაგაბკიე—მეთქი და სულ ქრისტე ღმერთი ვალოცე. ისე დავეჭეთ, რომ სულს აღარ იბამდენ, მივაწყვეთ ერთმანეთზე დაკლულ ღორებივით და ჩვენ ქე წევედით ლაგირში. ამაზე დანიშნეს გამოძიებელი რუსი, მარამ არ მოგეცეს სიავე, იმან ჩვენი ვერა შეიტყო რა. ტვინ-თხელაძეს მოკითხეს შენი მილიციები ხომ არსად წასულან სოფლათო; მარამ იმან უთხრა:—კაკმოქნა... ერთ ნაბიჯზედაც არა ვინ გასულა ლაგირს იქითო. ამით გათავდა ეს ამბავი.»

— ტყუილი იქნება, თვარა შვიდ კაცს სამი კაცი რაფა მოერეოდით—უთხრა მხიარულებით დიტომ.

— ვინ?... რუსის სალდათი? იმისთანა გლახა ჩხუბში არა გინახავსრა. ბატსავით უხეიროა, ერთი-ცახე სიმარდე არა აქვს...—ამ ლაპაკში მიახ-

ლოვდენ დიტოს ძამის სახლს, ვინ წარმოიდგენს იმას, რაც მღელვარება დიტომ აიტანა თავის ძამის სახლის დანახვაზე, სადაც ასე უღარდელაღ და თავისუფლებით აყვავდა იმის პირველი წრე ცხოვრებისა. დიტოს ეცინებოდა, რაკი სახლი დაინახა მისვლამდის ტუჩებზე ვეღარ შეიკრა. უნდოდა თავის გამოუთმელი სიხარულზე გულში ჩაემწყვდია, არ გამოეცხადებინა, მაგრამ ტუჩების შეკვრა ვერ მოახერხა დაფერა. თონიკემ მოჭკრა თვალი ყმაწვილის სახელს და უთხრა:

— ჰაი, დიტოს რაფა უხარია ახლა შინ მისვლა. ქალბატონი მაინც აღარ იქნება სიხარულით ჩვენ მისვლაზე.

დიტომ ხმამაღლა გაიცინა:

— დიღვარდისას ახლა ჩვენთვის მომზადებული აქვს ხაჭაპურები.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა - შექნა დიტომ სიცილი და კისკისი. იმას მთელ ტანში უვლიდა სიამოვნების ჟრუანტელი, წამის წამს იზმოზობოდა, იცინოდა. ერთი სიტყვით იმის გონებას შემოედო სიხარულის აღი და ამ აღმა სიცივეც დააფიწყა და

თონიკეს ამბებიცა. ის იმ დროს მხოლოდ თავის მამის ოჯახის სახლებს შესცქეროდა და იცინოდა, ზედვე ეტყობოდა, რომ ამ ფიქრებით იყო მოცული: «ეს დიდი ოდაა, საცა მამა მთხოვნელებს იღებს ეს დიდი მუხაა, საცა მე და თონიკე ხის დამბახებს ვისვრიდით. ეს დედას სახლი ეგერ პატარა ბიჭიც გამოვიდა. ნეტა ფრთები მაინც მომცა, რომ უცებ მივფრინდე, შევევარდე დედაჩემის ოთახში და ჩაუძერე უბეში... უი, დიდება შენთვის ღმერთო, ეს რა ჩიტი ჩამიძვრა უბეშიო. — იტყვის დედა ჩემი და დამიწყებს ფერებას. ამ დროს მეც თან-და-თან დიტოს სახეს მივიღებ, დედა იტყვის: უი, გენაცვალოს დედა, აკი დიტო ყოფილაო! და დამიწყებს კოცნას. მეც ჩავეხუტები ძუძუებში..... ოჰ, რა კარგი იქნებოდა!...» ბოლოს ეს თავისი გრძნობა რომ გულში ველარ დაიტოა, წამოიძახა: ეს ოხერი ცხენი ახლა დადგა, სულ ველარ გავატარეო და მოუხშირა ცხენს ცემა: — თონიკე მომიტეხე ერთი კაი წკნელი, ვაყურებინებ ამ რჯულ ძაღლს, რაფარც უნდა წასვლა.

— რომ კარგათ მიდის. მასე ჩქარა შინ რომ მიახლოვდა მაშინაც არ უვლია.

— ჰა, ვერ ხედავ, სულ აღარ ადგამს ფეხს. ჰაჩუ... შე სამგლე!... თონიკე მიხვდა ყმაწვილის სულ წასულობას და ღიტოს გულ დასაჯერებლათ იმანაც შესძახა ცხენს: ჰაჩუო.

მეოთხედ საათს არ გაუვლია, რომ ღიტო მართლაც დედას გვერდით უჯდა, რომელიც წამის-წამს იხუტებდა გულში და ჰკოცნიდა. მერე დაუწყო გამოკითხვა შვილს, როგორ სწავლობდა, ან როგორ ცხოვრობდა ქ....ს, ან ბიძამისი როგორ არის? ღიტოს მომეტებულ სიხარული-საგან ენა ჩაუარდა და იძახოდა მხოლოდ ამ ორ სიტყვას: ან «კი» და ან «არა», ან «ნწყჰ.» სადილს უკან ღიტოს დაეძინა დედის ქვეშაგებში და მეორე დღეს მამლის ყივილამდის აღარ გამოღვიძებია. იმ ღამეს თოვლი მოვიდა, დილით ადრე ღიტოს გამოეღვიძა და რომ დედის სიყვარულში და ქ.სის ამბებში არ გართობილ იყო, ეგონებ მამლის ყივილზე წამოვარდებოდა და გასწევდა თავის ნაცნობ ალაგების დასაველელათ. საუზმის შემდეგ კარგა წირვის

დრო რომ შეიქნა, დიტო მინცგამოვარდა გარეთ და თუმცა წვივზე იყო თოვლი, მაგრამ ამ გარემოებას ის არ შეუშინებია. პირველად იმან დაიარა თავის ოჯახი: თავლა, საჯალაბო სახლი, სადაც დიღვარდისამ თავიდან ფეხებამდის დაჰკოცნა და ჭყინტი ყველი მიაწოდა. დიტომ ყოველივე თავის ალაგას ნახა. დიდი მუხის ხეც იქვე იდგა, საცა უწინ იყო. ცვლილება ერთგან მეტათ არ უნახავს: სახაბაზო გადაედგათ სხვა ალაგს. დიტო შევიდა შიგ და ხაბაზმა ცხელი მჭადი მოართვა. იმან მადლობა უთხრა, მაგრამ მჭადისთვის ხელი არ უხლია! სახაბაზოს გადადგმა არ მოსწონებია: — ეს სახაბაზო უწინ უფრო კაი ალაგას იდგაო — უთხრა ხაბაზს. იქიდან გამოვიდა, თან წაიტანა ხელზე მოსამსახურე პატარა ბიჭი, რომელიც იმ დროს დიტოს აღუტანტათ შეიქნა. ამათ ორთავე დაიარეს ის ალაგები, საცა უწინ ქამა სოკოები ამოდიოდა. ბატონის შეიღმა თოვლის მოსვლისთვის განაცხადა უკმაყოფილება. რომ ეს ოხერი თოვლი არ ყოფილიყო, იქნება ახლაც ქე ვიპოვნით. აქ ქამა სოკოებსო. — კიკო არგახსოვს, აქ რომ დიდ სო-

კოებს ეყარაულობდით? რომელიც უფრო დიდი იყო, იმას ბალახებს დაეყრიდით, თვალი არაფერს მოჰკრას და არმოიპაროსო თქვა.

— დიტო, არ გახსოვს, ერთი დიდი სოკო რომ სოსიკამ მოგვპარა? უჰ, რაც შენ მაშინ იტირე, ვაჟბატონმა კი დააყენა მაშინ იმას სიცხე. დიტომამგახსენებაზე თითქოს დაცინებით გაიკრიჭა და თავი დახარა, ეტყობოდა, რომ თავის უწინდელი უზნეობისა შეტყობოდა. იქიდან ბატონიშვილი და მისი ხლებული განემგზავრენ საყანეებისაკენ, რომელნიც ძეთრათ იყვნენ გადაპენტილნი, პაწაწა მგზავრებს სიცხევე ფეხებზე და ხელებზე თანდა-თან უჭერდა და კიკო ღმერთს ეხვეწებოდა, ნეტა დიტო მალე დაბრუნდეს შინისკენო, მაგრამ სანამ ბატონიშვილმა ის აღვილიც არ ნახა, სადაც ორი წლის წინათ დედის გამოჯავრებულმა მთელი ღამე გაატარა, მანამდის არ მოეშვა. სადილობის ჟამს ბატონი და ყმა დაბრუნდენ შინ გაფიჩხულნი კიკოს სიშწარისაგან ცრემლის კურცხლები სტვიოდადა

ცივეზიანსავეთ კანკალეზდა. ღიტო პირზე წამო
ჭეხეზულიყო დაცხვირიდგან მუტუტი მოსდიოდა.

—უი, გენაცვალოს დედაშენი—მიაძახა ქალ-
ბატონმა, სიცივისაგან გაყინული შვილი რომ
დაინახა, — შვილო, სად დადიხარ ამ თოვლში?
რომ გაცივდე და ავით გახდე, კარგი იქნება? —
მოგიკვდა შვილო დედაშენი, რაფა გალუგებულ-
ხარ, მოდი შვილო ბუხართან, გათბი. — ეს სულ
იმ თაგვის საქმეა — მიაპყრა თვალები კიკოს. —
ბიჭო სად დეეთრევი, ჰა, შე, სამაკირცხლე....
ჩვენ აქ ხელზე გეჭირდები და შენ კარ-და-კარ
დაძვრები?... მთელი დღე სად არის და სად არა
კაცმა არ იცის.»

მე რა უყო, რა... წაიდუდუნა კიკომ გამო-
ძვრა ოთანხიდან ნელა და მოქუსლა საჯალა
ბოსაკენ, რაკი იგრძნო, რომ იქ კარგი არა
დამართებოდა რა.

შობის ღრესასწაულები ღიტომ, მეტი არ
უნდა, ისე მხიარულებით გაატარა სულ შინ
იყო, რადგან კარგა დიდი თოვლი მოვიდა
და სადმე წასვლა არ შეიძლებოდა. შინაუ-
რები ყველანი გუკვირებით შესცქეროდნენ.

დიტოს ყოფაქცევას. მთელ დღესასწაულებში
 ის ერთხელაც არ უნახავსთ გაჯავრებული.
 ყველას სიყვარულით ექცეოდა, ბიჭებსაც და ნა-
 თესავეებსაც. რომ მოგეკლა, საჭმელს არაოდეს
 არ ითხოვდა, თუ თვითონ არ შეაძლებდენ;
 თუმცა დიტოსთვის არც კი იყო საჭირო ამ
 მხრით თავის შეწუხება, ზადგან იმის უბძა-
 ნებლათ ყოველივე უხვათ მოსდიოდა თავ თავის
 დროზე. შინაურებმა ძალიან დიდი განსხვავება
 ნახეს დიტოს უწინდელსა და ახლანდელს ზნეს
 შუა. უწინ ის იყო თავ-გასული, ავიზნის ყმაწვილი,
 რომელსაც მთელი ოჯახი მხოლოდ ეგონა თავის-
 თვის გაჩენილი და რაც ნებავდა, იმას შვრებო-
 და. ბატონი და ყმა იმის წამხდარს ხასიათს ჰყავ-
 და დამონებული. თუ არ მოეწონებოდა რამე,
 ან არ გაუკეთებდენ, ისე როგორც იმას ნება-
 ვდა, ერთს ასეთს მაყრულს შემოსძახებდა, რომ
 სუყველას ეგონებოდა ყმაწვილი მოკლესო და
 ძალა-უნებურათ უნდა აესრულებინათ იმის ნება:
 თუნდ ცუდი და იმის შეუფერებელიც რომ ყოფი-
 ლიყო. ახლა კი დიტო არც ითხოვდა, არც

ტიროდა და არც უჯავრდებოდა. ბიჭები ამბობდნენ: «საკვირველია, ეს ლომის კნუტი რომ კრავათ გადაქცეულაო... აგრე იცის შკოლამ, აი...» მხოლოდ ერთხელ მოუარა დიტოს თავისმა უწინდელმა გულმა და ისიც მაშინ იყო, როცა დაჩაგრულს იფარავდა. ერთხელ დილა იყო, იმას მოესმა კიკოს ყვირილი და სოსიკას ჯავრობა. გამოვარდა თუ არა, იმან დაინახა, რომ კიკოს სოსიკას ცალხელში ეჭირა, მეორე ხელით თავპირში სცემდა და თან ეუბნებოდა: «კილო მოიპარამ კვერცხებს, ჰა, შექურდო, ავაზაკო». — სოსიკა ხელი გოუშვი, კიკოს — შესძახა ღვთის რისხვასავეით დიტომ; მაგრამ მოურავი ისე იყო გართული თავის საქმეში, რომ სრულებითაც არ ესმოდა დიტოს ბძანება. ბატონის შვილს ბევრი აღარ უცდია, დაავლო ერთ გძელს ფიჩხს ხელი, მივარდა სოსიკას და ერთი საშინელი დასცხო სახეში. ხელოსანმა მაშინვე გაუშვა თავისი სხვერპლი და უცებ იტაცა ცხვირში ხელი, საიდგანაც ფითქინ-ფითქინით წაეარდა სისხლი.

— ოჰ, შენ დაგლახვროს ღმერთმა, შენი ბავშობა ამოვარდეს!.. მოჰყვა მოურავი წყევლას, ღიტომ კი ხმა აღარ გასცა. მოკიდა ხელი კიკოს და წაიყვანა ოდისკენ ამ სიტყვებით: «ჩუ, გაჩუმდი, ნუ ტირი. ნუგეშინია, იმასაც კაი მოხვდა შენ და გლახვისათვის...»

დღესასწაულები გათავდა და ღიტოს ქ...ს წასვლის დრომაც მოაწია. ყმაწვილმა წინადლით მოიწყინა. დედამ შეატყო ეს ამბავი და დაუწყო ფერება:— წინდები, ახალუხი და ორი წყვილი პერანგი და პერანგის ამხანაგრ მოუმზადა. მამამ იცოდა ღიტოს კარგი განწყობილება თონიკესთან და ამისთვის ყმაწვილის წასაყვანათ ისევ ის დაიბარა მეორე დღეს დილით ადრე მამამ ღიტო დაიბარა თავის თავთან, ანუგეშა, სააღდგომოთ ისევ მოგიყვანო. აჩუქა ჭრელი ქისა და შიგ მანეთ ნახევრის უზალთუნები ჩაუწყო. ამებმა ღიტოს იმდენათ გაუკეთა გული, რომ მაინცა და მაინც წასვლასე უარი არ უთქვამს. ამასთანავე ძველი ამბავიც კარგათ ახსოვდა, როცა უარის თქმისათვის ცხენზე ფეხები გამოუქ-

რეს. იცოდა, რომ ჭირვეულობით ვერას გააწყობდა და მწუხარებით დამორჩილდა თავის ბედს. მხოლოდ როცა გამოეთხოვა დედმამას და ცხენზე შესვეს, ერთი კურცხალი ცრემლი გადმოვარდა, თვალიდგან. ამ ცრემლში იმდენი ნალველი იყო გაქნილი, რომ ეგონებქვას გაჰხვრეტდა, ზედ რომ დასცემოდა. დიტომ ისეთი ამოიხუნემა, თითქოს გულიც თან ამოატანაო. არც იყო ამაში გასამტყუნარი. საპყრობილეში წასვლა სხვას ვის ამებია, რომ იმას იამებოდა.

IX. ო ა ვ ი.

ქ...სის ღემნაზია და იმის მასწავლებელი.

185... წელს ქ...სის სამკლასიანი უეზდის სასწავლებელი გახდა ღემნაზიათ. იმის მასწავლებელი სულ რუსეთიდან იყვნენ ჩამოსულნი: ზოგი ახალ კურს-დასრულებულნი უნივერსიტეტში და ზოგნი კი, ვინ იცის, სად იყვნენ ნასწავლნი იმათში ისეთებიც ერიენ, რომ სტოლო-ნაჩალნიკობაში ათი წელიწადი ემსახურნათ და, რაკი იმედი დაჰკარგოდათ უმაღლესის ადგილის მიღებაზე, ეთხოვნათ მასწავლებლობა ქ...სის ღემნაზიაში. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ საზოგადოთ მასწავლებელი ძვირობდენ და თუკი ვინმე ისურვებდა ამ თანამდებობას, არავის უჭერდენ, ოღონდ კი რუსი ყოფილიყო და თუნდ წერა-კითხვის მეტიც არ სცოდნოდა. ამისთვის სასწავლებლებში გამრავლდენ საიჭვონისდცო მასწავლებელი. ზოგიერთნი აქამდე

ნაც დარჩენილან ღემნაზიაში მასწავლებლათ ისეთნი, რომელთაც მარტო ორი კლასი გაუთავებიათსადმე. ამგვარი კაცები ფიქრობდენ: ოცი წელი თუ როგორმე გავაჩანჩალეთ მუღამ ა, ნ ძახებაში, მერე რაც ჯამაგირათ გვეძლევა; პენციათ გაგვიჩენნო, დავჯდებითჩრდილში, ავაბოლებთ ჩიბუხს და დანარჩენი ქვეყანა თუნდ წყალსაც წაუღიაო. მომეტებულს ნაწილს იმათგანს თავის დღეში არ ენახათ არც ჩვენი ქვეყნისთანა მთები, არც გორები, არც მინდვრები, არც წყლები და არც კაცები. სიცივით გაყინულს ჩრდილოეთის ქვეყნის კაცებსა სამხრეთის თბილი დღეები და მრავალნაირი ბუნება ერთ რაღაც სამოთხეთ წარმოედგინათ, საცა ყოველივე სიმდიდრე კაცის ხელის გაუნძრევლად უნდა მიერთმეოდათ იმათა. როდის იქნებაო ამბობდენ ამისთანა სულიერები ერთი მალე გავთბეთ კავკასიის მზით და იქაური ლელვით გული დავიტკბოთო. ისინი თავის კარგი კაცობითა და ღირსების გამო თავის მკლე ქვეყანაში წრეს გარეთ დარჩენილიყვნენ და შაშვის ბახა

ლახაყით აღებდენ პირს და კიდევ აქამომდე
 უღებდენ, ღუკმის მისაღებათ ჩვენ ქვეყანაში
 ამგვარი ღირსების კაცები იყვნენ მოწინა-
 ვე რაზმნი ჩვენის ქვეყნის გამნათლებელთა.
 «ქართველები ერთობ შავი კანიანები და ლაქი-
 ანები არიანო. ისინი ხელმეორეთ უნდა დაე-
 ნათლოთ, შავი კანი უნდა გაეძროთ და თეთრ
 ქერაკანში გაეხვიოთო» — იძახოდენ ჩვენი მოკე-
 თენი. საკვირველი ეს იყო, რომ ყოველი ამ-
 გვარი კაცი, ჩვენი განმანათლებელი და განმა-
 თეთრებელი, სანამ ჩრდილოეთის მხარეში იქნე-
 ბოდა და იქიდგან ლამოდა კავკასიის თბილ
 ჰავაში ხელის მოთბობას, მანამ ის ყოველთვის
 კარგი აზრისა იყო ჩვენზე: «აბა, ბედნიერი ხალ-
 ხი ის უნდა იყოს, ვინც იქ ცხოვრობს. სიკეთე
 ახოვნება, გონიერება, კაცმოყვარეობა მარტო
 იქ იმ ბუნებით მდიდრის და თბილის ქვეყნის
 ერში უნდა იყოსო. თუ ღმერთმა იქ წასვლა
 მალირსა, ჩემი პირველი მოვალეობა იქნება, რომ
 ისინი შევიტკბო და შემიტკბონ, დაეუმეგობ-
 რდე და დამიმეგობრდენო, შევიყვარო და შემი-

ყვარონო». შემდეგ რაკი კავკასიის ქედს გაღ-
მოაბიჯებდენ და პირველად დაინახებდენ თვალ-
აუწვდენელს, ცამდი აყუდებულს მთის კედლე-
ბსა, ყოველი ჩრდილოელის გამოხატულებას
თითქოს თავზარი ეცემოდა, იმის გონებას ბუ-
რანი ეხვეოდა. ბუნების დიდებულებისა და იმის
ბუმბერაზობის უნახავი, გამოუკდელო რუსის
გონება ვერ უმაგრებდა თვალს, ამ საშინელებას
ფრთხებოდა და შიშს ეძლეოდა. როდესაც კაიშაუ-
რის დაღმართს დაუყვებოდა, პირველად ჩახე-
დავდა მთის უძირო ნაპრალებს, სადაც მიიკვ-
ლაკნებოდა სიმორისგამო ძაფის ოღნათ გაწე-
რილებული «არაგვი», საცა დრო გამოშვებით
კლდეების ნგრევისა და ზვავის ჩამოწოლის გრი-
ალი ისმოდა, მინდვრის ნაჩვევი რუსის გონე-
ბა ძრწოდა, საშინელს ღრეებს თვალს არიდებ-
და: ღმერთი არ გაუწყრეს, არ გამიტაცოს და
ჩემი ბარგი ბარხანიანა ქვესკნელში არ ჩამი-
ტანოს ამ უძირო ნაპრალმაო. ან კი რა გასა-
კვირველია, რომ მინდვრის კაცი, რომელსაც
თავის დღეში თხუნველისაგან აჩეჩილი მიწის

ოდნა გორაკიც არ უნახავს, ამისთანა სანახაობამ შეაშინოს და ტვინიც გადაუბრუნოს. იმას იქნება თვალში სულ მთის დანგრევა და იმის ქვეშ დატანა ეჩვენებოდეს. ეს არის, თუ სხვა რაიმე უფრო მკვიდრი მიზეზი ამნაირათ რუსის ხასიათის გამოცვლისა, რა მოგახსენოთ; მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ყოველი რუსი სანამ კავკასიაში ფეხს გადმოდგამდეს, თითქოს ჩვენი მოყვარეა და რა კი ჩვენს მიწაზე ფეხს დაადგამს, შემდეგ იმას აღარ მოსწონს არც ჩვენი მთები, არც ჩვენი წყლები და არც ჩვენი მინდვრები.

როგორც კი დაინახავს ქალაქის კინტოს თავის ბუხრული ბანჯელიანი ცხერის ქუდით, შემდგარს ერთ ციდა წვრილ ქუსლებიან კოხტა წაღებზე, — წითელ ყაითან მოვლებული გულის პირი მკერდს დაფარფაშებს, — მოკლე ნაოჭიანი ჩოხითა შავგვრემანი სახითა, ცეცხლითვალეებითა, გძელი ხანჯლითა, რუსი უსიამოვნოთ ცხერს იქით მიიღებს და გეტყვის: «აბა, რათ აცვიათ აქაურებს ეგრე ეშმაკურათ, თითქოს ტყიდგან გამოვარდნილს ქაჯებსა გვანანო. ეს ხან-

ჯალი რათ არტყიათ, ეხლა ხომ ჩხუბი არ არის, ქვეყანა დამშვიდებულია, მარცხი რამე რომ მოახდინოს? მაგისტანა მხეცს ახლოს ვინ გაუვლის. ეს ქვეყანაც ხომ ჩვენი ქვეყნის ნაწილია, მაშ რატომ რუსული ქუდი არ ახურავთ; ემაგ მხეცურს ქუდს, მშვიდობიანი რუსული ქუდი არ სჯობიან? რატომ ტანთ არმიაკი არ აცვიათ, რატომ მალალ ნალებიან წაღების მაგიერათ, მალალ ყელიან სატალახო წაღებს არ ჩაიცმენ და სხვ. ამ ნაირათ მოჰყვება ახალ მოსული რუსი დრტვინვას ყოველ ჩვენს გარეგანს სახეზე, მოქმედებაზე, ჩვეულებაზე და ბოლოს საქმე იმდენზე მივა, რომ იმასაც ფაჰკიცხავს, აქაურები ეგრე კოხტათ და მოხდენილათ რათ დადიანო, რატომ ჩვენებურს სალდათსავით არ ლაჯუნობენო. ეთქვათ, ახალ ჩამოსულმა რუსმა პირველათ შეხედა ორს, ან სამს ქართველს, თუ სომეხს, რომელნიც ერთად შეერილან და მალალი ხმით ერთმანეთს ელაპარაკებიან თავიან საქმეზე; იმას ჰგონია, ეს მხეცეები სწორეთ ერთმანეთს ებძვიანო და თვალს

ოდნა გორაკიც არ უნახავს, ამისთანა სანახა-
ობამ შეაშინოს და ტვინიც გადაუბრუნოს. იმას
იქნება თვალში სულ მთის დანგრევა და იმის
ქვეშ დატანა ეჩვენებოდეს. ეს არის, თუ სხვა რაიმე
უფრო მკვიდრი მიზეზი ამნაირათ რუსის ხასიათის
გამოცვლისა, რა მოგახსენოთ; მაგრამ ეს კი
ნამდვილია, რომ ყოველი რუსი სანამ კავკასიაში
ფეხს გადმოდგამდეს, თითქოს ჩვენი მოყვარეა
და რა კი ჩვენს მიწაზე ფეხს დაადგამს, შემდეგ
იმას აღარ მოსწონს არც ჩვენი მთები, არც
ჩვენი წყლები და არც ჩვენი მინდვრები.

როგორც კი დაინახავს ქალაქის კინტოს თა-
ვის ბუხრული ბანჯელიანი ცხვრის ქუდით,
შემდგარს ერთ ციდა წვრილ ქუსლებიან
კოხტა წაღებზე, — წითელ ყაითან მოვლებული
გულის პირი მკერდს დაფარფაშებს, — მოკლე ნა-
ოჭიანი ჩოხითა შავგერემანი სახითა, ცეცხლი-
თვალეზითა, გძელი ხანჯლითა, რუსიუსიამოვნოთ
ცხვირს იქით მიიღებს და გეტყვის: «აბა, რათ
აცვიათ აქაურებს ეგრე ეშმაკურათ, თითქოს
ტყიდგან გამოვარდნილს ქაჯებსა გვანანო. ეს ხან-

ჯალი რათ არტყიათ, ეხლა ხომ ჩხუბი არ არის, ქვეყანა დამშვიდებულია, მარცხი რამე რომ მოახდინოს? მაგისტანა მხეცს ახლოს ვინ გაუფლის. ეს ქვეყანაც ხომ ჩვენი ქვეყნის ნაწილია, მაშ რატომ რუსული ქუდი არ ახურავთ; ემაგ მხეცურს ქუდს, მშვიდობიანი რუსული ქუდი არ სჯობიან? რატომ ტანთ არმიაკი არ აცვიათ, რატომ მაღალ ნალებიან წაღების მაგიერათ, მაღალ ყელიან სატალახო წაღებს არ ჩაიცმენ და სხვ. ამ ნაირათ მოჰყვება ახალ მოსული რუსი დრტვინვას ყოველ ჩვენს გარეგანს სახეზე, მოქმედებაზე, ჩვეულებაზე და ბოლოს საქმე იმდენზე მივა, რომ იმასაც გაჰკიცხავს, აქაურები ეგრე კოხტათ და მოხდენილათ რათ დადიანო, რატომ ჩვენებურს სალდათსავით არ ლაჯუნობენო. ვთქვათ, ახალ ჩამოსულმა რუსმა პირველათ შეხედა ორს, ან სამს ქართველს, თუ სომეხს; რომელნიც ერთად შეყრილან და მაღალი ხმით ერთმანეთს ელაპარაკებიან თავიან საქმეზე; იმას ჰგონია, ეს მხეცები სწორეთ ერთმანეთს ებძვიანო და თვალს

იმაღლ ხანჯლებს გაუმტერებს: ღმერთი არ გაუწყრესთ, ერთმანეთი არ დახანჯლონო. ვთქვათ, ზაფხულის ღამეში თფილისის მომღერალი შორს სადმე ძველ ციხას ნანგრევზე ასულა და იქიდგან ამოიკენესის ზარსავით მორაკრაკე ხმითა, რომელშიაც დაგროვებულა ზღვის ოდენი მწუხარების კრემლი — სურათი ჩვენისტორიული ცხოვრებისა; — ახალ მოსულს რუსებს ეს ღრმა მწუხარების კენესა, რომელიც ჩვენს დამწვარს გულს ნუგეშის საღბუნს სცხებს, ტურის კივილი ჰგონიათ. დაფა ზურნას და დაირას რომ დაჰკვრენ, რუსი ყურებს დაიცობს, ლეკურს რომ დაუვლიან, რუსი თვალებზე ხელს იფარებს; ჩვენებურათ რომ ლაპარაკობენ, ის აღგება და ყურს მოაშორებს, ზაფრის ქარები არ ამეშალოსო. ამ სახით ის თან და თან უფრო უკმაყოფილოთ უყურებს ამ ცხოვრებას, რომელშიაც ერთი ხმაც, ერთი ფერიც არ იპოვება თავის სამშობლო ქვეყნისა: არც ზნე, არც ხასიათი, არც ჩვეულება არც ქცევა. ის ამ სხვა ქვეყანაში ხედავს თავის

თავს მარტოთ მარტო. მიწა, რომელზედაც ფეხს
სდგამს, ეუბნება, აქ შენი არა თესია რაო. მთებიდ-
გან გიჟურათგადმოვარდნილი მდინარე ღმუილით
უცხადებს, მე თქვენ ტუმპე და მდორე წყლფე-
ბსავეთ მტკბარი ნუ გეგონო, როგორც ფეხს
ჩამოდგამ, ისე ჩემს მჩქეფარე ჯურღმულს მიგ-
ცემო; ბოლოს თბილი და უფრო ნამიანი, ვი-
დრე შუაგულ რუსეთისა, ჰაერიც თითქოს იმას
ერჩის: ნუ მისულთქმებ, თორემ ცივებას გაგი-
ჩენ და მამა ჰაპებთან გაგზავნიო. ამ ნაირი
წინააღმდეგობა, როგორც ბუნებისა, ისე ცხოვ-
რებისა ახალ მოსულს რუსის გამოხატულებას
თითქოს თან და თან აჯავრებს. ის მართლაც
იწყებს ვაცალკეეებას ჩვენგან, ესაკუთრება
უფრო თავის ქვეყნელებს, თან და თან უფრო
იმალება იმათს საზოგადოებაში, იძულებს ჩვენს
ენას და ცხოვრებას. ბოლოს რამდენსამე ხანს
რომ მოათევს ჩვენს მხარეში, მრავალს წლის
დაგუბებულს ჯავრს და ნალველს ერთბაშათ ამო-
ისერის და იტყვის: «გვეყოფა ამდენი ფერება
მხეცებისა. დროა მხარეს რუსის ქვეყანა დაერ-

ქვას. რას ქვია, ვის ქვია ქართული, ან სომხური ენა. რუსის ქვეყანაა, მარტო რუსული ენაც უნდა იყოსო, რუსის ნიადაგზე რუსები უნდა ცხოვრობდნო». ამის შემდეგ ისინი აღარ ცდილობენ ჩვენს ერთან დაახლოებას, იმის ცხოვრების გაცნობას და ენის შესწავლას; ასე გასინჯე ამ ენის გაგონება კიდევ ეზიზღებათ. ამის გამო ყოველი რუსი ამერიკაზე უფრო ბევრს მართალს და დაწვრილებითს ცნობას გეტყვის, ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე. ერთმა შესანიშნავმა და სახელოვანმა რუსის მწერალმა სთქვა: «მე მთვარის ამბავი მეტი ვიცი, კავკასიის აქეთა მხარისაზეო». რუსმა რომ ასი წელი გაატაროს ჩვენში, ორს სიტყვას ვერ გეტყვის ქართულათ.

ამ გვარნი იყვნენ ქ.....სის გემნაზიის მასწავლებელნიცა. 185.. წელს იენისის გასულს ისინი ისხდნენ რჩევის ოთახში და განიხილავდნენ ქართველი უმარწვილების გონებითს წარმატებას. იმათ უნდა ეანგარიშებინათ რამდენი გადაეყვანათ შემდეგს კლასში და რამდენი დაერჩინათ. ეს მასწავლებელთა კრება ძალიან შესანიშნავს

გროვას წარმოადგენდა. თავის სახიერებით ისინი იყვნენ წარმომადგენელი ჩვენი ახალ-თაობის მასწავლებელი. სულ ამათებურა კაცები სდებენ საფუძველს ჩვენს შთამოვებას. ისინი არიან მწრთენელი ჩვენი ხასიათებისა. მაშეოველი სერთუკის ნაგლეჯიც ამ გვარი კაცებისა სწორეთ ნაწილათ უნდა იყოს ჩვენგან შესანახავი, რომ რამდენისამე საუკუნის შემდეგ დაგვრჩეს მტკიცე ხსოვნა ჩვენთა განმანათლებელითა.

რჩევის ოთახში წითელ მაუდიანს სტოლს გარს შემოსხდომიან მასწავლებელით გროვა. ერთ თავში ზის ღირეკტორი. გაქარხალებულს პირზე მუდამ აღმული აღის. ამბობენ, ცხოვრების წყაროს ხშირათ ეწათება და იმას აუპრიანლებია ამგვართ იმის სახეო: არც დღე, არც ღამე ამას მოსვენება არა აქვს. ბუზანკალიან ხარსავით დარბის, ერევა ყოველ საზოგადო საქმეში და უნდა ყოველგან თავი გამოიჩინოს: რწამს, რომ რალაც დიდი მოღვაწეობისათვის უნდა იყოს იგი დაბადებული, ხშირად ქადაგობს მასწავლებელით გროვაში: ჩვენი მოვალეობაა, რაც შეი-

ძღვება სწრაფლათ მოესპოთ კავკასიაში მუნებუ-
 რი ენები და ძირი გავადგმევინოთ ჩვენს ენასაო.
 იმის სამეცნიერო გამოკვლევა ტრიალებს ამ
 აზრზე: ყოველს მუნებურს მცხოვრებს დიდი
 სიცოცხლე არა აქვს. აქაური ენები არიან
 წერილ თავიანები და აკენიდგანვე შუბლი გაბრ-
 ტყელებული აქეთ შუბლსაკრავით. ამით აქაურ
 ხალხის ტვინს არა ჰქონია თავისუფალი ზრდა
 და ამის გამო გონებითაც სუსტნი არიან. ამის
 გამო აქაური ახალგაზდობაც გონებით ჩლუნ-
 გნი არიან და, აი, რა მიზეზით აიხსნება, რომ
 აქაური შაგირდებიც მძიმეთ სწავლობენო. ამ-
 ნაირი გამოკვლევით დიდ მეცნიერათ მოაქვს თა-
 ვი; უნდა უმაღლესს, ადგილზე ასვლა და თუ
 კი შემთხვევა მიეცა, მაღალ მთავრობის წინაშე
 დაუძინებლათ დაღადებს: «ეს არის უბედურება,
 რომ ვერა ვინ მიცნობსო. მე რომ მთელი კავ-
 კასიის ახალ-გაზდობა ხელში მებაროს, ათს ან
 თუთხმეტს წელიწადს მთელს კავკასიაში წამლა-
 თაც ვეღარ იპოვნით თავიანთ ენაზე მოლაპარა-
 კესო. ამ კაცის საწვრთნელი წესი მარტო ამ

განზრახვაზეა მიქცეული და ყოველნაირი სამოს-
წველო ცვლილება გემნაზიაში მარტო რუსუ-
ლი ენის უროკების და მასწავლებელთა გამ-
რავლებაზეა მიქცეული. ქარდულს ენას ეძახის
ტყის, ანუ ქაჯურს ენას. იმისი აზრით ამ ენას
არც გრამატიკა ჰქვს, არც ლიტერატურა: ამ
ენაზე მოლაპარაკე ვრს არც ისტორია ჰქონია,
არც მწიგნობრობა: წერა-კითხვაც, ალბათ, იმ-
დროსუნდა შემოღებულიყო, როცა რუსი შემო-
ვიდა კავკასიის აქეთა მხარეშიო; ამისათვის
უკვირს კიდევ, რომ ამ ენის სწავლება აქამდის
არ მოუსპიათ სასწავლებლებში და ყოველ სა-
მოსწავლო ანგარიშის წარდგენის დროს თავის
მოვალეობათ რაცხს, შეასმინოს მთავრობას,
რომ აქაური ენების სწავლება შკოლებში და
საშუალო სასწავლებლებში ყოველად გამოუსა-
დგენი არიანო. სჯობს იმათი სწავლება, რო-
გორც ველური და შეუმუშავებელი ენებისა
მოისპოსო და რაც იმათ სწავლებისთვის ფული
იხარჯება სასწავლებლების ეკონომიურს სუმმას
მიემატოსო. თვით ჩვენებურს შაგირდებს რა

ლაც შინაგანი სიძულილით უყურებს, თუმცა პირში იმათ ძალიან ეფერება. ყმაწვილებს კი პირუთნელათ სძულთ და მეზვერეს ეძახიან. ამ გვარია გემნაზიის უფროსი.

იმის გვერდით ზის მარცხნივ ერთი ცხვირ-კეხიანი კაცი, რომელსაც თვალები იმდენათ ჩავარდნია და ჩაჰქრობია, რომ სათვალები არ ეფაროს, ყველას ეგონება, თვალები ამოშრობია და იმათ მაგიერათ ორი ხარო დაკეთებიაო. იმის უშნოთ დაგძელებულს პირის სახეს, ქვი-ქვირ ჩამოვარდნილს, კისერ ჩავარდნილს და კუწამოსულს რომ შეხედო, გეგონება თით-ქოს მთელი თავის სიცოცხლე ზურგ მოხრი-ლდ უმუშაენიაო. ორ სიტყვას როგორც გეტყვის, მაშინვე დარწმუნდები, რომ ამ კაცს თვალებ-თან ტვინიც გაშრობიაო ის იმ დროს ასწავლიდა რუსულს ენას ერთხელვე გაბეჯითებულ წესით. ასწავლიდა ქართველ ყმაწვილებს ლექსთა წყობის კანონებს, გრამატიკულ წესებს, მერე პოე-ზიისა და თხუზულებათა კანონებს იმ ენისას, რომელიც სრულებით უცხო იყო ჩვენი ყმა-

წვილებისათვის. არამც თუ დაბალს კლასებში, არამედ მაღალ კლასებშიაც ცუდათ შეეთვისებინათ. ამ უცხო ენის ბუნება ქართველ ყმაწვილებს იმის მეთაღიცი ვერ შეეტყოთ, რამდენიც ყოველმა კაცმა თავის მშობლიური ენისა იცის ინსტიკტიურათ ანუ ასე ვთქვათ გონების მიხვედრით. ამისთვის რუსული ენის კანონების სწავლა ქ...სის გემნაზიის შაგირდებისათვის ისეთივე წვალება იყო გონებითად, როგორც ხორციით წამება ქრისტიანებისა მწვალებლების დროს. ნორჩი გონების ყმაწვილებს გაუშრათ მეხსიერება შეუთვისებელ ენის კანონებისა და ლექსთა წყობის ზეპირობით. იმათ შესძულდათ არამც თუ ის ენა, რომლის კანონებსაც ასწავლიდენ, არამედ ის თვალეზ გამოშრეტილი და გონება გამოფიტებული მასწავლებელიც ამ ენისა. არც თვითონ მასწავლებელი იყო მაღლიერი თავის შაგირდებისა: «ამ უტვინო ქართველებმა სწორეთ ნახევარი სიცოცხლე გამიფუჭესო. სწავლა კი არა ღიმნაზიიდგან უნდა გამორეკო ეგენი და მიწა.

ათხრეინოვო რა მაგათი საქმეა სწავლა, შუბლ-
გაპტყელებულნი არიან მაიმუნებსავითო». — იტ-
ყოდა კუზიანი რუსული ენის მასწავლებელი.
«რამდენს არ ეჩიხინები, რუსული ენის წყობაში
ესა და ეს კანონებიაო, თხზულების შესადგენათ
ესა და ეს რეტორიული და პოეტური წე-
სები უნდა დაიცვათ მეთქი; მაგრამ როგორც
ქვას არა მიეკარება რა, ისე მაგ მხეცების თავ-
ში არა შედის რაო». ჩვიდმეტი წელიწადი ამ
კაცს სულ ერთისა და იმავე სიტყვების ჩიჩინით
გაეტარებინა. უმისოთაც სიცოცხლე ჰქონდა
მობეზრებული და ახლა ქართველმა ახალგაზდო-
ბამ ხომ სულ მოჰკლა იმის გონების ნატამა-
ლი. ამათ არამც თუ ენის კანონები, თვითონ
ენაც არ ჰქონდათ ხეირიანათ გაცნობილი,
მაშ ან კი საიდგან უნდა შესძლებოდათ ათას
მუხლიანი პიიტური სისულელების დანახ-
სოვნება. ასე გაშინჯე ზემოხსენებულს მასწავ-
ლებელს ისიც ძალიან უკვირდა, რომ ქარ-
თველმა მაგირდებმა თავის სამშობლო — რუ-
სული ენა არ იციანო და განუსჯელათ

ამ შემთხვევას აბრალებდა ყმაწვილების უნიჭობას. ამ სახით მასწავლებელი და იმის შაგირდები ერთმანეთს კატა-ძაღლოვრათ უყურებდნენ. ერთი მხარე ამბობდა: ენა რომ არ ვიცით იმის კანონები საიდან უნდა გაგვეგებოდესო. შერე იძახოდა: უტვინოები არიან, თორემ ჩემი ამდენი ჩიჩინი როგორ ვერ შეისწავლეს?. როგორ ვერ გაიგეს ყოველნი აირი ჰიიტურნი და გრამატიკულნი გამოკვლევანიო». ასეთი იყო კუზიანი რუსული ენის მასწავლებელი.

ამ ორ შესანიშნავს გვამს გარდა ზემოხსენებულ რჩევაში იყვნენ თორმეტამდის სხვა და სხვა საგნების მასწავლებელნი და თითქმის ყველანი თანახმანი იყვნენ კუზიანი მასწავლებლის აზრისა. ყველა იყო დარწმუნებული, რომ საზოგადოთ ქართველები ჭკუით სხვა ხალხებზე დაბლა დგანანო. თუმცა ყოველი მათგანი ოთხი ხუთი წლიდან ათ თუთხმეტ წლამდის ცხოვრებდა საქართველოში, მაგრამ არც ერთს მათგანს ერთხელაც ფიქრათ არ მოსვლოდა: მოდი ერთი ქართულს ვისწავლი და ქართულად და-

ველაპარაკები ამ ახალგაზღობას: გავიცნობ იმათ შინაურს ცხოვრებას, რომ დავრწმუნდე, მართლაც უტყინოები არიან, თუ იქნება მართლაც ჩვენ გვეგონია ასე, რადგან იმათებური ჩვენ არ ვიცით და ისინიც ჩვენებურს ძნელათ იგებენო..

რჩევაში ლაპარაკი მოხდით დათ განსაკუთრებით მეშვიდე კლასის შეგირდების კურსის დასრულებაზე და ატტესტატების მიცემაზე. სკოლაგნებში თითქმის ყველა მოწაფეებს წესიერათ დაეჭირათ ეგზამენი: მაგრამ ზოგიერთი მოწაფეები რუსულს მეტყველებითს სწავლაში არ გამხდარიყვნენ ატტესტატის ღირსნი და აი რჩევას განსაკუთრებით ეს საქმე უნდა გადაეწყვიტა. ერთი ამ ყმაწვილებთაგანი იყო ჟვერიის მოწაფე — ის, რომელიც ასე გამეხებით ერთდროს აკვდებოდა «კოლიკისა» და «ტოლიკის» გაზვირებას. ჟვერიას შაგირდზე რომ დაიწყეს ლაპარაკი წამოდგა ზემოხსენებული კუზიანი მასწავლებელი და მძაფრად დაიწყო: «სამოძღვრო რჩევას (Педагогический Советъ) უნდა განუცხადო,

რომ უფ. ლევა (ასე ერქვა იმ ყმაწვილს) ატტესტატს ვერ მიიღებს. თუნდ ყველა წევრები ერთ ხმით თანხმანი გახდენ იმის ატტესტატის ხელის მოწერისა, მე მაინც უკან დავდგები. ლევა არ არის ატტესტატის ღირსი. მეშვიდე კლასში მაგისმა ამაყობამ სისხლი წამიხდინა. როდესაც თხზულებას მივსცემდი დასაწერათ მოწათფებს, — ეთქვათ, რომ არც ერთი ხეირიანს არ წარმომიდგენდა, მაგრამ მაგის თხზულება მაინც უმგზავსო რამე იყო. ორ სიტყვას ერთად წესისამებრ ვერ გადააბამდა რუსულათ. ეს კიდევ არაფერი. მეშვიდე კლასში რომ გადვიდა, ამაყობა და ავაზაკობა მოიმატა. ერთხელ მითხრა: «თქვენმა ენის კანონების და პიიტურ წესების სწავლამ ეს ათი წელია ტვინი ამომართვა და ვერ შემიტყვია, რასში გამომადგება; იმის ზეპირობით მეხსიერება წამიხდაო და სარგებლობას კი არას ვხედაო. «ხორეისა» და «დაკტილის» გამოცნობა ადვილათ შემიძლია, მაგრამ ჯერ აქამომდე რუსული კი ვერ მისწავლიაო. ამისთანა უშვერი და

უზრდელი ლაპარაკით არამც თუ თვითონ წახდა, სხვა მოწაფეებიც წახდინა. ბოლოს პირდა პირ მითხრა თქვენს გაკვეთილებს აღარ ვისწავლიო. ამის გამო მე რომ ორატორული წესის განმარტებას დავიწყებდი, მთელი კლასი იცინოდა. ატტესტატი კი არა, ეგ აქამდის კიდევ უნდა გამოგვერიცხა ღემნაზიიდან. მართალია ჩვენ დიდი ხანია შენიშნული გვაქვს ამ ველური ხალხის უნიჭობა, მაგრამ უფ. ლეგა თავის უზდელური სიამაყით, უგუნურებით, უნიჭობით, სულ ყველას გადაემატება. ის უბრალო მოწმობის ღირსიც არ არის, არამც თუ ატტესტატისა...». ამ ბრწყინვალე საორატორო სიტყვის შემდეგ კიდევ ერთ საათს ჰქონდათ საერთო ლაპარაკი. ბოლოს ყველანი დაეთანხმნენ კუზიან მასწავლებელს და გადასწყვიტეს უფ. ლეგის უატტესტატოთ გამოსტუმრება ღემნაზიიდან....

ლამის თერთმეტ საათზე რჩევა დაიშალა. ცაიკო ნისლიანი და ისე ბნელოდა, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. რჩევის ზალა

იყო ღემნაზიის განაპირის ოთახი, ასე რომ იქ შესასვლელათ ჯერ ღემნაზიის გძელი დერეფანი უნდა გაეფლო კაცს, მერე შესულიყო მასწავლებელთა დასასვენებელს ოთახში და იქიდგან კარს რომ შეაღებდა შევიდოდა, თვითონ რჩევის ზალაში. რადგან არც ოთახი და არც დერეფანი განათებული არ იყო, თუ კაცს წინ ჯოხის ფოთარით არ გაეკვლია, ისე ძნელი იყო ბნელაში გზის გაგნება. როდესაც კუზიანი რუსული ენის მასწავლებელი გამოვიდა ზალიდგან დერეფანში, იმან იგრძნო, რომ მარჯენივ და მარცხნივ რაღაც ლანდები მოჩვენებასავით შეეხენ იმის ხელებს, გახტენ იმის წინ, გადუქრეს გზა და გაჰქრენ ლამის სიბნელეში. კუზიანი მასწავლებელი შეკრთა შიშისაგან, თითქოს ერთ წუთას ენა ჩაუვარდაო და ბოლოს დაიღრიალა: — *Кто там?* მაგრამ პასუხი არსაით მოესმა. ის სწრაფლად დაბრუნდუკან, შევიდა რჩევის ზალაში და მართო ლვარე ხმით დაიწყო: დერეფანში ვინღაცაები არიანო. დირექტორი და დანარჩენი მასწავლებლნი მაშინვე წამოვარდენ გამოიტანეს სანთლები, სულ იქაურობა გადააბრუნეს, მაგრამ ვერა

უზრდელი ლაპარაკით არამც თუ თვითონ წახდა, სხვა მოწაფეებიც წახდინა. ბოლოს პირდა პირ მითხრა თქვენს გაკვეთილებს აღარ ვისწავლიო. ამის გამო მე რომ ორატორული წესის განმარტებას დავიწყებდი, მთელი კლასი იცინოდა. ატტესტატი კი არა, ეგ აქამდის კიდევ უნდა გამოგვერიცხა ღემნაზიიდგან. მართალია ჩვენ დიდი ხანია შენიშნული გვაქვს ამ ველური ხალხის უნიჭოება, მაგრამ უფ. ლეგა თავის უზდელური სიამაყით, უგუნურებით, უნიჭოებით, სულ ყველას გადაემატება. ის უბრალო მოწმობის ღირსიც არ არის, არამც თუ ატტესტატისა...». ამ ბრწყინვალე საორატორო სიტყვის შემდეგ კიდევ ერთ საათს ჰქონდათ საერთო ლაპარაკი. ბოლოს ყველანი დაეთანხმენ კუზიან მასწავლებელს და გადასწყვიტეს უფ. ლეგის უატტესტატოთ გამოსტუმრება ღემნაზიიდგან....

ლამის თერთმეტ საათზე რჩევა დაიშალა. ცაიუო ნისლიანი და ისე ბნელოდა, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. რჩევის ზალა

იყო ღემნაზიის განაპირის ოთახი, ასე რომ იქ შესასვლელათ ჯერ ღემნაზის გძელი დერეფანი უნდა გაველო კაცს, მერე შესულიყო მასწავლებელთა დასასვენებელს ოთახში და იქიდგან კარს რომ შეაღებდა შევიდოდა, თვითონ რჩევის ზალაში. რადგან არც ოთახი და არც დერეფანი განათებული არ იყო, თუ კაცს წინ ჯოხის ფოთარით არ გაეკვლია, ისე ძნელი იყო ბნელაში გზის გაგნება. როდესაც კუზიანი რუსული ენის მასწავლებელი გამოვიდა ზალიდგან დერეფანში, იმან იგრძნო, რომ მარჯვნივ და მარცხნივ რალაც ლანდები მოჩვენებასავით შეგხენ იმის ხელებს, გახტენ იმის წინ, გადუქრეს გზა და გაჰქრენ ლამის სიბნელეში. კუზიანი მასწავლებელი შეკრთა შიშისაგან, თითქოს ერთ წუთას ენა ჩაუვარდო და ბოლოს დაიღრიალა: — *Kmo mamz?* მაგრამ პასუხი არსაით მოესმა. ის სწრაფლად დაბრუნდუკან, შევიდა რჩევის ზალაში და მართოდ ვერე ხმით დაიწყო: დერეფანში ვინლაცაები არიანო. დირექტორი და დანარჩენი მასწავლებელნი მაშინვე წამოვარდენ გამოიტანეს სანთლები, სულ იქაურობა გადააბრუნეს, მაგრამ ვერა

ჩვენი. ბოლოს დაუწყეს მასხარაობა კუზიან მასწავლებელს, შესწამეს მშიშარაობა და ხარხარით გააცილეს დერეფანს იქით.

X თ ა ვ ი.

ღმნაზიის კურს დასრულებულთა კრება. — უფ. ლეკა. მეორე შეთქმულებანი ლეკასი და ღიტოს შიგ გარეკა.

185...წელს იენისის თუთხმეტს მშენიერი დილა გათენდა ქ...სის არე-მარეზე. კაშკაშ სამხრეთის ცაზე ამოგორდა დიდი ცეცხლის ბურთი, რომელმაც შესტყორცა დილის ცვარსოქროს ისრები და მინდვრები ათას ფერად ააბრჭყვიალა. ქ...სის გარემო ბალები გამხიარულე-ბულნი იყვნენ დაფა-ზურნისა და დაირის ცემით. თვითონ მზე თითქოს თანაუგრძნობდა ამ საზოგადოებრივ ღელვას და ძირს ლეკურის დაკვრაზე ის ცაზე დაეღურ საკეთებდა. გაფალარათებული ლოთები ხტოდნენ, ცეკვავდნენ და მზისკენ იწვ-

დენდენ ცხვირსახოცებს თითქოს ლეკურში ევა-
ტიყებიანო. ეს დაუფიწყარნიზაფხულის ბუღბუღ-
ნი თავისებურათ გაჰკიოდენ ბალებში და ამლე-
რებდენ ტკბილ ბაიათებს. მთელი დღე ასე უზ-
რუნველათ ატარებდენ დროს, მაშინ როდესაც
იმათ გვერდით ფუტკრის რაზმები ტკბილათ
უგალობდენ შრომის ლექსებს მრავალ ფერად
შემკულს ბაღის ყვაფილებსა, ჰკრეფდენ წვეწს
და მიჰქონდათ სკებში თაფლის საკეთებლათ.
ისინი თითქოს იმავე ლოთებს არცხვედენ ამ
სიტყვებით: თქვენისთანა ქვეყნის გამალარიბე-
ბელს შექცევას, ჩვენისთანა შრომით შექცევა
სჯობიაო.

იმ მშვენიერს დილაზე მჩქეფარე მდინარის
პირათ სხვაზე უფრო გაბრწყინებული იყო
ერთი ბალი, სადაც მოეგროვებინათ თავი ღემ-
ნაზიაში კურს დასრულებულს მოწაფეებს. იმათ
გაეწყათ გამოთხოვების ლხინი. აქ ისინი უკა-
ნასკნელათ შეგროვებულიყვნენ ერთად პურის
საჭმელათ, და უნდოდათ თუთხმეტის წლის
ჯაერი მოწაფეობისა სულ იმ მჩქეფარე მდინ-

ნარესთვის გაეტანებინათ, რომელსაც თვითონ საქართველოს ზღვა-ცრემლი ძველიდგანვე ამნაირათვე ჰქონდა წადებული.« ოჰ, რა მშვენიერი დილაა! ვინ იტყვას, რომ ამ გამაცოცხლებელს ჰაერში სიკვდილი არ სჯობდეს ყინულ რუსეთში ცხოვრებასა» — ამოოხვრით სთქვა ერთმა შაგირდმა. ის მართლაც მალე ემზადებოდა უნივერსიტეტში წასვლასა. სქელი ჩრდილი მრავალ-გვარი ხეხილებისა და ტკბილი სუნი მინდვრის ყვავილებისა დიდებულიათ ამკობდენ ვერცხლით მოვარაყებულს ბალის ველსა. ამ დროს ბუნების მშვენიერება ქ...ის არე მარისა არც კალმით დაიწერებოდა, არც ენით გამოითქმებოდა. ცეცხლის ბურთმა ლაჟვარდ ცაზე თითქო იგზნო ყმაწვილების გონებითი თავისუფლება და თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ ოქროს სხივებს უმატა. მომღერალნი მოვიდნენ და დუდუკები აატირეს. უნდა შეგეხედნათ ვარდ-ზანბახისათვის, რანაირის სინაზით მოეხარათ თავი. ისინი დრო გამოშვებით ღვრიდენ ძირს დილის ცვარსა წვეთ-წვეთად, თითქოს

სტირიანო ამ ახალ გაზღობის მალე მო-
შორებას. მართლაც ვინ იცოდა, რამ-
დენი მობრუნდებოდა უკან იმ ოთხ ემაწვილში,
რომელნიც რუსეთს ემზადებოდნენ წასასვლე-
ლათ!.. ყვითელს ბაიას ვარდის ბუჩქთან საწყლათ
დაეხარა თავი და თითქოს მწუხარებით კიდევ
უფრო გაყვითლებულიყო: ის უსიტყოთაც ამას
ეუბნებოდა იქაურს არემარეს: ეს შენი შეი-
ლები არც ერთი უკან აღარ მოგივლენო.

«ეგრე, ეგრე, სულ უფრო და უფრო ააკენ-
სეთ დუღუკი — შორიდგან მოატანა მეღათაზუ-
ნებს ლევამ.

— ეჰ, რა დროს კენესაა. ჩვენ ეხლა აგვიყვავდა
ცხოვრებამ, — მიატანა მესამე მოწათემ. — ზურნა ააჭ-
ყვირეთო». მართლაც ცოტასხანს შემდეგ გაჩნ-
და განურებული დაფის ხათქა-ხუთქი. ემაწვი-
ლები რიგრიგათ უვლიდნენ ლეკურს. მშვეც უფრო
იმათკენ იყო, ვიდრე სხვა ბალების ლოთებისკენ,
თუმცა ისინი მუდამ მისკენ იქნევდნენ ბურსეუ-
ლებს: ჩვენსკენ მოდი, ჩვენთან ილხანეო.

ამ მზიარულს გროვას როგორღაც არ ერე-

და ერთი სქელ ბეჭებიანი, შავგვრემანი, კისერმოკლე, თავსხვილი და წარბშეკრული ახალგაზდა, სახით ოცდა ხუთის წლისა. ის იყო იმდროს გულჩახვეული და მოშორებით იჯდა. მუხლებზე იდაყვები და ებჯინა და ხელები ნიკაბ ქვეშ ბოძათ შეეყენებინა. იმის შეჭმუხვნილი სახე კარგს არას მოასწავებდა. რაღაც შავს ფიქრებს შეეპყრო იმის გონება და ნებას არ აძლევდა თავის ამხანაგებთან მხიარულებისას. თუმცა საქმით ისიც იმათში ერია, მაგრამ იმისი სული ჯოჯოხეთის არეზე დაფრინავდა.

— რამ მოგაწყენა ლევა, რატომ არ ერევი ცეკვაში. მოდი, გაშალე დონჯები შენებურათ და დოუარე.

— ლხინის გუნებაზე არაფარ, ერთი ფიქრი მაწევს და სანამ იმას არ ავასრულებ, ჩემი გამხიარულება ეშმაკსაც არ შეუძლია.

— კუზიანის გალახვა?... გინდა, ხელს მე გაგიმართავ. — უთხრა ქრომახთვალემა ამხანაგმა და ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

— არა, ძმაო, შენ ჩემ საქმეში გასარევი

არა ხარ. კუზიანი შენ კიდევ გწყალობდა. ვისაც რა სტკივა, იმის წამალი თვითონ უნდა ეძებოს. ცხრა წელიწადია კუზიანი ჩემ გულს ჩხვლეტდა მოწამლული სიტყვებით. იმისმა პიიტურმა სულელობამ მეხსიერება დამიკარგა და სწავლაზე გულთ წამიხდინა. წიგნისა და საწერ-კალმის დანახვა ჭირივით მეზარება. თუთხმეტი წელიწადი ღემნაზიაში გამოვიკალი თავი და რა ვისწავლე? – სრულად არაფერი. ერთი კვირის მეთი არ გასულა, რაც ეგზემენები გავათავე და ღმერთი გამიწყრეს, ახლა რომ მკითხო, თუ რამე მახსოვდეს. ამას შინ ყო-არ სჯობდა! მეხსიერება მაინც არ წამიხდებოდა. ხელობას რამეს მოვეკიდებოდი და აქამდის ფული შექნებოდა. ღემნაზია გავათავე, მაგრამ, თუ რამე საქმეში შევედი, ისევ ანბანიდგან უნდა დავიწყო. ნეტავი დირექტორიდგან მოკიდებული უკანასკნელს ნაზირატლამდის რაც ღემნაზიაში უფროსები არიან, ყველა ამ მუქში დამიგროვდა, რომ ხელი მოუჭირო და ყველა ერთათ გაესრისო. თუ მე ისინი აღნათ ვინა-

ღელო, ღმერთი გამიწყრეს. მაგრამ მე კუზიანის ჯაგრი მაინც უფრო მჭირს და ღმერთმა ისე ცოცხალი ნუ დამაყენოს, რომ ერთჯერ მაინც არ გავთელო იმის კუზი ჩემი წალის ქუსლებით.

— დაჰკარი ხელი.

«შენთან სიკვდილი, შენთან სიცოცხლე,

შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა...»

მასხარობით შესძახა ჭრომანთვალა ამხანაგმა. ახლა კი წამოდი, ერთი იცეკვე. ადექი, თუ ჩემი ძმობა გწამს, ადექი, ერთი ბთამაზე...

— თავი დამანებე, რა დროს თამაშობაა, ჯერ კბდეც არ გათენებულა.

— ადექი, თუ გინდა, კუზიანის დამტვრევაში მოგეხმარო.

— ჰა, ჰა, — ჩაიციხა და თქვა: მაგ საქმეში მაინცა და მაინც შენი მოხმარება არ მჭირია.

— ღმერთი გამიწყრეს, თუ არ მოგეხმარო... ადექი, ადექი.

— ვინ გეხვეწება.

— ყმაწვილებო, მომეხმარეთ, ლეგა ვათამაშოთ — დაუძახა დანარჩენებს.

ისინი ჭვილ-კვილით შემოესივნენ ლევას, მოჰკიდეს ხელი და მიწაზედაც არ დაუდგმევი-ნებიათ ფეხი, ისე მიიყვანეს სათამაშო წრეზე და ძალაუნებურათ გააშლევინეს ხელები ლეკურისთვის. მთელი დღე ამ შექცევით გაატარეს. საღამოს გაჰკოცნეს ერთმანეთი და დაიშალნენ. ეს იყო იმათი უკანასკნელი ყრილობა. შემდეგ ბედმა აქა-იქით გაფანტა ისინი და აქამდისაც აღარ მოგროვილან.

ლევა დარჩა დედას სამი წლისა. ის იყო ღარიბი ოჯახის შვილი. რომ დედა არა, იქნება ყმაწვილის ოჯახში ცეცხლი მაშინვე გამქრალიყო. დედა მისი ოცი წლის დაქვრივდა. თუმცა ღამაში და ნაზი სახისა არ იყო, მაგრამ რომ შეგეხებდნა, იტყოდნ: აი, კაცური ქალი! სახელმწიფოც რომ მიაბარო, ვგონებ, იმის მოვლაც არაფრათ ემძიბოსო. ის იყო დიდსახიანი! წარბ შეკრული, საროსტანისა და მალალ შუბლიანი ქალი. თავსაკრავი და გერგელგაურჯელა არაფრათ უყვარდა. იმის თავის სამკაულს შეადგენდა თალხი თავსაფარი, რომელსაც ნი-

კაბ ქვეშ მარყუჟათ გამოისკენიდა. ლამაზობის
 მაგიერათ ისეთი მხნე ჰერი ჰქონდა, რომ კაცს
 გულში პატივის ცემის მეტს არას გაავლებინე-
 ბდა. იყო ღვთის მოყვარე და სასოების დედა-
 კაცი, თუმცა წირვა-ლოცვაზე ეგრე ხშირად
 არ დადიოდა. თუ ვინმე ნათესავთაგანი ქმრის
 შერთვაზე ჩამოუარაკებდა, ის აიყვანდა თავის
 პაწაწა ლევას ხელში, ამაყად შეხედავდა მაჭან-
 კალს და მკვახეთ ეტყოდა: აი, ჩემი ნუგეში
 და ჩემი ბოძი ცხოვრებაში. მე სხვა ბოძი არ
 მინდა», ქმრისაგან დარჩა მარტო ერთი ქოხი.
 სტუმრის მისაღებიც ის იყო და სამზარეულოც,
 დარჩაოთხი გლეხი და ოცი დღის მიწა. ეს ქო-
 ნება ერთი შეილის დედამ იმდენად აწარმოვა,
 რომ ოცი წლის შემდეგ იმას ედგა ხუთ ოთა-
 ხიანი ოდა, ქვითკირის პალატითა; ოცი კა-
 ცი რომ სტუმრებოდა, აინუნშიაც არ ჩაიგდე-
 ბდა. «ჩვენ სოფელს ნინოს მადლი იფარავსო»
 ამბობდენ მეზობლები, ერთხელ ორ აზნა-
 ურს იმ სოფელში გზის გატანაზე შე-
 ექნათ დაპარაკი, იმათ ჰქონდათ ერთად საყა-

ნები და შუაში სოფლის გზა გადიოდა. ყოველ წლოვით ამ აზნაურებს უნდა შეერაგვათ გზის პირათ თავის ყანები და გზა კი სამი ქართული ურმის სიგანე უნდა დაეგდოთ უთუოთ. მაგრამ რადგან ამ აზნაურებს ერთმანეთის ჯაფრი სჭირდათ, ამისთვის ხან ერთი დაასწრებდა თავის ყანის გარაგვას და ხან მეორე, ყოველი იმათგანი ამ სისწრაჟით სარგებლობდა, რომ ლობე მეზობლის საყანისკენ გაესწია და ერთი ან ორი მტკაველი მიწა ჩამოეჭრა მეზობლისთვის. მეორე მეზობელი რაკი დახედავდა თავის მოძმის ვერაგობას, აუტენდა ჩხუბს, ლობე ჩემი ყანისკენ რათ გამოგისწეციაო. ამისთანა დავიდარაბამ იმდენზე მიაწია, რომ ერთხელ ორთავე იშველეს თავის მოგვარეები და ბრძოლის ველზე გამოვიდნენ თითოს მხრით ოც-ოცი კაცი კეტებით. შეიქნა საშინელი ყვირილი და ვაიუშველებელდ. მტრები დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამდროს მოისმა ზარსავეთ წმინდა ხმა დედაკაცი-სა. ეს იყო ნინო. ის მორბოდა ძალიან აჩქარებით.

მაჩხუბრებმა რომ კეტები აიღეს ერთმანეთის დასარტყმელათ, იმდროს ნინოც ჩაეარდა მტრებს შუა და დაიკივლა: «დააგდეთ კეტები!» — სტაცა საყელოში ხელი ერთის მხრით მოწინამძღვრეს და გამოაგდო აქეთ: — «თქვენ ცოდვის შეიღებო, რას შობით, ღეთის არ გეშინიაო?.. გააგდეთ კეტები ხელიდგან! ერთ მტკაველ მიწაზე კაცის სისხლს აქცევთ, ღმერთს რას ეუბნებით» ამ ამბავმა მაჩხუბრები გააჩერა.

იმათ ხმა დაიმდაბლეს მაშინვე და ცოტახანს იქით ყველანი დაბრუნდნენ უვნებლათ თავ-თავიანთ სახლში. ნინო ოჯახშიაცდალიან გამრჯელი იყო. როგორც ირაქრაყებდა ხოლმე, ფეხზე იდგა. ყოვლისფერს თავის ზიგს მისცემდა და ბოლოს ან ყანაში, ან ტყეში წავიდოდა და თავს ადგა მუშებს. ლეგა ოცდა ხუთის წლის მოყრილ იყო, რომ დედისგან ხელი არ მოხვედროდა; მაგრამ ისეთი კრძალვა და პატივისცემა ჰქონდა იმისი, რომ შინ ფეხსაც არ გადასდგამდა იმის უსიამოვნოთ. ლეგას უყვარდა

პატარაობისათ წირვაზე სიარული, იმიტომ უფრო, რომ იქ ერთი ძველი ღვთის მშობლისხატი ეკიდა, რომელსაც დედას უძახოდან. ლეგამ ერთხელ კანიკულებში დედას უამბო ყოველივე ქ... სის ცხოვრების ანბავი, ან რა გაჭირებას ითმენდენ ყმაწვილები, ან როგორ ცხოვრებდენ, მოუყვა მასწავლებლების გულფიცხობა კლასში, სწავლის გაჭირებაზე და ასე დააბოლოვა: «დედა შეილობამ, შენ რომ არ მერიდებოდეს, ქ... სს, ვერაფერი დამაყენებს. კუჭი და ტვინი გამიხმა. დედა ჩემო, ეხუმრები ამდენს წვალეზას». ნინომ შუბლში აკოცა თავის შეილს და ასე უთხრა: მაგას შეილო, მოთმინების მეტი არა გეწყობა რა. ხომ იცი შეილო, ერთჯერ არ მითქვამს შენთვის და ორჯერ, რა მდგომარეობაში დაადლო ოჯახი მამა შენმა. სიბერეში, შეილო, შენ უნდა გახდე ჩემი სინათლე. დრო გამოიცვალა. ახლა მდიდარი მარტო ის არის, ვინც ჩინოვნიკია. სანამ შენ სწავლავს დაასრულებდე, მე ვიქნები შენი დარაჯი და როცა ჩინოვნიკი შეიქნები, ჯამაგირს გა-

გიჩენენ, დაგაცოლშიელიანებ, დაგლოცავ და მეჩე გულ დამშვიდებული მეც უნდა შეუდგე ჩემ საქმეს, მონოზნათ მინდა წასვლა.

— არა, დედაშვილობამ, მე შენ მაგის ნება არ მოგცე. შენ თუ მონოზნათ წადი, მე წყალში თავს დევირჩობ. სწავლას კი, რაც უნდა გამიჭირდეს, სარზედაც რომ ჩამომაცვან, სანამ დემნაზიას არ დავასრულებ, არ მოგშორდები, რადგან ეს შენი სურვილია. მარამ იცი, დედავ, ხანდახან ისეთი გაჭირება გვადგია, რომ ყმაწვილები ქურდობით გამოვდივართ.

— უი, უი, რატო სულოს არ ამომამჩრობ ღმერთო! — დაიკრა მუხლზე ხელი ნინომ. — შვილო, რაც უნდა გაგიჭირდეს სხვისი ნურა გინდარა. უნდა იცოდე, შვილო, არმათ ნაშოვარი კაცს არა შერჩებარა. ჩვენ თუ ასე გვიფარავს ღმერთი, ჩვენი ოჯახის საქმე თუ კარგათ მიდის, ეს ამიტომ რომ რაცა გვაქვს, იმას ვაჩიგორგალებ, ვზრდი და ღმერთმა ერთი სიმიდის მარცვალიც სხვისი ნუ შემხრგოს.

— კარგი, დედა, მარამ, ხანდახან კვირა გა-

მოვა, რომ მკადისა და წყლის მეტი არა გვაქ-
რა. მაშინ...

— მოთმენას მოგცემს ღმერთი.

— უნდა გამოგიტყდე, დედავ, ვერ მოვით-
მინეთ და მთელი წელიწადი ნაპარევებითაც
გამოვდივართ:

— უი, უი, უი, ღმერთო სული ამომამძვრე!

— მარამ ნუგეშინია, დედავ. როცა გევიზდე-
ბი, შიმშილითაც რომ მოგკედე, მაინც აღარ
ვიზამ ქურდობას. ახლა რაექნათ, ვერ მოვით-
მინეთ». — ნინომ სიტყვის მაგიერათ ცრემლები
გადმოჰყარა. ჩაიკრა შვილი გულში და მერე
სწრაფლად გაშორდა. ის წავიდა წარბ შეჭმუხგ-
ნული და თავდახრილად თავის ყანისკენ.

ლევა სწავლაში არ იყო დიდი ნიჭიერების ყმა-
წვილი, მაგრამ საკვირველი თავ გამტანი იყო.
თუ კი ერთხელვე რასმე განიზრახავდა, მოკვ-
დებოდა და აასრულებდა. იმას ჰქონდა დედის-
გან ჩაგონებული, რომ უკოლა უნდა დაასრუ-
ლო და ჩინონიკათ გახდეთ. თუმცა მომე-
ტებული ნაწილი იმისა, რასაც ღემნაზია-

ში ასწავლიდენ, არ ესმოდა, მაგრამ მაინც უნდა ესწავლა და ამისთვის სულ მუდამ ზეპირობდა. ასე გაშინჯე ალგებრა და გეომეტრიაც ზეპირათ დაისწავლა. რასაც ღემნაზიაში ითხოვდენ, იმ «ზადაჩებს» ყველას მარდათ გააკეთებდა, თუმცა სრულებით არ ესმოდა, რასაც აკეთებდა. ამისთვის ხშირად იბნეოდა ხოლმე ეგზემენების დროს, მაგრამ ყველა მასწავლებლებს მომჭირნეობის გულისთვის ებრალებოდათ და გადაჰყავდათ შემდეგს კლასებში. ლევამ თავის მეხსიერებას შეუძლებელი შეაძლებინა. ამხანაგები ეძახდენ ლონიერ მოზვერს და მართლაც რასაც მიაწვებოდა, გაუტანელი არ მოუჩრჩებოდა. ის ამხანაგებში ითვლებოდა პირველ ლონიერ კაცად: ორი თავის ტოლი ყმაწვილი მიწაზე გვერდს ვერ დაადებინებდა, რამდენათაც სწავლის ნიჭიერებაში მდუნე გამოდგა, იმდენათ მოხელობაში ხელ მარჯვე იყო. რაც კი კაცის ხელიდგან გამოვიდოდა, ისიც გააკეთებდა. ღურგალი იყო ჩინებული, რვა მოწაფეს საზოგადო-

დო ფაცხაში პატარ-პატარა წიგნების შკაფები სულ იმან დაუკეთა. ალებასტრისგან დაიწყო მშენიერი ბექდების მოჭრა. ბოლოს მიჰყო ხელი გიშრის ჯვრების კეთებას და მეექვსე კლასიდგან დაწყებული ამ ხელობით ირჩენდა თავს. იმ დროდგან ღამით ქურდობას დაანება თვითონაც და ჟვეერიას ყმაწვილებსაც თავი დაანებებინა. იმის მიმხედვარე ამ ყმაწვილებმაც მიჰყვეს ხელი ალებასტრისა და გიშრების ჩიგნას; მერე ამათგან მთელმა ღემნაზიელებმაც გადიღეს ეს მოხელოება, ასე რომ ერთ დროს ძვირათ ნახავდი ისეთს მოწაფეს, რომ ჯიბეში ალებასტრის გამოკოდილი საბექდე არ ჰქონებოდა. ლეგა ყოველ საქმეში მოწაფეების მოთავე იყო, იმათში ყველას ერჩინა დიტო. კურსის შესრულების დროს ლეგა ძალიან გააბრაზა კუზიანმა რუსული ენის მასწავლებელმა. ეგზემენიაში რაც რომ საზეპირო იყო, ყოველივე რიგიანათ მიუგო, მაგრამ რუსის მასწავლებელმა ხრიკი მოუღო: სხვა და სხვა კითხვებით შეაჩერა. ლეგა გაწითლდა, თვა-

ლები თითქოს სისხლით გაეკსო; იმის გულს ცეცხლი მოედო: «ჰაი, შენი სულიო» — გაიშიშინა კბილებში, ბოლოს კუზიანმა უთხრა, რალა ბევრი გელაპარაკოთ, დაბძანდით თხუზულების დასაწერათ: О влияній кочевой и земледѣльской жизни на человѣческій родъ.

— მე თქვენთვის არა ერთხელ მითქვამს — გულ-ამაყათ უპასუხა ლევამ — რომ იმ წესით, როგორც თქვენ გასწავლებიათ ჩვენთვის რუსული ენა, გარდა უაზრო ზეპირობისა, მე არაფრის გაკეთება არ შემძლია.

ამისთანა ამაყმა სიტყვებმა ყველა იქ მყოფი განაკვირა.

«ეგ ჩემი ბრალი არ არის. — მთრთოლვარე ხმით უპასუხა მასწავლებელმა. — კმარა, წაბრძანდით თქვენს ადგილას». ლევამ გამობრუნდა და კბილები გააკრაჭუნა. ამან აქვე გადასწყვიტა გულში კუზიანის ზურგის გასწორება.

20 ივნისს 185... წელს ლამის ცხრა საათზე ერთს ქ. სის ქალაქის ორლობეში მოდიოდა სამი ახალგაზდა. შუაში იდგა მაგარი აგე-

ბულების წვერ-ულვაშიანი მოწიფული ყმაწვი-
ლი და იქით-აქეთ ორი თუთხმეტ-თუთხმეტი
წლის ახალგაზდები ამოდგომოდენ გვერდით,
ესენი ხან მხიარულათ წაითამაშებდნენ, გაიქ-
ცოდენ წინ, კარგა ძალზე მოიტოვებდენ უკან
წვერ-ულვაშიანს ვაჟკაცსა, ხან ისევ დაუბრუნ-
დებოდენ ცეკვით შეეყრებოდენ იმას.

— აბა, ჰე, ლეგა, შენ იცი, რავარც გოუ-
მასპინძლდები ამელამ კუზიანს.

— ჩუმათ — წაუჩუროხულა იმათ ლეგამ. — ხელში
ეჭირა მსხვილი ბლის ჯოხი და ისე გულ და-
მშვიდებით მიდიოდა თავის გზაზე, თითქოს
თავის დღეშია, არ აშფოთებულობდა. ცო-
ტა კიდევ რომ გაიარეს, ერთი გზა-წვრილი შე-
ხვდათ, რომელიც სჭრიდა ამ გზას. ყმაწვილებმა
გადაუხვიეს გზა-წვრილს და შეიძალენ ორ-
ლობეში. იქ ერთი პატარა ჯაგი დახვდათ და
იმის ძირთან გაჩერდნენ.

— რა კარგი ღამეა, ნისლი თან-და-თან ეხვე-
ვა, ერთი ვარსკვლავიც არ კამკამობს ცაზე,
თქვა ლეგამ.

— ეგ კილო უკეთესი. წამოიძახა მხიარულათ, ერთმა იმათგანმა და შეხტა მალლა, პაწაწა ეფეხვის კნუტსავით, რომელიც პირველ გამოსულა სანადიროთ და შორს რომ ჯეი-რანს დაინახავს, გული არ მოუთმენს და სანამ მისაპარებლათ მიწას გაეკვრებოდეს, სამჯერ მაინც შეხტება და მიწაზე კუდს დაჰკრავს.

— დიტო, — უთხრა ლევამ იმ ყმაწვილს, რომელიც ასე მხიარულათ ჰხტოდა. შენ ახლავე უნდა წახვიდე ღემნაზიაში და შეიტყო, იქ რა ამბავია დღეს მასწავლებლებს ჩვენ თაობაზე რჩევა აქვთ. ყოველივე დაწვრილებით უნდა მითხრა, რასაც ჩემზე იტყვიან. დიტოს უნდოდა გახტომა, მაგრამ ლევამ დაიჭირა. დაიცა, სად მირბინარ. იცი საიდგან უნდა შეხვიდე?

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, თუ გიამება ჭერიდგანაც ჩავძვრები.

— შკაფები ხომ იცი.....

— ვიცი, ვიცი, რა დაგემართა? შენ დარდი ნუ გაქვს. მე ვიცი, საიდგანაც უნდა შევიპარო. ამ ლაპარაკზე მეორე ყმაწვილსაც აეშალა

ზაფხრის ქარები. იმანაც აკი მოინდომა დიტოს-
თან წასვლა.

— ლევა, მე აქ რას გავაკეთებ მარტო. იქნებ
ბა მასწავლებლები თერთმეტ საათამდისაც არ
დაიშალონ და მანამდის ამ ყრუ ადგილას ვინ
მოიცდის...

— გადირიე ყმაწვილო—შესძახა ლევამ. ჯერ
ერთიც ძლივს მოახერხებს ისე შეპარვას, რომ
არ შეუტყონ, თვარა ორს რაფა შეგიძლიათ. რას
ამბობ, შეგიტყობენ. სტოროჟი მუდამ დერეფან-
ში ყარაულობს.

— თუ შეგვიტყონ, მომკალი და ის იქნება.
— უთხრა მოუთმენლათ ყმაწვილმა:

— წამოვიდეს, არა უჭირსრა.—უთხრა დი-
ტომ.

— გაუგიათ და ცოცხალი ვეღარ მომი-
ჩები..—დაემუქრა ლევა.

ყმაწვილები დაგეშილ მეძებრებსავეთ გაიქცენ
ამ ბნელს ღამეში. იმათ ჭიშკრიდან მოუარეს
ღემნაზიას, გაეკვრენ კედლებზე და შეიპარენ
დერეფანში.

— ეგ კილო უკეთესი. წამოიძახა მხიარულათ, ერთმა იმათგანმა და შეხტა მალლა, პაწაწა ვეფხვის კნუტსავით, რომელიც პირველ გამოსულა სანადიროთ და შორს რომ ჯეი-რანს დაინახავს, ფული არ მოუთმენს და სანამ მისაპარებლათ მიწას გაეკვრებოდეს, სამჯერ მაინც შეხტება და მიწაზე კუდს დაჰკრავს.

— დიტო, — უთხრა ლევამ იმ ყმაწვილს, რომელიც ასე მხიარულათ ჰხტოდა. შენ ახლავე უნდა წახვიდე ღემნახიაში და შეიტყო, იქ რა ამბავია. დღეს მასწავლებლებს ჩვენ თაობაზე რჩევა აქვთ. ყოველივე დაწვრილებით უნდა მითხრა, რასაც ჩემზე იტყვიან. დიტოს უნდოდა გახტომა, მაგრამ ლევამ დაიჭირა. დაიცა, სად მირბინხარ. ბუცი საიდგან უნდა შეხვიდე.

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, თუ გიამება ჭერიდგანაც ჩაეძვრები.

— შკაფები ხომ იცი.....

— ვიცი, ვიცი, რა დაგემართა? შენ დარდი ნუ გაქვს. მე ვიცი, საიდგანაც უნდა შევიპარო... ამ ლაპარაკზე მეორე ყმაწვილსაც აუშალა

ზაფრის ქარები. იმანაც აკი მოინდომა დიტოს-
თან წასვლა.

— ლევა, შე აქ რას გავაკეთებ მარტო. იქნე-
ბა მასწავლებლები თერთმეტ საათამდისაც არ
დაიშალონ და მანამდის ამ ყრუ ადგილას ვინ
მოიციდის...

— გადირიე ყმაწვილო—შესძახა ლევამ. ჯერ
ერთიც ძლივს მოახერხებს ისე შეპარვას, რომ
არ შეუტყონ, თვარა ორს რაღა შეგიძლიათ. რას
ამბობ, შეგიტყობენ. სტოროჟი მუდამ დერეფან-
ში ყარაულობს.

— თუ შეგვიტყონ, მომკალი და ის იქნება,
— უთხრა მოუთმენლათ ყმაწვილმა:

— წამოვიდეს, არა უჭირსრა.—უთხრა დი-
ტომ.

— გაუგიათ და ცოცხალი ვეღარ მომი-
ჩები..—დაემუქრა ლევა.

ყმაწვილები დაგეშილ მცებრებსავით გაიქცენ
ამ ბნელს ღამეში. იმათ ჭიშკრიდან მოუარეს
ღემნაზიას, გაეკვრენ კედლებზე და შეიპარენ
დერეფანში..

მასწავლებლების დასასვენებელს ოთახში, ზალის შესავალ კარებთან იდგა ორი დიდი განჯინა (შკაფი) ირიბათ. იმათსა და ზალის კარებს შუა იყო ვიწრო ალაგი დარჩენილი, სადაც შეეძლო სამ კაცს თავის შეფარება და ყურის გდება ყოვლის ფრისა, რაც ზალაში მოხდებოდა. ვერც ზალაში მიმავალნი და ვერც გამომავალნი იქ ჩასაფრებულს ყმაწვილებს ვერ დაინახავდენ...

თერთმეტი საათი თითქმის გასული იყო, რომ ლევას მოესმა შტვენა. ის უცბათ წამოვარდა ჯაგიდგან. ჩამოირბინა გზა წვრილი და შარა გზაზე შეეგება თავის მოციქულებს.

— მოდის... — ქშენით თქვა დიტომ. — შენზე კუზიანმა ბევრი ცუდი ილაპარაკა... გადასწყვიტეს, ლევას ატტესტატს ნუ მივცემთო...

— ბარაქალა. ხომ არავის შეუტყვია თქვენი იქ ყოფნა...

— არა, მარამ კუზიანი რომ გამოვიდა ზალიდგან, ჩვენ უცბათ გამოვხტით და გვერდზე გაუქროლეთ. დერეფანში იმის ხმა მოგვესმა:

КТО ТАМЬ?. როგორც ეტყობა, ძალიან შეე-
შინდა. ჩვენ კი მოვეკურცხლეთ.

— ვაი, თუ ვინმე წამოიყოლოს.

— შეიძლება—უთხრა დიტომ.

აბა, თქვენ ბუჩქში შეიმაღეთ; მე აქ დავდგე-
ბი, თუ მეორე ვინმე შევნიშნე, დაგიშტვენთ
და მე რომ კუზიანი ჩევიგდო ხელში, თქვენ იმას
ეცით. ყვირილი არ მოასწროს, თვარა ჩვენც
საქმე წახდება, აბზოდები დადიან.

ამ დროს მოისმა ბაკაბუკი შარა-გზაზე. ლე-
გამ გაუშტერა ყური და თქვა: ერთია, მაღლო-
ბა ღმერთს.....

ფეხის ბაკაბუკის ხმა თანდა-თან ახლოვდე-
ბოდა. გამოჩნდა გძელ შლაპიანი მოკუნტული
კაცი, რომელიც ჯოხს მოიბიჯებდა და მოდი-
ოდა. გზა წერილს რომ გაცილდა, იმან
იგრძნო თითქოს ცა დაენგრა თავზეო,
შლაპა უცბათ ჩამოეფხატა სახეზე, ის წა-
იქცა და თითქოს სიზმარში ჰგრძნობდა, რომ
იმის ზურგზე რქიანი ეშმაკები ყირამალას
თამაშობდნენ. ერთხანს ისმოდა მარტო ყრუ კენე-

სერგ მერვე ისიც ჩაჩუმდა. ლევამ ცემით რომ გული იჯერა, ყური პირზე დაადგა, თითქოს უნდოდა შეეტყო კიდევ სულს იღებს, თუ არაო...

— კარგი, თავი დაანებეთ: ღმერთი არ გაუწყრეს, ფეხები არ გაჭიმოს, უთხრა ყმაწვილებს ლევამ. შემდეგ გასწიეს ორლობისკენ და მეორე გზით თორმეტი საათი იყო, რომ შინ მოვიდნენ ჭვერიის ყმაწვილების ფაცხაში.

ირაქრაყზე კუხიანი რუსული ენის მასწავლებელი გზაზე გაიშმუშენა, თვალები გამოაჭყიტა და საშინლათ ეოცა: აქ სადავარო! ეს რა დამმართნიაო! მერვე წამოიხწია და ზეზე რომ წამოდგა, მაშინ იგრძნო, რაც დამრთნოდა. ტანში ისე იყო დამტვრეული, რომ ფეხებსა და ხელებს ძლივს ხმარობდა. შლიაპა ათას ნაირათ ჰქონდა დაქყლექილი, სათვალეები დამტვრეოდა და ნახევარ-ნახევარი იქით-აქეთ საყურეებივით ჰქონდა ჩამოკიდებული. პალტო ისე ჰქონდა ამოგანგლული მტვერში, რომ ეინც შეხედავდა, ყველა იკითხავდა, ამ ჯორს რომელ სანებევეზე უკოტრიალებიაო?...

შინ რომ მივიდა მძაფრის ხმით დაიძახა:—ივან, ივან!... ასე ერქვა იმის ბიჭს. ივანე საჩქაროთ წამოვარდა ლოგინიდან, გააღო კარი და საშინლათ ეოცა, ცხვირ-პირ დამტვრეული ბატონი რომ დაინახა. კუზიანს ცხვირზე სამი წყება ტყავი ჰქონდა გადაძრობილი.

— Ну что, я избить?..

— Избить, ваше благородіе.

— Ахъ, ты мерзавецъ! А ты гдѣ былъ?..

— Здѣсь, ваше благородіе.

— Пошелъ вонъ... ივანე გაბრუნდა. Стой, мерзавецъ... приведи доктора.

— Сейчасъ, баришь.

Стой, подлець!... не надо... Сними съ меня платье. ამ სიტყვებზე ის შევიდა თავის ოთახში. ბიჭი თან შეჰყვა და დაუწყო მოვლა თავის ბატონს. მეორე, მესამე დღეს ღემნაზიაში გავარდა ხმა, რომ კუზიანი დაუბეგვიათო. უფროსმა დანიშნა გამოძიება, ბევრს ეწვალენ, მაგრამ ნამდვილი ვერა შეიტყვეს რა. ეჭვი ჰქონდათ ლეგაზე, მაგრამ ის იმდროს შორს იყო.

კრებული

კუზიანის გალახვას დიდი გავლენა ჰქონდა ქ...სის ღემნაზიაზე. სექტემბერში 186... წელს შესდგა განკარგულება პირველ კლასში ათის წლისაზე უხნესი აღარ უნდა მიიღონო და მეხუთე კლასიდგან დაწყებული ქვემოთ კლასებში ვინც თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილები იყო, ყველა გამოყარეს.

ლეგას შინ წასვლა დიტოსაფით არავის სწყენია. ცოტა ხანს შემდეგ ის დედის თხოვნით შევიდა უეზდის სამწერლოში, მაგრამ იქ ნახევარი წელიწადიც არ მოუცდია. იქაურმა გარემოებამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება გაუღვიძა გულში. ამან კიდევ უფრო შეაძულა თავის უჩინიკობა და ასე ლაპარაკობდა: ღემნაზიაში კი არ გვწვრთნიან, უფრო გვახდენენო.

— ოჰ, დედა, რაც სისაძაგლე მე უეზდის კანცელარიაში ვნახე, ენით ვერ გამოვთქვამ. გლეხს და სოფლის აზნაურს სტოლონაჩალონიკის ნახვა რომ უნდოდეს და მწერალოთან მივიდეს, ქირას სთხოვს. ის კი არა კაპეიკობით იღებენ ქრთამს, ერთი გლეხი მოვიდა, არცა

მიეცა თაუის ბატონის უსამართლოებაზე, და უნდა შეეტყო, გასჭრა თუ არა ჩემმა არძამო. სასამართლოს კიბეზე მწერალი დახვდა, გეიტყუა მეორე ოთახში და უთხრა: ხუთი მანეთი მომიტანე, თვარა დეილუპები. უეზდის ნაჩანიკმა ხემწიფესთან მიიწერა ესა დ ეს გლეხი შფოთიანიარ და ციმბირს გადასახლეთო. ამისთანა სიტყვებით ისე შეაშინა საწყალი, რომ ერთ მოვაჭრეს ძროხა მისცა, ხუთი მანეთი გამოართვა და მიუტანა მწერალს. ამისთანა ავაზაკობას და ქურდობას არ შევსწრებრვარ.

— უი, უი... წახდა ქვეყანა, სამართალი დეიკარგა— ამოიკენესა და დაიკრა მუხლზე ხელი ნინომ.

— თუ ჩემი დაკარგვა არ გინდა— დედა, ნულა მეტყვი მწერლათ წასვლას. მე უეზდის კანცელარიაში ველარ წავალ.

— შენი ნებაა, შეილო, ალბათ ღმერთს არ ნდომებია შენი ჩინონიკობა. ამ სიტყვებზე ნინომ ცრემლები გადმოყარა. იმან ერთი საშინლათ ამოიხენეშა და სხვა აღარა თქვა რა. მაგრამ ყველა შეატყობდა იმის მწუხარე სახე

რასაც ამბობდა: რა ღმერთი გამიწყრა, თუთხმეტი წელიწადი ჩემ შვილს რათ დავაკარგვინე. ამდენი ხანი რომ ლეგა შინ მყოლიდა, ოჯახი ერთი ორათ მექნებოდაო.

გ. — თელი.

(შემდეგი იქნება)

ძველი მკრიხი

მაშა ზაზათგან მსკედრათ შემსგდა მკრიხი ძველი;
მკრიხო ძველო აბა მითხარ, შენგან რას გელი?
სალა ფრიალო, უნაყოფო სარ აღმართული,
მწვანე მდელოთი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული.
შენს სალა-გაკრდზედ ვერ გავსვლებ გუთნითა გვალსა,
წყარო მცინარით არ ასარებ ზატრახნის თვალსა;
გავს არ ასარებ, რომ რთველითა გული ვისარო,
რომ შენის ღვინით გულს ჭმუნვა, სეგდა ვიქარო.
დარღვეულს გზასედ შენსედასკლას გაციძლივს ჰბედავს.
მაშა ღვთის თვალსა შენსედ მადლით არ მოუსედავს,
მაშა, მკრიხო, არა რისთვის არა სარ სარგი,
რათ მინდინარ მაშ, თუ ჩემთვისა არა სარ მარგი.
მკრამეგცინე, შენს ვრცელ ქედზედ მორტყეული გარე,
მკრამ ეგ გოშენი, ეგ ტაძარნი და მამათ არე,
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,
ჩემთ მაშა-ზაზათ ისტორიის წმინდა რკუეუნი?
მოგესალმებით მაშა ზაზინს მაგარსადგურო,

დიდ ხანს ვერ გნასე და აწ მინდა დიდ ხანს გიუერო.
 მოგესალმებით დიდთ ნანგრევთა ჰატრონი თქვენი,
 დიდის შენობის რეგორც თქვენს საბრალს სჩენი.
 ვდგევარ თქვენ წინა თავმოსწილი, თუქრით მოცული,
 ვდგევარ და თუქრში მინსლდება, რაც არს წარსული.
 მაგრამ რისთვისა და რათ მინდა მის მოგონება?
 რაც რამე ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,
 რაც თუქრს აწუსებს, გულისაგნებს და სულსა სტანჯავს,
 რაც რამე მდიდრულსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს.
 გაჭქერი, მაგრისო, და დანთქე უფსკრულსა შინა,
 ჩემ სტანჯავათ რამე არ მიდგე ჩემ თვალთა წინა.

კ. მ.

1866 წ.

წყლებზე.

უქში ტუტისტის მოთხრობა.

I

როდესაც ვენაში მოვედი, საშინელი ცხელი ზაფხული იდგა. დიდხანს იქ დარჩენა მე არ შემეძლო დიდი სიცხეების გამო, და უნებლიეთ უნდა წავსულიყავ საღმე. მოვაგროვე ჩემი ბარგი-ბარხანა, გავწიე ვაგზალისკენ და არ ვიცოდი კი სად მივდიოდი, რადგანაც საქმე არა მქონდარა და დავდიოდი ისე უგანზრახოთ. მე მზათ ვიყავ ჩავმჯდარვიყავი ვაგონში, როგორც პათივცემული რეპეტილოვი, და მეთქვა «წამიყვანეთ საღმე»; მაგრამ დიდხანს ფიქრი არ შეიძლებოდა და უნდა გადამეწყვიტა სად წავსულიყავი.—შევხედე ერთს ქალაღდს, რომელზედაც დანიშნული იყო, რა დროს სად მიდის რკინის გზა და პირველათვე ამოვიკითხე.ქ. ემსი, სადაც გადაწყვეტით დავაპირე წასვლა. ერთის დღისა

და ლამის დამლალაფი მოგზაურობის შემდეგ, აუცილებელის ბარგის გაშინჯვით ყოველ ტამოქნაში, ვაგონების აქა-იქა გამოცვლით, სალამოთი ჩვენ მივუახლოვდით კობლენციდამ ემსა. ოჰ! როგორ ვიწრო, დაყრუებულ და ჩავარდნილ ხეობათ მეჩვენა მე ემსის გარემო ადგილები, როდესაც გამოვყავი თავი ვაგონი-დამ; მე ჩემს ფიქრში მაშინვე გადავწყვიტე მე-ორეს დღესვე წასვლა აქედან. ჩამოვხტი ერთს სასტუმროში, იქვე ვაგზალთან, გამოვიცვალე ტანისამოსი და გამოვედი ქალაქის გასაშინჯა-ვით. რაწამსაც შევდექი ხილზე, რომელიც გადაყვანილია მდინარე ლანზე, რომელიც ჩამო-დის შუა ქალაქში, მაშინვე გამოაცა ადგილის მდებარეობის სიმშვენიერემ.—რა წმინდა, მშვე-ნიერი ქალაქია! ასე როგორ მოვსტყუე-დი? ემსი მდებარეობს ხეობაში, შემდგარი ორი ჰატარა გორებისგან, რომელთ შუა მომდინა-რეობს მდინარე ლანა, ცალი ტოტი რეინისა ამ მდინარის ორივე მხარეზე აშენებულია კარ-გა დიდი წმინდათ შენახული სახლები. აქა იქა,

განმარტოვებული, დაჩეხი მარცხენა ნაპირზე შემკული მშენიერის მწვანით. გორის წვერზე მშენიერათ სჩანს გამოკიდებული ფიცარი, რომელზედაც თეთრათ აწერია: «Café restaurant» მე ჩამოვჯეგ ბაღში ახალ კურზალთან *) და თვალ ვადევნებდი მოსეირნებს. იმ დღეს ხალხი ძალიან ცოტა იყო, რადგანაც კვირა დღე იყო. და ამ დღეს მომატებული ნაწილი ემსის სტუმრებისა მიდიან სასეირნოთ გარემო ადგილებში, ნასსაუში, კობლენცში, შვალბაღში და სხვაგან. თუმცა ხალხი ბევრი არ იყო, არც რუტელტკას თამაშობდნენ, და კურზალიც ცარიელი იყო, მე მაინც შეურიგდი ემსსა და გადავწყვიტე აქ დარჩენა, ზიდრე მამწყინდებოდა. ძილი რომ მომერია, ვკითხე კელნერს, (***) რა დროს დგებიან აქა-მეთქი და მიპასუხა, რომ «ძალიან გვიანა დგებიან, დილის ექვს საათზედაო.» ჩემთვის ეს ნემეცური «გვიან» ძალიან ადრე იყო; მაგრამ

*) კურზალი-ზაღა წელის სასმელი.

**) კელნერი—მოსამსახურე სასტუმროში.

და ლამის დამლალავი მოგზაურობის შემდეგ, აუცილებელის ბარგის გაშინჯვით ყოველ ტამოქნაში, ვაგონების აქა-იქა გამოცვლით, სალამოთი ჩვენ მივუახლოვდით კობლენციდამ ემსსა. ოჰ! როგორ ვიწრო, დაყრუებულ და ჩავარდნილ ხეობათ მეჩვენა მე ემსის გარემო ადგილები, როდესაც გამოვყავი თავი ვაგონი-დამ; მე ჩემს ფიქრში მაშინვე გადავწყვიტე მეორეს დღესვე წასვლა აქედან. ჩამოვხტი ერთს სასტუმროში, იქვე ვაგზალთან, გამოვიცვალე ტანისამოსი და გამოვედი ქალაქის გასაშინჯავათ. რაწამსაც შევდექი ხიდზე, რომელიც გადაყვანილია მდინარე ლანზე, რომელიც ჩამოდის შუა ქალაქში, მაშინვე გამაოცა ადგილის მღებარეობის სიმშვენიერემ.—რა წმინდა, მშვენიერი ქალაქია! ასე როგორ მოვსტყუვდი? ემსი მღებარეობს ხეობაში, შემდგარი ორი პატარა გორებისგან, რომელთ შუა მომდინარეობს მდინარე ლანა, ცალი ტოტი რეინისა. ამ მდინარის ორივე მხარეზე აშენებულია კარგადილი წმინდათ შენახული სახლები. აქა იქა,

განმარტოვებული, დაჩეხი მარცხენა ნაპირზე შემკული მშენიერის მწვანით. გორის წვერზე მშენიერათ სჩანს გამოკიდებული ფიტარი, რომელზედაც თეთრათ აწერია: «Café restaurant» მე ჩამოგჯევ ბაღში ახალ კურხალთან *) და თკალ ვადვენებდი მოსეირნებს. იმ დღეს ხალხი ძალიან ცოტა იყო, რადგანაც კვირა დღე იყო. და ამ დღეს მომატებული ნაწილი ემსის სტუმრებისა მიდიან სასეიროთ გარემო ადგილებში, ნასსაუში, კობლენცში, შვალბაღში და სხვაგან. თუმცა ხალხი ბევრი არ იყო, არც რულეტკას თამაშობდნენ, და კურხალიც ცარიელი იყო, მე მაინც შეურიგდი ემსსა და გადავწყვიტე აქ დარჩენა, ვიდრე მამწყინდებოდა. ძილი რომ მომერია, ვკითხე კელნერს, (***) რა დროს დგებიან აქა-მეთქი და მიპასუხა, რომ «ძალიან გვიანა დგებიან, დილის ექვს საათზედაო.» ჩემთვის ეს ნემეცური «გვიან» ძალიან ადრე იყო; მაგრამ

*) კურხალი-ზალა წელის სსსმელი.

**) კელნერი—მოსამსახურე სსსტუმრადში.

რალს ვიზამდი და დავიძინე იმ აზრით რომ ხვალ ადრე ავმდგარეიყავ, და წავსულიყავ კურხალში, რომ მენახა, წყალს როგორა სმენ და შემდეგ მექირაენა ჩემთვის ოთახი.

II

მეორე დღეს, მზე ის იყო მოჩანდა გორების გადაღმა, როდესაც მე გამოვდიოდი სასტუმროდგან. მშვენიერი ზაფხულის დილა იყო. გორების წვერზე იდგა ბურუსი, რომელიც მზის ამოსვლისათანავე მწრაფლად ჰქრებოდა. როგორათაც კარგათ ვგროძობდი ჩემს თავს წმინდა მთის ჰაერისაგან. მდინარე ღანა, წვრილ ლენტსავთ, ჰქრებოდა დაშორებულ ბურუსში, და მზის, ოქროს მგზავსი სხივები, სახლები, აშენებულნი მდინარეს პირებზე, მოჩანდნენ მის წმინდა სარკის მზგავს ზედაპირზე. შორიღამ, მოისმოდა ხმა ძველი ნემეცურის გიმნისა, როგორ მელსაც უკრავდა ორკესტრი. რალაც მშვენიერი და სასიამოვნო სიჩუმე, სუფევდაროდლის ნახვამზოლოდ გერმანიაში შეიძლება.

კურხალთან, დასეირნობდნენ მშვენიერ-
 რათ მოკირწყლოულ ადგილზე ავათმყოფნი,
 ანუ პირნი, რომელთაც თავის თავი ავათა
 ჰგონიათ, აუცილებელის სტაქნებით ხელში-
 მეც ჩემი სინიღისის დასამშვიდებლათ მოვი-
 ნდომე წამლობა. ჟანდარმს ვკითხე ადრე-
 სი უკეთესის ექიმისა, რომელიც, როგორც
 გამოჩნდა, იქვე გასტინიცაში მდგარიყო. —
 მაშინვე გავწიე ექიმთან რჩევის საკითხა
 ვათ. რა დავარახუნე კარები, შემომესმა
 «herein» და შევედი კაბინეტში მე მეგონა,
 რომ ვნახავდი მშვენიერათ მორთულს ოთახს
 ხალიჩებით, სურათებით, ყვავილებით და სხ.
 ექიმების მოწყობილებით, ურომლისოთ რუსეთ-
 ში ვერა ექიმი ვერ გასძლებს. მაგრამ, მე დი-
 ღათ შევეციდი. ოთახში იდგა სტოლი, დივანი,
 და რაოდენიმე ჩალის სკამები, თითქო სტუდენტ-
 ტის ოთახიაო. — გავაცანი ექიმს ჩემი თავი და
 ვუთხარ, რომ ყელის ტკივილები მაქვს-მეთქი, —
 დიდის გულმოდგინებით გამშინჯა, და მითხრა,
 რომ ეგ სნეულება სახუმარი არ არისო, და

შეიძლება ყელის სიჭლექით გადაგექცეთო, და მირჩია «Kesselbrünnen» ის წყლით გამორეცხა ყელისა. მაშინვევიყიდე კრუჟკა, რომლის ყური მზრუნველობის მოყვარემ ნემეცის ქალმა, რომელსაც წყალი მოაქვს ავათმოფებთან, შეახვია წითელის ძაფით, სხვა კრუჟკებში გამოსარჩევათ, თუმცა სწორეთ ამგვარათ შეხვეული სხვა კრუჟკებიც ბევრი ვნახე. მაგრამ არც ერთხელ ეს ქალი არ შემცდარა, ყველასთან მიჰქონდა თავ-თავისი კრუჟკა, თუმცა იმასთან ათასზე მეტი კაცი დადიოდა წყალის სასმელათ. გავიღე რა გემო წყლისა, რომელიც ძალიან უგემური მეჩვენა, მე გავსწიე საუზმის საქმელათ და შემდეგ წაველი ოთახების სანახავათ. დავიარე ყოველი ცარიელი სახლები და ვიქირავე ერთი ოთახი მესამე ეტაჟაში მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ჩემის ოთახის ფანჯარიდამ მოჩანდნენ გორები და უპირველესი ნაწილი ქალაქისა.

ორ დღეში მე სრულებით შევეჩვიე ემსსა, გადაუხადე ხარკი რულებტკას და Trente et qu-

arante-სა *) დაეიარე გარემო ადგილები, ყველა გადავათვარიელ-გადმოვათვარიელე, მაგრამ როგორღაც მალე მწყინდებოდა. ფრანკუზები თითქმის არ იყვნენ და ნემენცების გაცნობა მე არ მინდოდა, რადგანაც ნემეცური უნა მე არ ვიცოდი. ფიქრში გამივლვა მუხანათურ აზრმა, ემსის დატოვებისამ, ამდროს აკი გარემოებანი გამოიცვალნენ, და მე დავრჩი, იქ კარგა ხანი.

III

ერთს საღამოს როგორღაც მწუხარებამ აღმიტაცა. შევედი სათამაშო ზალაში, ჩვეულებრივი ნაცნობი სურათი დამხვდა: სტოლებთან მოგროვილან მოთამაშენი, ისმის ჩხარა-ჩხური ვერცხლის ფულისა შეუცვლელი სიტყვები კრუპიებისა. **) faites vos jeux m-rs, le jeu est fait mrs; riens nevas plus, გაფითრებულნი, დაგბელებული სახეებით ღოთი მოთამაშენი, რუსის

*) რულეტკა და trente et quarante, თამაშობა არის.

**) კრუპი-კატი რომელიც რულეტკას ათამაშებს.

ქალები მდიდრულათ ჩაცმულნი და ფერჩატკე-
ბიანი ხელებით მჭერალნი ოქროს rauleau *) ებისა,
მოუშორებლივ აყუდებული საძაგელი მოხუცე-
ბული დედაკაცი რულეტკასთან, რომელიც და-
მშეულის თვალებით შესცქერის ნიჩბით დახვე-
ტილს, ვერცხლის და ოქროს გროვას, დასას-
რულ რუსის ჭაბუკი, კონტათ ჩაცმული, მუნ-
დირს შეჩვეული, რომელიც სამოქალაქო ტანი-
სამოსში შევიწროებულათ გრძნობს თავის თავს,
და გულგრილათ ისერის ასობით და ათასობით
ოქროს-ყოველი ამა სურათის ნახვა, ჩემთვის პირ-
ველი არ იყო და ძალიან კარგათაც ვიყავი შეჩვე-
ული. ნელა-ნელა გავიარ-გამოვიარე ზალაში,
უნებლიეთ ამოვიღე ტალერი, ჯიბიდან, მივედი
რულეტკასთან, და დავაგდე წითელზე. კრუპი-
ემ დაატრიალა მაშინა, და დაიძახა: 12, paire
rouge, manque! გადმომიგდეს ტალერი **) და გა-
დავწედი ხელით, რომ ამელო. ამდროს უეც-
რათ, ვიღამაც უკანიდამ ხელი მამკიდა და რუ-

*) რულო ქალაქში გახვეული ოქროს ფული.

**) ტალერი გერმანიის ფული 1 მან, და 25 კაპ.

სულათ მითხრა: ა! აი თქვენ რითი ატარებთ დროს! მივიხედე და კინალამ დაიყვირე სიხარულის გამო, — ეს იყო ჩემი საყვარელი პროფესორი — იაგნიცკი.

— კანსტანტინ პეტროვიჩ! საიღამ, როგორ? რა რიგათ დამავალეთ!

— აი, მოვედი, შესატყობლათ, რა ამბებია ემსში, მიპასუხა იმან, ექიმებმა მიჩიეს კისსინგენში წასვლა და მე კი აქ მოვედი; მაგრამ სულ ერთია, აქაურ წყალსაც კარგათ დავლევ.

— რას ამბობთ? როგორ შეიძლება! კისსინგენის და ემსის წყლები სულ სხვა და სხვაა, აქაურმა წყლებმა შეიძლება გაწყინოთ.

— რას ლაპარაკობთ, მაწყინოს კი არა! ვითომ სულ ერთი არა რის? წყლები ხომ არა შემწეობას არ აძლევენ, ეგ მოტყუებაა, ილლუზიაა, ნემეცური ეშმაკობა, რომ ჩვენისთანა პირებს, ფულები გამოსტყუონ, სხვა არაფერი.

— როგორ, ურწმუნო ყოფილხართ, თქვენ. ნუ თუ მართლა არა გჯერათ წყლების მკურნალობა?

— ღმერთს გეფიცებით არა მჯერა! ან რა წყლებია მაგისტანა? აი, მაგალითად, თუნდ ვისბადენი! განა იქ მინელარული წყლებია? მე ვიჭენეულობ, რომ ნემოცები ხომ არას ეშმაკობენ, და ქალაქზე მოშორებით ხომ არ ათბობენ სადმე წყალს, და ვინიცის რას არა ჰყრიან შიგ! განა წყალი შველის რასმეს? არა, შველის საკუთრად ცხოვრება და აი, ეს წმინდა ჰაერი, და ეს მშვენიერი გარემო ადგილები.

ჩვენ მივდიოდით მდინარის პირის ხეივანზე, კონსტანტინ პეტროვიჩმა აქო სალამოს, წმინდა და ცოტათი ნოტიო ჰაერი და დაიწყო მით სუნთქვა.

— რა მშვენიერი სანახავია! სთქვა იმან და გადახედა ბალებს, მთებს, და საზაფხულო სახლებს, რა მშვენიერი სალამოა. ამაზედ უკეთესი რაღა შეიძლება? მაგრამ კაცი ყოველთვის უმადურია, მე მომაგონდა ეხლა ლერმონტოვის ლექსები:

Чего онъ ищетъ? Небо ясно,
Подъ небомъ много мѣста всѣмъ,

Но безпрестанно и напрасно
Одинъ враждуетъ онъ ... Значѣнь?

— მართლა და რაღას ემდურება? აი მაგალითად თუნდა ნემსები. ღმერთმა მისცა იმათ ამისთანა ბუნება, და მაინც კიდევ უკმაყოფილონი არიან, კიდევ მეტი უნდათ, და იბრძვიან, დაუმატა მან გაჯაგრებულმა. როდესაც მიიხედ-მოიხედავ გარშემო გაგრილებულის გულით, იტყვი, რომ რისთვის არის, მართლა, ყოველი ეს ბრძოლა? ნეტავი ცხოვრებისათვის მაინც იყვეს, თუ არა და ერთი რაღაც პიროვნების შეურაცხყოფისათვის; განა პოლიტიკაში შეურაცხყოფას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რამე? შეურაცხ-ყოფა! ამისთანა პირობითი სიტყვა და ხალხი კი ამისთვის ათი ათასობით იბრძობა. აი, ჩვენ, მომაკვდავს ხალხს, ვერ გაგვიგია იმათი დიპლომატიური ბრძოლა ყველას თავ-თავისი უჭირავს. ევროპა დიდი ხანია გამიჯნულია, მაშასადამე საერთო მფლობელობა არსად არის, როგორც ჩვენს მებატონეებში, მაშ იყავ შენთვის, იცოცხლე

სიამოვნებით, იკმაყოფილე, მაგრამ არა, უნდა აჩვენო თვისი ყოვლად უემძლებელი ძალა, გასუქდნენ, და რაკი გასუქდნენ, უნდა გაინძრენ კიდეც, და მოჰყვებიან ერთმანეთის ჭლექას. ნეტავი მუშტით მაინც ჩხუბობდნენ, მიტრალიოზებით ლაზღანდარობენ! ყველა ესე სასაცილო იქმნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყეს! ღმერთო როდის გადაეარდება ომი!

ჩვენ ცოტაოდენი გავიარ-გამოვიარეთ ჩუმათ.

— რა მანილოვის ფანტაზიებში წავედი მე, სთქვა დაფიქრებით კონსტ. პეტრ. საიდან დამეცა ეს პოეტური ძალა? რა კარგი რამ არის ეს პოეზია! რამდენი კაცია, რომ ყოველი მისი სიმშვენიერე ეუცხოვება.

ამ დროს მოისმა ლოკომოტივის შტვენა.

— ეხლა ჩვენ პოეზიაზე ვბაასობთ, და აბა ახლა პროზა დაინახეთ, და კონსტ. პეტრ. დამანახვა მომავალი პოეზდი. ვაგონებით მოდიოდნენ ჭრანციიდან ჯარი გამარჯვებული, ყვირილით «ურა» სიმღერით და მუზიკით. ვაგონები უემკული იყო მწვანით, ყვა-

ვილებით ზედ წარწერით. Willkommen täpfere kriegeri ხალხმა დაინახა ეს ვაგონები და დაიწყო ყვირილი «ურა» და ხელცახოცების ქნევა.

— თაყვანისცემა ტლანქრა ძაღლისა! ესეც თავის და გვართ პოეზია არის, მაგრამ პოეზია მონებისა. წავიდეთ ჩქარა აქედან, დაუმატა აჩქარებით, როგორღაც სამწუხაროა ჩემთვის ამათი ნახვა.

ჩვენ გადავედით მეორე მხარეს და დაჩუმებული მივდიოდით. თითქო გულზედ მძიმე ტვირთი დაგვადეს რამეო. უკანასკნელ ჯერ თითქმის დაუსრულებელი ომი, წარმოგვიდგა ჩვენ თვალწინ. თავ ჩალუნულნი მივდიოდით, ხმის ამოღებისა გვეშინოდა, თითქო მცხედარს მივზღვედით. ჩვენკენ მოაგორებდა კრესლით სალდათი ერთ ყმაწვილ კაცს, დაჭრილს აჭიცერს, რკინის ჯვარით გულზედ. სახე მისი იყო კვდარსავით გაყვითლებული, ყბებ ჩაცვიფნული, თავი ხელსახოცით შეხვეული და ჩაღრმავებულ ორმოცდამ ძლივსლა მონათლა თვალები. აჭიცერს გაყვითლებულ, ძვლად გადაქცეულის ხელით

გვირა ხელსახოცი, და ამასთანავე სცდილობდა წმინდგომას და დაძახებას, თითქმის წამოდგა ვიდრე მაგრამ უცებ უღალატა ძალამ და მძიმეთ, ოხვრებით დაეშვა კრესლაში. ამ დროს უკანიდამ გამოხტა ყმაწვილი, ათი წლისა, ჩაცმული უღანის მუნდირში, ამოდებულის ხმალით ხელში და ყვირილით «ურა» გაიქცა ვაგონებისკენ, და შემდეგ კიდევ დიდხანს ისმოდა ზალის ბოლოზე იმისი წვრილი, წმინდა სასიამოვნო ყმაწვილოური ხმა...

IV.

მეორე დღეს მე ისევ მეძინა, როდესაც იაგნიცკი შემოვიდა ჩემს ოთახში. ძალიან ადრე იყო.

— რა დროს ძილია, მხიარულათ დამიძახა, ადვილთ, შეხედეთ, რა ბუნებაა, რა ჰაერია!

კონსტანტინ პეტროვიჩმა გააღო ფანჯარა, წმინდა სუნნელოვანმა ჰაერმა შემოჰკრა პირზე.

— სწორეთ მიწიერი სამოთხეა! ეს ემსი სწორეთ ელექტროპოეტური მაშინა არის, თავი-

დამ ფეხებამდინ პოეზიით გამავსო. მაგრამ, ეს ხომ ჩემი ხელობაა. აი, აქ უნდა გადმოვიყვანოთ ჩემი ბურუსიანის ჩრდილოეთის მსმენელი, რომ მიხვდნენ სრული პოეზიის და ამ პოეტური დილის მნიშვნელობას.

აქ იაგნიცკიმ წარმოასთქვა პუშკინის ლექსი «მეთევზეები» სახელობრ «გათენება». ძალიან კარგათ კითხულობდა ლექსებს წმინდა გულის ხმა, მაღალი ტანადობა, კუპრივით შავი თმები, რომელიც აშლილი ეყარნენ თითქმის მის მხრებზე, თვალები, საესე სიკოცხლით, დიდი წმინდა შუბლი — ყოველი ესე ერთათ უფრო ამშვენებებდა მის ლექსების კითხვას. ის იყო ერთი პოეზის მოყვარეთაგანი, რომელიც ეხლა, სამწუხაროთ, ძალიან იშვიათათ იპოვება. პირველში ის გვეჩვენებოდათ ენტუზიასტათ, რომელიც დამღერის ცას; მაგრამ შემდეგ კი იტყოდით, რომ ჯერ ისევ მაგრათ არის დაკავშირებული ამ წუთ სოფელთანაო. ოცდა-თხუთმეტის წლისა ის ისე იყო, როგორც 15 წელს. სტუდენტებთან იდგა ერთ სახლში,

სტუდენტებს გულით უყვარდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ. პატიოსანი, უსყიდველი ვრცელი ხასიათის მქონებელი კაცი იყო. იმას ეჯავრებოდა უგრძობელი ჭაბუკობა, რომელთაც პოეზია არ უყვარდათ, და ამათ სცდილობდა, გადაეთრია თავის ბანაკში, როგორც თითონ ამბობდა ხოლმე, უსულო «ემბრიოლოგები და გისტოლოგები» ეს უკანასკნელნი ხუმრობით უწოდებდნენ «უნაყოფო (неплочевный) პროფესორსა» მაგრამ მაინც კიდევ პატივსცემდნენ.

გათავა თუ არა ლექსი უცნაურათ მოიხედა გარეშემო, თითქო უნებლიეთ შერცხვა თავის თავისა, ცოტათი გაწითლდა, დაფიქრდა და განაგრძელა:

— *Finita la poesia!* სურათი მეორე-პროზა ეპიზოდი აღელვებულის ცხოვრებიდან! ეხლა თქვენი რიგია, მომიბრუნდა მე, მიახმეთ, როგორ სცხოვრებთ, რას აკეთებთ, ვის იცნობთ ან მიჯნურობა ხომ არ დაგიწყვიათ, გიცნობთ მე თქვენ, უმაგისოთ ხომ ვერ გასძლებთ და რაღათ მიძალაკთ!

— გარწმუნებთ მე თქვენ, არაფერი არა ვიცი რა, უპასუხე მე, ერთი კვირაა რაც აქა ვარ და ჯერ არა ვის ვიცნობ, მეშინიან ლაპარაკსაც არ გადავეჩვიო, საშინელი მოწყენილი ვარ. ვფიქრობ აქედან გაქცევას

*Dahin! dahin! wo die citronen blüen! *)*

— მე კი არ ვიცოდლი! რა კაცია, სამოთხეშიაც მოწყენილი იქნება სთქვა ჩუმათ. მოიცადეთ, გაგაღვიძებთ მე თქვენ. მე გიპოვით მშვენიერს გრეტხენს..

— ოჰ! აბა რა! დამესხენით, განმათავისუფლეთ ნემეცების ქალებისგან ძალიან მეჯავრებიან. ისინი მთელის საუკუნით უკან მიდიან, ჯერ კიდევ—მიჯნურობენ (*сентиментальный*).

— მართალს ამბობთ, გამაწყვეტინა ლაპარაკი იაგნიცკიმ, *abas!* ნემეცის ქალები მძიმე ტლოკებიანი და *vive* განმაცხოვრებელი ფრანციის ქალნი! თქვენ მართალი სთქვით, ნემეცის ქალები ჩვენი გმირები არ არიან; ჩვენ გვინდა ფრანციის ქალები.

*) იქა სადაც ღიმონკები ყვავის.

— მერე რომ არსადა სჩანან სრულებით! მე კიდევც დავათვარიელე, მაგრამ... ვუთხარი მე.

— არა მართლა!? ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ. აი წმინდა მოყვარენი მამულსა, წამლობაც კი არა სურთ გერმანიაში.

ამ დროს ჩამოვარდა პატარა სიჩუმე. კონსტანტინე პეტროვიჩმა რალაზედაც დაფიქრებულმა დაიწყო სიარული ოთახში.

— ვწუხვარ, ვწუხვარ, წარმოსთქვა იმან, ჯავრი მამდის დასწყევლოთ ღმერთმა! მაგრამ რა ექნათ? ან უნდა წავიდეთ და ან მოწყენილი ვიყვეთ.

ორი დღის შემდეგ თითქმის მთელი ქალაქი გაიცნო. ის აქაც კი შეაყვარეს მის ცეცქი ხასიეთისგამო. მოხუცებულ ნემეცის დედაკაცები, გზასაც არ აძლევდნენ, იწვევდნენ სასვიროთ *Herr lustige professore*, იგი უკითხავდა შინლერის ლექსებს და ქალები ალტაცებაში მოჰყავდა. ამ დღეებში მე ძვირათ ვხედავდი მას. ერთ გასტინიცაშიაც არა სჭამდა სადილს სადაც შეხვდებოდა, იქ ისადილებდა. შეხვდებოდა ვისმე, დაუ-

წყებდა ლაპარაკს და ორნივე ერთად შევიდოდნენ პირველსავე რესტორანში ..

ერთხელ ჩვენ გადავწყვიტეთ ერთათ სადილის ჭამა კურზალის რესტორანში. პირველ საათზე ჩვენ სადილზე დავსხედით, სტუმრები ძალიან ცოტანი იყვნენ, თითქმის ყველანი საერთო სტოლზე სჯამდნენ. ერთს კუნჭულში ისხდნენ სამნი ქალნი, გლოვიარეთ ჩაცმულნი. ერთი იმათგანი, როგორც ეტყობოდა, იყო დედა ორის ყმაწვილის ქალისა, რომელთა შორის ერთი იყო ქეჩა, დიდის მწვანე თვალებით და სწორე რაომის პროფილით. სქელი ოქროს მგზავსი თმები დახუჭუჭებული ეყარნენ შავ შალზე. ის ცნობის მოყვარეობით იცქირებოდა აქეთ იქით, ეტყობოდა რომ ახალი მოსულია. მეორე ქალსა თითქო უფრო უხუმარი სახე ჰქონდათ. ის არ შესცქეროდა შემომსვლელ სტუმრებს. პირის სახეზე ჭორფლი და წითელი თმები რომ არა ჰქონოდა, ეს უფრო ლამაზი გამოჩნდებოდა. ხანში შესული დედაკაცი დიდათ ემგზავსებოდა ქერას. სამნივე ჩუმათ სჯამდნენ

სადილს; გამოცდილი თვალი მაშინვე შეიტყობდა, რომ ესენი ნემეცების შთამომავლობისანი არ არიან.

მეორე სტოლთან იჯდა მოხუცი, ქალარას წვერით. მის სახეს ეტყობოდა დიდი მწუხარება. იგი იყო დაფიქრებული, და თითქო ყოველისთვის გულგრილათ უყურებდა. კელნერმა მოართვა საქმელი, მაგრამ ვერცკი შეიტყო, ვიდრე ხმა მალლა არ დაუძახა: *vous etes servi monsieur!* *) მოხუცი შეკრთა, თითქო ღრმა ძილში იყო, და უნებურათ დაიღო თეფშზე საქმელი. რა წამსაც დავსხედით სტოლზე, ჩვენკენ წამოვიდა ყმაწვილი კაცი, ტანათ მაღალი, გაყვითლებულის სახით უწვერულვაშო, ჩაცვივნულის თვალებით და ოქროს სათვალეებით.

— მომიტევეთ ჩემი გაბედულობა, დაიწყო რუსულათ, სრულიად გაწითლებულმა, თქვენ ვგონებ უფ. იაგნიცკი ბრძანდებით, სთქვა იმან. და მიუბრუნდა ამ უკანასკნელს. მიიღო რა კმაყოფილი პასუხი, განაგრძელა:

*) მიიწთვი ბატონო.

— მე გახლავართ უწინდელი სტუდენტი თქვენის უნივერსიტეტისა, ქრისტიანე გორმანი. თუმცა მე თქვენ პირათ არ გიცნობთ, მაგრამ ისე კი ძალიან კარგათ გიცნობთ, ჩემთვის დიდათ სასიამოვნოა თქვენი ნახვა, მეტაგრე აქა, უცხო ქვეყანაში ყოველი რუსი ნათესავათ მეჩვენება!

— ძალიან სასიამოვნოა მხიარულათ უბასუხა იაგნიცკიმ, მეც თქვენზე ბევრი გამიგონია დაბრძანდით შენიჭირიმე, და გაინაწილეთ ჩვენი ტრაპეზი.

— მე აქ სიამოვნებით..... წარმოთქვა იმან, მაგრამ აქ ვგონებ..... ძვირია..... ძვირი რესტორანია...

— რას ამბობთ? რადროს ნემეცური ეკონომიაა! რას მეუბნებით. მამა თქვენს პირველი ბულკის სახაბაზო აქვს ქალაქში და თქვენ ერთათ ერთიშვილი ჰყევხართ, ფულს ნუ უფრთხილდებით... მაინც კიდევ გერმანიის ბუნება გძლევთ. მომიტევეთ რომ მე ასე პირდაპირ გეუბნებით ხომ იცით ჩემი ხასიათი...

— რას მიბრძანებთ, არაფერი, სტკვა გაწითლებულმა გორმანმა, მე რა მაქვს გერმანის ბუნებისა, მე რუსივარ და ჩემი წინაპარნი იყვნენ შვეციელები.

— კარგი რუსი ყოფილხართ ქრისტიან.... მამი თქვენის სახელი?

— კარლი.

— ქრისტიან კარლოვიჩ გორმან! რუსი! რა ირონიიაა და! აქსაკოვი რომ აქ იყვეს კანკალს დააწყებინებდა მაგ გყარ შემთხვევაზე.

მაგრამ რალა უნდა ექნა გორმანი გვერდით მოკვიჯდა, მოატაინა უიაფესი საჭმელი— მაკარონი— მხოლოდ უპარმაზანოდ.—

შემოვიდა პოჩტალიონი ახალის გაზეთებით. ყველანი აღტაცებით მივარდნენ პოჩტალიონს. კონსტანტინ პეტროვიჩმა გამოართვა № yndépendance Belge. და ხმა მალლა დაიწყო კითხვა ტელეგრამებისა. პარიჟის რატუშის დანგრევამ, ყველას ენა ჩაუგდო, თითქო მეხი დაეცათო. მოხუცი კუნჭულში ჩუმათ მჯდომარე, ყურს უგდებდა იმის კითხვას და რა გაიგონა ეს სამ-

წიგნარი ამბავი, ისე გადაირია რომ ხელიდან
გავარდა სტაქანი, Dieu! quel malheur apres
tous! წარმოსთქვა მან აკანკალებულის ხმით.

მოხუცი წამოდგა, დაიწყო ოთახში სიარუ-
ლი და დაბალის ხმით თათვისთვის სჯა, უცევ
მოვიდა ჩვენთან და გვკითხა:

— მომიტყევთ, უფალნო, მაგრამ თქვენ
ვეგონებ ჭრანცუხები არა ბძანდებით.

— არა უპასუხეთ ჩვენ.

— ვეგონებ ჭრანციას კი თანა უგრძობთ?

— რასაკვირველია წმინდის გულით, უპასუ-
ხეთ ყელამ ერთათ.

— მე მაშინვე ვიცოდი, სთქვა მოხუცმა და
დაიწყო სიარული. არა მართო თქვენ, მთელი ქვე-
ყანა თანაგვიგრძობს ჩვენ. თანაგრძობა მთელის
ქვეყნისა! რა ბედნიერებაა! და ეს თანაგრძობა
ქვეყნისა ჩვეულებრივ ენაზედ, რომ გადმო-
თარგმნოთ ჩვენ წავიკითხავთ—მომაკვდინებელს
გულგრილობას. ეხლა თქვენ დაგიწყებენ ხოცვას
და მე კი კუთხილამ გამოგდახვებთ ნუ შეგეწინ-
დებათ, მე თქვენი თანამგრძობელი ვარ.

უსინილისო თავ-მოყვარეობა, გულ-გრილობა, მიღწეული მასხარათ აგდებამდინ, პროფანაცია კაცობრიობის ღირსებისა, კაცთმოყვარეობა მიღწეული გარყენილებამდინ—ყოველი ეს საძაგლობა ჩვენ გამოვკარით კეთილ-შობილურ პარკში და უწოდებთ ქცევის თანაგრძნობათ. ოხ! დამლუპველო სიტყვის საუკუნევ! შენ იქმნები ლაქა კაცობრიობის ისტორიაში. რა საჭიროა ჩემთვის თქვენი თანაგრძნობა, როდესაც ოთხივე ჩემი შვილი მამიკლეს მაგ ბარბაროსებმა. არა, თქვენ უნდა გენახათ, რა საშინელის წვითა და დაგვით მომიკვდა ხუთის წლის ქალი ამ ჩემს ორთავე ხელებზე შიმშილით, მაშინ თქვენ სირცხვილით ველარ წარმოთქვამდით მაგ სიტყვას! არა ეხლა საფრანგეთი დაილუპა.

მოხუცის თვალებიდან გადმოცვივდა ცრემლები, თუმცა კი იგი სცდილობდა გულ-გრილათ ეჩვენებინა თავი. ამ შემთხვევამ ჩვენ შეგვაძრწუნა, ყველანი დაჩუმდნენ და მოხუცებულის დედაკაცი, ამ ოთახშივე მჯდომარე თავის ქალებით, იწმენდა ცრემლებს თვალებზე.

— რას ამბობთ, დავიწყე მე, ფრანციისათვის თქვენ ნუ შესწუხდებით, ეხლა ის მოელის ბრწყინვალე მომავალს. აქამდინ იგი სცხოვრებდა ილლუზიით, ახლა კი იწყობს რეალურს ცხოვრებას; თუმცა გამოცდილება იმან მოიპოვა ძვირფასის მსხვერპლით, მაგრამ რა ექნათ, კაცობრიობის პროგრესის ისტორია უიმისოთ შეუძლებელია. ფრანციაში იმდენი ზნეობითი და მეტადრე ნივთიერებითი სიმდიდრეა, რომ იმედის დაკარგვა შეუძლიანთ მხოლოდ გონება დაბნელებულ პესიმისტებს. ამათჰქადაგებენ მისი მტერნი უდიდესი ნაციის ახალის ძალის დაკარგვას, არა, ეს ხალხი ჯერ ისევ მდიდარია თავისის ახალის ძალით, მაგრამ ეს ძალა აქამდინ ანუ ცუდათ იყო მიმართული, ანუ იყო დამონაგებული. აბა მიეცით თავისუფალი წარმატება ახლად დაბადებულს ფრანციას და მაშინ ნახავთ რომ ის შეიქმნება საუნჯე განათლებისა, რომლისთვისაც მრავალჯერ დასჯილა თავის საკუთარის ძვირფასის სისხლით — ის შეიქმნება ისევ დამამშვენებელი კაცობრიობისა. შესაბრალისნი არი-

ან ისინი რომელთაც არ ზწამთ ჭრანცია, თანისუფლებებისა თანასწორობის და ძმობისა. ესენი არიან მახინჯნი მეორე იმპერიისა რომლებს ბურჟუაზიის გულზე შთაბეჭდა ამ იმპერიამ თავისი შემარცხვენელი ბეჭელი.

— გაუმარჯოს ახლად აღყვავებულ, ახლ დაბადებულს ჭრანციას!

რა წამსაც გავათავე, იმეკუთხიდამ, სადაც ისხდნენ ქალები, შემომესმა წყნარი ტაშისცემა, მოხუცი მოვიდა ჩემთან, ხელი ხელზე მომიჭირა, გადამეხვია, მაკოცა და მითხრა ოხვრით:

— ღმერთმა ინებოს, ღმერთმა, ყმაწვილო კაცო, «ნეტარ არიან მორწმუნენი...» მაგრამ მე კი ვერ მივალწევ იქამდინა... მე გამოვესალმე ჭრანციას. მშვიდობით, უფალო. ამერიკაში მივდივარ. მოხუცმა აიღო ქული და საჩქაროთ გავიდა. ჩვენც გავათავეთ სადილი, კელნერს ხარჯში გაუსწორდით, რომელმაც რაღაც უჩუროჩულა იაგნიცკის, ამანაც სიცილით რაღაც უთხრა და გამოვედით რესტორანიდამ.

V

ჩვენ დავსხედით სკამეიკაზე ბალში. როდენი-
მე ხანის შემდეგ, ქალებმა, რომელნიც ჩვენთან
რესტორანში იყვნენ, გვერდით გაგვიარეს.

— იცით რა? მითხრა იაგნიცკიმ, როდესაც
ისინი ცოტათი გაგვშორდნენ, ეს ქალები თით-
ქმის ფრანცუზები არიან, შვეიცარიელები არიან!

— რა იცით თქვენ? ვკითხე მე.

— კელნერმა მითხრა. მართლა აკი დამავიწ-
ყდა თქმა, იმათ უკითხავთ თქვენი გვარი, უთუ-
ოთ იმოქმედა იმათზე თქვენმა ლაპარაკმა ფრან-
ციაზე. ეგეც დასაწყისი რომანისა. —

— კარგი, კონსტანტინ პეტროვიჩ, თქვენ ყვე-
ლკან რომანი გეჩვენებათ! აბა, რა ლიტერა-
ტურის პროფესორი ხართ თქვენ. სად წაგიკით-
ხავთ რომანი, სადაც მიჯნური-შვეიცარკა არის?
რა სათქმელია, ისინი თავ გადადებული პური-
ტანები არიან, მასწავლებლნი იმათ ადამის შე-
ცოდებასაც კი უმაღლენ!

— თქვენ რაც გინდათ ილაპარაკეთ, და მე

კი ვატყობ, რომ ისინი საინტერესო პირები არიან, წავიდეთ, იმათი გვარი მაინც შევიტყუოთ.

— რა დედაკაცური ცნობის მოყვარეობაა, პროფესორი კი ხართ. რა საჭიროა, კამელიები იქმნებიან ვინმე.

— მეჯავრება მე თვენი მხედრული აზრი, გაჯავრებით მითხრა იაგნიცკიმ, მხოლოდ ჩვენში ვერ წარმოიდგენენ ვერაოდეს პატიოსან სინიდიისიან ფრანცუზის ქალს ანუ ნემკას, ჩვენ ყველა კამელია გვგონია. მაგრამ, გვეყოფა ბაასი, წავიდეთ.

კონსტანტინ პეტროვიჩმა მამკიდა ხელი. გაყვევი უნებლიეთ, თუმცა მეც ჩამივარდა გულში ამ ქალების გაცნობა. დიდხანს არ მოეძებნეთ, ისინი შევიდნენ დარმშტადტის გასტინიცაში, სადაც სცხოვრებდა იაგნიცკი. შევიცარმა დაგვიკმაყოფილა სურვილი, გასხნა წიგნი და გვიჩვენა: *Baronne Manier avec ses filles, rentiere, proprietere de Geneve.*

— ხედავთ, მითხრა ყვედრებით კონტ-პეტომა, ბარონესები ყოფილან და თქვენ კი უნა-

მუსოთ უწოდეთ! რა ჭიზიანობისტი ყოფილ-
ხართ.

— მშვიდობით, უთხარ მე იმას, შინ მიუღი-
ვარ. ხვალ სადა ვათ სადილათ?

— ამ გასტინიცაში ეჭამოთ სადილი, მე ყვე-
ლგან გაშინჯული მაქვს გოსტინიცები, დაეს სხვას
სჯობიან. უთყოთ მოდით, კელნერს ვეტყვი,
რომ ადგილი შეგინახოთ.

— კარგი, ვუპასუხე მე და ერთმანერს გა-
მოვეთხოვეთ.

მეორეს დღეს გასტინიცაში ადრე მო-
ვედი, ის იყო ზარი დაჰკრეს და სადილზე სხდე-
ბოდნენ. მე დავეჯეგ კელნერისაგან ჩემთვის შე-
ნახულ ადგილზე, იაგნაცკის წყალობით. პატარა
ხანს უკან გუშინდელ ქალებიც შემოვიდ-
ნენ. ობერ-კელნერი გაიქცა იმათკენ და უჩვენ-
ნა ადგილი. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მან
მოიყვანა ჩემკენ სამ გადამბრუნებულ სკამთან.
საშინლათ შემრცხვა; თვალები დამიბნელდა.
მე მეშინოდა, რომ არ ეფიქრათ, რომ განგებ
იყო ჩემგან ესე მომზადებული იმათის გაცნობისა-

თვის. აღვილათაც იფიქრებდნენ ამას, მეტადრე იმ ბიზნესით, რომ გუშინ უკითხავთ ჩემი გვარი. რა ლაზღანდარა კაცათ უნდა მიცნონ, ვფიქრობდი მე, რა ბავშური დონეუანობაა! ძალიან უნანობდი ამ შემთხვევას. ჩემთან დაჯდა დედა და იმის გვერდით დასხდნენ ქალები. იმან, ვგონებ, თავიც დამიკრა, როდესაც ჯდებოდა, როგორც მიღებულია აქ, და მე არც კი შემიხედნია. მეორეს მხრით გაიარე იაგნიცკიმ; ტუჩებს იკბენდა, რომ არ გასცინებოდა და მიყურებდა. — ეხლა კი მივხვდი, რომ იმისი ეშმაკობა იყო ეს. მე ვწყევლიდი ემსსაც და ჩემს მოსვლასაც. მთელი სადილი ისე გავატარე, თითქო ნევსებზე ვიჯექი ქალების გვერდით იჯდა ვილაც კაცი, რომელმაც მაშინვე ლაპარაკი დაუწყო, უსხავდა ღვინოს, წყალს, თეფშით მიართმევდა საჭმელს და სხვა. ასე იციან აქ, ჩვეულებაა, იცნობ თუ არ იცნობ — სულ ერთია ზრდილობა მოითხოვს ამას. მე არა თუ ამას არ ვასრულებდი, უზრდელად მივბრუნდებოდი მეორე მხარეზე. ტაბლდოტზე*) საჭმელი დაჰქონდათ არა

*) ტაბლდოტ — საზოგადო სტოლი.

კელნერებს, არამედ თითონ სტუმრები აძლევდნენ ერთმანეთს ბლიუდებს. ჩემთვის ტანჯვა იყო მეზობლისათვის საქმელის გარდაცემა; ასეთი მოშლილი ვიყავ, რომ არაფერი არ მიჭამია. — უკანასკნელი ბლუდი რომ მივართვი ჩემს მეზობელს, — ჩემთვის კი არა, ამილიარა — მეზობელმა გაოცებით შემომხედა და გაიცინა. ამან უფრო შემარცხინა. — შეგონა, რომ ყოველი აქ მყოფი მე შემომყურებს და იცინის მეთქი. მე მაწუხებდა ერთი პატარა ბიჭი — კელნერი, რომელიც ყოველ წუთს კბილებს კრეჭავდა — მე ვფიქრობდი, რომ დამცინის მეთქი. ძლივს დასრულდა ჩვენი სადილი. მე ადრე აღვგომაც შემეძლო, მაგრამ რომ ავმდგარვყავ მეზობლისათვის თავუნდა დამეკრა — ესეც აქაური ჩვეულება — რომელიც მე დიდათ მეძინებოდა. რაწამნაც ქალები ადგნენ, მეც წამოვდეგი და გადავწედი გრაფინკას წყლით, რომ არ დამენახა იმათი თავის დაკვრა. — არ ვიცი თავი დამიკრეს თუ არა. რა გავიდნენ ზალიდან მე გავექანე იაგნიცკისკენ.

— ოხ, კოსტანტინ პეტროვიჩ, ეს რა მიყა-

ვით, უთხარი მე გაჯავრებული. საშინელება იყო! ახლა ისინი იფიქრებენ, რომ მე განგებ მოვახერხე ეს.—

— აბა, რა! იფიქრებენ კი არა! — არც კი შეგიხედნიათ, რა უნდა იფიქრონ. არა, ისინი მაგას კი ვერ მოიფიქრებენ, და იმას კი იტყვიან, რომ ხმა არ გაეცით, იქნება კეკლუცობსო.

— ეგ უარესი! რამ შემომიყვანა აქ სადილათ, დასწყევლოს ღმერთმა. პირველი და უკანასკნელია ეს ჩემგან.

— ეგ კი სწორე გითხრათ მეტის-მეტია თქვენგან ეგ უზრდელობა იქმნება. მაგითი თქვენ შეატყობინებთ იმათ, რომ საჭირო არ არის თქვენთვის იმათი ცნობა. არა, ეგ არა ქნათ. ადგილიც არ გამოიცვალოთ, თქვენ ერთის სიტყვით იმ ადგილზე დაკრული ხართ. — გადაეჩვიეთ თქვენ ქალურს მორცხობას და, დაუწყეთ ლაპარაკი, და გახდით cavalier galant — ეგ ყველას ეჯობინება და კარგათაც წავა თქვენი საქმე. —

— ო! ეგ არ შემიძლიან —

Qui vivera verra მზიარულათ სთქვა იაგნიცკიმ. წაეიდეთ გადავივიწყოთ თქვენი მწუხარება ყავით და კონიაკით.

VI.

არ ვიცოდი რა მექნა: მეელო სადილათ თუ არა?- დასასრულს გადავწყვიტე «დარმაშტადტში» სიარული რაც დამემართება — დამემართოს! ჩემი ადგილი, რასაკვირველია, ისევ იმათ გვერდით იყო.

რაოდენიმე დღემ ისევ ისე გაიარა როგორც პირველმა, ლაპარაკის დაწყობა მე არ მიხლოდა, და იმათთვის უფრო ძნელი იყო, რაკი დაინახეს ჩემი კერპი გაჩუმებული სახე — სწორე გითხრათ ეს მდგომარეობა მომწყინდა, და ემსიდან სრულიად წასვლაც მომინდა, მით უმეტეს რომ იაგნიცკიც მიდიოდა კისსინგენში.

დედას ექვი არ არის, მოსწყინდა ასე ჩუმათ ჯდომა, და როგორც ეტყობოდა, სურდა ჩემთან ლაპარაკი, რაკი შემატყო რომ მე ასეთი გაუბედავი ვიყავი. ერთხელ, როდესაც მომაწოდა ბლუდით საქმელი, მომიბრუნდა და მკი-

თბა: vous ne prenez pas ça, monsieur! *) ეს იყო პირველი მისი კითხვა, მე ამას არ მოუფლოდი ისე ავირიე, რომ უპასუხე:

— Non, monsieur! **)

ქერამ ჩაიცინა სალფეთქში, დედამ ვაჯაგრებულის თვალებით შეხედა, მაგრამ თითონაც კი ძალას ატანდარიომ არ გასცინებოდა. მე უფრო შემრცხვა, და ჩემს გუნებაში ვჯაერობდი ჩემს დაწყველილ მორცხობაზე. ჩემ მეზობელს შევებრალებდა ხმა არ გაეცია ამის შემდეგ. იაგნიცკის ვუამბე ეს ამბავი და სიცილით კინაღამ არ მოკვდა.

— ოჰ! კავალერო, დამცინოდა მე, ბარაქალა! ეგ როგორ მოგივიდა! პატივსაცემი ქალი, სასიამოვნო დედაკაცი, დასასრულ ბარონესსა, და თქვენ ამისთანა ქალი კაცათ აქციეთ. რასაკვირველია, ეწყინებოდა.—

დიდხანს ვერ დამშვიდდა იაგნიცკი.—

— მაგრამ, არა არისრა უკეთილო, სთქვა

*) არ მიირთმევთ ამას?

**) არა უფალო!

იაგნიცკიმ, ეხლა იმათი გაცნობა თქვენს ხელშია. გეუბნებით დასაწყისია რომანისა.—ეწუხვარ, რომ დაბოლოებაზე მე აქ არ ვიქნები; დღეს საღამოზე მივდივარ.

ამ უკანასკნელ სიტყვების წარმოთქმაზე მოვიდა ჩვენთან გორმანი.

— განა გეტოვებთ ჩვენა; კონსტანტინ პეტროვიჩ? ჰკითხა მან, მშურს თქვენი ბედნიერება, ნასავთ ჩვენს რუსეთს—ჩვენს დედას. (Матушки-Русь).

— არა მე რუსეთში არ მივდივარ. რა დაგვმართნიათ? რუსეთზე სწუხართ?

— ღმერთს გეფიცებით, რალაც მაგგვარი მწუხარება მადგას. თუმცა ძალიან მიქვს გერმანია, მაგრამ ჩვენს რუსეთს მაინც ვერ შეედრება. მართალია გერმანია უფრო მდიდარია, აქ არ არის იმისთანა სიღარიბე, როგორც ჩვენში, პროლეტარიატიც ნაკლებია.

— რუსეთში სად არის პროლეტარი? *) ჰკითხა იაგნიცკიმ.

*) პროლეტარი — ღარიბი უმამულო კაცი.

თბა: vous ne prenez pas ça, monsieur? *) ეს იყო პირველი მისი კითხვა, მე ამას არ მოველოდი ისე ავირიე, რომ უპასუხე:

— Non, monsieur! **)

ქერამ ჩაიცინა სალფეთქში, დედამ ვაჯაგრებულის თვალებით შეხედა, მაგრამ თითონაც კი ძალას ატანდარიომ არ გასცინებოდა. მე უფრო შემრცხვა, და ჩემს გუნებაში ვჯაგრობდი ჩემს დაწყევლილ მორცხოზაზე. ჩემ მეზობელს შევებრალებდა ხმა არ გაუცია ამის შემდეგ. იაგნიცკის ვუამბე ეს ამბავი დასიცილით კინაღამ არ მოკვდა.

— ოჰ! კავალერო, დამცინოდა მე, ბარაქალა! ეგ როგორ მოგივიდა! პატივსაცემი ქალი, სასიამოვნო დედაკაცი, დასასრულ ბარონესა, და თქვენ ამისთანა ქალი კაცათ აქციეთ. რასაკვირველია, ეწყინებოდა.—

დიდხანს ვერ დამშვიდდა იაგნიცკი.—

— მაგრამ, არა არისრა უკეთილო, სთქვა

*) არ მიირთმევთ ამას?

**) არა უფალო!

იაგნიცკიმ, ეხლა იმათი გაცნობა თქვენს ხელშია. გეუბნებით დასაწყისია რომანისა.— ეწუხვარ, რომ დაბოლოებაზე მე აქ არ ვიქნები; დღეს საღამოზე მივდივარ.

ამ უკანასკნელ სიტყვების წარმოთქმაზე მოვიდა ჩვენთან გორმანი.

— განა გვტოვებთ ჩვენა; კონსტანტინ პეტროვიჩ? ჰკითხა მან, მშურს თქვენი ბედნიერება, ნასავეთ ჩვენს რუსეთს— ჩვენს დედას. (Матушкинъ Русь).

— არა მე რუსეთში არ მივდივარ. რა დაგე მართნიათ? რუსეთზე სწუხართ?

— ღმერთს გეფიცებით, რაღაც მაგგვარი მწუხარება მაღვას. თუმცა ძალიან მიქვს გერმანია, მაგრამ ჩვენს რუსეთს მაინც ვერ შეედრება. მართალია გერმანია უფრო მდიდარია, აქ არ არის იმისთანა სიღარიბე, როგორც ჩვენში, პროლეტარიატიც ნაკლებია.

— რუსეთში სად არის პროლეტარი?*) ჰკითხა იაგნიცკიმ.

*) პროლეტარი — ღარიბი უძამულო კაცი.

— განთავისუფლებულნი ყმები, განა ისინი პროლეტარიები არ არიან?

— კარგი პროლეტარიები არიან, მიწის ვატრონები! მიჩვენეთ ერთი კაცი მაინც, რომელსაც საკუთრება არა ჰქონდეს რუსეთში, ყველას თითო ნაჭერა მიწა უჭირავს. არიან კი პირნი, რომელნიც პროლეტარიატზე ჰყვირიან! ეგ არის დასაფლეთის მომხრეების შეცდომილება, რომელიც რუსეთში ევროპის კვალს ეძებენ.

— კანსტანტის პეტროვიჩ, განა რუსეთი კი ევროპა არ არის? ეკითხე მე.

— გეოგრაფიულის მხრით, რა საკვირველია ევროპაა, მაგრამ განათლების მხრით კი არა, ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა და ჯაფა გვაკლია, ვიდრე გაუსწორდებით ევროპას. თუ რუსეთის გაცნობა გსურთ, უთხრა იმან გორმანს, წაიკითხეთ შჩედრინის თხზულება. აი, ის იცნობს ჭეშმარიტათ რუსეთს. ჯერ ვერ მიხვდნენ იმის ღირსებას რადგანაც ჩვენი ლიტერატურა ჯერაც განთავისუფლებული არ არის უსაფუძვლო ინტრიგებიდან, ჯერ ჩვენი ლიტერატურა არ

არის იქამდინ მიღწეული, რომ შეიძლოს ავტორის დაეწევა თხზულების გარჩევაში. წაიკითხეთ, დაფიქრდით იმის თხზულების კითხვაზე და მაშინ ნახეთ, რომ იმაში არის საფუძვლიანათ შესწავლული სოციალური კითხვები რუსეთის გარემოებისა. — აი, თქვენ, ქრისტიან კარლოვიჩ, დაბადებულხართ, გიცხოვრიათ, აღზრდილხართ რუსეთში, და უნივერსიტეტსაც სამძღვარ გარეთ გამოუგზავნიხართ სწავლის დასასრულებლათ, რომ თავის დროზე კათედრა მიიღოთ, და თქვენ ეროვნელაც არ დაფიქრებულხართ რუსეთის საზოგადო ცხოვრებაზე. თქვენ ხართ გართული მხოლოდ ინტეგრალებით და დიფერენციალებით და იმათ გარეშე არაფრის გაცნობის სურვილი არა გაქვთ. არა მხოლოდ თქვენ, მთელი ჩვენი სწავლილი ყმაწვილ-კაცობის ნაკლებულება ეგ არის. გარდა თავის სპეციალურის სწავლისა, ნურას მოჰკითხათ; მე გამაოცა ერთხელ ერთმა ყმაწვილი კაცის უზრდელობამ, რომელიც ის იყო იწყობდა მათემატიკის პროფესორობას, რომელ-

მაც არც კი იცოდა ასტრონომიის არსება. რასაკვირველია, მე სპეციალიზმის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მაგ გვარი სპეციალიზმი მისულია შეცთომილებამდინ, (ანცურაჲ). ნუ გეკონებათ რომ ვითომ მე ვარ დამცველი კლასიციზმისა, არა, კლასიციზმიც, ჩვენში შემოღებული, აგრეთვე არის სპეციალური სწავლა, თავის დაგვართ; მაგრამ ეს სპეციალური სწავლა არის ყველაფერში უსარგებლო, მოუხმარებელი, რომელიც გონებას აჩვევს ზარმაცობას და მოუქმედებლობას. მე არა მრწამს გიმნასტიკური ღირსება ლათინურის ენისა; და თუ გონების გიმნასტიკაზე მივარდა, რატომ არ ვასწავლით ჩვენს შვილებს, ჩინეთის ენას ანუ ოსურს და ანუ ჩერქეზულს, თავიანთის თვალწინის და თვალუკან ზმანებით; რომელიც არის უძნელესთა უძნელესი. საფუძვლიანი სწავლა ს ა ზ ო გ ა დ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა — აი, ჩემას აზრით, ეს უნდა იყოს საფუძვლათ მიღებული ყოველ განათლებაში. მაშინ აღარ იქმნებიან პრაფესორები, რომელთაც ასტრონომიის სახელი

გაგონილიც არა აქვთ და აგრეთვე იმისთანა პირნი, რომელნიც ბატონ-ყმობა და პროლეტარიზმი ერთი ჰგონიათ.

— მართალია, რაც კი ეხლა თქვენ ბძანეთ, უთხრა გორმანმა. რა ექნათ, მაგისტანა ბედი გვაქვს ჩვენ, სპეციალისტებსა! მაგრამ მაინც კიდევ, რუსეთი მოელის შესანიშნავს მომავალს; არ შეიძლება რომ მას თანა არ უგრძნოთ, და უმატა გორმანმა სიამაყით.

იაგნიცკი დიდხანს ლაპარაკობდა ამ საგანზე; ის ურღვევდა გორმანს ყოველ აზრს ერთის სიტყვით, მჭერ მეტყველობითი პასუხებით, მაგალითებით, პარადოქ'ებით, და სხ. გერმანს გონება დაეკარგა აირია, მოასწრო პირველი შემთხვევა და მოგეშორდა.

— იცით, რა გითხრათ, მითხრა იაგნიცკიმ, ეს კობტა ყმაწვილი კაცი ვერ მომწონს! ეგ ფულის-გულისთვის გაჰყიდის არა თუ დედა რუსეთს, როგორც თითონ ამბობს, თაჲის ნამდვილ დედასაც არ დაჲშურებს.

— არა მგონია, ეუპასუხე მე. აგრე პირმო

თნობა როგორ შეიძლება. მაგრამ ღმერთმა იცის რა კაცია!

იაგნიცკის წასვლის წინათ ჩვენ შევედით ჩემს სახლში ჩაის დასალსებათ.

— ა! თქვენ ჩაიცა გაქეთ, მითხრა იაგნიცკიმ, რა დაინახა ყავადანი სამოვრათ გადაქცეული. აი, მაგას სიამოვნებით დავლევ, ასე გაშინჯეთ ჩაის გემოც კი დამაფიწვდა.

ჩვენ დაესხედით თანჯარასთან და დავიწვეთ ჩაის სმა. გარეთ უკრავდა მუზიკა. ბაღში იყო დიდი გროვა ხალხისა. წყნარი, თბილი ქარი ჰბერავდა გარემო მთებიდან, და აკაციები, დარგულნი მდინარის პირზე. ავრცელებდნენ სასიამოვნო სუნს და ახალისებდნენ მოსეირნეებს, ყველა მხიარულათ იყო და ყველას კმაყოფილი სახე ჰქონდა და იქმნება ამ დროს ყველა ბედნიერიც იყო! ამისთანა უზრუნველო ცხოვრება შეიძლება მხოლოდ წყლებზე ნახოს კაცმა; აქ ყველა სიამოვნებისათვის მოდის.

— რა ცხო რამ არი! ეს თქვი შე, რა შეეხე ე ამ სურათს. მშვენიერი ხმა უდიდესის

«ფაუსტისა» და ამისთანა ბედნიერი მღებარეობა ადგილისა, ყოველ ამას კაცი ალტაცებაში მოჰყავს. მართლაც, ამ შემკულს გარემოებას ძვირათ შეხვდება კაცი.

— დიახ, სთქვა იაგნიცკიმ, თქვენ მათრალს ამბობთ, და კიდევ მაგისათვის არის კარგი, რომ აგრე ძვირად შეხვდება ხოლმე კაცი, კიდევ მაგ მწზევით აქაურებზე მეტათ ფაფასებთ მაგას ჩვენ ჩრდილოეთის ხალხი! — აი, ჩვენ ხომ ალტაცებულნი ვართ ამ სურათით, სთქვა დაფიქრების შემდეგ იაგნიცკიმ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ რომ ამოგვარჩევიან საცხოვრებელი ადგილი, მაინც ჩვენს მამულს ვერ დავტოვებდით, არ ვითანხმებდით! ამბობენ, კაცში ბუნებითვე არსობსო წადილი მშვენიერებისა, მაგრამ რაც უნდა საძაგელი იყეს კაცის სამშობლო მაინც არ გაჰსცვლის უკეთესზე. რა გაუფებელი პსინიკური თვისებაა ეს, რომელიც მეცნიერებასაც ვერ აუხსნია. «კომლი მამულისა» (ДЫМЪ ОТЕЧЕСТВЪ) რათ უფრო სასიამოვნოა და უფრო ტკბილია კაცისათვის, ვიდრე ეს «განმაცხოვე-

ბელი თბილი ჰაერი» (ЖИВИТЕЛЬНЫЙ ТЕЛОТВОРНЫЙ ВОЗДУХЪ). როგორ არ დავეთანხმო შექსპირს, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ არის, რომელიც ბრძნებს სიზმარშიაც არ უნახავთ.

იაგნიციკიმ დახედა საათს.

— დრო არის, არ დამიგვიანდეს. წამოვდექით, და გავედით. იაგნიციკი ვაქზალამდინ გავაცილე, და გამოვეთხოვე იმ პირობით რომ ვინც პირველი წავა თავის დადგილიდან იმან შეატყობინოს წიგნით, რომ ურთმანეთი არ დაგვეკარგა.

— გამიგონეთ, დამიძახა შე ვაგონილამ, თუ საინტერესო მოხდება რამე, მაცნობეო, მომავალ მიჯნურს ჩემს მაგიერათ მოკითხვა მოახსენეთ. იცოდეთ, როგორც გითხარით, არ დაგავიწყდეთ, ეგ...

შემდეგ ველარ გავი ონერა, ლოკონოტივმა დაუშტვინა და ვაგონებმა გასწიეს.

როდესაც ვაქზალილამ მოედლოდი, შემხვდა ბარონესა თავისის ქალებით; ისეთი ფეხლებით დამაცქერდნენ, რომ უნებლიეთ მოკი-

ხაღე ქუდი. სამთავემ ლამლით თაფი დამიკრეს.

VII.

მეორეს დღეს სადილზე ბარონესსა მაშინვე მომიბრუნდა და მკითხა:

— მითხარით, თუ შეიძლება, იუქმებენ ხვალ აქა, ზალაში, ნემეცების ჯარის შემოსვლას ბერლინში თუ არა? ჩემთვის სასიამოვნო არ იქმნება ამ ცერემონიაში დასწრება.

— მე არაფერი არ გამიგია, ვუთხარი მე, აი, ჩემს მოპირდა-პირეს ვკითხამ, და მიუბრუნდი ამ კოთხვით ერთს ბელოგიელს, რომელსაც ვიცნობდი. მან მიპასუხა, რომ არაფერი აქ არა იქნებარაო რადგანაც ისე ხმა მაღლა წარმოუთქვა ეს პასუხი, რომ ჩემს მეზ აბელს უთოოთ უნდა გაეგონა, საჭიროთ აღარ დაფინახე მის გამეორება. რაოდენიმე ხნის შემდეგ, კიდევ მკითხა:

— არ იუქმებენ?

ამითი შემატყობინა ჩემის ქცევის უზრდელობა, და ეხლა კი ჩემს უნებურათ უნდა დამეწყო ლაპარაკი, რომ იდიოტათ არ ვჩვენებოდი.

— არა, არ იუქმებენ, დავიწყე მე დათათბირებულია... აქ ძალიან ბევრია უცხო ქვეყნის ხალხი, და სასტუმროს პატრონი ვერ გაბედავს მაგისტანა საქმეს, იმ მიზეზით, რომ სტუმრები არ დაუფთხნენ.

— რა სულელური ჩყეულებაა, კაცთა ხოცვის უქმობა, სთქვა ქერამ, კარგი უქმე იქმნება სწორე მოგახსენოთ!

— ხვალ, ჟანნა, შენ და კაროლინამ აქა აჭამეთ სადილი, უთხრა სიცილით დედამ, მე აქ არ ვიქნები.

— დიახ, როგორ არა, აქ გიახლებით სადილის საჭმელათ და დავესწრობი ამ ბარბაროსულ ცერემონიაზე, სთქვა წარბ შეკრულმა ქერამ რომელსაც დედამ უწოდა ჟანნა — დამიხანით, დედავ, მაგ გვარის პატივისცემისაგან. ოჰ! საძაგლები! დაუმატა გაჯავრებით.

დედამ და მეორე ქალმა ჩაიციინეს.

— თქვენი ქალი, ბარონესსა, დიდი პატრიოტკაა, როგორც სჩანს.

— ო, დიდი, დიდი. სულ საომრათ მეთხოვე-

ბოდა, მაგრამ უბედურება მაგისი ის არის, რომ თოფისა ეშინიან, ხუმრობდა დედა!

— რა გულადი ყოფილხართ, M—lle უთხარ მე ჟანნას, სხვას რომ მაგისთანა შემწყობას აძლევთ, მაშინ რაღას იქმოდით, ჭრანცია რომ თქვენი სამშობლო ყოფილიყო!

— როგორ ჩემი არ?... სთქვა აჩქარებით ჟანნამ, მაგრამ ნახევარ სიტყვაზე შესწყვიტა ლაპარაკი და შეხედა დედას, სამთავემ ერთმანეთს რაღაც ნაირათ შეხედეს.

— დიახ, რასაკვირველია, განაგრძელა იმან როგორღაც არეულმა, მაშინ.... სრულებით სხვა.... სამშობლო მამული— თითქმის ჩვენი სამშობლოა ის, სთქვა ამოოხვრით დედამ. რა გასაოცარი ამბები მოდის პარიჟიდან, ღმერთო ჩემო! ჟანნა! შენი საყვარელი პალე-როიალი აღარ არის, ახლა, სადღა ისეირნებ, ჩემო საბრალო ქალო!

— Maman, დაიწყო ტირილის ხმით ჟანნამ, ნულარ მეტყვით, თორემ ვიტყვებ, ღმერთს გეფიცებით.

რა ნახა, რომ ქანნამ შუბლი შექმუხენა, შეეშინდა, რომ მართლა არ ეჭირნა და გამოსცვალა საგანი ლაპარაკისა.

— წაგიკითხავთ წიგნი დიუმას შვილისა? მომიბრუნდა მე.

— როგორ არა!

— წარმოიღვინეთ, არ გამათავებინეს გაზეთი გამომართვეს.

— Madame, თუ მიბრძანებთ, მე მოგართმევთ გაზეთს.

— ო! დიდათ დამაველებთ! საშინლათ მიყვარს დიუმა. დიდი მეგობრები ვართ მე და ის. შესანიშნავი დიალექტიკი და ორიგინალური აზრიანი კაცია, როდესაც საზოგადოებაში მხიარულათ არის, საუცხოვო რამ არის. საკვირველია, რომ უკანასკნელ საქმევებში მონაწილეობა არა მიიღო. დაახ, კაი წასაკითხავია იმისი წიგნა.

— თუ გნებავთ ეხლავე გამოგიგზავნით.

— არა, რათა, ნუ შესწუხდებით; მე ეხლა არა მცალიან, წიგნები მაქვს დასაწერი, და თუ

არ შესწუხდებით სალამოზე თქვენ თითონ მომიტანეთ კურზალთან; ჩვენ ესტრადასთან მოგიცდით, სთქვა მან და წამოდგა.

— ნახვამდინ! სალამოს ნახვამდინ! თავი დამიკრეს და წავიდნენ

A ларчикъ просто открывался!

რა გავიცანი მე ისინი უფრო ცხადთ წარმომიდგა თვალწინ ჩემი წარსული ქცევა იმათთან. რათა ვწითლდებოდლი და ვუცხოვობდლი? გავიცანი კიდეც, გამოველაპარაკე, თითქო დიდი ხანია ვიცნობდლი. მაგრამ სჩანს პირველი ნაბიჯის გადადგმა ყველგან ძნელი ყოფილა. —

სალამოზე, როდესაც კურზალთან მიუახლოვდლი, ისინი სკამეიკაზე იყვნენ ჩამომსხდარნი, ესტრადასთან. ჟანნამ შორიღამვე დამინახა, რალაც უჩუროხულა დედას და ჩემზე უჩვენა. მივედლი იმათთან, და მითავაზეს ადგალი იქვე თავის გვერდით.

— აი, მოგართვით № გაზეთისა, უთხარ მე ბარონესას და მივეცი.

— ახ, თქვენის მხრით დიდი პატივისცემა.

რა ნახა, რომ ქანნამ შუბლი შექმუხნა, შეეშინდა, რომ მართლა არ ეჭირნა და გამოსცვალა საგანი ლაპარაკისა.

— წაგიკითხავთ წიგნი ღიუმას შეილისა? მომიბრუნდა მე.

— როგორ არა!

— წარმოიდგინეთ, არ გაჯთავებინეს გაზეთი გამომართვეს.

— Madame, თუ მიბრძანებთ, მე მოგართმევთ გაზეთს.

— ო! დიდათ დამავალებთ! საშინლათ მიყვარს ღიუმა. დიდი მეგობრები ვართ მე და ის. შესანიშნავი დიალექტიკი და ორიგინალური აზრიანი კაცია, როდესაც საზოგადოებაში მხიარულათ არის, საუცხოვო რამ არის. საკვირველია, რომ უკანასკნელს საქმეებში მონაწილეობა არა მიიღობა. დაახ, კაი წასაკითხავია იმისი წიგნა.

— თუ გნებავთ ეხლავე გამოგიგზავნით.

— არა, რათა, ნუ შესწუხდებით; მე ეხლა არა მცალიან, წიგნები მაქვს დასაწერი, და თუ

არ შეაწუხებდით სალამოზე თქვენ თითონ მო-
მიტანეთ კურხალთან; ჩვენ ესტრადასთან მო-
გიცდით, სთქვა მან და წამოდგა.

— ნახვამდინ! სალამოს ნახვამდინ! თავი და-
მიკრეს და წავიდნენ

А ларчикъ просто открывался!

რა გაუციანი მე ისინი უფრო ცხადთ წარ-
მომიდგა თვალწინ ჩემი წარსული ქცევა იმათ-
თან. რათა გწითლდებოდნი და ვუცხოვობდი? გა-
ვიცანი კიდევ, გამოველაპარაკე, თითქო დიდი
ხანია ვეცნობდი. მაგრამ სჩანს პირველი ნაბი-
ჯის გადადგმა ყველგან ძნელი ყოფილა. —

სალამოზე, როდესაც კურხალთან მიუახლოვ-
დი, ისინი სკამეიკაზე იყვნენ ჩამომსხდარნი,
ესტრადასთან. ჟანნამ შორიდანვე დამინახა, რა-
ღაც უჩუჩჩულა დედას და ჩემზე უჩვენა. მივე-
დი იმათთან, და მითავაზეს ადგალი იქვე თავის
გვერდით.

— აი, მოგართვით N⁰ გაზეთისა, უთხარ მე
ბარონესსას და მივეცი.

— ახ, თქვენის მხრით დიდი პატივისცემაა

ჩემთვის, დიდათ გმადლობთ. როდესაც ლავჯე-
ქი, მომიბრუნდა და მკითხა კიდევ:

— თქვენც პირველათა ხართ ემსშე?

— დიახ, პირველათ.

— საუცხოვო ადგილია, რა რიგათ ვწუხვარ,
რომ გერმანიას ეკუთვნის. ჩემზედ უცნაური
მოქმედება აქვს, თითქო კაცის მკვლელებზე ბრი-
ლიანტიაო.

— ბარონესსა, თქვენ ძალიან სასტიკად უყუ-
რებთ გერმანიას!

— მეც აგრე მგონია, მაგრამ რაქნა, რალაც
უნებლიეთი გრძნობაა. და მაინც ამბობენ,
რომ ღედაკაცს არ შეუძლიანო სამართლით
სჯა.

— ეგ ძალიან შემცდარი აზრია, რომელსაც
აგრცელებენ ფრანკუზები, ყველანი, აგრეთვე
იმისთანა ძლიერდ ნიჭიერნი კაცნი, როგორც
დიუმა-შვილი! — უთხარი მე.

— დიახ, ეგ მართალია! ფრანცია ვერ დაი-
კვებებს ქალების სოციალურის მდგომარეობით,
სირცხვილიც არის, თქმა, რომ გათხოვილი ქა-

ლი ქმრის აპეის ქვეშ არის. თქვენშიაც ასეა?

— არა, მგზავსებაც არ არის ჩვენში. რუსეთში ცოლსა აქვს სრული სამოქალაქო უფლება, როგორც ქმარსა; იმას აქვს თავისი საკუთრება, რომელიც შეუძლიან მოიხმაროს ქრმის უნებურათ.

— მართლა? კარგია!—მე ასე მეგონა, რომ თქვენში ცოლები დაკეტილ ოთახში ჰყვანან დამწყვდეულები, და არსად არ უშვებენ კარგია! ხედავთ, რა უფლება ჰქონიათ! მაშ გეტყობათ, ევროპისათვის გაგისწვრიათ! არ მოველოდი, ამბოდა ბარონესსა, გაკვირებით, თითქო ჩემი სიტყვები არ სჯეროდა.— ეხლა, ვგონებ პეტერბურღში თოვლი და ყინვაა?—მე დავარწმუნე, რომ ეხლა იქ არათუ თოვლი და ყინვა, იქნება იქ უფრო ცხელოდეს ვიდრე აქ.

— მომიტყევით, მაგრამ მე იქაური არა ვიცი რა, მე ვერ წარმომიდგენია რუსეთი უთოვლოთ. ერთი ესეც მითხარით, ქუჩებში სიარული საშიშია ხომ არ არის? უიარალოთ გამოსვლა შეიძლება?

— როგორ საშიში? შევაჩერდი გაშტერებული თვალებით.

— ისე, ყაზახები ხომ არ ხედებიან ქუჩებში? კინალამ გამეცინა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რომ არ შემერცხვინა. უამბე, რომ პეტერბურ ღშიაც ისეთი უშიშობაა, როგორც პარიჟში, ლონდონში. საშინლათ გაუკვირდა, შეიტყო რომ პეტერბურლი არის ერთი დიდ და განათლებულ ქალაქთაგანი.

— Maman! სთქვა ჟანამ, რას უზივართ? გაღვიდეთ მდინარის მეორე ნაპირზე, იქ გორეებზე მაინც ავალთ.

— კარგი, წავიდეთ, თქვენ ხომ არ გნებავთ ჩვენთან წამოსვლა? მკითხა მე დედამ.—

— ო! დიდის სიამოვნებით, თუ ნებას მომცემთ.

რაწამსაც გავედით ხილზე, სადაც ხალხი თითქმის არ იყო, ჟანამ მოჰკიდა ხელი თავის დას, უთხრა: წავიდეთ, ვისეირნოთ, და გაიტაცა, — ჩვენ მივდიოდით სქელათ დაბურულ ხეივანში. ჟანა მოეფარა ხეებს და იქიდან მოგვესმოდა იმათი ხარხარი და მხიარული ხმა.

— შორს არსად წახვიდეთ, ყმაწვილებო, დაუძახა დედამ.

— რა ცელოქია ეს ჩემი ქანა, სრულებით არა ჰგავს ჩემა დისწულოს კაროლინას. ორნივე თითქმის ერთის წლისანი არიან და ამ მოკლე ხანში დაასრულეს სწავლა. ჯერ საზოგადოებაშიაც არ გამოჩიყვანია. ღმერთმა იცის, შეგვემთხვევა ამ ზამთარს პარიჟში ცხოვრება თუ არა? მე მგონია ჩვენის სახლის აჩრდილიც აღარ არის.

— თქვენ ყოველთვის პარიჟში სცხოვრებთ? ვკითხე მე.

— დიახ, ყოველთვის მე ამისმეტათ გერმანიაში არ ვყოფილვარ. თუმცა მეზარებოდა აქ მოსვლა, მაგრამ ექიმებმა ძალათ გამომგზავნეს. მე ქანასი უფრო შემეშინდა. როდესაც შეიტყო, ჩვენი წასვლა გერმანიაში, სამი დღე მღუდარეს ცრემლით ტიროდა, ჰფიცავდა, რომ თავს მოვიკლამო. ეს სულ განსვენებულის ჩემის ქმრის გავლენის გამოა. ძალიან დაემგზავსა იმას, მისი სიყვარული მამულისადმი გაგიჟებამდინ იყო მიღწეული. არკიცი, განა არის სადმე

სხვა ხალხი, რომ ისე უყვარდეს თავისი მამული, როგორც ღრანტუხებს. მაგრამ, სიხანს კარიელი სიყვარული საკმაოდ არა ყოფილა მის დასაცველათ.

ამ დროს ჩვენსკენ მორბოდა ქანა, მწარეთ დაღალული, ძლივსლა სუნთქავდა.

— Mamau, საყვარელო, სთქვა ქანამ, დასვენებულმა, ის საზიზღარი პრუსიელი იქ არის!

— რა მოგარბეინებდა აგრე გაცხარებული გიკბენს თუ რა არის შენი პრუსიელი?

— ჩემი რათ იქნება? თუ გიყვარდე, დედა, მაგას ნუ მეტუნები, თორემ ამათ, აჩვენა თითოთ ჩემზე — მართალი ეგონებათ.

შორიდან გადადიოდა სხვა გზაზე კაცი, ტანათ მაღალი გრძელი, ქალარა-მორეული წვერიანი და დიდი წითელი ცხვირიანი. მაშინვე მივხვდი, რომ ეს უნდა იყვეს ნემეცის პრინცი, რომელსაც, როგორც სჩანდა, ქანას ეარშიყებოდა. ყველგან, ჩრდილივით, უკან დაზღვედა, და ხშირათ იმათ უანჯრებთანაც გაიკლ-გამოაელებდა, როგორც შეკვარებული გონაზის-

ტი, რომ გაბედნიერებულიყო თვის საყვარლის ნახვით.

— აგრეც რომ იყვეს, უთხარ მე ჟანნას განაპრუსიელი კი კაცი არ არის? განა იმის შეყვარება არ შეიძლება?

— პრუსიელის შეყვარება! წამოიძახა გაოცებით ჟანნამ, განა შეიძლება იმათი შეყვარება? ღმერთს შეეცოდამთ მაგითი.

— მე გამაკვირვა სი ძულვილემ, რომლითაც იხსენიებდა ნემეცებს ჟანნა. ისეთი ყმაწვილი ქალი იყო და სძულდა კაცნი, რომელთაც ჩემის ფიქრით, ვნება არ შეეძლოთ, მეტადრე იმისი. რა მიზეზით? ფიქრობდი მე, ეს ქალი არის შვეიცარიელი და ჭრაცუზებს კი ასე ესარჩლება! იქნება ეს გრძნობა სხვისგანა აქვს მიღებული? — ურწმუნოესთა ურწმუნოესიც კი დარწმუნდებოდა მის სიტყვების ჭეშმარიტებაზე და განა შეეძლო ამისთანა ბრწყინვალეს, მანათობელს დაფარვა თავის გრძნობისა და მერე უგანზრახოთ? მამულს მოყვარების ეკსპლოატაცია კეკლუცობისათვის, იმის ხანში ფიქრშიაც არ მოუვიდოდა.

მე განგებ განვაგრძელებ ამ საგანზე.

— პრუსიელებშიაც ბევრი კარგი კაცია, იქნება ჭრანცუზებზედაც უკეთესი იყვნენ.

— მაგას ნუ ამბობთ, ნუ, თორემ გავჯაფრდები! სთქვა სასტიკათ ჟანნამ.

დედამ შეუბღვირა თავის ქალს.

— თქვენ რომ ის გენახათ, რაც მე ვნახე, და გამოგეცადნათ, რაც მე გამოგეცადე, მაგას აღარ იტყოდით.

— რა ნახეთ M—lle?

— პარიჟის აღება! წარმოსთქვა სიამაყით.

— მართლა? გამიკვირდა მე.

— მაშ რაგონიათ? ვინა გგონივართ ჩვენ? აი თქვენ მოჩიღის მოსამსახურეს უჭამია ძალლი კატა თავგი და თქვენ კი მგონია არ მიგირთმევათ.

— არ შემხვედრია მაგისტანა საქმლის გემოს გაღება!

— კიდევ ვგ არის, კაცი კი ხართ? რომ იცოდეთ, რა მდგომარეობაში ვიყავით მთელი ზამთარი! არ ვიცი, ცოცხალი როგორღა დავ-რჩით! მთელი ჩვენი მოსამსახურენი საომრათ

წავიდნენ, მხოლოდ საწყალი ჩემი გამდელიდა
დარჩა ჩვენთან, მაგრამ ის უბედური საოფლემ
მალე მოგვიკლა. დედაჩემი სულ აეთმყოფობ-
და, კაროლინა ამას უვლიდა და მე კი დავ-
დიოდი ბულკების მცხოვლებთან და ყასაფხანა-
ში. რა საშინელი ყინვები იყო, რომ იცოდეთ.
მე მგონია, თქვენს რუსეთშიაც არ ყოფილა იმის-
თანა სიცივეები! რამდენს ხანს უცდიდი ხოლმე,
ვინ იცის! ვდგევარ დილის რვა საათიდან ორ
საათამდის და რისყოფით მოამიგდებდნენ, მე
უბედურს, ერთ ლუკმა პურს ანუ ხორცს. რა
რიგათ მებრალეობდნენ საწყალი მოხუცებული
დედაკაცები, რომელნიც ჩემთან იდგნენ ხოლმე.
იმ უბედურებს ზოგიერთს, თბილი წამოსასხამიც
არა ჰქონდათ და იყინებოდნენ იმ სიცივეში.
ჯერ როგორც იყო დლითი დლით ვიკვებებო-
დით, მაგრამ ქრისტისშობისთვის რომ დაიწყო,
მაშინ ძალიან გაგვიჭირდა, მაშინ ხორცის სა-
ხელიც აღარსად იხსენებოდა. ერთი კარგი პა-
ტარა ძალლი მყვანდა, მიმი, შობამდინ დიდის
გაჭირვებით, მძლივს გამოგვკვებე, მაგრამ შემ-

დეგ კი გამოგველია იმის სიჭმელიც, — იცით, რა ექენი? წარმოთქმაც მეძნელება! დავაკვლევინე! საჭმელებს კაროლინა გვიხარშავდა და შობა ღღეს კი ერთს მოხუცებულს დედაკაცს შეგვხვეწე, რომ მიმი დაეკლა და მოეხარშა რამდენი ვიტირეთ მე და კაროლინამ! საწყალი მიმი! მაგრამ მაინც შეეჭამეთ, შიმშილით სიკვდილისა შეგვეშინდა! რა საძაგლობაა ეს — შიმშილი! ეხლა სადილ წინათ რომ მოგვეშივა ხოლმე ის კი არა, მაშინდელი შიმშილი სულ სხვა იყო! ჩვენ ოთახებს შემდეგ სულ აღარ ვათბობდით შეშა ძლივსლა გვეყოფნიდა სადილის მოსამზადებლათ, და როდესაც შეშაც გამოგველია, დივნები და სკამები გადავწვით. მე მქონდა ერთი დიდი უშველებელი. უშველებელი შოკოლადის სახლი, რომელიც ბიძაჩემმა მაჩუქა, როდესაც მონასტრიდამ გამოვედი იმითი ვინახავდი დედას! გვეშინოდა, რომ ნიყიდი შოკოლადი არ დაგვეკლებოდა — ასეც მოგვიხდა — და ამისგამო შოკოლადს, რომელსაც დუქანში ბილეთებით ვყიდულობდით, მე და კაროლინა ჩვენ წილს კერძს დედაჩემს უნახავ-

დით, და დედას კი ვეუბნებოდათ, რომ შოკო-
ლადს ჩვენცა ვსვამთ! კიდევ ბევრი ამაზედ უა-
რესი მდგომარეობა იყო ჩვენი, მაგრამ ეხლა
სად შოგაგონდება ყველა! ზოდესაც დროებითი
შერიგება მოხდა, და საჭმელი ხორაგი შემო-
იტანეს ქალაქში, უნდა თქვენის თვალით გენახათ,
რა რიგათ გაგვეხარდა! მაშინვე ქათამი ვიყიდეთ
და შევჭამეთ! რა გემრიელი იყო, რომ იცოდეთ!
იმისთანა მადლით, არ მახსოვს, მეჭამოს რამე
როდისმე! რასაც კი ვჭამდით შემდეგ, ასე მე-
გონა, ამის მეტათ არ მინახავს მეთქი, ხორცის
თევზის, ინდოურის, ქათამის გემო სულ დამა-
ვიწყდა,—ეს უნდა გამოგეცადნათ, რომ იმისთა-
ნა სიძულილი გექნებოდათ ნემეცებისა, რო-
გორც მე მაქვს მაგ ღვთისაგან დაწყველილ ბარ-
ბაროსებისა.

ამისთანა წრფელმა და გამოწყობილ ქანის
ლაპარაკმა საშინლათ იმოქმედა ჩემზე. უნდა
გენახათ რა დამშვიდებით გვიამბობდა ამ შე-
მაწრწუნებელს, საძაგელს ამბავს! ყმაწვილურის
სიწრფელით სავსე იყო ყოველი იმისი ლაპარა-

კი მის ნამდვილ გმირულ მოქმედებაზე, — დედის მოვლაზე! «მე მქონდა, დიდი, უშველებელი შოკოლადის სახლი...» ეს სიტყვები ჯერ კიდევაც ყურში მიდგას. ვინ .მოგცა, შენ, საწყალო ქანავე, გმირული ძალი მაგდენი ჯოჯოხეთური ტანჯვის ასატანათ? შენ დაუნანებლივ აიტანე საშინელი ტანჯვა შიმშილის, სიცივის და სიღარიბისა. საზიზღარი სურათი კაცობრიობის სისხლის ღვრის: სისხლის მდინარენი, შემდგარი უდანაშაულო ხალხისგან, რომელიც ისჯებიან სწვის შეცდომილებისათვის, სახლნი, გადაქცეუნი ქვის გროვით, ღეთისგან მანიჭებული უფლება კაცისა, მასხარათ აგდებული და უსინდისოთ დამცირებული, — ყველა ამ საშინელმა, საძაგელმა, შეუბრალებელმა და გონების დამაბნელებელმა სურათმა დასტოვა შენს წმიდა გულში მხოლოდ ერთი კვალი—სიძულვილი! ეს სიძულილი მკვიდრდება შენს გულში და შენ უნებლიეთ ჰგონობ, რომ ვერ აღასრულებ წმინდა სიტყვებს წმინდის ტანჯულისა: «მიუტევეთ უცოდნელთა მტერთა» მისთვის რომ შენ-

მა მტრებმა კარგათ იცოდნენ, რასაც მოქმედობდნენ!

ჩვენ გაჩუმებული მიუღიოდით, და ისევ ჟანნის ლაპარაკის ფიქრში ვიყავით ასე რომ ვერც კი შევიტყე საყდრამდინ როგორ მივედით. იმათ უნდოდათ იქ შესვლა და გამოვეთხოვე.

— იცით, რა? მითხრა ბარონესსამ, როდესაც მე დავაპირე წასვლა, თუ არ გეზარებათ, ხვალ საღამოს ჩვენთან მობძანდით; ვილაპარაკოთ რამე. თქვენც მგონია, ნაცნობი არავინა გყავთ. არ დაგავიწყდეთ ნახვამდინ უთუოდ გელით.

მე მადლობა უთხარ და დავპირდი მისვლას.

ჟანნას სახე მთელი ღამე თვალი წინ მიდგა. ცხადათ წარმომიდგა, ყოველი ტანჯვა, რომელიც გამოსცადა პარიჟის აღების დროს. ნუთუ ამ ტანჯვამ ანუ მამის გავლენამ, როგორც ამბობდა დედა, აღძრეს და აღზარდეს მის გულში სნეულებითი სიყვარული მამულისადმი? ვფიქრობდი მე. დროებითი გრძნობაა ყმაწვილის ქალისა თუ დაუბრუნებელი რწმუნება მისი? მე ამ კითხვების ახსნა მაშინ არ შე-

მეძლო მაგრამ ნათელი სახე ჟანნასი მაინც არ მასვენებდა. რა დღესაც მე იმას ვერ ვნახავდი, ის დღე ჩემთვის ნამდვილი დასჯა იყო. თითქმის ყოველ საღამოს იმათთან ვიყავ, იმათმა გულითადი მიღებამ, იმათმა ქცევამ, პატივისცემამ ძალიან დამიახლოვეს მე. ნაცნობი. არც მე მყვანდა სხვა, არც იმათ, და მშვიდობიანათ, წყნარათ ვატარებთ დროს.

— თქვენ, მგონია, კიდევ შეიცარიელები გგონივართ? მითხრა ერთხელ ბარონესსამ, მაგრამ უნდა ვითხრათ, რომ ჩვენ ფრანციელები ვართ. — ჩვენ იმისთვის დავეწერენით გასტინიცაში მაგ ნაციის სახელზედ, რომ ფრანციაში თუ შეიტყეს ჩვენი აქ ყოფნა, უპირველესს ჩვენს მეგობრებს დავკარგავთ წიგნებიც. ჟენევიდგამ მოგვდის. არავინ არ იცის ჩვენმა მოსამსიხურეებმაც არ იციან, ემსში ვართ თუ სად. თუ შეიტყეს ყველანი მაშინვე თავს დავგანებებენ, ისე სძულთ პრუსიელები. ან როგორ არ შესძულდებათ? როდესაც შემოგვესივნენ ეს ბარბაროსები, ჩვენს მამულში, მდებარეს ბლუაში

სულ აგვიკლეს და მოგვტაცეს. მებელი, ხომლები, სურათები ფრთხილათ ჩაალაგეს და გაგზავნეს გერმანიაში. სარდაფში ბევრი ძველი ღვინო მქონდა, სულ დალიეს და თუ გადარჩათ რამე, გამოიტანეს გარეთ და გადაღვარეს. მე გადავარჩინე მხოლოდ რაოდენიმე ძვირფასი ნივთები, ერთის ჩვენის დიდის ხნის მოსამსახურის შემწეობით, რომელმაც ეს ნივთები დამალა კედელში. —

ბევრი ამ გვარი ამბები მიაშობო, მაგრამ ყველა ვერ გადმოიცემა. თავის ქმარი მხოლოდ ერთხელ მოიგონა და თანას კი არც ერთხელ ხელ არ უხსენებია. გასაკვირველიც არ არის ის, როგორც შევითქვ, ომში მრუკლავთ, 4 სექტემბრის შემდეგ, და იმათთვის მძიმე იყო ახალი მწუხარების მოგონება — დედა ამბობდა რომ ის ძველი რესპუბლიკანელი იყო და კარგი დიდი ადგილი ეჭირა რესპუბლიკის დროსა და შემდეგ იმპერიის დროს დასტოვა პოლიტიკური ცხოვრება. რა გამოაცხადეს «მართებლობა ხალხის დაცვისა» მაშინ შევიდაო

სამსახურში ლოარის არმიაშია და იქ მოკლესო. ბარონესსამ მიჩვენა წიგნი განსვენებულის თავის ქრმისა, რომელსაც ინახავდნენ სახარებასავით, დაწერილი სიკვდილის წინათ ჟანნასთან. ის სწერდა, რომ ხვალ საომრათ მივდივართო და იქნება ველარ განახოთო; ლოცავს ჟანნას და ამბობს: «მშვიდობით, ჩემო ჟანნავ! მშვიდობით, შეიღო ჩემო და შეიღო ფრანციისავ, რომელიცშენ გიყვარს არა დედაკაცურის სიყვარულით ფრანცია და სიყვარული მისდამი იქმნეს წინა მძღომელი შენის სიცოცხლისა! ღმერთმა იცის, რა ტანჯვა და უბედურობა მოგელის შენ! იქნება ცხოვრების გამოკდილებამ, თავისის მძღავრის ხელით, დათრგუნოს შენი, სიცოცხლით სავსე, ჭაბუკი ძალა, მაგრამ რაცუნდა მოგივიდეს, რა უბედურობაშიაც უნდა ჩააგდოს განგებამ შენი ბრწყინვალე თავი, ნუ დაივიწყებ ჟანნავ შენს წმიდა მნიშვნელობას, რომელიც ეხლა ფრიად საჭიროა, აღზარდე შენი შვილები იმავე სიყვარულით მამულისადმი, რომლით შენ სრული ხარ, და შენ აღასრულებ შენს

უდიდეს მნიშვნელობას ამ სოფელში, შენ-
აღასრულებ საქმეს რომელიც არ იქნება ნაკ-
ლები შენ წმინდასახეობის საქმეზე *). მოგვეცი
განგებავ ამისთანადელები, და ფრანცია დაცლილი
ეხლა სისხლით, აღსდგება უძლიერესათ, მეტათ
შემძლეზელათ, და უმშვენერესათ თავის
შვილების შემწეობით. — დამერწმუნე. ჟანავე
მალე მოვესწრობით მაგას! ღმერთმა ინებოს
შენი სიცოცხლე იმ დრომდინ, როდესაც ჩვენ
უბედური სამაშალო აჰყვავდება და დაიწყობს
სრულ ცხოვრებას, როდესაც აღსრუდება ჩემი
უკანასკნელი სურვილი და ჩვენში იმთავრებენ:
თავისუფლები, ძმობა, თანასწორობა, მშვიდო-
ბიანობა და სინათლე.»

ერთს საღამოს ჟანა ძალიან მხიარულათ
იყო. მშვენერათ კელქობდა, წარმოადგენდა
თავის დედას ნაცნობებს, მღერობდა ფორტე-
პიანოზე უკრავდა, და საზოგადოთ ჩვეულებრივ
ხასიათზე არ იყო იმ დღეს, — როდესაც, ესთხო-
ვე, წარმოვედგინე მე, ჟანამ უხუმარათ მოვიდა
თვალები ძირს დაღუნა და მორცხვის სახით
მითხრა:

*) ჟანა დარკ.

— Non, monsieur! **)

ყველას გაგვეცინმ ამ სიტყვაზე.

— ერთი მითხარით, რათა ხართ აგრე მორცხვი, თითქო ახლად გამოსული ქალი მონასტრიდან? მეც ვიყავი მონასტერში მაგრამ მე არავარ თქვენსავეთ მორცხვი. მე თქვენ თავის დღეში არ გეტყვით: Non, madame! ჯერ მეგონა, რომ მუნჯი იყავით, ისე გაჩუმებული იყავით, ერთი სიტყვა მაინც გეთქვით! გახსოვთ, როდესაც თქვენის მეგობრით სადილს მიირთმევდით რესტორანში, და ერთი ფრანცუზი მოვიდა თქვენთან, და თქვენ ისე კარგათ ლაპარაკობდით ფრანციაზე, — ის მე ვიყავი, რომელმაც ტაში დაგიკარით, არ ვიცი გაიგონეთ თუ არა? «მიეცით თავისუფალი აღზრდა ახლად აღყვავებულ ფრანციას, და თქვენ ნახავთ, რომ ეს საუნჯე განათლებიისა, რომელმაც მრავალჯერ უმსხვერპლა თავის შეცთომილებისათვის თავისი ძვირფასი სისხლი, შეიქმნება ისევ დამამშვენებელი კაცობრიობისა» ხედავთ, რო-

*) არა უფალო.

გორ მახსოვს! საშინლათ მომეწონა, რომ აგრე მოიხსენიეთ ფრანცია. მოქალაქე ჟანნა მანიე — სტჟვა სურიოზნათ ჟანნამ, გიცხადებთ თქვენ თანაგრძნობას, შესახებ თავის საწყალ სამშობლოს, მომავალისას, და მადლობას მოგახსენებთ, თქვენ უპატივცემულ უცხო ქვეყნის კაცს ფრანციის ხალხის მაგიერ, და გთხოვთ რომ დაუკრათ რესპუბლიკური სიმღერა. — მარსელიეზა!

მე ავდექი და მივედი ჭორტეპიანოსთან, ჟანნამ დაუწყო ძებნა მარსელიეზსა.

— ეს რა არი, სტჟვა ჟანნამ, ვის მოუტანია «Patrie» სარდუსი? გინახავსთ ეს პიესა?

— დიახ, მინახავს.

— გახსოვთ, შეანიშნავი ჭრაზა, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავს მთელი პარიჟი! *Je suis femme et la patrie a moi c'est l'amour!**) რა მაღალი სიტყვებია და ამასთანავე რა სულელობაა! მე სხვა წაირათ გადავასწოირე ეს სიტყვები *Je suis fille de la belle France et l'amour à*

*) მე ქალი ვარ და სამშობლო ჩემი სიუკარულია

moi c'est la patrie! *) ასე სჯობიან განა?
 აბი მარსელიეზაც ვიპოვნე.

ქანნა მოჰყვა სიმღერას და მე ჭორტუბიან-
 ზე უკრავდი. მაღალი, მიმზიდველი, რაღაც გან-
 სხვავებულის ტემბრით ხმა და სიტყვები წარ-
 მოსთქმული სრულის გრძნობით ამშვენებდ-
 ნენ მის სიმღერას. - ლოყები გაუწითლდა,
 თვალები აფესო რაღაც საუცხოვო ნათელით,
 და თვითონაც თითქო ჰგრძნობდა, არა ჩვეუ-
 ლებრივი ძალის მიმატებას ამ სამხედრო გი-
 ნის აღსრულების დროს. რა მშვენიარი იყო
 იგი იმ დროს!

Amour sacré de la patrie... **)

წარმოსთქვა აკანკალებულის ხმით და დაიჩო-
 ქა; სქელ ოქროს თმის ნაწნავებმა დაჰუარეს
 მისი გული:

Conduis, soutiens, nos bras vengeurs ***)

*) მე ვარ ქალი მშვენიერის წმინციისა და სი-
 ყვარული ხეში სამშობლოს.

**) წმინდა სამშობლოს სიყვარული.

***) სელი მოუძაროე ჩვენს მუწის მკებელს
 მარჯვენას!

წარმოსთქვა საშინელის ოხვრით: ჩამოჰყარა მსხვილი ცრემლები, და გაგრძელება ველარ შეიძლო; დასუსტებული უნდა დაცემულიყო მიწაზე, ასე რომ მე ძლივსლა შევასწარ მისი დაქერა. ყველანი მივეხვი ვენით დასამშვიდებლათ. —

დევაგ, შენი ჭირიმე, მომწყინდა, მომწყინდა, მინდა ვიტურო ამბობდა იგი ტირილით. —

— რა უყო, რა ექნა, რა მეშველება, არ ვიცო, ღმერთს გეუიცებით? ხანდა-ხან აგრე მოზდის ხოლმე! ამბობდა დედა.

რათღენიმე ხნის შედეგ ჟანნა დამშვიდდა, მაგრამ ერთი სიტყვა აღარ უთქვამს იმ საღამოს:

მეც თვითონ ვერა ვხედავდი, ისე უნებლიეთ მიმიზიდა ჟანნამ. — სადაც უნდა ვყოფილვიყავ, ყოველთვის ჟანნა მაგონდებოდა; დროის მომდინარეობით, იმან სრულიად შეიპყრა ჩემი გული. — ვიცოდი, რომ გულით მიყვარდა, მაგრამ ამასთანავე მე არ მინდოდა მეღვთიარებინა — ჩემის თავისთვისაც ეს გრძნობა. მე მეშინოდა ყოველი სჯისა, ყოველის სიტყვისა; ვსცდილობდი, დამერწმუნებინა, რომარაფერია მაგრამ... მაგ-

რამ ვგრძნობდი, რომ ჩემს თავს ვაჭყუებდი. მოკლე სულის კაცი, რომელიც ბოროტათ მოიქცა, ასე უიშობს და ეძნელება მოიგონოს დაწვრილებით თავისი მოქმედება! ეხლა, როდესაც მაგონდება, და გულგრილათ ვსჯი, მეცინება კიდევ, მაგრამ მაშინ სულ სხვასა ვგრძნობდი. არ ვიცი რა საჭირო იყო, რომ ჩემს თავს ასე უმაღლავდი? რატომ მაშინვე არ გაუტყდი ჩემს გრძნობას, რომელიც მიპყრობდა მაშინ?

სალამ-სალამოთი ხშირათ მივედიოდით სასეირნოთ გარემო ადგილებში, ჟანნასთვის დიდი სიამოვნება იყო გორეებზე ასვლა, და სირბილი. ერთხელ ჩვენ მივედით პატარა გორის ძირში, რომლის წვერზე ძველი შენობის ნანგრევები იყო.

— ახ, რა რიგათ მინდა იქ. ზევით ასვლა! უთხრა ჟანნამ დედას.

— მე კი დამესხუნ უპასუხა დედამ, როგორ შემიძლიან მაგ სიმაღლეზე ასვლა!—

— ჟანნა ყოველთვის რაღაც უცნაურს მოიგონებს ხოლომე! აბა, რა გინდა იქ? უთხრა კაროლინამ

— ისე — მამივიდა სურვილი! ძალიან მინდა იქ ასელა.

— თუ ნებას მომცემთ, უთხარი მე, მე გამოგყევებით!

— ძალიან კარგი! დიდათ გმადლობთ! შენ დედასთან იყავი, უთხრა კაროლინას და ჩვენ იქ ავალთ! რა ზარმაცები არიან, აი, ეს ერთი კაცი გამოჩნდა კეთილი!

ქანნა სწრაფათ გაიქცა ბილიკზე, რომელიც გორაზე აღიოდა.

— რა დაგემართათ, წამოდით ჩქარა! ვერ უყურებთ მოდის ნელა-ნელა, თითქო ბალში ემზადებაო.

— თუ აგრე სირბილით ახვალთ, უთხარი მე, თავ დაგანებებთ შუა გზაზე!

ქანნამ გაიცინა.

— რა ზრდილობა იქმნება თქვენგან და! კაი კავალერი ყოფილხართ! მაგრამ რა ვქნა, უნდა წყნარათ ვიარო. — ერთი მითხარით, სირბილი რატომ არ გიყვართ?

— უცნაური კითხვაა! უთუოთ იმ მიზეზით, რომ მე ქვეყანაზე არა მიყვარსრა!

ქანნამ გაოცებით შემომხედა.

— განა შეიძლება? არაფერი არ გიყვარდეთ? მე
ეგ არ მესმის, არაფერი არ გიყვართ! იქმნება
თქვენი სამშობლოც არ გიყვართ?

მე ამ კითხვას მოველოდი. მინდოდა წინა-
აღმდეგის თქმა.

— სამშობლოც არ მიყვარს, უთხარი მე.

ქანნა არ მოელოდა ამ პასუხს, შედგა კიდეც
და შემომხედა პირი სახეზე. —

— მაგას, კი, ეთქვათ, ხუმრობით ამბობთ!

— გარწმუნებთ, არა ვხუმრობ.

— არა, ეგ შეუძლებელია! სთქვა თვითრწმუ-
ნებით... მაშ რა... ქანნა შედგა. —

— რა კაცი ეყოფილვარ, გინდათ სთქვათ!
იმისთანა კაცი ვარ, როგორც სხვა!

— როგორ თუ, როგორც სხვა! სამშობლო
ყველას უყვარს!

— ძალიან შემცდარი ხართ მაგაზე, არიან მრავალნი
რომელთაც თავისი მამული არ უყვართ!

— იქმნება თქვენში აგრეთა, მაგრამ ჩვენში
ყველას უყვარს.

ძალიან სცდებით! თქვენშიაც ცოტა არ იპოვება, რომელთაც არ უყვართ მაინც რა არის სამშობლო? სადაც კარგათ სცხოვრებს კაცი, იმისი სამშობლო იქ არის!

— მე თქვენი ვერა გავიგე რა, სთქვა ჟანნამ, ჩემის პასუხებით გაოცებულმა! ჩემს ფრანციას სამოთხეზედაც არ გავცვლი!

— ბევრსაც დაჰკარგავთ; ეუპასუხე მე სიცოცხლით. რომელი სჯობიან: კარგი თუ ცუდი?

— უცნაურათ მკითხავთ! რასაკვირველია, კარგი სჯობიან.

— არჩევანზე რომ მივარდეს რომელს ამოირჩევთ: კარგს თუ ცუდს?

— კარგსა.—

— ძალიან კარგი. არ იცით, არის სადმე ფრანციაზე უკეთესი მხარე თუ არა??

— არის! მაგალითად შვეიცარია!

— მაშ თქვენ შვეიცარია მეტათ უნდა გიყვარდეთ, იმისთვის რომ ისა სჯობიან, ესე იგი. შვეიცარია კარგია და ფრანცია ცუდი.

— არა, ფრანცია ჩემი სამშობლოა და იმისთვის მეტათ მიყვარს.

— ორი ვაშლი რომ გაჩვენონ, ერთი დამკალი და მეორე კარგი, რომელს მიღებთ?

— კარგსა.

— თქვენ ამბობთ შვეიცარია ფრანციაზე უკეთესიაო, რატომ შვეიცარია არ გიყვართ? თქვენის ტეორიით ესე გამოდის.

— რა ტეორიები უნდა! ერთის სიტყვით ფრანცია მიყვარს და გათავდა, სთქვა ჟანნამ. თქვენ მაშ არ გიყვართ თქვენი სამშობლო?

— არ მიყვარს. დღეს ემსში ვარ, მომწონს და ჩემი სამშობლო ეს არის; ხვალ იტალიაში წავალ და თუ ის მეტად მომეწონა, ჩემი სამშობლო ის იქნება!

— უკაცრავათ, ეგ ძალიან ცუდია! მაგრამ, იქნება მე მეჩვენება აგრე.

ჟანნა დაფიქრდა და შემდეგ მკითხა!

— მითხარით, სწორეთ კაცებიც არ გიყვართ?

— კაცები? ყველას სიყვარული არ შეიძლება, და ერთი პირიკი მიყვარს!

— მარტო ერთი რაღათ!

— იმიტომ რომ ერთს და იგივე დროს ორის სიყვარული არ შეიძლება.

— დიახ, ეგ მართალია! ის ერთი რაღათ შეგიყვარდათ?

— იმისათვის რომ ის სხვაზე უკეთესია! რომ იცოდეთ რა რიგათ მიყვარს.

ქანა ცოტათი გაწითლდა, დაფიქრდა, და პატარა ხანს უკან კიდევ მკითხა!

— მე დიდათ მსურს შევიტყო, ვერ მეტყვი რომელი გიყვართ ღმერთს გეფიცებით, არავის ვეტყვი.

— რატომ, შემძლიან გითხრათ, თქვენც კარგათ იცნობთ იმ პირს.

ქანა უფრო გაწითლდა, ცოტათი შერცხვა.

— იმის სახელი გინდათ შეიტყოთ?

— დიახ, მინდა, მითხრა ჩქარა.

— ის პირი.... თითონ მე ვარ!

ქანამგაოცებით შემომხედა,

— ფი! რა თავის მოყვარე ყოფილხართ! არა გრცხვენიათ მაგას ამბობთ!

— რათა? რა ცუდია? მე ისა ვსთქვი რასაც ყველა გრძნობს, და არავინ კი ამბობს!

ქანა დაფიქრდა და გაჩუმებული მიდიოდა.

თითქო რალაც საჭირო საგანზე ფიქრობდა და თითქო მისი შუბლი მოიღრუბლა.

— მითხარით, ერთი, სთქვა შემდეგ, განა შეიძლება აგრე გაატაროს კაცმა თავის სიცოცხლეს?

— როგორ?

— რომ თავის თავის მეტი, არავინ უყვარდეს?

— არა მგონია, ვუთხარი მე.

— რასაკვირველია, მეც აგრე მგონია, სთქვა მხიარულათ ჟანნამ.

— არა, სწორეთ მითხარით, მკითხა კიდევ დიდის ხნის გაჩუმების შემდეგ, მართალია, რაცა სთქვით, თუ ხუმრობდით?

— ძალიან გსურთ შეიტყოთ?

— თუ გკითხავთ, ჰსჩანს რომ მსურს.

— მაშ თუ აგრე გსურთ, გეუბნებით რომ ვხუმრობდი!

— მართლა? თითქმის დაიყვირა ჟანნამ, რა ბედნ... მე კი არ ვიცოდი!... არაოდეს არ შევსცდები! მაშ მამულიც გვეარებიათ! კარგი!

დღის ამას იქითმე და თქვენ მეგობრები ვართ!
ხელი მამეცით!

ქანნამ მაგრათ ხელი მამიჭირა და გამხიარულ-
ლებულმა კიდევ სირბილი დაიწყო.

— შეხედეთ, აი იქ, იქ, ძირს მოჩანს ორი წერ-
ტილი შავათ, დედაჩემია და კაროლინა! კარო-
ლინა! დაუძახა ქანნამ იჰ! არ ესმით! ჰეჰე!

Connais-tu le pays ou fleurisse l'orange! (*)

დაიწყო მღერა! აი გალლი მარიე ამ სიმღე-
რას ასე მღერის! ხელები გულზე დაიწყო და
თვალეებით შორს გახედა. — ჯერ ეს სიმღერა არ
გაეთაყვებინა, როკთაუსტზე გადავიდა. წყნარის,
აუჩქარებელის ნაბიჯით, თვალეხ დაშვებული
გაიარ გამოიარა, და ცოტათი უკან მოიხედა
და კიდევ დამღერა:

*Non, monsieur, je ne suis demoiselle, ni belle,
Et je n'ai pas besoin qu'on m'offre la main. **)*

*) იცო იხ მსარე სადაც ჰეჰევის ღიმონი?

**) არა უფალო, მე არ ვარ ქალბატონი, არც
მშეკნიერი, და საჭირო არ არის რომ სული მამცეთ.

და უცებ რალაც მიზეზით გაიხარხარა.—

— რომ იცოდეთ, რა მხიარულათა ვარ! რა მშვენიერებაა! მე მზათა ვარ ეხლა ყველას გადაევხვიო! ძალიან მინდა ამ ციხის კედელზე ასვლა!

— არ ჩამოვარდეთ, უთხარი მე. როდესაც კედელზე დააპირა ასვლა! კლდის სიმაღლე ხუთ საჯენამდინ. იქნებოდა და ისე მარდათ დარბოდა ზედ რომ მე თითონ შემეშინდა. მივედი კედელთან იმ აზრით, რომ დამეჭირა, თუ ჩამოვარდნილიყო.

— რა კარგია აქ დგომა! მე რომ ომში ვყოფილიყავი, ციხეზე, ბაირალით ხელში ასე ავიდოდი, როგორც აქ, და იქილამ გადმოგდახებდი! მე გამომყევით, ფრანციის შეილნო! ვის ეღირსება უწინ სიკვდილი მამულისათვის! წინ წამოდით! და ვიმღერებდი!

Tremblez, tyrans et vous, perfides

L'opprobre de tous les partis! *)

*) გემინოდესთ ტიწანებო და თქვენ წინააღმდეგნო ყოველის ზანტიისა.

ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა, დაბარბაცდა, დაიყვირა და ჩამოვარდა ძირს.

მე ძლივს მივასწარ, და ხელში დავიჭირე. სახეზე დაედო მკვდრის ფერი და უგრძნობლათ დაეშვა ჩემს გულზე! საშანლათ შეშინებულმა არ ვიცოდი რა მექნა!

— ჟანნავ, ჟანნავ რა დაგემართათ? თვალები გაახილეთ, ნუ გეშინიანთ, მე აქა ვარ! ვეუბნებოდლი შეშინებულის ხმით და რალაც დავიწყებაში ვკოცნიდი პირზე, ხელებზე, მაგრამ გრძნობაში მაინც ვერ მოვიყვანე.

— ღმერთო ჩემო! რა დაემართა! ჟანნავ, მე აქა ვარ, ნუ გეშინიან? მე უკუნისამდე შენი ვარ. სიკვდილამდინ არ მიგიშვებ! და წინანდელზე უფრო ხშირათ დაუწყე გაცივიბულ ხელებზე კოცნა!

— ვინა ხართ აქა, სთქვა ჩუმათ, რა გაახილა თვალები.

— მე ვარ აქა, მე, ნუ გეშინიან! მე უკუნისამდე შენი ვარ.

— როგორ! რა გაახილა სრულათ თვალებ-

ბი და თითქო მოაგონდა თავის თავი. თქვენ-
გან მესმის ეგ სიტყვები! ღმერთო ჩემო!
შენ მეუბნები, რომ ჩემი ხარ? ოჰ, ბედნიე-
რებაე! მოდი, მოგეხვიო, ჩემო საყვარელო, მეკ
შენი ვარ, და მაგრათ მომხვია ხელები და მა-
კოცა. —

IX.

იმ მღვთმარეობის აღწერა რომელშიაც მე
ვიყავი, ძნელია, — გამოცდა უნდა, სიტყვით
გადმოცემა კი შეუძლებელია. — თუ ბედნი-
ერება შესაძლებელია მე სრული ბედნიერი
ვაქავ ჩემი შეხედულება სოფელზე სრულიად
გამომცევალა; კაცნი შეჩვენებოდნენ ანგელო-
ზებათ; და აღარ მჯეროდა, რომ ქვეყანაზე უ-
ბედურება არის კიდევ თუ არა? ყოველ კაცში,
რომელსაც შეეხვდებოდი მას აქეთ, მე ვხედავდი
მხოლოდ არა ჩვეულებრივის მხიარულების ნი-
შანს და თვით სახე შეჭმუხნილი კურხალის
სტორიისა, რომელიც ყოველთვის თავ ჩაღუ

ნული გამოიყურებოდა, ჩემის ფიქრით ისიც კი საესე იყო ბედნიერებით! ასე ჰპოვებენ კაცნი იმას, რის პოვნაც სურთ! მე მაწუხებდა ჩემი მარტოობა და აგრეთვე ის, რომ არავინ მყვანდა, რომ განმენაწილებინა ვისთანმე ჩემი ბედნიერება, და მე კი მინდოდა-რომ მთელს ქვეყანასათვის მეცნობებინა.—

მე ეხლა აღარ მახსოვს, როგორ წარმადგინა დედასთან ჟანნამ—როგორც საქრმო—გაუხარდა გაუკვირდა ანუ ეწყინა მის დედას—სრულიად აღარ მახსოვს.—მე გაუგებელ მდგომარეობაში ვიყავ, დღენი მეჩვენებოდნენ წუთათ, და სიზმარსავით უცეფ ჰქრებოდნენ.—

ერთმა კვირამ გაიარა ზემოთ აღწერილის შემთხვევის შემდეგ.—იაგნიცკისაგან წიგნი მიმივიდა, რომლითაც შევიტყე მისი მისვლა ვისბადენში. ჩემი იქ წასვლა საჭირო იყო ბანკირისგან ფულის ნისადებათ. ჟანნას გამოვუცხადე, რომ რაოდენიმე დღით ვისბადენში უნდა წავიდე მეთქი. იგი არ მიშეებდა და დიდის ვეწნის შემდეგ, ცრემლებიანის თვალებით,

მივიღე მისგან თანხმობა, მაგრამ იმ პირობით, რომ დიდხანს იქ არ დამგვიანებოდა.

სალამოზე გამოვეთხოვე და მეორეს დღეს დილით ადრე რკინის გზით წავედი. ჩემდა გასაოცებლათ, ვაგონში დამხვდა გორმანი.

— ხრისტიან კარლოვიჩ! სად მიდიხართ?

— ბრესლაველში მივდივარ; მე კარგი ადგილი მამცეს ერთი გაზეთის რედაქციაში, იმათ უნდათ რუსული ენის მკოდნე. სამიათასს მანეთამდენ მაძლევენ ჯერ. ადგილი კარგია, შეიძლება წარმატებაც მქონდეს! სთქვა გორმანმა.

— პროფესორობას კი თავს ანებებთ?

— თავი დავანებე! გაიქნია ხელი. რას ბრძანებთ, იქ ორდინარის პროფესორს სამი ათასს ძლივს აძლევენ და აქ კი ეხლავე მაძლევენ იმოდენას, აქ ბევრით სასარგებლოა და ცხოვრებაც უკეთესია!

— თქვენს დედა-რუსეთზე, არ მოეწყენთ? ვკითხე მე. — გორმანი გაათრთოლა და ცოტა გაწითლდა.

— რადროს მაგგვარი გრძნობაა. ჩვენს საუკუ-

ნეში. Ubi bene ibi patria *) ეხლა ჩემი დე-
ვიზი ეს არის. ნახავთ როგორ შევამკობ კატკოვს!
ვისბადენს მიუახლოვდით.

— მშვიდობით ქრისტიან კარლოვიჩ; ვისურ-
ვებ თქვენს წარმატებას ახალ საქმეში; და ღმერ-
თმა ქმნას რომ თქვენმა ახალმა სამშობლომ
მიგიღოთ პატივისცემით.

რკინის გზიდან პირდაპირ იაგნიცკისთან წავე-
ლი და მძინარეს მიუსწარ!

— ადევით! რა დროს ძილია! უთხარი მე
მხიარულათ.

საათს დახედე, ქუჩას გახედე...

სახლს გვიან სწმენდენ აბრაზუნებენ.

— «ბელნიერნი დროს არ უყურებენ» სოქვა
იაგნიცკიმ

— სწორეთ, რომ არ უყურებენ! ეგ მართა-
ლია, მართალია, კონსტანტინ პეტროვიჩი! მო-
დით, ერთი მოგეხვიოთ, უთხარი მე და გადა-
ვებვიე.—

*) სადაც კარგია იქ არის სამშობლო.

კონსტანტინ პეტროვიჩმა თვალი შემომამკვიტა მოულოდნელის ქცევის გამო. —

— რა ამბავია! მე თქვენ ველარა გცნობთ! მითხრა მე. გასაკვირველია! სრულებით გამოცვლილხართ. რა დაგემართათ, ერთი მთხმეთ, შენი ჭირიმე. —

ყოველისფერი დაწვრილებით ეუამბე!

— ა, კარგი ამბავი მამხლარა! ხედავთ! მაგას მე არ მოველოდი! გეტყობათ, ჩემის წყალობით თქვენ, თქვენი საქმე გაგითავებიათ!

— ყოჩაღ! ბრავო! ეხლა კი, ვგონებ, თქვენს ჟანნას monsieur, აღარ ეუბნებით!

«ეხლა ძმაო, მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი!» უთხარი მე.

— «უფთხილდით, ცოლი რომ. შეერთოთ იგივე არ იშტვინოთ დალონებით» მიპასუხა სიცილით. 1)

იმ დღეს მე სრულიად დამავიწყდა უპირველესი მიზეზი ჩემის აქ მოსვლისა და ბანკირის კანტორაში არ ვყოფილვარ. მე და იაგნიცკიმ

1) ეს სიტყვები აწის კომედიიდან «Горе от ума»

სადილი ერთათ ვსჭამეთ კურხალში, ჟანას სა-
დღეგრძელოც დავლიეთ; მთელი დღე იაგნიც-
კის იმაზედ ველაპარაკებოდა და როგორც ეხ-
ლა მგონია, საშინლათ მოვაწყინე კიდევ თავი
ამ ლაპარაკით.

მე სამი დღე კანტორაში სიარულს მოუხდი;
გამოვედი თუ არა მაშინვე რკინის გზაზე წავე-
დი. იაგნიცკი დამპირდა იქ მოსვლას და მეჯვა-
რეთ ყოფნას. ორისაათი, რომელიც გზაში
გავატარე, ორ წელიწადთ მეჩვენა. მზე ახალი
ჩასული იყო, როდესაც ემსში მოვედი. ვაქხალ-
ში ბევრი ხალხი იყო. მე გამაკვირვა ჟანას იქ
არ ყოფნამ, იმან არ იცოდა, რომ ამ დღეს
მოვიდოდი, მაგრამ მაინც კიდევ წარმოვიდგინე,
რომ ვაქხალში დამხვდება მეტეი. მაშინვე გავიქეცი
«დარმშტატის» სასტუმროში. კორიდორიდანვე
შევენიშნე, რომ კარები იმათის ნომრისა ღია
იყო. ძალიან გამოაცა ამ შემთხვევამ. რაწამსაც
მივედი იმ ნომერთან, იქიდან გამოვიდა
მოსამსახურე დედაკაცი, ცოცხით ხელში. გულ-
მა ძვერა დამიწყო. უთუოთ გაღვიდნენ სადმე
აქედან, ვფიქრობდი მე.

— სად არიან ის ქალები, რომელიც აქ იდგნენ? ვკითხე მე აჩქარებით.

— წავიდნენ.

კედელზე მივეყუდე, რომ არ წავქცეულვითყავ! არ ვიცი რა ვიფიქრე. მე მგონია, რომ აზრიც კი დამეკარგა. —

— იქნება სხვაგან გადავიდნენ? ვკითხე მე, წყალ წაღებული ჩალას ეჭიდებო. — ნათქვამია სწორეთ ისე მამივიდა მეც.

— არა, რკინის გზით წავიდნენ სულერთი-ანათ.

ამ პასუხის შემდეგ მაინც კიდევ იმედი მქონდა რილასიც, მოსამსახურის მოკლე პასუხმა მე ელვასავით ტანში ამაყრიალა. — თვალები დამიზნელდა, ფეხები ჩამეკეცა, ვუღმა ძგერა მომატებულათ დამიწყო, და თუ დივანი არ დამხვედროდა, რომელიც აქ იდგა, წავიქცევოდი.

მოსამსახურემ ცნობის მოყვარეობის სახით შემომხედა.

— ვგონებ თქვენს სახელზე წიგნი დააგდეს აქ, კელნერს აქვს, ეხლავე დაუძახებ. —

— თუ ღმერთი გრწამს, უთხარი მე იმას, ჩქარა, მამიტანეთ. მცირე იმედმა გამაცოცხლა. «უთუოთ სახლში უბედურება შეემთხვათ რამე» ვიფიქრე მე.

კელნერმა წიგნი მამიტინა, ჟანნის ხელით ნაწერი იყო, მაშინვე სისწრაფით, გავხსენ კონვერტი და აი, რა წავიკითხე:

«წინათვე დარწმუნებული ვარ, როგორ შეგაწუხებდნენ ჩემი წიგნი; იგი აღძრავს თქვენს გულში ჩემდამი სიძულვილს; მაგრამ ჩვენის წარსულის მეგობრობისათვის, გთხოვთ ბოლომდინ მომისმინოთ. რამწამს თქვენ წახვედით, მე მაშინვე დავიწყე ფიქრი ჩვენს მომავალს ქორწინებაზე! მანამდინ მე დრო არა ამქონდა ამის მოფიქრებისა—მე ისეთ ბედნიერებაში ვიყავ, რომ არაზედ დავფიქრდებოდი. ახრი რომ თქვენ უცხო ქვეყნის კაცი ხართ, მანამ არ წახვედით, თავშიაც არ მამსვლია. იგი, როგორც ჭია, ისე მიღრღნიდა გულს, ორის დღის განმავლობაში, რაც თქვენ წახვედით. მე

«შემადრწუნა ისეთის კრმის შერთვამ, რომელ-
 «საც ეუცხოვება საწყალის ჩემის მამულის ინ-
 «ტერესი! მე მომაგონდა ანდერძი ჩემის განსვე-
 «ნებულის მამისა—რომელიც თქვენც წაგიკით-
 «ხავთ—სადაც მეუბნება შვილების აღზრდას
 «იმავე სიყვარულით ფრანციისადმი, როგორა-
 «თაც მე თითონ მიყვარს! ეხლა უფრო საზა-
 «რელათ მეჩვენა ჩემი მდგომარეობა! ჩემი შვი-
 «ლები ფრანცუზები არ იქნებიან! სიკვდილი
 «მირჩვენებენ ამის მოსწრებას! თქვენ კარგათ
 «იცით, რა სიყვარულიცა მაქვს ჩემის მამული-
 «სა, მხოლოდ ამითი გცოცხალვარ! თქვენ
 «რომ შემრთეთ, ყველაზე უნდა ხელი ამელო,
 «რითიც აქამომდე ვარსებობდი, ამას დიდი ძა-
 «ლა უნდა, რომელიც მე არა მაქვს. მე დავე-
 «მორჩილე ენებას, გულითადის მიმზიდველო-
 «ებას, ჯოდესაც თანხმობის სიტყვა მოგეცით—
 «იმ წუთას დამაფიწცდა, მე ჩემი სამართო მოგა-
 «ლეობა, დამაფიწცდა, რომ ვიყავ ფრანციის
 «შვილი, მაშინ ვიყავ მე მხოლოდ დედაკაცი!
 «და ეხლა ჰმ დედაკაცმა უნდა აღასრულოს

«ერთი დამამტკირებელი და შემნაცხვენელთაგანი
 «მოქმედება ქვეყანაზე — უკუსდგეს თავის სიტყვას!
 «მე ჩემს თავს მოვიკლავდი, მოვიწამლამდი,
 «რომ იმდენი გაბედულობა მქონდეს — რომ არ
 «აეიტანო ეს სიმდაბლე — მჭგრამ! მაგდენი ღო-
 «ნე ვინ მამცა! თქვენს მოსვლას მომეცადა, ყო-
 «ველივე ესე პირდა-პირ მეთქვა. არა! ეგ შეუ-
 «ძლებელი იყო! რის თვალით უნდა შემომე-
 «ხედნა თქვენთვის?? ამისათვის მე დავაპირე
 «წასვლა, რომ ჩემს დღეში აღარა გნახოთ. გა-
 «ფიცებთ იმ სიყვარულს, რომელსაც ჩემდამი
 «ჰგრძნობდით, ნუ მონახავთ ჩემს კვალს. დაი-
 «ფიწყეთ თქვენი საწყალი ჟანა — რომელმაც
 «ბევრი ტანჯვა გადაგატანათ — და იცოდეთ
 «რომ მას სამუდამოთ ეყვარებით — თქვენ რომ
 «მოგიძულოსთ, — დარწმუნებული იყავით — მაგ
 «ახალ ტანჯვას იგი ვეღარ აიტანს! იყავით ბედ-
 «ნიერი — ეს არის მხოლოდ ჩემი ნატვრა — და
 «ხან და-ხან მოიგონეთ ხოლმე

თქვენი საბრალო ჟანა.»

იგნი ხელიდგან გამეარდა; დავეცი მდივან-

ზე და დაფიწყე ტირილი—ტირილი პირველად
ჩემს სიცოცხლეში!

დ. გ. კრისტაფი.

ს. ლძიხა 31 აგვისტოს-

1872 წელსა.

ბელორუსის
რესპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
კაბინეტის
დირექტორის
ადგილის
პირველი
ვიცე-პრეზიდენტი
გ. მარტინუჩი

მუნამბაზი.

ფიქრები მაქვს, წინ შენი ხასხე მოდის!
გ. მარტინუჩი.

ნახევარი ცხოვრების გზა გავლხე,
სიტკობსედა მწარე მეტი დავლიე,
აჩ მომადება მწუსარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიტინი, აჩ ვსტირდი!
დას მიქვიან პირადო მწუსარება!?!...

— მოჩკვდეს ჭტი, თუ პირუტყვს ედარება!!
ვილას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჭყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი!
მაგრამ იცით, ხეძი სატრფო ვინ არი?
სკელი ტურთა, დღეს მკვდარივით მძინარდი!
ფეხ-შიშკელი, თავსედ ლეხაქ მოხდილი,
უგრძნობლად ჭხდის საწყალს საგათას ძილი!...
თავს ვადვივარ მისი ჭირისუფალი;

თუმცა გულს მწკავს მწუსარების მე ალი,
 მაგრამ მანც ვიტინი სამ ნაიწად
 და მჭკრეტელთაც ესა აქვსთ გასაკვირად:
 «ჭირისუფალს მხოლოთ ცრემლი შევინოს!
 ეს იტინის?... ჩოგორ, არა რცხვებისო!...»
 რა იტინს, რომ ეს გული შეკადრია!...
 რომ სიტყვილი ბევრჯერ ცრემლზედ მწარია!...
 მე ვიტინი იმის გაძო სამ გვარად,
 რომ სატრფოზედ ვფიქრობ უსუსტრად, მარად:
 მის წასრულსა ვიგონებ და გულსა მწევეტს!
 აწმყო მტანჯავს და გულს მიწკავს, ვით აბედს!
 მოძავალი ვი მზირდება მე იმედს
 და სამ გვარად მით დავსტინი ამის ბედს!
 თორემ ჩემთვის ტყუილია სიტყვილი,
 ზინადს ვნებას არა აქვს ჩემთან სული!
 მხოლოდ ამის გაღვიძებას მე ვუცდი,
 თუ ლოდინში უდრყოლად არ მოვხუცდი!
 მოვესწრები, რომ განიფრთხოს მან ძილი
 და მამღეროს ისი ტურფა ქორწილი!
 ჩოდის იქნეს, სვიმონივით მეცა ვსთქვა:
 «განმიტყე!» და მღვიძარი მივირქვა!...
 მაშინ მხოლოდ მე გულთთ გავიტინებ,
 მოსკენებით საფლავშიც დავიძინებ!...

[Handwritten signature]

საქართველოს ისტორიული მასალები

იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი
დღენი

ჩვენება ათონელი ბერის ილარიონ ქართლელისა,
რომელიცა გარდაიცვალა ათონის მთაზე და ეს ამ-
ბავი უამბო სიკვდილის დროს თავის მოძღვარს
გაბრიელს ბეზს:

რადგანაც იესე დეკანოზის სამსახური მეფესთან
თითქმის ნახევრად პოლიტიკურ და დიპლომა-
ტურ საქმეებს შეეხებოდა, ამისთვის საჭიროდ
ფრაცხავ იმერეთის მეფის და სამეფოს საქმეები,
რომელნიც იმან მე გაბრიელს გადმომცა,
ქვეყანას ვაცნობო. როცა საქართველოს მეფე-
ებმა რუსეთთან თავიან ქვეყნის დასათმობათ

საქართველო იმერეთიანა მიწერ მოწერა დაიწყეს და იმისი სხვა სამფლობელოანი მთელ კავკასიაში ერთ სახელმწიფოდ იყო წარდგენილი და ქართველის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ 1801 წ. იანვრის 18 ზემოაწერილ ტრაქტატის ძალით, რომლითაც საქართველოს თვითგამგეობა მისცეს, რუსეთმა თავის გავლენა იმერეთზედაც განაპყრო. ქართლელმა მხედართმთავრებმა იმერეთის მეფესთან მიწერ-მოწერა დაიწყეს, რომ ის საქართველო იმერეთის სახელით რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებას დათანხმებოდა. იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ შეკრიბა წარჩინებული სახელმწიფო კაცების კრება და გადაწყვიტეს ასე: რადგანაც მეფეს მემკვიდრე არა ჰყვანდა, ვიდრე მეფე ცოცხალია, სამეფო გამგეობა ხელ-შეუხებელი უნდა დარჩენილიყო და ყოფილიყო ერთისაწმუნოების კავშირი რუსეთთან, მიწერ-მოწერა, რუსეთის ლაშქრის იმერეთით თბილისში გაშვება და ომის დროს ურთიერთი დახმარება იმისთანაღვთისაგან ცხებულს და ქრისტიანი ხალხიდგან

დადგენილს კაცებს უნდა ჰქონდესთ მინდობილი, რომელნიც სულიერი გაუწყვეტელი კავშირით და სარწმუნოებაში მუდამ შეურყეველობით არიან შეკრულნი. მეფის სიკვდილს შემდეგ კი იმერეთის სამეფოში უსათუოდ რუსეთის სახელმწიფო უფლება, გამგეობა და სჯული უნდა დაწესებულიყო. მოლაპარაკების შემდეგ რჩევამ მოხსენებული მიზეზებით წერილობითი ტრაქტატი შეადგინა, რომელიც თფილისში მხედართ-მთავარს გაეგზავნა მისი იმპერატორებითი დიდებულების იმპერატორი ალექსანდრე პირველის წინაშე წარსადგენათ. თუმცა ეს ტრაქტატი შედგენილი, იყო მაგრამ ერთი დარბაისელის კაცის, სახელდობ კარის კაცის ზურაბ წერეთლის, ჰკუთაში რალაც დაფარული აღრეულობა სწარმოებდა. ეს კაცი, რომელიც სოლომონ პირველის დროს რუსეთში იყო და მისძს იმპერატორებითი დიდებულების ეკატერინა მეორისაგან წყალობის და გენერალ-მაიორის ჩინის ღირსი შეიქმნა, იმერეთში იმ დროს ხალხის თვალში რალაც შესანიშნავ

პირად ირიცხებოდა. იმის ხმა და ღიღება თვით მეფეს და კარის კაცებს აღემატებოდენ. იმის სასახლე შორაპნის უეზღში დაბა საჩხერეში აზნაურებიდგან და მეფის გარდახვეწილი მოღალატეებიდგან მაგარი ზღუდით შამოვლებული იყო, იმის ღიღება უსაზღვრო იყო, იმას თითქმის ყველა იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და ქართლის შესანიშნავგვარებთან ნათესაობადა კავშირი ჰქონდა. ის სცხოვრებდა რაინდულად, უსაზღვრო უფლების შეერთებით. ერთის მხრით ის პირმოთნეობით რუსეთის მომხრე იყო და იმის მფარველობით სარგებლობდა და იმით მეფეზე და იმერეთზე რაღაც გაელენა ჰქონდა, რომელიც მეფეს და კარის კაცებს იძულებულს ჰყოფდა მას მონებოდენ. თუმცა ეს კაცი რჩევაში მეფის შემდეგ ზემო მოხსენებულს ტრაქტატზე პირველ ხელის მომწერი იყო, მაგრამ ის არ ფიქრობდა იქ გამოცხადებულ აზრის ასრულებას. რადგანაც იმის დაუცხრომელი სურვილი ღვთის თანაშემწის ტახტიდგან ჩამო-

გდება იყო და ამის შესრულება იმას თავისი დიდების და შეძლების ძალით შეეძლო. ის სხვა და სხვა მოგონებულ ღონის-ძიებით ხან მეფეს, ხან სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს და ხან რუსეთის მეუფროსე კაცებს აგულიანებდა, რომ პირობები დარღვეულიყო და ამ სახით სამეფოში შემთხვეულობა მოეხდინა და მეფე თავის სამეფოდგან გამოეგდო. ერთის მხრით იმან შეაგონა მეფის მტერს, სამეგრელოს მთავარს გრიგოლს, მეფეზე მოგონილი უსიამოვნო ჰაზრები (ესე იგი ცილის წამება) სრულიად რუსეთის იმპერატორისთვის მოეხსენებინა, რომ ამით რუსეთის ხელმწიფის გულში იმერეთის მეფეზე წარუხოცელი ეჭვი ჩაენერგა. მეორის მხრით ის იმერეთის მეფეს ურჩევდა, რომ იმას რუსეთის ლაშქრისთვის სამეგრელოდგან იმერეთით ქართლში გადასვლა აღეკრძალა, რადგან ის აგონებდა, რომ რუსეთს ამით უნდა ისარგებლოსო და მეფის სიცოცხლეშივე იმერეთი დაიპყრასო და მეფე გამოაგდოსო. მას ის იმისთვის ურჩევდა, რომ

მეფე ქართლის მხედართ მთავრის თვალში მოა-
 ლალატედ გამოეყენა: და უთანხმოება მომ-
 ხდარიყო, მაგრამ რადგანაც მეფე მეტის მეტი
 კეთილი გულის და მშვიდობის მოყვარე იყო
 და მასთანვერუსეთის ცხებული და ხალხი ძრიელ
 უყვარდა, რაცხდა რა იმათ ერთ სარწმუნოე-
 ბისათ, ამან არ გაიგონა იმისი რჩევა და რაკი
 ამ მედრთვე კარის კაცმა მეორე შემთხვევაში
 ვერ გაიმარჯვა, ქართლის მხედართ მთავარ-
 თან ხან პირის პირ და ხან წერილობით საი-
 ლუმლო ბეზლობა დაიწყო. აგონებდა იმას, რომ
 მეფის იმერეთში ყოფნა სრულიად უსარ-
 გებლოაო და პოლიტიკისთვის თითქმის საფ-
 ნებელიცააო. იმან მხედართმთავარს აუწერა,
 მეფის ხლებულები, რჩევა და დაახლოვებული
 პირები, როგორც თავის ნება, ორგული და სა-
 ეჭვო კაცები, თვითონ მეფეს ჭკვიანურ სჯა-
 ში და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა-
 ში, როგორც ნაკლები კაცი. რამდენისამე ცდის
 შემდეგ, იმან ბოლოს ქართლის მთავარ-
 მართებელი დააჯერა. ქართლის მთავარამმარ-

თებელმა გენერალ ადუტანტმა ტორმასოვ-
მა ხელმწიფე იმპერატორს დარბაისელ თავადის
ზურაბ წერეთლის საფუძვლებით შედგენილი
მოხსენება წარუდგინა, რომელიც ხელმწიფე
იმპერატორმა დაიჯერა და ინება, რომ რაიმე
გვარი მოგონებული მიზეზით იმერეთის მეფე
ქართლში—თფილისში—მოიპატიჟონ და შემდეგ
რუსეთში—სანკტ პეტერბურღში—საცხოვრებ-
ლად გაგზავნონ ამ ოქმის ძალით ქართლის
მხედართ მთავარმა შემოხსენებულ წერეთელ-
თან საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ მისწე-
რამეფეს და მის რჩევას, რომ არ დაიზარონ და წა-
მოვიდნენ საქართველოს იმერეთის საზღვართან
დაბას სურამში, მეც თფილისიდან მოვალ მე-
ფის პირის პირ სანახავად და მოსალაპარაკებ-
ლად ხელმწიფისგან მოცემულ რამოდენსამე
ბრძანების საცნობელად, რადგან მიწერ-მოწე-
რით ამათი ცნობება არ შეიძლებაო. მეფე
უკეთ მიხვდა ამ განზრახვებს და მხედართ-მთავ-
რისთვის მეფისაგან და იმის სამეფოსაგან პასუხის
მისაცემათ რჩევა შეკრიბა, ისევ ის წინათ მიცემუ-

მეფე ქართლის მხედართ მთავრის თვალში მოს-
 ღალატედ გამოეყენა და უთანხმოება მომ-
 ხდარიყო, მაგრამ რადგანაც მეფე მეტის მეტი
 კეთილი გულის და მშვიდობის მოყვარე იყო
 და მასთანვე რუსეთის ცხებული და ხალხი ძრიელ
 უყვარდა, რაცხდა რა იმათ ერთ სარწმუნოე-
 ბისათ, ამან არ გაიგონა იმისი რჩევა და რაკი
 ამ მეღრთვე კარის კაცმა მეორე შემთხვევაში
 ვერ გაიმარჯვა, ქართლის მხედართ მთავარ-
 თან ხან პირის პირ და ხან წერილობით საი-
 ღუმლო ბეზლობა დაიწყო. აგონებდა იმას, რომ
 მეფის იმერეთში ყოფნა სრულიად უსარ-
 გებლოაო და პოლიტიკისთვის თითქმის საფ-
 ნებელიცააო. იმან მხედართმთავარს აუწერა,
 მეფის ხლებულები, რჩევა და დაახლოვებული
 პირები, როგორც თავის ნება, ორგული და სა-
 ეჭვო კაცები, თვითონ მეფეს ჭკვიანურ სჯა-
 ში და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა-
 ში, როგორც ნაკლები კაცი. რამდენისამე ცდის
 შემდეგ, იმან ბოლოს ქართლის მთავარ-
 მართებელი დააჯერა. ქართლის მთავარ-მმარ-

თებელმა გენერალ ალუტანტმა ტორმასოვ-
მა ხელმწიფე იმპერატორს დარბაისელ თავადის
ზურაბ წერეთლის საფუძვლებით შედგენილი
მოხსენება წარუდგინა, რომელიც ხელმწიფე
იმპერატორმა დაიჯერა და ინება, რომ რაიმე
გვარი მოგონებულ მიზნით იმერეთის მეფე
ქართლში—თფილისში—მოიპატიჟონ და შემდეგ
რუსეთში—სანკტ პეტერბურღში—საცხოვრებ-
ლად გაგზავნონ ამ ოქმის ძალით ქართლის
მხედართ მთავარმა შემოხსენებულ წერეთელ-
თან საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ მისწე-
რამეფეს და მის რჩევას, რომ არ დაიზარონ და წა-
მოვიდნენ საქართველოს იმერეთის საზღვართან
დაბას სურამში, მეც თფილისიდან მოვალ მე-
ფის პირის პირ სანახავად და მოსალაპარაკებ-
ლად ხელმწიფისგან მოცემულ რამოდენსამე-
ბრძანების საცნობელად, რადგან მიწერ-მოწე-
რით ამათი ცნობება არ შეიძლებაო. მეფე
უკეთ მიხვდა ამ განზრახვებს და მხედართმთავ-
რისთვის მეფისაგან და იმის სამეფოსაგან პასუხის
მისაცემათ რჩევა შეკრიბა, ისევ ის წინათ მიცემუ-

ლი წმინდა პირობები გაიმეორეს და ამასთანავე მთხოვეს მხედართ-მთავარს, რომ იმან შემდეგში ამ გვარი მიწერ-მოწერით, რომელიც ღვთის ცხებულისათვის და მისი ხალხისთვის სათაკილოა, თავი აღარ შეიწუხოს. რჩევის შეწყვეტის შემდეგ თავადი ზურაბ წერეთელი დიდი ხნიდგან მოსაზრებული მიზეზით წინა აღუდგა ამ გადაწყვეტილებას და რჩევისაგან შედგენილს წერილობითს ჰაზრს მმართველის წინააღმდეგად და ზელმწიფე იმპერატორის საწყენათ სთვლიდა. ის ამ ტკიციებდა, რომ ამ გვარ გარემოებას იმერეთის ამოხრებელი ომი და მეფის სამეფოდგან სასირცხოდ გაგდება მოსდევსო. აქ დეკანოზი იესე მიხვდა ცხებულზე და მის ხალხზე ცუდს განზრახვას, წინა აღუდგა ზურაბს სრულის შურის ძიებით, ამხილა იმას, რომ შენ ხარ მტერი და ორგული ქვეშევრდომი შენის მეფისა, შემთხვევისა მძებნელი და ყველა ამ დაუწყობელობაში, უთანხმოებაში და შინაურს ბრძოლაში დამ-

ნაშაფეთ. შენ აღიდებ სახელმწიფოში უთანხმოე-
ბას, ჩვენი ქვეყანა შენ საკუთრებად, შენად და არა
საზოგადო საკუთრებათ მიგაჩნიაო. ამ გვარი მხი-
ლებით დეკანოზმა იესემ იმ ნაირად შეუკრა
პირი კარის კაცს, რომ ის სასახლიდგან შერც-
ხვენილი გამოვიდა, მოიკითხა ცხენი და დამუ-
ქრებული წავიდა თავის სასახლეში, დაბას სა-
ჩხერეს. ზემო მოხსენებული წერილობითი ჰაზ-
რი მთავარ-მმართველს გაუგზავნეს. ამ შემთ-
ხვევის შემდეგ რამოდენიმე დღისა იესეს თავის
ცოლის სიკვდილის ამბავი მოუვიდა და საზო-
გადო ჩვეულებისა მეტრ მიცვალებულის უკანა-
სკნელი ვალის მისაცემად შინ წავიდა. იმის
წასვლის შემდეგ მეფის სასახლეში ორგულობა
მოხდა. ზოგმა წერილობით ჰაზრის შესახებ
ნანობა დაიწყო, ეგონათ, რომ ამას იმერეთის-
თვის უსიამოვნო შედეგი ექნებო, ზოგმა ზურაბ
წერეთლის რჩევის მოწონება დაიწყო, ზოგი
ურჩევდნენ მეფეს, დეკანოზი იესეს მიცემულ
რჩევაში მოყვანილ დამტკიცებათა დაერწმუნოს
და სანამ იესე ჩვეულებრივ ორმოცის ტირილს

არ გაათავებს და სასახლეში არ დაბრუნდება, ქუთაისიდან არ დაიძრეს. მეფემ ამ სამწუხარო მდგომარეობაში არ იცოდა, რომელ მხარეს დამორჩილებოდა. ბოლოს ზურაბ წერეთლის გესლიანმა რჩევამ აჯობა.

თავის მხრით ის ურჩევდა, რომ მეფემ არ დაიზაროს გასეირნებასავეით, ან ნადირობასავეით დანიშნულ დაბა სურამში წასვლა და მხედართმთავრის ნახვა, რომ ამით ხალხის უბედურება და თავის უსიამოვნობა აეცილებინა, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო.

მეფემ ამ აზრით შეკრიბა ხლებულები და სატახტო ქალაქ ქუთაისიდან სამასი სეფისწულით გამოვიდა და ვითომ სასეირნოთ წავიდა დაბას სურამს. ქართლის მთავარ-მმართველმა შეიტყო რა, მეფე სურამს მიდისო, და ახლა სურამიდან რამოდენსამე ვერსტზე არისო, სრულიად მოულოდნელად და ყველას გასაოცრად წავიდა დაბიდან ქალაქს გორს და უბრძანა ერთს უფროსთაგანს მოეხსენებინა მეფისთვის, რომ მიუცია

ლებელმა საჭიროებამ არ გახადა ის ბედნიერი მისი უმაღლესობის ნახვით სურამში და ამისთვის სთხოვს მეფეს მხურვალედ, რომ მის თხოვნას უარი არ ჰყოს და წავიდეს მასთან გორს, სადაც ის მეფის მოლოდინებში იქნება. მეორე მხრით იმან იმავე კაცს და ღრობით მომარაგებულს ლაშქარს და არტილერიას მიანდო, თუ ვინიციობაა მეფე არ დათანხმდეს, ძალდატანება მოიხმარეთო.

დაბაში მეფე დიდ დღესასწაულობით იყო მიღებული, მაგრამ როცა ღენერლის ამ გვარი მრავალი ცული განზრახვები დაინახა, რომელიც უკანასკნელ მსახურსაც არ შეეფერებოდა, მეტად გაკვირდა. აქ იმან ამოიოხრა მხედართმთაფრის ამ გვარის უზრდელის მოქმედებისთვის, და მერე სიძველად, რუსეთი რომ ამ გვარი სულით მდაბალ კაცების გამგეობის ქვეშ ჩავარდეს, ვინ იცის რა უბედურ მდგომარეობამდის მიალწევინებენ ისინი მხარეს და ხალხსაო. მეტის-მეტად გაკვირვებული ანბობდა ის: «ნუ თუ რუსეთის ხელმწიფისაგან მოსალოდნელია

იმისთანა კაცების უფროსად დანიშვნა, რომელიც თავის წოდების და მინდობის ღირსნი არ არიან და დაიწყო გოდება, როგორც მამამ თავის დაკარგულ შვილებზედ. ის სტიროდა თავის მხრის ამ გვარ ცვლილებაზედ, თუმცა მხედართ-
 ლთაურის ბრძანებით დაბის უფროსებმა მეფე ძრიელ აღერსიანათ და დღესასწაულობით მი-
 იღეს, მაგრამ ამან ვერასფრის ნაირათ ვერ შე-
 იძლო თავის მწუხარების ვაფანტვა. ის რაღაც გამოუთქმელმა მწუხარებამ იპყრო და, როცა მეფეს გჯარს წასვლა სთხოვეს, იმან მიუგო, რომ ღენერლის ამ გვარი გაუზრდელი ზნის და პირმოთნე მიღების გარდახდა აქვე საჭიროა, რომ კაცმა გააგებინოს მას, რომ ხელმწიფის ქვეშევრდომმა მიცემული რწმუნება ბოროტად არ უნდა მოიხმაროს.

აქ ხლებულმა მისმა და მცველებმა ანიშნეს იმას, რომ დაეწყათ ბრძოლა, დაეწათ ის ალაგი და მერმე მობრუნებულიყვნენ უკან, მაგრამ ამ წინადადებაზე ის არ დათანხმდა. იმან თავის ბედი მიანდო ღვთის განგებას, რომელიც აკეთებს ყოველ კეთილ კაცის საქმეს და მერმე

წავიდა ქ. გორს. მთავარ მართებელმა ტორმა-
სოვმა აქაც ჯარი დამალა, ვინიცობაა, მეფეს
რომ უარი ეთქვა თფილისში წასვლისა, ძალით
დაეთანხმებინათ. ეს ბრძანება მისცა ზემო მო-
ხსენებულ თავის ჩინოვნიკს. თვითონ კი საჩ-
ქაროთ გასწია თფილისს და ბრძანება დატოვა მე-
ფისთვის მოეხსენებინათ, რადგან ტორმასოვს მო-
ულოდნელად თფილისში წასვლა შეემთხვა, ამი-
ტომ ღენერალი სთხოვს თფილისს წამობძანდესო.
ამისთანა საქმემ ძალიან შეაწუხა მეფე და სთქვა:
«ნუ თუ სახელმწიფოს ამისთანა ცრუ კაცების
იმედი აქვს, ნუ თუ თვით ხელმწიფე იმპერა-
ტორი დარწმუნებულია ამისთანა ადამიანებზე,
რომელთაც არ შეუძლიათ სარგებლობის მო-
ტანა, არც სარწმუნოებისთვის, არც მეფისთვი-
სა და არც სახელმწიფოსათვისო!» ამ დროს
გააფურთხა სამჯერ და სთქვა, ფუ, მის პატიოს-
ნებას. ამას შემდეგ გასწია დაუყოვნებლივ თფი-
ლისს. თფილისში იყო მიღებული დიდი პატი-
ვის-ცემით. ის დააყენეს საპატიო სახლში და შე-
მოუყენეს გარს პატივის-ცემის ნიშნად დარაჯე-

ბი (ყაზაულები). მესამე დღეს მთავარ-მართებელი მეფესთან გამოცხადდა, მეფემ არ მისცა ნება იმას, რომ ლაპარაკი დაეწყო, როგორც უღირს კაცს, მიიღო ფეხზე მდგარმა და ჰკითხა თავის მხრით: ვინ არის, ან ვისი ჩამომავლობის წრის და ან როგორ მიიღო ამისთანა სამხედრო თანამდებობა? როდესაც მთავარმართებელმა აუხსნა იმას თავისი ჩამომავლობა ძველებური აზნაურის შვილისაგან და აცნობა თავის თანამდებობა, მაშინ მეფემ უთხრა: «შენ რომ მიგელო ეს ხარისხი პატიოსნებით, ანუ შენი ჩამომავალი ძველებური აზნაურობის ჩამომავლობისა ყოფილიყო, მაშინ შენი მოქმედება არ იქნებოდა აგრე უპატიოსნო, და შენ არ შემაწუხებდი მაგისთანა უპატიოსნო მოქცევით». სვიმონ (წერეთელმა) კარის კაცმა რომ გაიგონა ამისთანა სიტყვები გიორგის ცხებულისაგან, ძალიან შეეშინდა და დავარდა მუხლამოდრეკილი იმის წინ და ქუდ მოხდილმა სამჯერ დაუკრა თავი მეფეს ფერხთქვეშე და იხიობოდა რა ცრემლებით სთქვა: «მეფეო, აგვალე ეგ წყევა»

ჩემგან და ჩემის ძმის დაგითის მიტროპოლი-
ტისაგან, რადგან ჩვენ არა ვართ ამ საქმეში თანა-
მგროძობელნი ჩვენის მამისა და ძმისა გრიგო-
ლისა». მაშინ მეფემ უთხრა იმას: «ნუ გეშინი-
ან ამ წყევის, რადგან ღვთის სამართალი სტან-
ჯავს იმას, ვინც დამნაშავეა, და ვინც არა, იმას
არ შეეხება.» ეს რომ გაათავა, შემოვიდნენ
ღენერალ ტორმოსოვის მოციქულები და შე-
ატყობინეს მეფეს ამბავი, რომ მთავარმართე-
ბელს შიუღია ქალაქები, რომ მისი უმაღლე-
სობა პეტერბურღში უნდა გადავიდეს საცხოვ-
რებლათ, იქ დანიშნულია მისთვის და იმის
ხლებულისთვის სასახლე და საზრდო ამდენი
და ამდენი ათასი მანეთი და ხელმწიფე იმპერა-
ტორს ჰსურს სულით და გულით ყოფნა თავის
თავთან ამისთანა დიდებული მოძმე კაცისა და
წასასვლელი ვადა რუსეთში ორი თვე არის
დანიშნულიო. მეფემ ამათ პირითვე შეუთვა-
ლა მთავარმართებელს, რომ იმერეთი არის
ღვთის სამოთხე და ერთი დიდი სასახლე მეფის-
თვის; მაშასადამე მეფეს არაფრად გაჰკვირს ს.

ბეჭდობურლის სასახლეები; ყოველ დღე ზომიერი სადილი ვახშამი, შემკობილი იმერეთის ქვეშევრდომების ძღენითა, შეარდგენდა ყოველდღე საზრდოს და განცხრომას მეფის სასახლეში ასე, რომ ამ სუფრაზე სძლებო ღნენ დარბაისელნი, მგზავნი და საწყალნი და მადლობდენ უფალს. — მაშასადამე იმისთანა დიდი ხარჯი, რომელიც ხემწიფეს იმისთვის დაუნიშნავს, ნამეტანია და ხემწიფე ნუ დაამძიმებს მისთვის დაარსებული ხარჯით სახელმწიფო ხაზინას. რაიცა შეეხება მის ჭკვიანურს დაპირებას და ძმურ მეგობრობას, ეს აღსრულოდება, თუ ღმერთს ენებება, და რაც შეეხება ჩემ მომზადებას, — ეს ღვთის განგებისთვის მიმინდვიაო. ღენერალმა ეს იცოდეს, და წინ და წინ არ შესწუხდეს იმის მომზადებისთვის. ამ ორთვეს მე ვსწირავ ლოცვას, ღვთისადმი, რადგან მივედივარ უცხო ქვეყანასო.

მოციქულები რომ უკან გაგზავნეს, მეფემ დაიწყო თავისებურათ გულსმოდგინეთ ლოცვა, და მერმე დაუძახა ყველას მის სახლში მყოფს და ჰკითხა იმათ: «თქვენ ყველანი ჩემი ძმები ხართ, ზოგნი ჩემი გაზდილნი, ზოგნი თან შეზდილნი, რო-

მელნი ეხლაც არიან ჩემ სამეფოში. მე თქვენს უფროსათ ვარ ეს ოც და-ათ წელიწადზე მეტია და ვარ მადრიელი თქვენი მოქმედებით, საჭიროდ ვრაცხავ მოვითვალო თქვენი ერთგულება, მხოლოდ ვიტყვი, რომ მე თქვენ ყოველ საქმეში ერთგულება დამიმტკიცეთ და მისთვის თქვენ იყავით განშორებული თქვენს ოჯახს და ცოლ-შვილზე. ახლანდელი დრო სცელის ჩვენ უწინდელ ცხოვრებას და ჩვენ ამიერითგან სიკვდილამდე უნდა განვშორდეთ ჩვენს საყვარელს მამულს და ვიცხოვროთ უცხო ქვეყანაში. და ამასთანავე მსურს გკითხოთ, ვინ არის ჩემი განსაკუთრებული ერთგული ამ უკანასკნელს მდგომარეობაში? ახლანდელი საქმე არ არის უბრალო და ადვილი. ვის მსურს ჩემი თანა მოზიარობა?.. აქ ერთი მხრით შეჰფიცეს ერთგულებაზე, ისურვეს მონაწილეობა მის მწუხარებასა და სიხარულში, ისურვეს ყოფნა იმასთან განუშორებელათ უკანასკნელ წამამდის და თავისი სიტყვების დასამტკიცებლათ მოსთხოვეს მეფეს ჯვარი, რომლის წინაშე მას შეჰფიცეს, რომ

მტკიცედ შეინახვენ თავის სიტყვას. ამის შემდეგ რამოდენიმე დღე გამოვიდა; მეფემ მოუწოდა თავის იმერეთის მხედართ-მთავარს თავადს ქაიხოსრო წერეთელს და უთხრა იმას საიდუმლოთ თავისი აზრი. ჩემი წასვლა პეტერბურღს და ჩემი ხლებულით იქ ცხოვრება ცრუ ამპარტავენებასა და ამაოთ დიდების მეტს არას ნიშნავს რუსის ხელმწიფის მხრით, ამიტომ რომ რუსთ ხელმწიფეს რომ ვეყოლები თავის თავთან, თუმცა არ გამოსთქვამს ხმამალა, მაგრამ მაინც ეგონება, რომ ის არის მეფეთ მეფე და სამეფოების მფლობელი. შენ თვითონ იფიქრე, რა იქნება ჩემი იქ მისვლა იმ დროს, როცა იქ ხელმწიფეები თავს იყრიან? ეს იქნება დაუფიწყარი სასირცხო საქმე და სასიკვდილო და უკანასკნელობა ჩემთვის. უმჯობესია, რომ მოვკვდე, ვიდრე ამნაირათ გავაუბატიურო ჩემი გვარ-ტომობა, რომელიც არის ჩამომავალი დავით წინასწარ-მეტყველისა. ეს ოც-და-ათი წელია, რაც ვმეფობ და ახლა ასე გაუაუბატიურებულათ უნდა ვიცხოვრო (ესე იგი

ტყვეთ ვიქნე). მე გამოგტეხივარ ჩემ ეხლანდელ საიდუმლოს და ეხლა მე ვარ დარწმუნებული შენზე და, როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცით, მითხარი ნამდვილი, რას ფიქრობ ამ საქმეზე. თავადი ქაიხოსრო ყმაწვილობისას იყო ძალიან ეროგული და ყოველფერს მათს ბრძანებას ასრულებდა, ამიტომაც ის მიხვდა, რაიცა ჰსურდა მეფეს და აქვე ჰკითხა მეფეს: «მეფეო! თქვენ თითონ იცით, რომ მე ყოველთვის მზათა ვარ დაგიმტკიცოთ ჩემი თაფ-განწირულება, გთხოვთ თქვენი სურვილი და თქვენი ნება გამომიცხადოთ.» მეფემ უთხრა, რომ ჩემი აუცილებელი სურვილი არის ოსმალეთში მგზავრობა და, თუ რამე შემთხვევა მექნა, შევდგე ბერათ და იქ გადავიტანო ყოველი უბედურება, ვინემ რუსთხელმწიფეს მივსცე მიზეზი, რომ თავის თავს უწოდდეს მეფეთ მეფესა.»

მხედართ-მთავარმა თავადმა ქაიხოსრო წერეთელმა დაარწმუნა მეფე, რომ ყოველფერს მის სურვილს აუსრულებს და, როგორც გამორდა მეფეს, იმ საღამოსვე უთხრა იქ მყოფ თავადებს

მეფის სურვილი; ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინა-დადება. მაშინ ქაიხოსრომ დაუძახა ერთ ცოტა მამულის პატრონს აზნაურს, რომელმაც ჯერ არა იცოდა რა და ჰკითხა იმას: «როგორ აფასებო მეფის წყალობას, ან როგორი სიყვარული გაქვს იმისიო?» იმან უპასუხა, რომ მეფე ჩემს დედ-მამას და ჩემს საკუთარს თავს მირჩევნიაო. იმისთვის მოვითმენო ყოველ უბედურებას.» თავადმა ისევ ჰკითხა: «თუ შემთხვევა მოითხოვს, შეგიძლიან, რომ მეფისთვის მიიღო სიკვდილი (ესე იგი საწამლაფი, ანუ ხლმით თავის მოჭრა, ანუ დახვრეტა, ანუ თავი გაიმეტო დასახრჩობათ); ან ამისთანა შემთხვევებში როგორ მოიქცევით?» იმან უპასუხა: პირველი რაცა სთქვით, ამის აღსრულება დიდის სიამოვნებით შეგიძლია და მეორესი კი არა, ჩემი სისუსტის გამო.» თავადმა მადლობა უთხრა სიმართლისთვის და აჩუქა ფულები, ტანისამოსი, იარაღი და იმ ღამესვე გაუშვა თავის სახლში იმ პირობით, რომ არავის უთხრას, რაც იმას ელაპარაკნა. იმავე წამს

ქაიხოსრო წერეთელმა წარუღინა მეფეს და ამან უბძანა იმ აზნაურს: «წადი ქუთაისს და მოახსენე დედოფალს ჩუმათ ყოველი-ფერი გარკვევით. დედოფალი წავიდეს გურიის მთავართან, და მერე გადავიდეს ქობულეთის მაზრაში და მოიცადოს იქ, რადგან იქ რომ ჩამოვალ მეცა და დედოფალიც უნდა წავიდეთო ბათუმიდამსტამბოლს. ამ ბრძანების შეტყობის შემდეგ დედოფალმა დააგდო ქუთაისი და წავიდა გურიას, იქიდან გადავიდა ქობულეთს და იქ უცდიდა მეფის მობძანებას, მაგრამ ის არსაითა ჩნდა....»

მეორე დღეს, სადილს შემდეგ მეფემ რომ მოხსენა, თავადმა ქაიხოსრომ დაუძახა მეორე ახალგაზდა აზნაურს, რომელიც სიყმაწვილრიდან მეფის თვალ-წინ იყო გაზდილი, მოართმევდა ხოლმე იმას ჰირის საბანს წყალს, გახდიდა ტანსა და ფეხს, სუფრაზედ ემსახურებოდა და თავის ხელით უსხამდა ღვინოს. ერთის სიტყვით იმის დიდებულების ოთახში განუშორებელი მსახური იყო, და ჰკითხა იმას; სიყმაწვილითგან მეფის სიახლოვეს და იმის მფარველობის ქვეშ

კრებული

იმყოფებიო, იმის მოწყალება უთვალავია შენზე და ახლა მითხარ, რამდენათ ერთგული ხარო იმისი? იმან მიუგო, მეფისათვის ჩემს მშობლებს, ოჯახს და საკუთარ სიცოცხლესაც გავსწირვო და ღმერთმა ინებოს ეს საქმიანაც დამემტკიცებინოსო.» ქაიხოსრო წერეთელმა უთხრა იმას: «ხედავ, მეფე რანაირად დაწუხდა, ხედავ, რანაირად დაიჩაგრა იმის ძვირფასი სიცოცხლე. აბა, ახლა შენც მოგეცა დრო ერთგულების გამოჩენისათვის. შეგიძლია, იმისთვის თავის გაწირვა?— იმან ამაზე წარმოსთქვა: «გმადლობ, შენ უფალო, რომ ღირს მყავ მე მეფისთვის თავის გასაწირავად. ჩემს სულს ეს დიდი ხანია ჰსურდა და სანატრელი ბოლო ახლა მოიპოვა!» მაშინ ქაიხოსრომ გამოუცხადა იმას მეფის განზრახვა: მეფე იძულებულია თავის ხლებულით საქართველო დააგდოს და ოსმალეთს წავიდეს. იქ თავისუფლათ უნდა ცხოვრება და არა ტყვეთ ყოფნა პეტერბურღში. ამისათვის ურჩევდა იმას, რომ მეორე საღამოსათვის ასე ემოქმედნა: თავისი კაბა გაეხადა და

მეფისათვის დაეთმო ჩასაცმელად და სამეფო
 კაბა კი აზნაურს ჩაეცვა და ფარდებ ჩამო-
 შვებულ მეფის ქვეშაგებში დაწოლილიყო.
 მერმე ქაიხოსრომ ხლებულებში გასცა ბრძანება:
 თქვენ აღშფოთება დაიწყეთ, ეითომც ზოგს თქვენ-
 ნგანს არჰსურდეს პეტერბურლს გაყოლა მეფესთან
 და მეფეს კაცი მოუგზავნეთო დათხოვნისათვის,
 ისე რომ დარაჯმა (ყარაულმა) ყოველივე ეს
 ცხადათ შეიტყოსო. შემდეგ მეფე რომ გამო-
 გემშვიდობებათ, შეჯექით ცხენზე, გადით თფი-
 ლისს გარეთ სპარსეთის ალაყათის კარებით
 და დანიშნულს ალაგს ცხენები მოგვიმზადეთო.
 მეფის მხლებლებმა მართლაც უთანახმობა და
 შფოთი ასტეხა. იმათი დამშვიდება არას
 დარაჯს და არც პოლიციას შეეძლო. ამა-
 ზედ მთავარ-მართებელს მოახსენეს. ის თვი-
 თონ მოვიდა და ეხვეწებოდა რა იმათ, რომ
 დამშვიდებულიყვნენ, მეფესთან პეტერბურლში
 წასვლას ურჩევდა.

ამ დროს მეფე გამობრძანდა და პირმოთნეთ
 აშფოთებულ ხლებულებს უთხრა: ძმანო! თქვენ

ჩემთვის საქირო არა ხართ, თუ ვისმე ჩემთან დარჩენის სურვილი აქვს, როგორც ჰსურდეს, ისე მოიქცეს და ვისაც არ სურს, თავის სახლში დაბრუნდეს. ყველა ხლებულთა, ექვს თუ შვიდს თავადს და რამოდენმე აზნაურს გარდა, მიუგეს მას ერთი ხმით, რომ პეტერბურღში წაყოლა არც ერთს იმათგანს არ ჰსურს. მაშინ ყოველივე შეგონება, ზჩევა მთავარ-მმართველისა, რომ მეფეს გაჰყოლოდნენ, უსარგებლოთ დარჩა. ისინი ყველანი იმავე საათში გაიფანტნენ. იმათ თავიანთ ცხენების ერთადგილს მოყრა დაიწყეს, ქალაქიდგან გავიდნენ და შვიდ ვერსზედ შეიყარნენ. საგზალზე იმავე ღამესვე იზრუნეს. მეორე დღეს ზოგიერთმა იმათგანმა, ვითომც საოჯახო ნივთების საყიდლოთ ქალაქში სიარული დაიწყეს და აჩვენებდენ სახეს, ვითომც ისინი ამ ახლო ხანებში იმერეთს წასვლას აპირებენ; თავადს ქაიხოსროს კი თავიანთ მხრით სრულიათ მზათ ყოფნა ჩუმათ აცნობეს. იმ საღამოს როგორც დაღამდა და კაცის ცნობა არ შეიძლებოდა, მეფე აღგება, ტანისამოსს ჩაიც-

ვამს, რამდენიმე თავადი გაჰყვება და წავლენ ვითომ აბანოში. აზნაურს უბრძანებს ქვეშაგებში იყოს, მანამ ვინმე ძალდატანებით შიგ არ შემოვიდეს. სანთლების ანთების შემდეგ, მეფის კაბინეტში ფარდები ჩამოუშვებს. მეფემ ხელში ღვინისთვის ლიტრა აიღო და მსახურის ტანისამოსში ვინც კი იმასთან დარჩა, ყველასთან ერთად, გამოვიდა. იმათ გამოსვლის შემდეგ, ამ პატიოსანმა მსახურმა კარები ჩაიკეტა, მეფის ქვეშაგებში დაწვა და იმის საბანიც დაიხურა. როცა თავადი ქაიხოსრო წერეთელი გამოვიდა უფროს მომრიგე დარაჯს და პოლიციის პრისტავს უთხრა, რომ იმათ აბანოდგან მოსვლამდის მეფე არ შეეწუხებინათ, და თუ ვინმე მნახველი მოვიდეს, მეფის, მაგიერათ უარი უთხრან (ვითომ ეს იმათ წინ-და-წინ აქეთ ნაბრძანებია მეფისგან) ზადგან შეუძლოთ ბრძანდებო.

აბანოს ჭისკარისკენ რომ გაატარეს მეფე, ერთ იმერელ მეპურესთან მივიდნენ, თფილი ლავაშების საყიდლოდ. ამ იმერელმა ჰკითხა იმათ: «ის ყმაწვილი კაცი

ვინ არის მშვენიერი შეხედულობისაო, ბრალი არ არის ეგ მსახური იყოსო, რა წარმოსადგენი შეხედულობისა არის! ეგ დალოცვილი ვინლაც დიდ კაცის შვილს ჰგავს». აქ თავადმა სიმონ წერეთელმა, რომელიც იმის (მეპურეს) ბატონი იყო, შესძახა: «რამდენი ხანია, რაც ენა დაგგძელებია?.. შენ ვინ გკითხავს მაგისთანაებს, დამაცალე თუ კიკნაძეებს არ მიგყიდო?...» კიკნაძეები ძველიდგანვე უღვთოთ ექცეოდნენ თავიანთ გლეხებს და ცუდკაცობით იყვნენ სახელ განთქმულნი. მეპურეს ძალიან შეეშინდა თავის ბატონის მუქარისა, დააგლო ღუქანი და იმავ წამს გაიქცა. იმათ იყიდეს რამდენიმე ახალი გამომცხვარი ლავაშები და მეფეს მისცეს წამოსაღებათ, როდესაც ისინი ბაზარს გაშორდნენ და აბანოებს მიუახლოვდნენ, იქ მელვინისკენ შეუხვიეს, ერთი ჩაფი ღვინო იყიდეს და ისიც მისცეს მეფეს წამოსაღებათ. ამ გვართ ისინი, გავიდნენ, სეიდაბადში, გაიარეს სპარსეთის ჭიშკარი. იქ ერთს სამიკიტნოში ორი სომეხი ლაპარაკობდა,

სანთლის სინათლეში ერთმა იმათგანმა ყურად-
 ლება მიაქცია ზევეთკენ რომ კაცები მიდიოდნენ
 და რომელსაც პური და ღვინო მიჰქონდა, ის ძა-
 ლიან მოეწონა თვალ ტანად და უთხრა თავის მო-
 საუბრეს: «მეხედე, გეთაყვანე იმ ახალ გაზდა კაცს,
 რა ლამაზია: შორიდან ამისთანა მოსული ბიჭი
 ჯერ არ მინახავსო. აქ ამათ ლაპარაკზე რამ-
 დენმე სომეხმა შეიყარა თავი და იმათაც და-
 იწყეს: «ესენი მგონი იმერლები არიან და ის
 (ქაიხოსრო წერეთელზე უჩვენა) ალბათ იმა-
 თი მეფეაო!» ამ სიტყვებს მეფეზედ ისე-
 თი მოქმედება ჰქონდა, რომ წაიქცა და
 ღვინო დააქცია. ერთის მხრით თავადმა ქაიხო-
 სრომ და მეორეს მხრით სიმონ წერეთელმა,
 ააყენეს ის და უთხრეს: «კაცო, რა გემართება
 შენ დღეს, რა ეშმაკი გაშფოთებს, ხომ არ და-
 გილუფიაო? ფეხი მოიმაგრე, თორემ იცი რას
 გიზამთ? — ამგვარი სიტყვებით მოაბრუნეს ის,
 გულ-შეწუხებულობიდან და თავისი გზა განაგრ-
 ძეს. როდესაც ისინი ქალაქიდან გამოდიოდნენ,
 თავადმა ქაიხოსრომ მეფეს ცოტა საყვედური უთხრა

ვინ არის მშვენიერი შეხედულობისაო, ბრალი არ არის ეგ მსახური იყო, რა წარმოსადგენი შეხედულობისა არის! ეგ დალოცვილი ვინლაც დიდ კაცის შეიღოს ჰგავს». აქ თავადმა სიმონ წერეთელმა, რომელიც იმის (მეპურეს) ბატონი იყო, შესძახა: «რამდენი ხანია, რაც ენა დაგვძელებია?.. შენ ვინ გკითხავს მაგისტანაებს, დამაცალე თუ კიკნაძეებს არ მიგვიღო?...» კიკნაძეები ძველიდგანვე უღვთოთ ექცეოდნენ თავიანთ გლეხებს და ცუდკაცობით იყვნენ სახელგანთქმულნი. მეპურეს ძალიან შეეშინდა თავის ბატონის მუქარისა, დაადო ღუქანი და იმავ წამს გაიქცა. იმათ იყიდეს რამდენიმე ახალი გამომცხვარი ლავაშები და მეფეს მისცეს წამოსაღებათ, როდესაც ისინი ბაზარს გამოარდენ და აბანოებს მიუახლოვდენ, იქ მელვინისკენ შეუხვიეს, ერთი ჩაფი ღვინო იყიდეს და ისიც მისცეს მეფეს წამოსაღებათ. ამ გვართ ისინი, გავიდნენ, სეიდაბაღში, გაიარეს სპარსეთის ჭიშკარი. იქ ერთს სამიკიტნოში ორი სომეხი ლაპარაკობდა,

სანთლის სინათლეში ერთმა იმათგანმა ყურად-
 ლება მიაქცია ზევიტკენ რომ კაცები მიდიოდნენ
 და რომელსაც ჰური და ღვინო მიჰქონდა, ის ძა-
 ლიან მოეწონა თვალ ტანად და უთხრა თავის მო-
 საუბრეს: შეხედე, გეთაყვანე იმ ახალ გაზდა კაცს,
 რა ლამაზია: შორიდამ ამისთანა მოსული ბიჭი
 ჯერ არ მინახავსო. აქ ამათ ლაპარაკზე რამ-
 დენმე სომეხმა შეიყარა თავი და იმათაც და-
 იწყეს: «ესენი მგონი იბერლები არიან და ის
 (ქაიხოსრო წერეთელზე უჩვენა) ალბათ იმა-
 თი მეფეაო!» ამ სიტყვებს მეფეზედ ისე-
 თი მოქმედება ჰქონდა, რომ წაიქცა და
 ღვინო დააქცია. ერთის მხრით თავადმა ქაიხო-
 სრომ და მეორეს მხრით სიმონ წერეთელმა,
 ააყენეს ის და უთხრეს: «კაცო, რა გემართება
 შენ ღღეს, რა ეშმაკი გაშფოთებს, ხომ არ და-
 გილუევიაო? ფეხი მოიმაგრე, თორემ იცი რას
 გიზამთ?—ამგვარი სიტყვებით მოაბრუნეს ის,
 გულ-შეწუხებულობიდან და თავისი გზა განაგრ-
 ძეს. რადესაც ისინი ქალაქიდან გამოდიოდნენ,
 თავადმა ქაიხოსრომ მეფეს ცოტა საყვედური უთხრა

სულმოკლეობისათვის. მეფე იმდენათ იყო და-
 ღალული, რომ წინ წასვლა აღარ შეეძლო.
 მაშინ იმას მხრებში შეუჯდენ და ისე წაიყუა-
 ნეს. ამ შემთხვევაში განგებას იმისი და იმასთან
 მყოფ ხვედრის გაადვილება ნებავდა. იმათ შე-
 მოეყარათ თავადი ბარათაშვილი, რომელიც
 სოფლიდგან ქ. თფილისში მიდიოდა, აუხსნეს
 რა ამ თავადს თავიანთი მდგომარეობა, დაღალუ-
 ლი მეფისათვის ცხენი სთხოვეს. ამ კეთილშო-
 ბილმა თავადმა სულით და გულით თავისი
 ცხენიც და საგძალიც დაუთმო და მათთვის კე-
 თილი გზა ისურვა. ამასობაში ისინი მივიდნენ
 ბინაზე, საცა ხლებული უცდიდა მათ, შესხდენ
 ცხენებზე და თრიალეთით ახალციხეს გაუტიეს.
 როცა იმ ქალაქს მიახლოვდნენ, წინ-და-წინ
 შიკრიკი გაგზავნეს ახალციხის ფაშასთან და
 მეფის მისვლა შეატყობინეს. შემდეგ სთხო-
 ვეს იმას, კოსტანტინოპოლს წასვლის ნება მი-
 ეცათ, თან გაეტანებინათ წინამძღოლები და შე-
 ეტყობინებინათ მეფის მისვლა მახმად სულთან-
 სათვის. როცა ფაშამ ამისთანა ამბავი მიიღო,

გაგზავნა მეფის შესაგებებლათ პატრიარქული კავალეროსანი და მერე თითონაც თავის ხლებულით ქალაქს გარეთ გამოვიდა და ცხენ-და-ცხენ ასპარეზობით მეფეს პატივი სცა. იმან მეფე დიდის სიხარულით და გამოუთქმელი დღესასწაულობით მიიღო. ახალციხის ქალაქი ჩირაღდნით გაანათეს. სანამ ახალციხეში ბძანდებოდა მეფე, სადილეახშიმისუ და ხლებულის ხარჯათ ფული ხაზინილამ გამოჰქონდათ, თითონაც თავის ხლებულით ყოველ საღამოს ნახვიდა ხოლიმე, ნუგეშს აძლევდა იმას და აიძულებდა კიდევ იმერეთის სამეფოს დაბრუნებით. ამასთანავე იმან სტამბოლში მის დიდებულებასთან ერთი ჩინოვნიკი გაგზავნა და მეფის რუსეთის სამზღვრიდამ ახალციხის პატარა ფაშასთან გარდასვლა და იმის მიღება აცნობა. ამასთანავე უბედურის მეფის ხვედრის შემსუბუქება ითხოვა. როცა მისმა დიდებულებამ ახალციხის მმართველიდგან მოხსენება მიიღო, მეფეს დიდი წყალობა მიავლინა. იმან დაწერა ბრძანება: «იმერეთის მეფეს

სულმოკლეობისათვის. მეფე იმდენათ იყო და-
 ლალული, რომ წინ წასვლა აღარ შეეძლო.
 მაშინ იმას მხრებში შეუჯდენ და ისე წაიყუა-
 ნეს. ამ შემთხვევაში განგებას იმისი და იმასთან
 მყოფ ხვედრის გაადვილება ნებავდა. იმათ შე-
 მოეყარათ თავადი ბარათაშვილი, რომელიც
 სოფლიდგან ქ. თფილისში მიდიოდა, აუხსნეს
 რა ამ თავადს თავიანთიმდგომარეობა, დალალუ-
 ლი მეფისათვის ცხენი სთხოვეს. ამ კეთილშო-
 ბილმა თავადმა სულით და გულით თავისი
 ცხენიც და საგძალიც დაუთმო და მათთვის კე-
 თილი გზა ისურვა. ამასობაში ისინი მივიდნენ
 ბინაზე, საცა ხლებული უცდიდა მათ, შესხდენ
 ცხენებზე და თრიალეთით ახალციხეს გაუტიეს.
 როცა იმ ქალაქს მიახლოვდნენ, წინ-და-წინ
 შიკრიკი გაგზავნეს ახალციხის ფაშასთან და
 მეფის მისვლა შეატყობინეს. შემდეგ სთხო-
 ვეს იმას, კონსტანტინოპოლს წასვლის ნება მი-
 ეცათ, თან გაეტანებინათ წინამძღოლები და შე-
 ეტყობინებინათ მეფის მისვლა მახმად სულთანის-
 სათვის. როცა ფაშამ ამისთანა ამბავი მიიღო,

გაგზავნა მეფის შესაგებებლათ პატივცემული კავალეროსანი და მერე თითონაც თავის ხლებულით ქალაქს გარეთ გამოვიდა და ცხენ-და-ცხენ ასპარეზობით მეფეს პატივი სცა: იმან მეფე დიდის სიხარულით და გამოუთქმელი დღესასწაულობით მიიღო. ახალციხის ქალაქი ჩირაღდნით გაანათეს. სანამ ახალციხეში ბძანდებოდა მეფე, სადილოვანშია და ხლებულის ხარჯათ ფული ხაზინიდან გამოჰქონდათ, თითონაც თავის ხლებულით ყოველ საღამოს ნახეიდა ხოლმე, ნუგეშს აძლევდა იმას და აიმედებდა კიდევ იმერეთის სამეფოს დაბრუნებით. ამასთანავე იმან სტამბოლში მის დიდებულეებასთან ერთი ჩინოვნიკი გაგზავნა და მეფის რუსეთის სამზღვრიდამ ახალციხის პატარა ფაშასთან გარდასვლა და იმის მიღება აცნობა. ამასთანავე უბედურის მეფის ხვედრის შემსუბუქება ითხოვა. როცა მისმა დიდებულობამ ახალციხის მმართველიდგან მოხსენება მიიღო, მეფეს დიდი წყალობა მიავლინა. იმან დაწერა ბრძანება: «იმერეთის მეფეს

სოლომონს მეორეს ოსმალოს მთავრობა თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს». ამასთანავე ოსმალეთის შემწევობით იმერეთის სამეფოს დაბრუნებამდის მეფე სრულიათ თავისუფალი და უშიშარი იქნებაო. მეფისა და იმის ხლებულისთვის პატივ-საცემი ერთი რაზმი ჯარისა დანიშნა სასამსახუროდ. ამასთანავე ხარჯათ დაუნიშნა მეფეს და იმის ხლებულს აზრუმისა და იმის გარემო ქალაქების შემოსავალი: სახელდობ ათის თავი ჭირნახულის მოსავალი-დგან, ქერიდგან და წვრილი და სხვილი ოთხფეხიდგან და შინაური ფრინველიდგან.

3-დ კონსტანტინოპოლში წასვლაზე უარი სთქვეს. მეფეს სულთანის კარზედ წინააღმდეგები ჰყავდნენ და იმათ დასამშვიდებლათ მოსახმარებელს ჯარზე სულთანი ფაშას არაფერს გამოცხადებულ ბრძანებას არ აძლევდა, მაგრამ ამასთანავე თუ კი გამოჩნდებოდნენ ისეთი მსურველები (ბაში-ბუზუკები, რომ სამეფოს დასაცემოდნენ, ის არ დააბრკოლებდა. 4-დ ტახტის დაბრუნებაზე, მეფისთვის სულთანმა ასე გადას-

ჭრა, ვინემდის რუსეთსა და ევროპას შუა რომელიმე პოლიტიკური შემთხვევა გამოჩნდებოდეს, მანამდის ამ საქმეს არა გაეწყობარაო და საცხოვრებლად მას ქალაქი აზრუმი მიუჩინა. ეს მოწყალე რესკრიპტი მან ერთს თავის განსაკუთრებულს მსახურთაგანს მიანდო და ის მეფე სოლომონთან გაგზავნეს. ორ თვე ნახევრის მიწერ-მოწერის შემდეგ ხსენებული სულთანის მსახური თავის მინდობილებიანათ სტამბოლიდგან ქალაქს ახალციხეს მოვიდა და უნუგეშოთ-მყოფი მისი დიდებულობა ამისთანა ამბით გაახარა და მწუხარე მდგომარეობიდან გამოიყვანა. იმერეთის მეფე სულით და გულით გაცოცხლდა; იმან წინანდელი მწუხარება დაივიწყა, გამხნევდა და თავის მოღალატე ქვეშევრდომების დასასჯელათ იმერეთის სამეფოსთან ომი მოინდომა.

ახალციხის მთავარმმართველის ნებადართვით მან ახლათ შემოსულის რუსეთის ჯარის სატახტო ქალაქიდგან ქუთაისიდგან გასადევნელათ იმან მოუწოდა ოსმანლებს, ვისაც ჰსურდათ,

მეფის ჯარათ წასულიყვნენ იმერეთს. ამ მოწოდების გამო გამოჩნდნენ მახმადიანები ყოველი წოდების და ტომიდან ქრისტიანების სისხლის მწყურვალენი, რომლებიც გაუბედურებულ მეფის შეელას კი არ ფიქრობდნენ, ჰაზრში ჰქონდათ მტაცებლობა, თავს დაცემა ქვეყნის და ქრისტიანების აკლება და, თუ სიმდიდრე არა ტყვეების შოვნა მაინც. გასაკვირველია, როგორ დათანხმდა მეფე ამისთანა იმისი შეუფერებელ საქმეზე! სანამ ახალციხეში ჯარი შეიკრიბებოდა, იმან იმერეთში ხალხის ასაშუოთებლათ მთხრობლები გაგზავნა. ის ხალხს უთელიდა, რომ პირველი არეულობის დროსვე, იმერეთში ჯარით გაეჩნდებოდა, გაგზავნილმა მთხრობლებმა თავიანთი მინდობილება აასრულეს: იმათ ახალციხის მაზრასთან ახლო მდებარე სოფლები ააშფოთეს; მეფე პირველი არეულობის დროს ოსმალთს ჯარით მოვიდა და იმ სოფლებში შესვლის შემდეგ კუთაისისკენ გამგზავრება ჰსურდა; იმერეთის ხალხი ორ მხარეთ გაიყო: ერთი იმათგანი მეფისაკენ იყო,

მეორე კი რუსეთის ჯარს შეუერთდა და მეფეს მოსწერა, რომ მათ იმის იმერეთში ყოფნა არა ჰსურთ, იმერეთის საზღვრებს გამოარდეს, თორემ ისინი იმას წინააღმდეგებიან, ყოველივე ღონისძიებას იხმარებენ და ოსმალეთშიდაც კი სიკვდილამდის არ მოაქცევენებენ. მეფემ ამისთანა წინადადება არ დაიჯერა და მოითხოვა ომი, რომელმაც იმერეთს საქმით ბევრი ვნება მისცა: ოსმალს ჯარს ჭირი გადმოჰყვათ და ამის გამო იმერეთში გაჩნდა ჭირი, რომელმაც ზალხი თითქმის ნახევრამდის გაწყვიტა. ეს იმერეთის გამოცდის წელიწადი საქართველოს ისტორიისთვის სახსოვარია. მეფემ ამ ომში ვერ გაიმარჯვა. რუსეთის ჯარმა ის დაამარცხა და დიდის მწუხარებით ახალციხეში დააბრუნა. ამ დროს მღვდელმა იესემ ყანჩაველმა თავის სამშობლო დასტოვა და თავის მეფესთან უბედურს მდგომარეობაში სასამსახუროთ ახალციხეში წავიდა; ცოტა ხნის შემდეგ ის მეფეს და მისს მხლებელს ქალაქს აზრუმში წაჰყვა. აზრუმის ფაშამ ისინი ძალიან კარგათ მიიღო; მეფეს მშვენიერი

სადგომი მოუმზადეს და მდიდრულათ აცხოვრეს. მაგრამ ამისთანა მოსვენებით მეფეს დიდხანს არ უცხოვრია, ამისთვის რომ მხედართმთავარმა ტორმოსოვმა ვეცხლის მოკვარე აზრუმის ფაშა (ვაალემინ) სხვა და სხვა სასუქრებით მოიყიდა, რომ იმას მეფე ყოვლის მხრიდგან შეევიწროებინა და მეფეს როგორმე შეენახებინა, საქართველოშივე დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ ფაშამ საქართველოს მხედართ მთავრის თხოვნას პატივი სცა და მეფეს ნამეტან კეთილშობილურათ აღარ ეპყრობოდა. უწინდელი სადგომებიდგან გამოიყვანა და თავის ხლებულით სადღაც ძველ კაზარმაში დააყენა; იქ ის შვიდ წელიწადს ზამთარში თოვლისა და წვიმის ქვეშ იტანჯებოდა. მეფისთვის დანიშნული ხარჯიდგან და აგრეთვე ფულიდგანაც ნახევარს თავისთვის ინახავდა. შვიდმა წელიწადმა გაიარა, რომ მეფე თავის ხლებულით აზრუმის ფაშიდგან ათასნაირ უკმაყოფილებას ითმენდა და ამისთანა აბეზარი ცხოვრებიდგან დაღალულმა ბოლოს დაიწყო ფიქრი, რომ როგორ-

მე თავის მდგომარეობა იმის მფარველი, სულთნისთვის ეცნობებინა, მაგრამ ვერაფერი ფიქრებით და მოგონებით კაცისა ან წიგნის გაგზავნის ღონის ძიება ვერ მონახა. ფაშა კი საქართველოს მხედართ მთავრის დარიგებით მას უკიდურესს ხარისხამდის ავიწროებდა. შემდგომ ის მოთმინებიდგან გამოვიდა და ფაშას შეუტყობლათ წასვლა დააპირა: იმათ ცხენები შეკაზმეს და ტრაპიზონისაკენ წაყვინდნენ. როდესაც ფაშამ ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე მასთან იანიჩარის ჯარი გაგზავნა და სთხოვა, რომ შეეტყოთ, რა მიზეზით აბარებულა მეფე და რათ გამგზავრებულა, ისე რომ ჯერ სტამბოლშიაც არა იციანა რა ამისი. მეფემ დაუთარავათ უთხრა, რომ მისმა უღმერთო საქციელმა და უკეთილშობილოთ მოპყრობამ ის მოთმინებიდგან გამოიყვანა, და ბოლოს შეიდი წლის ტანჯვის შემდეგ მის საბრძანებელში დარჩენას ვერაფერ ღონის ძიებით ველარჰოებს. ამისათვის ის იძულებულია ტრაპიზონს გაემგზავროს და იქიდგან ყოველივე თავის შემთხვევაები სტამბოლში თავის მფარ-

ველს, მის დიდებულებას სულთანს აცნობოს. მეფის ამგვარი სიტყვებიდან ფაშა სრულებითაც არ შერყეულა, ამისათვის რომ ის დაიმედოვნებული იყო, რადგანც აზრში აზრის შუაგულშია და სტამბოლიდან ასე შორს არის, რომ მეფე თავის განზრახვას ვერ ასრულებსო; ამისათვისაც მას უპასუხა: თქვენ საცხოვრებლათ სულთნის მოწყალებით დანიშნული აზრშია და ახალ განკარგულებამდის თქვენ მთავრობის უცნობლათ არსად წასვლის ნება არა გაქვთ. თუ ამის წინააღმდეგ მოიქცევით, მაშინ თქვენ თავიანთ თავს გაიუბედურებთ, მით რომ როგორც საზოგადო წყობილების აღმშენებლებს, საქართველოში მხედართ მთავართან გაგზავნით; ამასთანავე ჰპირდებოდა, რომ იმათ მდგომარეობას გამოსცვლის. კაცთმოყვარეობის რიგისა და სახელის პატივის-ცემისათვის მეგობრულათ მოეპყრობა. რასაკვირველია, მეფეს ამ ფანატიკის დამუქრების შემდეგ, თავის მიზანი უნდა გამოეცვალა, ამისთვის რომ ფაშას იმის ძალიან მოკლე დროში ასრულება შეეძ-

ლო და თავისი გამგზავრობა სხვა რომელმე შემთხვევამდის გადასდო; იმ თანატოკის და ფარისეელის ფაშის დასამშვიდებლათ იმან დაარწმუნა, რომ თუ ძმურათ მოექცევიან, იმ შემთხვევაში წასვლას აღარსად იფიქრებს.

მეფისთვის სანატრელი დრო ბოლოს ძლივს დადგა. 1812 წ. მაისში ოსმალების რამაზანის დროს, როდესაც ოსმალებმა მთელი ღამის უჩიგო მხიარულების შემდეგ დაიძინეს (ყველაში იცის, რომ მის შემდეგ ოსმალოებს დილიდგან შუა დღემდინ სძინავთ) შეჭრიბა თავის მხლებლები, ცხენებზე შეაკაზმინა და საჩქაროთ წავიდნენ. როდესაც ისინი ბაიბურთის მაზრის სამზღვრებს მიახლოვდნენ და უკან მოიხედეს, დაინახეს, რომ მათ იანიჩრების ჯარი მოსდევდა, მაგრამ ღვთის მოწყალებით ამ შესახედავათ მარჯვე და საქმეში კი მხდალი, მაკვეხარი ჯარისა სრულებითაც არ შეეშინდათ. მეფემ დააპირა იმათთან რაც უნდა მოხდეს სასიკვდილოთ ან სასიცოცხლოთ უებმა,

მაგრამ ღეთის განგებამ ეს საკმე მათ ააცილა. ამისათვის რომ ერთი წარჩინებული კაცი, რომელაც კოსტანტინოპოლიდგან მოდიოდა, ამდროს საიდგანლაც გაჩნდა და იმათ გზაზე შეჰხვდა, როდესაც ის ჩვეულებრივ ოსმალურათ მეფეს მიესალმა და წავიდა, გზაზე შეხვდა მღევარი ფანატიკების ჯარი, მიახლოვდა და გაელთ ჰკითხა: «რა არის თქვენი ასე საჩქაროთ სიარულის მიზეზი და ან რას მიეწერებაო». როდესაც შეიტყო, რომ ისინი ვალიფაშიდგან მეფის დასაჭერათ იყვნენ გამოგზავნილნი და, თუ წინააღმდეგობა გაეწიათ, იმათ გასაწყევლათ წამოსულიყვნენ, ოსმალური ჩვეულებრივი დაცინვით მიუბრაუნდა მათ და უთხრა: «უგუნურებმა იშრომეს და ჰკვიანებმა მოიმკესო» და ამასთანავე ჯარის უფროსს უთხრა: «ჰო, ძმაო, სჩანს შენ ფაშის ერთგული მოსამსახურე ხარ და არა ხელმწიფისა. ან ასეთი გაურჩეველი გამბედაობისათვის შენი ფაშისაგან რა საჩუქარს მოელი ესთქვათ, რომ კიდევ დაიჭირო მეფე? და ამისათვის კი შენ დაიტან-

საქართველოს ისტორიული მასალები 39

ჯები, რადგანც შენ მეფის სახელს გააუბატიურებ; და თუ შენ მას ბრძოლაში შეებმი, ისინი ისე დაიარაღებულნი არიან, რომ იმ სამას კაცს სამი ათასის წინააღმდეგობა შეუძლიათ. მაშასადამე თქვენ ამ შრომისაგან არაფერი სარგებლობა არ გექნებათ მის მეთი, რომ თქვენითავეები საზამთროებივით გაგორდებიან. თაშა თქვენი სამუდამო მფლობელი არაა და ხელმწიფის რისხვისგან იმას არც თავისა და არც თქვენი დაფარვა არ შეუძლია, იმან ახლა, რა კი თქვენ ქალაქიდგან გამოხვედით, თავის თავზე უნდა იზრუნოს. მე თქვენ გირჩევთ, უმჯობესია უკან დაბრუნდეთ და უბედურებას ასცდეთო.» ამისთანა გონიერული რჩევით იმან ჯარი ქალაქში დააბრუნა. იმათ ცარიელათ დაბრუნების დანახვით თაშას შიშის ზარი დაეცა, არ იცოდა, რა ექნა და რა ღონე მოეპოვა. იმას მხოლოდ შეეძლო მეფის სულთანთან დასმენა, ვითომ რამე ნაირათის ოსმალების საქართველოს სულთნის საბრძანებლიდგან მოწყვეტას და იქ მფლობელათ გახდომას აპირებდესო. მეფე კი

მეორე დღეს ქალაქ ბაიბურთს მივიდა. ამ ქალაქის უფროსმა ისინი ძლიერ კარგათ მიიღო. და ორ დღეს დიდის პატივის-ცემით შეინახა; მესამე დღეს ისინი გალობხანში წავიდნენ. მართლ-მადიდებლებისაგან არხიეპისკოპოსის და სამღვდელოების მიღებამდა გუბერნატორის კეთილშობილურმა უფროსმა მეფე საკმაოდ ანუგეშა. აქ იმათ მიეგებნენ ბერძნები და ბერძნის არხიეპისკოპოსი. ფაშამაც დიდი პატივი სცა და მეფემ სრულებით ინუგეშა. სამს დღეს შემდეგ ისინი წავიდნენ და ტრაპიზონს მივიდნენ.

სანამ მეფე ტრაპიზონს მივიდოდა წინ-და-წინ მოციქული გაუგზავნა ტრაპიზონის ფაშას ოსმან-ხაზინადარ-ოღლის. ეს წარჩინებული და კეთილშობილი კაცი თვითონაც ჩამომავლობდა საქართველოს თავადების სისხლისაგან, გრძნობდა უღირსად თავის თავს სამშობლო მიწის ცხვრულ სტუმართან და არ იცოდა, რა ზომა მიეღო იმერეთის მეფის ღირსეულათ მიგებებისათვის. მან დაპატიჟა ევროპის კონსულები, თან წაიტანა ქალაქის მცხოვრებლები და

არქიელი, ქალაქის გარეთ გავიდა და მიიღო მეფე ღირსეულად. მეფის შეგებება ძალიან დიდებულათ და ღირსეულათ მოხდა. ღრდის ხნის უბედურების შემდეგ ამისთანა მასპინძლობამ მეფე ძალიან ანუგეშა. რუსეთს გარდა ევროპის კონსულებმა და ყველაზე უფრო საფრანგეთის ელჩმა აღმოუჩინა რამდენიც შესაძლებელი იყო, იმდენი პატივის-ცემა თავის კეთილ გონივრული საუბრით, რომელიც ყოველ დღე ჰქონდათ, და რომლითაც მეფის მწუხარებას ფანტავდენ. თითოეულმა მათგანმა გაჰგზავნა კონსტანტინოპოლს მოციქული თავიანთ უმთავრეს ელჩებთან, მისის უდიდებულესობის სულთნის წინ წარსადგენელათ. ამ გვართვე ოსმან ფაშამ ხაზინადარ-ოღლიმ მოახსენა თავის ხელმწიფეს მის სამშობლოში გაუბედურებული იმერეთის მეფის მოსვლა, რომელსაც ჰსურდა მოსვენება ქ. ტრაპიზონში დიდის ხნის დაღალულობიდან და დაქანცულობიდან, აზრუმის უწყალო ემინ ფაშის შევიწროებით და სთხოვდა შესახებ მისა დასჯას. მეფემ ამავე ქალაქებთან გა-

უგზავნა კოსტანტინოპოლის სულთანს მახ-
 მუდს თავის ელჩი თავადი ივანე სოლო-
 მონის ძის ლეონის ხელით ბარათი, რომ-
 მეღშიდაც მის უდიდებულებას აუწყებდა
 ის ღრმა აღმოოხებით ყველა თავის მწუ-
 ხარებას და უბედურებას, რომელიც იმან
 მოითმინა უწყალო მტარვალთა აზრების ფა-
 შისაგან და მასთანავე იხდიდა ბოდიშს იმ აღ-
 გილიდგან გამოსვლისათვის, რომელიც მის მა-
 ლალ დიდებულებამ სულთანმა მეფეს დაუნიშნა
 საცხოვრებლათ, მაგრამ რა ექნა, ემინ ფაშის
 მტარვალობამ აღიძულა იგი. ძლიერ დაწერი-
 ლებით განამარტივა იმ ბარათში ყველა თავის
 შევიწროება და უბედურება, რომელიც შეემთ-
 ხვა მას ემინა ფაშისაგან. დიდისხნის მოთმინე-
 ბის შემდეგ იძულებულ ვიყავიო ჩემის ნებით გად-
 მოვსულებიყავ ტრაპიზონშიო.

როგორც ამტკიცებდა თავადი ლიონიძე,
 ამ ბარათის მიღებასთანვე მისი დიდებულება
 სულთანმა დიდის სიბრალულით რაღაც აღშ-
 ლოთებულს მდგომარეობაში მოვიდა და ორი

საათი მეტი რაღაც დაფიქრებული იყო. მერე უცებ დაფიქრებულ მდგომარეობითგან გამოსულმა დაიღრიალა, როგორც ლომმა და თათრულათ წარმოსთქვა: «ამან, ჯალათ!» ჯალათი წარსდგა სულხანის წინაშე. დასწერა თავისი ხელით პატარა ბარათი და, დაჰკრა რა ბეჭედი, მისცა მას ბიძანება: რომ ის წასულიყო აზერუმში და ყოვლის გამოუკითხავათ ემინ ფაშისთვის მოეჭრა თავი; მამული ჩამოერთვა სახელმწიფოთ და მისი ცოლები და შვილები მოსამსახურებათ დაერიგებინა და მისი თავი ორი დღის განმავლობის შემდეგ იმერეთის მეფის საჩვენებლათ მოეტანათ ტრაპიზონიდან კონსტანტინეპოლში.

ამავე განკარგულებით გაგზავნა მეფესთან ერთი სამხედრო მოსამსახურე თავის მხრით ბოღღის მოსახდელი ბარათით იმ უწყესობისთვის, რომელიც მეფეს შეემთხვა სულთანის შეუტყობლათ და ამასთან ანუგეშებდა მას, რომ სულგრძელი იყოს მწუხარებაში, რომელიც მას შეემთხვა.

ჯალათი სულთანის განჩინებით აზრუმის ფაშაზე მივიდა აზრუმში, გამოცხადდა უეცრათ ფაშის სახლის წინ, როგორც მრისხანე სიკვდილი და არც შევიდა მის სადგომში. ბრძანებით დაუძახა მან გარეთგან. მის უწყალო ყვირილზე თითქმის მთელი ქალაქი შეიყარა. საცოდავი ფაშა ოთხი საათი მეტი იმალებოდა თავის სადგომებში.

უკანასკნელათ, როდესაც კარგა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ჯალათმა ამოიღო სულთნისგან მიცემული ბძანება, წაუკითხა ხალხს და მოითხოვა მათგან ფაშის გამოყვანა სასიკვდინეთ. შემდეგ სულთნის ბძანების მოსმენისათვის ფაშის ხელქვეითმა სახელმწიფო მოხელეებმა გამოაყვანეს ფაშა და მისცეს ჯალათს ხელში, რომელმაც ის დააჩოქა და მარცხენა გვერდში დაწა ჩაასო და თავი მოსჭრა; მამული სახელმწიფოთ ჩამოართვეს, ცოლები და შვილები სხვა და სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებს დაურიგეს მონებათ. ამ საქმის შესრულებისათანავე, დაბრუნდა რა ჯალათი აზრუმი-

დგან კოსტანტინოპოლისკენ, ბრძანებისამებრ სულთანისა გზათ შეიარა ტრაპიზონში და მიიტანა მან თავი ემინა ფაშისა მეფე სოლომონის სასახლის წინ. როცა მისს დიდებულებას აუწყეს, ამამბავმა ისე გასასტერებლათ იმოქმედა, იმაზე, რომ კილამ გული წაუვიდა. ბძანა რომ ჯალათი წასულიყო და თავი წაეღო. ტრაპიზონიდან ჯალათი მივიდა კოსტანტინოპოლს და ფაშის თავი სულთანს მიართვა. შემდეგ ის გამოჰკიდეს კოსტანტინოპოლში ხალხის საჩვენებლათ. სხვათა შორის ელჩი თავადი ლიონიძე სულთანმა დააკავა კოსტანტინოპოლში და იმის ხელით მერე გაუგზავნა მეფეს სხვა და სხვა ძვირფასი საჩუქრები. ეს რომ დაინახეს ოსმანლოს წარჩინებულმა კაცებმა და უფრო ქართველმა ფაშებმა, რომელნიც თათრის სამსახურში იყვნენ ქართველ მეფის შესაწირავათ თავის მხრითაც დასძინეს ბევრი საჩუქარი. თავადი ლეონიძე დატვირთულის გემით მობრუნდა თავის მეფეს თან ქალაქს ტრაპიზონს. გავიდა რა ცოტა ხანი შემდეგ

იმის მობრუნებისა კონსტანტინეპოლიდგან, მეფემ მიიღო ბარათი სულთან მახმუდისაგან, რომლითაც ის ულოცავდა იმას სამეფო ტახტს და უცხადებდა, რომ რუსეთის მეფე გარდაეკიდა იმისთანა მოწინააღმდეგეს ნაპოლეონ ბონაპარტეს, რომლისაგან საექვოა, რომ მან თავი იხსნას და არ ჩავარდეს მის მონებაში და ასრე სულთანი მეფეს ურჩევდა წასვლას შავი ზღვის პირზე ფოთის ციხეში. რადგანც იქ დანიშნულია ჯარების შეკრება ერთათ აზრუმის, ტრაპიზონის, და ფოთის ფაშებისაო, რომელნიც მოვალენი არიან შევიდნენ იმერეთში, გამოდენონ რუსის ჯარები და დასვან იგი იმერეთის სამეფო ტახტზეო. ნაცვლათ მხიარულებისა მშვიდობის მოყვარული მეფის სულისათვის სამწუხარო იყო ამ გვარი მოკითხვა და მოლოცვა და სთქვა მან, რისთვის ჩავესახე მუცელში ჩემს დედას, თუ კი რომ ჩემთვის უნდა მოხდეს ამ გვარი უბედურებანი და შემთხვევანი საქრისტიანო. ქვეყანაზეო. მან მისწერა ხელმწიფეს მადლოვა მისის

მაზედ მზრუნველობისათვის, მაგრამ მასთანვე სთხოვა მას ამ საქმის (ან წინადადების) გარდადება სამი თვის ვადით და მიზეზათ წარუდგინა თავის ავთიმყოფობა, რომლის გამოც მას არ შეეძლო გამოცხადება ფოთის ციხეში მეტადრე მისთვის უფრო, რომ იქ არის ცუდი ჰაერო. ამის შემდეგ შეკრიბა თავის ხლებული და მათთან ერთათ შეადგინა რჩევა, იქნება როგორმე ნახონ ისეთი შემთხვევა, რომ არავინ შეიტყო, ისე გავიდენ ტრაპიზონის ქალაქიდან ყირიმში და იქიდან წავიდნენ პეტერბურღში ხელმწიფე იმპერატორთან ალექსანდრე პავლოვიჩთან გამოსათქმელათ მის წინაშე ყოველი თავის გაჭირვების და მწუხარებისა, რომელიც შეემთხვა იმას უცნაური მიზეზისაგან. მაგრამ საუბედუროთ სულთნის წინადადების ვადამ მოაწია და მათ ვერ ჰპოვეს საშუალება თავიანთი რჩევის ასასრულებლათ. ამისგამო ისინი ვალდებულნი იყენენ წასულიყენენ ფოთის ციხეში, როდესაც იქ მოვიდა მეფე თავის ხლებულით, უცეფ მოხდა საზოგადო

მხიარულება და დღესასწაულობა. იმასთან გამთცხადდნენ სამეგრელოდგან და იმერეთიდგან თავადები და მოიკითხეს შესაფერისად. ამასობაში ფოთის ფაშასთან მოვიდნენ ტრაპიზონის და აზრუმის ფაშები ჯარებით. მეფე მაინც არ სტოვებდა თავის განზრახვას, როგორმე რუსეთს წასულიყო. ამდროს იმერეთის თავად აზნაურობიდგანაც მოუვიდა მას წიგნი, რომ ტყუილათ ნულა იფიქრებს ის იმერეთის სამეფოში დაბრუნებისათვის ოსმანლოს ჯარითო.

აქამდის არის ნაწერი სიტყვითგან ქართლელის მამა გაბრიელისა, მცოდნისა და წვლილებით მოხუცებულის ილარიონის ცხოვრებისა, რომელმაც პირისპირ გადასცა მას გაბრიელს. ყოველივე, მაგრამ მას არ შეხედა დაბოლოება ამა ამბისა, რადგანაც ის დიდი ხნიდგან იტანჯებოდა გულის ტკივილით და ავთმყოფი უამბობდა ხან-და-ხან ცოტ-ცოტად ზემო დაწერილს; შემდეგში ჩაწვდლოგინში და გადაიცვალა ოკტომბრის თვეში ჩუქე წელსა. (*)

დიდს მადლობას ვსწირავთ მღვდელს ღამბაშიძეს ამ ისტორიული მასალის გამოგზავნისათვის «კრებულის» რედაქციაში.

რედაქტ.

ბაირონის გიგურიდამ.

აწ სუნთქავს ქარი ზვირთი აწ სქდება
იგრგვლივ ჭაღარის გრანიტის კლდისა,
სად ჩუმი კუბო მარტოვს ჩნდება
დიდის ათინის დამოფარველისა, *)
და ტკბილსა საღამს გზავნის შორიდამ
მეთევზის ნავის შესასვედრელად:
ეს ნაზირისკენ იქარის ზღვიდამ
მისგან დახსნილის მოსასკეველათ.
რას ანობთ... ვითომ სსვა ამნაირი
გახნდება ვინმე კიდევაც გმირი?

უცხო რამ მსარე! იქ მრთელი წელი
გაზაფხულისა მწვანე ყვავდება,

* თემისტოკლეს კუბოზე არის ნათქვამი. ფ.

იქ კუნძულებთა გროვა ნათელი
 ნაზირებიდამ შორითვე ჩნდება—
 იტაცებს სედვას, ადელკებს სუფსა
 სამსიარულთ მიმბირველობით;
 მას ბუნებისგან მდიდრად შორთულსა
 რა შეკადრო ტუროვა ჭრელობით?
 იქ ოკეანის თვალი ნათელი
 მთების ლურჯ ჩრდილსა ეთამაშება,
 აკრთობს ზვირთებში, როგორც სანთელი,
 ან თუ ხან-და-ხან ქარი მოხვდება
 და შეაჩუქებს მკერდს გამკამის წყლების,
 ან ფურცლებს მოგლეჯს მცირე ბუჩქების
 — გაიტაცებს რა მალა გაათრესს,
 მის სუნსელებს ჭკერში აფენს.
 სულთანსანუმის *) ვარდის მიჯნური—
 ხან კლდეებიდამ, ხან ბუჩქებიდამ **)—
 უმღერის ემსით გიჟი ბუფბული.
 რაც ვი გამოვა მისი ენიდამ

*) შტოებიდამ.

**) სულთანსანუმის.

ან აკლებს ქებას, ეძუდარება,
 და ნაზის ღსინით ის აღვსებულნი
 მის სიმღერას ქვეშ გაიფურჩხნება.
 ამჟამად მეთაურ ბაღების,
 თოვლის და ქარის მოშორებული,
 ის უცნობელი ჩვენის დარების, *)
 თავის გვირგვინით დაშვენებული;
 მოსვენებითა ცასვე უბრუნებს
 ცილამ მოდებულს მშვენებულს სუნებს,
 და ცა აღვსილი სიუვაარულითა
 წწყავს მას მკურნალის თვისის ცრემლითა.
 რა ბეჭი არი იქ ყვავილები!
 რა მშვენებელი მტირე ბუჩქები!
 მრავლად ქვებები, სადაცა მზასა,
 კლდეთ ქვეშ თარავს რა მტირე ბარქასსა **)
 მეკობრე მსხვერპლსა ელოდინებს,

*) ანგლის დარების, — საზოგადოდ ჩრდილოეთის ჭაგაზეაზია ნათქვამი. ფ.

**) ბარქასს პატარა ზღვის ნავს ეძახიან, ანუ ფულუკას.

ხანამ ვარსკვლავი ამობრწყინდება:
 და მესღვარათა ჩანგის გოდება *)
 შორიდამ მასთან არ მიფრინდება...
 მაშინ გი ჩრდილში ნაშირთ გოდებებს
 ის მიიწაწვის — დაიკარგება —
 და მღერის ნაცვლად მესღვარების
 ისმის კენესა და სისხლი იღვრება.
 და აჭა? იქ, სად მრთული ბუნება
 ღმერთთა სამყოფად მოვასმეულთა,
 სად ყველაფერი — სიტურფე, შებნა,
 სად მთლათ ბუნების საკვირველებს,
 უსკების სელთ მიმოწეულთა,
 იქ გატნი მათის ბორბოტებითა
 სჩქარობენ ღსინი გლოვად შესცვალონ,
 და ეს ედემი სავსე შებნითა
 ცარიელ ველად უნდა გასადონ,
 მათ მსეტურ ბიჭქებ იწინებთან
 ათასნი ტურფა მტენარები;
 ღამას მღელღობთ ეკარგებთან

*) შენაკე ბერძნებმა იციან გიტარის დაკვან და
 მღერა, როცა ზღვაში სტურავენ. ფ.

მათი მასკენი სამკაულები,
 ვაჭრის სული ვერ მოაშენებს,
 მათ ღამის ცეცხლებით ნახებივრებს,
 მხოლოდ სინათლე აღმოაცენებს
 და ეს ძალუძს ერთს მზისა სსიკებსა;
 ყვაკილი შლილობს, ვაჭრთა კძახის,
 იწვევს იბირებს, ჟატიყებს;
 მაგრამ, როგორც რომ სული წყვიდიადის
 მივლენ თუარა, მაშინ ის კვდება
 და ბადი? ვსედავთ მთელს ბუნებაში
 საუკუნითგან სუთევს შშვილობა,
 აქ ვი ვნებების ცოთიან ხმაში
 მივინვარებს მგლური წყვიდიადში მტრობა;
 აქ უგნურობას აღუდგენია
 ცასტა საზიზლი ძალადობისა,
 და სათელ მხარეს ბნელი ჭიფენია
 სინილის-მკვდარის ბედგურულობისა.
 როგორც ბოროტნი ედემში სულნი,
 შიგა შეტრიალან, გადმოუყრიანთ
 ანგელისები ზეცისა წულნი,
 და დღე რომ გაქრას, ვერ გაუვიანთ, —

წავდენ ბრწყინვალე ეს კუთსე ქვეყნის
 არის—სამოთსე ამ მიწის ერთი,—
 იმდენი ხალხში სიბესლე მსეცის,
 კვლავ, გამცემლობა და ჯოჯოხსეთი.

*
 * *

მხარე უკვდავი გამარჯვებისა!
 მიწა, სადაცა უამის ძველისა
 დამარხულია სასულაონება,
 სად უკვლათუელი ჩვენ გვეუბნება:
 მინდვრები, სეკნი და თითონ მთები,
 ცისკებთ გუნდნი, ძველი საუდრებო,
 თავისუფლება აქ რომ სუთუევდა
 და შემძლებელი ჭაზრი სცხოვრებდა.... *)

1872 წ. აპრილი.

ფაზ.

*) ეს ალბგები გამოცემულია. იქ საცა საბერძნეს
 თი უნდა იყოს, იმის მაგიერათ თარგმანში საქარ-
 თველთა მოსენებული. რედაქტ.

**) ძველათ შავ ზღვას დავითის ზღვათი ექსდენენ,

დასავლეთი ევროპის გონებო-
თი და ეკონომიური მოძრაობათგ-
ის მიზნებით შეთქმულ ქვეყნ-
თა შორის.

I.

სიტუაციის დიდებას და სიმშენი-
ერეს შეადგენს მსოფლიო მარტო-
თავისუფლება; მსოფლიო მარტო-
თავისუფლებას შეუძლიან გააკე-
თილშობილოს და აღმართლოს კა-
ციობრიობა.

შედეგი.

რა დროდგანაც კაცობრიობის მოსაზრება იწყებს
მოძრაობას, ფესვების ღრმათ გაღვმას ცხოვრება-

ში და ყურადღების მიქცევას ცხოვრების ეკონომიურ მხარეზე—სწორეთ იმ დროდგან იწყება ბრძოლა თავისუფლების შოვნისათვის. ეს ბრძოლა იმდენათ უფრო ძრვიელდება და ცხარდება, რამდენათაც მატულობს კაცობრიობის მოსაზრება და გონებითი გახსნა, რამდენათაც კაცის გონება იძენს ცოდნას და ამით ნათლად იდგენს—თუ რასაჭიროა მისი კეთილდღეობისათვის თავისუფლება, თუ რა უსაფუძვლოთ ერთი ხარობს და პარპაშებს მეორეს ოფლით ნაშოვარ ქონებაზე. თუ გონებითი გახსნა და ეკონომიური მოსაზრება არა აქვს კაცსა, იმას ძნელათ მოუვა თავში ის აზრი, რომ იმას უსაფუძვლოთ სჩაგრავენ. კაცს მხოლოთ მაშინ შეუძლიან მაღალი სიტყვა თქვას თავის გარემოებებზე, როდესაც ის დარწმუნდება, რომ იმის გარემოებანი, იმისი საძაგელი ცხოვრება შეიძლება გამოიცვალოს. როდესაც ის დარწმუნდება, რომ თავისუფალი ცხოვრება—თავისუფლება შიუცია მისთვის ბუნებას, მაგრამ ეს თავისუფლება წაუკრთმევიათ მისთვის სხვა და სხვა პი-

რებს, სხვა და სხვა ისტორიული გარემოებების შემწეობით.—ამ ჩვენი აზრების ცხოვრებაში ასრულების სურათებს წარმოგვიდგენენ ევროპიელები. ესენი ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ ბრძოლა თავისუფლებისათვის მაშინ დაიწყო, როდესაც ამათმა ტვინმა შექმნა მოძრაობა, როდესაც ამათი მოსაზრება დააკვირდა ცხოვრების ჭუჭყს. ერთი სიტყვით, გონებითმა გაღვიძებამ დაბადა მათში ლტოლვილება მისდამი, რომ გამოიცვალონ ცხოვრება. ჩვენ გაბედვით შეგვიძლიან ეფქვათ, რომ ევროპიელები აქამდინ პაპის ხელში იქნებოდნენ, თუ იმათ ბედზე სხვა და სხვა ისტორიულ შემთხვევებს არ შეენძრიათ მათთვის ტვინი; აგრეთვე არც თავად-აზნაურების ხელიდამ განთავისუფლდებოდნენ ისინი, თუ გონების გახსნის შემწეობით არ დარწმუნებულიყვნენ, რომ თავად-აზნაურობა დაბადა ქვეყნიურმა ძალამ და არა ზეციურმა.

ისეთი რა შემთხვევები და გარემოებები შემოეხვივნენ გარეშემო ევროპიელების ცხოვრე-

ზას, რომლებმაც დაბადეს მათში ეკონომიური აზროვნება, რის შეწევნითაც შეუდგენ ისინი თავიანთი ცხოვრების ნიადაგის გამოცვლას? ისეთი რა მოხდა ევროპიელების ცხოვრებაში, რომ ისინი, უმეტესად ნემცები, გაცხარებით მოქმედობენ მეთექვსმეტე საუკუნეში თავისუფლების საშოვნელათ—ძველი და მამა-პაპური ცხოვრების დასამარხავათ? აი, ამ კითხვების პასუხები უნდა დაეხატოთ ამ ჩვენ სტატიაში და ბოლო დროს წარმოვადგინოთ ის, თუ რამდენ ნაირი მიმართულება მიიღო გამოღვიძებული კაცის გონებამ და რა მიმართულებამ გაიწია ყველაზე ძრიელ.

II.

რომ კარგათ ჩავაკვირდეთ ევროპიელების ცხოვრებას მეთექვსმეტე საუკუნემდინ, ჩვენ შევნიშნამთ, რომ ეს ცხოვრება ნელ-ნელაობით ივსება სხვა და სხვა სურათებით, რომლებიც ძყოფებიან ორ რიგათ: სურათების ერთ რიგს

წარმოგვიდგენს ყველა ის, რაც ევროპელების ჭუჭყს შეადგენს, რაც მათ სჩაგრის და უთბელებს ჯიბეებს და უშლის გონებჩს გახსნას, მეორე რიგს ყველა ის, რაც მათ გონებას ეხმარება, რომ გაიგონ თავიანთი უმგზავსი ცხოვრება და გაბედვით გამოსთქვან თავიანთი უკმაყოფილება თავიანთ გარემოებაზე. ჯერ დაეხატოთ აქ ევროპელების ცხოვრების პირველი რიგის სურათები.

მკითხველო, დროებით ყველას თავი დაეანებოთ მე და შენ და შეუდგეთ ძველი რომის წარმოდგენას.

აი რომი ბრწყინავს მთელ ევროპაში, ამას მოწიწებით უცქერის დიდი და პატარა, ეს აძლევს ტონს მაშინდელ სამეფოებს, ეს ესერის სხივებს ხალხის ცხოვრებას; ამისათვის დიდსა და პატარას ბედნიერებათ მიაჩნიათ რომის მოქალაქობის სახელი. აქეთ-იქილამ მიილტვიან რომისკენ, რომ რა არი როგორმე იქაური მოქალაქეები შეიქმნენ. აი რომი ჩვენ თვალ-წინ დგას პიედესტალზე და ევროპის მცხოვ-

რებნი საკმელს უკმევენ. ამნაირ პატივცემაში ყაველა ევროპას რომი ქრისტეს შობამდინ. ცხადია და ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია — თუ რანაირად ამ რომის პატივისცემას უნდა მომატებოდა ქრისტეს შობის შემდეგ. წმინდა სახარების სხივები მოიფინა ევროპაში რომილამ. აქედამ გავრცელდა ხალხებში ქრისტიანობა. აი ეს იყო მიზეზი, რომ რომი ქრისტეს შობის შემდეგ უფრო მატულობს ევროპიელების თვალში, თუმც მას აღარა აქვს ის ფიზიკური ძალა, რა ძალაც წინეთ ჰქონდა, თუმცა ეს უთმობს სატანტო ქალაქობას სტამბოლს მეოთხე საუკუნეში და თვითონ რჩება ძველ სატანტო ქალაქად კონსტანტინეს წყალობით.

თუ რანაირი შეხედულობა უნდა დაებადნა დასავლეთის ევროპის მცხოვრებლებში რომის ეპისკოპოსზე იმ გარემოებას, რომ ქრისტეს შობამდინ რომი იყო დიდათ მძლავრი ყოველივე მხრით და რომ აქედამ მოიფინა ქრისტიანობა ევროპაში, ეს ადვილი წარმოსადგენია. რომის ეპისკოპოსს ისე უცქეროდენ ანგლოსაქსები,

ნემცები, გაღლები და სხვა ტომნი, როგორც პირველს ეპისკოპოსს. ამას თავს აყენებდა ხალხის გრძნობა ყველა ეპისკოპოსზე. რომის-დიდი ეპისკოპოსი დიდი რამ იყო ხალხის თვალში იმ გარემოების წყალობით, რა გარემოებები ზევით მოვიხსენეთ. აი მერვე საუკუნეში რასა სწერს გრიგოლი II ლევ ისაფრიელს: «მთელი დასავლეთის ევროპის ყურადღება ჩვენ მწყნარ ცხოვრებაზეა მოქცეული; მთელ დასავლეთ ევროპას ღმერთებათ შივაჩნივართ ჩვენ.» რათა? ამისათვის, რომ ის იყო იმ დედაქალაქის ეპისკოპოსი, რომელსაც მოწიწებით უცქეროდა ხალხის ჭკუა-გონება. თუ რუსების წინა-პართ დიდათმიაჩნდათ საბერძნეთი, იმისათვის, რომ აქედამ გარცვლდა რუსეთში ქრისტიანობა, — თუ ეხლაც რუსის გლეხს დიდი წარმოდგენა აქვს ბერძენზე და როცა კი შეხვდება, დიდ პატივცემას უწევს, იმისათვის, რომ ეს ბერძენი არის შთამამავალი რუსების გამქრისტიანებლებისა; რასაკვირველია ევროპის მცხოვრებლებს უფრო უნდა ეცათ პატივი რომისათვის, და კიდევაც

სცემდენ, რადგანაც ჯერეთ რომ ეს იყო რომი და არა თუ სხვა ქალაქი, მეორეთ რომ აქედამ მოიფინა მათში სახარების სხივები.

ამგვარმა რომის პატივისცემამ დაბადა თავისი მხრით ევროპიელების მცხოვრებლებში რომის ეპისკოპოსის პატივისცემა. როგორც რომი ევროპიის ყველა ქალაქზედ მაღლა იდგა ხალხის თვალში, ისე მაღლა დადგა ხალხის თვალში რომის ეპისკოპოსი ყველა ეპისკოპოზებზე ერთი სიტყვით თვითონ ევროპიის ხალხმა რომის დიდის მნიშვნელობის ძალდატანებით შეადგინა პაპის უფლების თეორია, შეადგინა ის აზრი რომის ეპისკოპოზზე, ვითომ ეს იესო ქრისტეს მოადგილე იყვეს და ამისათვის მაღლა იდგეს, როგორც ყველა ეპისკოპოზებზე, ისე ყველა მეფეებზე. ასე—რომი იყო მიზეზი იმისა, რომ იქაურ ეპისკოპოზს დიდი სახელი ჰქონდა მთელ ევროპაში, რომ იქაური ეპისკოპოზი კარგა ხანს პარპაშობდა ოფლით ნაშოვარ ხალხის სიმდიდრეზე. რომის ეპისკოპოზს პირველათ თავშიაც არ მოსდიოდა რომ ვითომ ის იყო იესო ქრისტეს

მოადგილეთ, რომ ვითომ ის იყო პირველი მთავარი ამ ქვეყნისა; მაგრამ როდესაც დაინახა, რომ იმას ხალხი სთელის იესო ქრისტეს მოადგილეთ, მალლა აყენებს ამ ქვეყნის ყველა მთავრებზე, სულმა დასძლია და წაუწყო თავის თავს ცქერა ისე, როგორც ხალხი უცქეროდა.

მე და შენ რომ გვეცხოვრა, მკითხველო, მერვე საუკუნეში და ჩაგვეხედნა მაშინდელი და უწინდელი რომის ეპისკოპოზების ცხოვრებაში, თავისდღეში გულში არ გაგვივლიდა, რომ იმ პატივისცემიდან, რა პატივსაც სცემდა ევროპა რომის ეპისკოპოზს, წარმოსდგებოდა ის ცხოვრების ყოველივე, მხარეების—უმეტესად ეკონომიურის დამლუპელი, დამაქცეველი, არაქათის გამამცალვებელი სწეულება, რა არაქათის გამამცალვებელი სწეულებაც წარმოსდგა. ვინ იტყოდა ჩვენგან მაშინ, რომ პაპა, როგორც ეძახიან რომის ეპისკოპოზს, გახდებოდა ევროპიულების სულთა-მხუთავი, ჯიბეების გამათხელებელი, — რომ ეს დავიწყებდა თავის წყნარ ცხოვრებას და შეუდგებოდა მდიდრულ ცხოვრებას? ვინ იტყოდა მაშინ

ჩვენგან, რომ პაპა დაუწყებდა თავში ცემას ევროპის მეფეებს,—რომ ის შეიქნებოდა ხალხის ოფლით ნაშოვარი ფულებით ამოუმსებელი ორმო! მაგრამ რას არ უზამენ გარემოებანი წინადაუხედავ კაცს! რას არ გაბედინებენ გარემოებანი მოუფაქრებელ და წუთი-სოფლის ტალღების ამყოლო კაცს!

მინამ ევროპიის ხალხს მაღალი შეხედულება ჰქონდა რომზე და იმის ეპისკოპოზე, პაპა არ იყო ხალხისათვის ის სულთა-მხუთავი, რა სულთა-მხუთავიც შეიქმნა ის ბოლოდროს; ის არ თხოულობდა ხალხისაგან იმ ხარჯოს, რა ხარჯის თხოვნაც დაუწყო მას ბოლოდროს. ის წინა პირველათ მიზღვედა წყნარ და უბრალო ცხოვრებას და ამით მაშინ თითქმის ღირსი იყო იმ პატივსცემისა, რა პატივსაც სცემდა მასს ევროპა; მერე კი ანება თავი ამგვარ ცხოვრებას და ამით მოიმზადა სამარე.—

ცხადია, რომ იმ მაღალ წარმოდგენას რომზე, რომელმაც დაბადა ევროპიელებში ის აზრი, რომ პაპა არის იესო ქრისტეს მოადგილე—რომ

პაპა პირველი პირია ამ ქვეყანაში — რომ პაპა მალა დგას ამ ქვეყნის ყველა მეფეებზე, უნდა მოეკლო. ევროპელების შესხიერებაში რომი საგან ერთი და იგივე ადგრლის დაქვეა ეროველთვის შეუძლებელი საქმე იყო — ისე შეუძლებელი საქმე იყო, როგორც შეუძლებელი საქმეა, რომ კაცის გონებაში შეუცვლელად, დაუსუსტებლად დარჩეს რომელიმე შთაბეჭდილება — გინდ მაგ. მწუხარება მამის სიკვდილზე, სიხარული ვაჟის მიცემაზე, ახალი სიძის პატივისცემა და მრავალი ამგვარი მოვლინეანი. ეს პსიქოლოგიური სჯულია და ამის წარმოდგენა სოფლის კაცსაც კი აქვს, როდესაც ის ამბობს იმ კაცზე, რომელსაც მოჰკდომია ვინმე: «არა უშავსრა, დედამიწა გრილია.» ჩვენ ვამბობთ, რომ რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი თანდა-თან სუსტდებოდა ხალხის თვალში რომის მნიშვნელობა და ამისთვის პაპის პატივისცემაც ევროპელების მხრით კლებულობდა. მაგრამ ამგვარ საქმეს რანაირი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა პაპაზე? რა გზას უნდა დამდგარიყო პაპა ამ საქმის შემ-

დევ? რასაკვირველია, პაპას რომ სცოდნოდა, რომ ჰქონოდა ნამდვილი წარმოდგენა იმისა, რომ საცა მოქმედებს ზნეობითი ძალა, იქ ხელი არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს ფიზიკურ ძალას, რომ შეუძლებელი საქმეა კაცმა შეუწყველათ შეინახოს ფიზიკურის ძალის შემწეობით ის, რაც აუშენებია — დაუბადნია ზნეობით ძალას, — მაშინ პაპა იმ გზაზე არ დადგებოდა, რა გზაზედაც დადგა. ევროპიელების საუბედუროდ პაპას ამ მალალი აზრის წარმოდგენა არა ჰქონდა, ისე არა ჰქონდა, როგორც არა აქვთ ზოგიერთ ფრანკუზებს იმის წარმოდგენა, რომ იმ სამეფოში, სადაც სიმდიდრე, ცოდნა და ერთად მოქმედება გადადის ხალხის ხელში, იქ ძნელი საქმეა კაცმა დაარსოს, ანუ დაარსებული დესპოტური მართებლობა შეინახოს შეუცვლელად.

პაპამ როგორც კი შენიშნა, რომ ევროპიის ხალხი ისე აღარ ექცევა, როგორც წინეთ ექცეოდა, — რომ თვითონ გერმანიის იმპერატორი

სრულებით სხვა კილოზე ლაპარაკობს, (1) მაშინ მოინდომა თავისი ზნეობითი მნიშვნელობა შეეცვალა მდიდრულ ცხოვრებით—მაშინ შეუდგა თავისი სახელის დაჭერას ხალხის თვალში ფიზიკურის ძალით. მაგრამ საიღამ უნდა შეედგინა ამას ეს ფიზიკური ძალა? როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ხალხის ჯიბებს დასწოლიყო ფულის საშოვნელათ? რა შუამავლობა უნდა ეხმარა, რომ თავისი ხაზინა გაემდიდრებინა იმ აზრით, რომ მდიდრულათ ეცხოვრა და ამით თვალები აება ხალხისათვის, აგრეთვე შეძლებოდა შებმა გერმანიის იმპერატორთან? გველური

1) წინეთ გერმანიის იმპერატორი ძრიულ ცდილობდა, რომ რომის ეპისკოპოსს დიდი სახელი ჰქონოდა ევროპაში; ეს ამისათვის, რომ რომის ეპისკოპოსის პატივისცემასთან ვიწროთ იყო შეკავშირებული გერმანიის იმპერატორის პატივისცემა—გერმანიის იმპერატორის, რომელსაც საღასი უცქეროდა ისე—როგორც ცეზარების მადგილეს ხალხი გერმანიას—როგორც რომის სამეფოს გაგრძელებას.

და ხალხის დამლუპველი შუამავლობა. ევროპიელების ცხოვრებამა აბა მაშინ დაიწყო შემსება სხვა და სხვა საძაგელი და ხალხის კეთილდღეობისთვის მავნებულო სურათებით, როცა პაპამ მიჰყო ხელი თავის ხაზონის გამდიდრებას, როცა მან თავი ანება წყნარ ცხოვრებას და გამოუდგა მდიდრულ ცხოვრებას, რომ რა არც თავისი სასახლის სიმშვენიერებით, კარგი ტანსამოსით და დიდი ფართი-ფურთოებით ეჩვენებინა ხალხისათვის თავი იმ ნაიბრათ, ვითომ ის არის ნამდვილი მოადგილე იესო ქრისტესი და ამისათვის მალლა დგას როგორც ყველა ეპისკოპოზებზე, ისე გერმანიის იმპერატორზე და სხვა ევროპიის მეფეებზე.

ქართველები იტყვიან: «ურია რომ გაკოტრდება, ძველს ვალებს გამოუდგება». ეს ანდაზა სრულებით ასრულდა იესო ქრისტეს ცრუ მოადგილეზე — პაპზე. რაკი ხალხმა გული აჰყარა რომს და იმის ეპისკოპოზს, მაშინ პაპა გამოუდგა იურიდიულ — ფორმალურ დამტკიცებას, რომ ეს ისე ქრისტეს მოადგილეა; ამისი მომა-

ხრებშიც ამას ამტკიცებდნენ. მეცხრე, მეათე, მეორთმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებში რამდენი თხუზულება გამოვიდა იმ აზრით, რომ დაემტკიცებინათ პაპის ვინაობა. პაპას და იმის მომხრეებს — ბერებს და ტყუილად ღვთისმეტყველებს — უმეტესად სხოლასტიკებს მაშინ მოაგონდათ ზღაპარი, ვითომ დიდ კონსტანტინეს უფლება რომზე და ბტალიაზე დაეთმოს პაპისათვის და ამისათვის გადასახლებულიყვენსტამბოლში. ხალს ისინი თითს უჩვევდნენ ხშირად პიპინზე და დიდ კარლზე, რომ მათ დაუთმეს პაპას რამდენიმე ადგილი სამფლობელოთათა და ამითი დაამტკიცეს, რომ პაპას ეკუთვნის ამ ქვეყნის უფლებაცაო. თხუზულებას «Аже—исидоровскія декретади» ზომ ტყავი გააძრეს. საცა არ იყო, ბერები ლაპარაკობდნენ, რომ მოხსენებულ თხუზულებაში სწერია, რომ პაპა არის იესო ქრისტეს მოადგილე და ამისთვის მალლა დგას ამ ქვეყნის ყველა კაცზე—რომ იმას ეკუთვნის როგორც სულიერი უფლება, ისე ზორციელი ძნელი წარმოსადგენია ეხლა ის

ბუასი, ის ახირებული ლაპარაკი პაპის ეინაობაზე, რა ახირებული ლაპარაკიც ჰქონდათ ხოლმე მაშინ ბერებს, რომლების ინტერესი ვიწროთ იყო შეკავშირებული პაპის ინტერესებთან.

პაპრომ დასჯერებოდა მხოლოდ თორმალურ დამტკიცებას იმისას, თუ ვინ იყო ის, მაშინ დასავლეთი ევროპა არ ჩაეარდებოდა იმ ცეცხლში, რა ცეცხლშიაც ჩაეარდა მისი წყალობით, მაგრამ პაპა არ დასჯერდა იმას. პაპამ ინსტიკტურათ, იცოდა — თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ ხალხისთვის სარწმუნოებას, იცოდა, რომ ევროპიელებმა გული აჰყარეს მას, მაგრამ სამღვდელოების პატივის ცემა, წმინდანების და ეკლესიების თაყვანის-ცემა, ერთი სიტყვით მღვთიმოყვარეობა ძრიელ ჰქონდათ გამჯდარი ხორცში და რბილში; ამასთან ისიც იცოდა ვიმეორებ, ინსტიკტურათ, რომ მათი ჭკუა-გონება ძრიელ დაბლა ხარისხზე უდგა; ამისათვის მათი სულიერი მოთხოვილება ფულების შოვნის შუამავლობათ გაიხადა. დიდი უბედურებაა, თუ ხალხს არ ესმის თავისი უფლება, არ ესმის

ინაობა, არ ესმის თუ როგორ უნდა დააკმა-
ყოფილოს თავისი მოთხოვნებიანი. მაშინ დი-
დი და პატარა სარგებლობს მისი გამოუცდე-
ლობით, რომ რა პრი ჯიბეები გაიტენონ მისი
ხარჯით. რაღა შორს წავიდეთ, აბა გავიდეთ მე
და შენ მკითხველო მოედანზე. აი ჩვენ თვალ-
წინ დგანან გაბერილი ვაჭრები. რამ გაამდიდ-
რა ესენი, თუ იმან არა, რომ ესენი სარგებ-
ლობდნენ დაბალი ხალხის გამოუცდელობით და
ჯიბეებს უთხელებდნენ მას სხვა და სხვა ეშმაკო-
ბით? რაღა კითხვა უნდა, რომ ხალხს ცო-
ტაოდენი მოხერხება და ცოდნა ჰქონოდა, მა-
შინ ვაჭრებს აგრე არ გაემსებოდათ ჯიბეები.
ამისათვის ვისაც კი სისხლი უდუღს ძარღვებში, —
და გული შესტკივა ხალხისათვის, უნდა ეცა-
დოს ხალხის გონებითი განათლებას, უნდა ეცა-
დოს მოქალაქობის გაერცელებას, ხალხის ჯგუ-
ფაში; (*Въ народный массы*). —

დაუბრუნდეთ ჩვენ საგანსა. ჩვენა ვთქვით,
რომ ხალხის სულიერი მოთხოვნებიანი პაპამ
ფულების შოვნის შუამავლობათი გაიხადაო. აი

ეს სამწუხარო საქმე როგორც მოხდა და როგორ მიმდინარეობდა: პაპამ თითქმის მთელი დასავლეთის ევროპის ადგილები, ანუ სამწესოები ხელში დაიჭირა; ამაზე იყო დამოკიდებული ეპისკოპოსის, წინამძღვრის, მღვდლის და სხვ. სასულიერო პირების გამწესება. უარდა ამისა, თვითონ პაპს რამდენიმე სამწესო ჰყავდა, სადაც ნაქირავი მღვდლები მსახურობდნენ. აგრეთვე თვითონ იმის კარდინალს, რომოცდა ათამდინ ადგილი ჰქონდა. წარმოიდგინეთ რა უწესოება იყო კარდინალირომში სცხოვრობდა და ადგილები კი ფრანციაში, გერმანიაში და ანგლიაში ჰქონდა. შემოსავლის მომატებული ნაწილი კარდინალისა იყო და მცირე ნაწილი იმ პირებისა, რომლებიც ამ ადგილებში ემსახურებოდნენ. ამ ბოროტებას ისიც დაუმატეთ, რომ პაპს როდესაც ადგილებს აძლევდა, მაშინ იმას კი არ უცქეროდა — მთხოვნელი ნიჭიერი კაცი, თუ არა; ის იმას უცქეროდა — მთხოვნელს შეუძლინ მისი გვარიანი პატივისცემა, თუ არა. ხშირად წუწკს, საძაგელს, გარყენილს და ქლე-

სას კარგი ადგილი ეჭირა იმ დროს, როდესაც გონიერი, ჭკვიანი, პირში მოქმელი და პატიოსანი უადგილოთ დადიოდა. ადგილი წარმოადგენია, რომ თუ პაპა ასე უცქეროდა მთხოვნელის კარგობას და უარგობას, არც კარდინალები დაუწყებდნენ ცქერას სხვანაირათ, ამათ ისეთი კაცები ჰყავდათ თავიანთ სამწყსოებში, რომლებსაც ფეხებზე ეკიდათ ხალხის კეთილდღეობა — რომლებიც გარყვნილობაში და უსვინი დისობაში არავის დაუვარდებოდნენ.

რადგანაც პაპას არაჲ უხდებოდა ნახსენები შუამავლობით ნაშოვარი ფულები, ამისათვის იმან გამოჩხრიკა ფულების შოვნის სხვა შუამავლობებიც. აქ ჩვენ უნდა მოვიხსენოთ პირველათ ანნათები, რომლების გამოგონება ეკუთნის მეოცდა ორე იოანეს. ეს ანნათები აი რაში მდგომარეობდნენ. როდესაც ეპისკოპოზი, ანუ ბრელატი მიიღებდა ადგილს მაშინ ის ვალდებული იყო ამ ადგილის ერთი წლის შემოსავალი პაპისათვის მიერთმია. ყველა ადგილის, ანუ ეპარხიის შემოსავალი პაპებს წი-

ნეთვე ჰქონდათ გადაწყვეტილი. მაგ. მაინც ის საეპარხიოზე პაპებს წინეთ ჰქონდათ დადებული 10,000 ლუკატი, მერე კი ცოტ-ცოტაობით უმატეს და ბოლო დროს გადაწყვიტეს, რომ ვისაც მაიციუნს საეპარხიოს მივცემთო, იმან უნდა მოგვცეს ჩვენა 25,000 ლუკატიო. ადგილი წარმოსადგენია, თუ რა სამძიმო უნდა ყოფილიყო ფულების შოენის შუამაგლობა იმ ეპარხიებისათვის, რომლებშიაც სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ხშირად იცვლებოდნენ ეპისკოპოზები, როგორც პასსაუში მოხდა. აქ რვა წლის განმავლობაში სამჯერ დაიცალა ადგილი და ამისათვის პაპამ ამ ეპარხიიდან სამჯერ აიღო ან ანათი. ახლა ეს ანათები ვის კისერზე იყონ უ თუ მართლა იმის კისერზე—ვინც ადგილს მიიღებდა? არა. მაგრამ მე ამ სიტყვით იმას კი არ ვამბობ, ვითამ ეპისკოპოზი არ აძლევდა პაპას ფულებს; მე იმას ვამბობ, რომ ეპისკოპოზები ამ ფულებს თავის ეპარხიაში აგროვებდნენ და ამისათვის ანათები უთხელებდნენ ჯიბეებს იმ ეპარხიის მცხოვრებლებს, რომელ ეპარხია-

შიაც მწესდებოდა ეპისკოპოზი. ერთი სიტყვით, როგორც ანნათები ისე ადგილების დარიგება ხალხის ხარჯს შეადგენდნენ. პაპა ეპისკოპოზს ართმევდა ფულებს, ეს კიდევ ხალხს სხვა და სხვა შუამავლობით. პაპა წინამძღვრებს ართმევდა ქრთამებს, ესენი კიდევსაწყალ ხალხს წუწნიდნენ.

ამ ანნათების გარდა აი კიდევ რა შუამავლობაებს ხმარობდა პაპა თავის ხაზინის გასატენათ: მრთელ დასავლეთ ევროპაში ისეთი მონასტერი და ეკლესია არ იყო, რომლები-საგანაც პაპას არ აეღო ყოველ წელიწადს რამდენიმე თუმანი ფული, იმაში, რომ პაპას თავის მფარველობას ქვეშ ჰქონდა ისინი. ხშირად მოიგონებდა ხოლმე პაპა საჯვარო ომიანობას ურწმუნოების წინააღმდეგ და ამისათვისაც ზოგიერთ ეკლესიებზე გასწერდა საშინელ დიდ ხარჯს, ინდულგენციების *) ყიდვას ხომ ზომა აღარ

1) ზაპები იძახდნენ, რომ იესო ქრისტემ ძრეულ ბეჭდი კეთილი საქმე ჩაიდინა ვაფის ცხონებისათვის; ესლაც ეს კეთილი საქმე ძრეულ ბეჭდია — იმდენია, რომ ყველას გასწვდება. აქედამ იმათ გამოჭყავდათ შეძლევი დასკვნა: თუ ვაფმა ჩაიდინა რომელიმე ცოდ-

ჰქონდა პაპას, როდესაც კი ფული გაუქირდებოდა, მაშინვე სხვა და სხვა დასაგლეითის სამეფოებისკენ აფრენდა ინდულგენციების გაყიდვაში კარგად დაგეწილ ბერებს და გულ შეუტკივნელად ბრცქენიდა საწყალ ხალხს, რომელსაც გონებითი მოფიქრება ჯერეთ კიდევ ისე არა ჰქონდა გახსნილი, რომ კრიტიკულათ გაეშინჯა ის, რამდენათ შესაძლოა კაცმა ფულებით იყიდოს პაპისაგან ცოდვების შენდობა. ყველა ამ ფულების შუამავლობაებმა ვერ გააძღეს პაპის გული, ამან გამოიგონა ახალი შუამავლობა, მაგ. პაპის იუბილეი, ანუ თავისი დღეობა. ორმოცდა ათ წელიწადში (ბოლოდროს კი ოცდა ათში) ერთხელ პაპა დღესასწაულობდა თავის დღე-

ვს, იმას შეუძლიან იყიდოს ინდულგენცია, ანუ შენდობის წიგნი და იმას ცოდვა ეპატივება, — ამისათვის რომ იოსე ქრისტეს კეთილი საქმეებიდამ რამდენიმე გადაკა იმასუ და ჭეჭამს იმის ცოდვას. ვაცს შეუძლიან შენდობის ქაღალდი იიდოს, როგორც აწინდელის ცოდვისათვის, ისე მამაკლისათვის. მგითხვევდელ, უკანასკნელ სიტყვებს, კარგად ჩააკვირდი და ადვილათ გაიკებ, თუ რა ბოროტობას შერებოდენ პაპები.

ობას და მრთელი დასავლეთ ევროპრდამ დაი-
ძვრებოდა ხოლმე ხალხი და გასწემდა რომისა-
კენ. ერთს თავის თხზულებაში აი რას ამბობს
უ. რანკე: «1450 წელში, რომ პაპის იუბილეი
იყო, მაშინ აქედ იქილამ მიეშურებოდა რომის-
კენ საშინელი დიდი ხალხი. ამ იუბილეის ერ-
თი მნახველი ადარებს მათ ფუტკრების სიმრავ-
ლეს. ეს ამბობს, რომ იმ დღეებში ხალხი ფუ-
ტკარსავით ირეოდა რომშიაო.» წარმოიდგინეთ,
რომ არც ერთი მლოცველი — არც ერთი რომში
მიმსვლელი ცარიელი არ იქნებოდა; ყველა
რამდენსამე მანეთს მიიტანდა შესაწირავად, პარა
კლისისის სახდელათ და საწირავათ, და ნათლად
დაინახავთ თუ რა კარგი ფულოების საშოფარი
სახსარი იყო პაპის იუბილეი. ყველა ნაჩვენებ ფუ-
ლების შოვის სახსრებს უნდა დაუმატოთ ისიც,
რომ პაპა დიდ ძალ ფულებს იღებდა იმით, რომ
ხშირად ბერებს, მოლოზნებს ანთავისუფლებდა
აღთქმულებილამ; აგრეთვე იმით, რომ ვინც კი
მოინდომებდა ცოლის გაყრას, ის წინააღმდეგი
არ გაუხდებოდა, თუ ფულებს დაანახვებდნენ.

აი პაპა ასე აჯდა კისერზე ხალხს და უმწარებდა წუთის სოფელს. — მაგრამ მარტო პაპა არ უმწარებდა ხალხს წუთის სოფელს. ამას კეთილს არ აყრიდა არც სამღვდელოება. წარმოიდგინეთ საწყალი მხენელის და მთვესელის მდგომარეობა. მღვდლისთვის ამას უნდა ეძლიეა მოსანათლი, საწირავი, სამარხი, საქორწილო, მეათედი და სხვა რამდენიმე ეკკლესიისგან გადაწყვეტილი ხარჯი. საწყალ გლეხ-კაცს პური მოუვიდოდა, ათ კოდში ერთი კოდი მღვდლისა იყო, ღვინო მოუვიდოდა, ათ კოკაში ერთი მღვდლისა იყო; ერთი სიტყვით ის თავის გაუნათლებლობის წყალობით ერთი წლის შემოსავლიდგან მეათედს აძლევდა სამღვდელო პირებს და ამით ჰყრიდა თავის ცოლ-შვილს სიღარიბეში.

ამნაირად ერთის მხრით პაპა, მეორეს მხრით იმისი კარდინალები, პრელატები, ბერები და მღვდლები წურბელასავით ასხდენ ხალხს ზურგზე და ნელ-ნელაობით უწუწნიდნენ სისხლს. ესენი თითქმის იმ სისტემას მისდევდნენ ხალხის

გაფრცქენაში, რა სისტემასაც მისდევენ მაიმუნების საზამთროების პარკაში. როგორც მაიმუნებმა იციან გამწკრივება და ერთი მათგანი ჰგლეჯამს საზამთროს და აძლევს მეორეს, რომ ამან გარდაცეს მესამეს; ისე სასულიერო პირები იქცეოდნენ. მღვდელი ჯიბიდან აცლიდა გლეხს ფულს და აძლევდა ეპისკოპოსს, რომ ამას მიეცა პაპისათვის....

პაპს რომ მარტო ჯიბები ეთხელებინა ხალხისათვის და არ შეხებოდა ხალხის ენას და მაშინდელ ფილოსოფიას, ეჭვი არ იყო, რომ მისს მოქმედებას მალე მოეღებოდა ბოლო. მაგრამ ის შეეხო, როგორც ხალხის ენას, ისე მაშინდელ ფილოსოფიას. იმან ინსტიტუტურათ გაიგო ამ ორი საგნის დიდი მნიშვნელობა ხალხის გონებით გამოღვიძებაში და ამისათვის შეუდგა გაქრობას...

ვინ არ იცის, რომ სახარების ქადაგება იმ ენაზე უნდა იყოს, რა ენაზედაც ლაპარაკობს ხალხი. მაგრამ რა ჰქნა პაპამ? ამან გასცა ბრძანება, რომ წირვა-ლოცვა მარტო ლათინურ

ენაზე ყოფილიყო, ის ნებას არ აძლევდა საღმრთო წერილის გადათარგმნას ხალხის ენაზე. ანგლოსაქსები, ნემცები, ფრანცუზები და სხვა დსსაველეთის ევროპის ხალხები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ თავიანთ ენაზე კი არა ჰქონდათ წირვა-ლოცვა; ამათ ეკკლესიებში ლათინურ ენაზე ესმოდათ, როგორც ქადაგება, ისე წირვა-ლოცვა. საწყალი გლეხი კაცი შევიდოდა ეკკლესიაში იმ აზრით, რომ გაეგო რამე, მაგრამ რას გაიგებდა საწყალი? განა ესმის ხოლმე რამე თფილისელს, როდესაც ის გამოჭიმულია თეატრში და იყურება სცენისაკენ, სადაც იტალიელები დახტიან და სხვა და სხვა ხმაზე გასძახიან? ვინ არ იცის, რომ ბევრი იტალიანური წარმოდგენა გატენილია მაღალი აზრებით, მაგრამ ეს აზრები თბილისელს არ ესმის; ამისათვის, რომ არ იცის იტალიანური ენა. ისე ნემცი აჭრუტული იდგა ხოლმე ეკკლესიაში, იცქირებოდა აქეთ-იქით, რომ გაეგო რამე; მაგრამ იმას ასე ესმოდა ის მაღალი ჭეშმარიტებები, რომლებრთაც აგრე სავსეა წმინდა სახარება, — რომლებიც

კაცის ჭკუა-გონებას შეურყეველად არ უშვებენ. ახ სადამდინ მივიდა ჰაპის ლტოლვილებმა მის დამი, რომ რაც ხალხი წინეთ იმაზე და რომ-ზე ფიქრობდა მოეყვანა ნამღვილ არსებაში — რომ დაეჭირა ხელში მრთელზე ევროპა და, როგორც იესო ქრისტეს მოადგილე, მალე მდგარიყო ამ ქვეყნის ყველა მეფეებზე. თავის გულის წადილის აღსასრულებლათ იმან არ დაზოგა ხალხის ენა, ის შეეხო კაცის ძვირფას საუნჯეს, იმან ამოზღო ხალხის ენას ლაგამი, იმან წაართვა ხალხის ენას მოქალაქობის უფლება და გარდასცა ლათინურ ენას საძაგელი განძრანვით, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ხალხი, როგორც კი დაიწყებდა გონებითი მოძრაობას, მოითხოვდა თავის ბუნებითი ენისათვის მოქალაქობის უფლებას და ლათინურ ენას უჩვენებდა კარებს!!

თუ ხალხის ენას სდევნიდა ჰაპა იმ აზრით, რომ ხალხი ჭკუა-გონებით არ გახსნილიყო, რაღა კითხვა უნდა, რომ მაგავე აზრით ფილოსოფიასაც დაუწყებდა დევნას. საშუალო საუ-

კუნოებში, თუ რასმე ედო სიცოცხლის ფერი, ისევ ფილოსოფიას; თუ ვინმე გაბელამდა რასმე პაპის და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, ისევ ფილოსოფოსი. მაგრამ ხალხის საუბედუროდ ფილოსოფიაც მალე ჩაიგდო ხელში პაპამ და დაუნიშნა სამზღვრები, რომლებზედაც არ უნდა გადასულიყო. ფილოსოფოსებს ისე გაუხადა საქმე პაპამ, რომ იმათ შეეძლოთ ელაპარაკნათ მხოლოდ იმაზე, რაზედაც ის უჩვენებდა, ამისათვის ისინი სხვას აღარაფერს მისდევდნენ, — მხოლოდ გულმოუგინეთ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ გონებით რომის ეკკლესიის ზოგიერთი სწავლების ჭეშმარიტება. მართალია იმათში ხანდის-ხან ჩნდებოდნენ ხოლმე ისეთები, რომლებიც ამტკიცებდნენ პაპის სიცრუევს და გონებით იკვლევდნენ ახალ ჭეშმარიტებებს; მაგრამ იმათ დიდის ხნის სიცოცხლე არ ჰქონდათ ხოლმე, რადგანაც პაპა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა ამ გვარი ფილოსოფოსები მწვალებლათ (*epemurks*) შეერაცხა და ცეცხლში დაეწვა. რადგანაც ფილოსოფია საძაგელ გარემოებებში

იყო ჩათვლილი პაპის წყალობით, ამისთვის სარგებლობის მაგივრად დიდინება მოჰქონდა კაცობრიობის გონებითი განათლების მფლობელობაში. მაშინდელ სასწავლებლებს გარეშემო ერტყა სხოლესტიკა, რომელიც ძრეელ უშლიდა ემაწვილს, რომ გონებით გახსნილიყო, მაშინდელი მასწავლებლები, რომლებიც თაყვანსა-სცემდნენ სხოლასიკურ ფილოსოფიას, მოსწავლე ემაწვილებს უტენდნენ თავებს უსარგებლო სიტყვებით და აჩვევდნენ უაზრო სიტყვების დაფქვას. აბა რა აზრი უნდა ყოილიყო იმ სასწავლებლებში, რომლებშიაც მასწავლებელი დიდი ენერგიით უმტკიცებდა პატარა ემაწვილებს იმას, თუ რათ შექმნა ღმერთმა ქვეყანა ექვს დღეს, — რა ნაირად წმინდა ქანწულმა მარიამმა შვა იესო ქრისტე — რომ ღმერთი სამპიროვანია, — რომ პაპა იესო ძრისტეს მოადგილეა და ამისათვის ამ ქვეყნის ყველა ეპისკოპოსებზე და მეფეებზე დიდია, და მრავალს ამგვარ ღომის ეკკლესიის სწავლას. ემაწვილებისათვის სად იყო თავისი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია, — სად იყო

თავისი ბუნებითი ენის სწავლა, სად იყო გონივრული სამართო ისტორიის შესწავლა? ყველა ამას მასწავლებლები უურს არ უგდებდნენ ამ აზრით, ვითომ ამ საგნების სწავლება იმათი საქმე არ იყო. აი რა ქნა ფილასოფიამ პაპის მონობის ქვეშ! აი პაპამ ფოლოსოფიის შემწეობით რა ნაირად შეიპყრა სასწავლებლები, საიღამაც უნდა გამოსულიყვნენ ხალხის დამცველნი, ხალხის ავადმყოფობის გამგებნი, სასწავლებლები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ყმაწვილები ისე გაეხსნათ, ისე მოემზადებინათ, რომ ისინი ცხოვრების ყველა მოვლინებას კრიტიკულათ მოქცევოდნენ!

ამ ნაირად პაპა უთხელებდა ხალხს, როგორც ჯიბეებს, ისე ჭკუა-გონებას, —ამნაირათ ის მაჯლაჯუნასავებ აწვა ხალხს გულზე და უშლიდა, როგორც მოფიჭრებას, ისე გამდიდრებას. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ კიდევ ხალხს არა უშამდა რა, რომ თავად-აწნაურობაც ზურგზე არ ჰკიდებოდა. უბედურობა ის იყო, რომ რაც პაპა თავის კარდინალებით, ეპისკოპოზებით, პრელა-

ტებით და სხვა სასულიერო პირებით აკლებდა საწყალ ხალხს, იმას უსრულებდა თავად-აზნაურობა.—

დასაგლეჯთ ევროპის მთა და ბარი პაპას, ეპისკოპოზებს, მონასტრებს, წინამძღვრებს და სხვა სასულიერო პირებს რაც ეჭირათ, ხომ ეჭირათ, რაც არა და თავად-აზნაურობას ეჭირათ საწყალი დაბალი ხალხი სრულებით უმამულო იყო, ასე იყო, როგორც გერმანიაში, ისე ინგლისში, ფრანციაში და სხვა სიმიფოებში. წარმოიდგინეთ საწყალი გლეხი-კაცის გარემოება; ამას უნდა ეძლიება თავის ბატონისათვის პური, ღვინო, ცხვარი, ყველი, მარცხ კვერცხები—ერთი სიტყვით რამდენიმე ნაწილი ყველაფრიდამ, რაც კი შეადგენდა ამის ულის მოსაფლოს. ეს კიდევ არაფერი, იმას უნდა თავის საქმისათვის თავი დაენებებინა და წახულიყო ბატონის საქმეზე, როდესაც კი ეტყოდნენ, რადგანაც მაშინდელ ბატონებს ძრეულ ბევრი საქმე ჰქონდათ, 4)

1) ყველა თუბილი იმას ცდილობდა, რომ კარგი ხასხსლე და ცისე ჰქონოდა, ამისათვის თავის

ამისთვის საწყალი გლეხი უმეტესი ნაწილი ბატონის კარზე იყო. ამას ხეირს არ აყრიდა ისიც, როდესაც თავადებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდოდათ. საწყალ გლეხებს ერთმანეთში გასაყოფი კი არა ქონდათ რა და ებრძოდნენ კი ერთი ერთმანეთს. რისგულისთვის? თავიანთ ბატონების გულისათვის. დასაველეთი ეროპის სამეფოებში წინაპირველათ ძრიელ მძლავრები იყვნენ ფეოდალები, ანუ თავადები; ბევრი ამათგანი მეფეებს უბედამდა ომს და ამით აწუხებდა თავის გლეხებს. ერთმანეთში ხომ ომი ძალიან იცოდნენ. ერთ უბრალო საქმეზე მოუვიდოდათ ჩხუბი და ამით ისრისებოდნენ გლეხები, ოხრდებოდნენ სოფლები, რადგანაც ომის კაცებს არავისი შებრალება არა ჰქონდათ, როდესაც იმათ რომელიმე სოფელზე გავლა მოუხდებოდათ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ თავად-აზნაურობა ცემა-ტყეპით სულს ართმევდა გლეხ-

გლეხ-კაცებს მოსვენებას არ აძლევდა გლეხების მხედრობით და წიხის განკუთმით თხრისის შემოქმედებით.

კაცებს და ხშირად ბევრს მათგანს კიდევაც გზავნიდა იმ ქვეყანაში.

საჯვარო ომების წინეთ კიდევ ისე არ იყო გლახკაცობა ტანჯვაში თავად აზნაურობის მხრით, როგორც იყო საჯვარო ომების განმავლობაში და შემდეგ. თავათ-აზნაურობამ აზიიდან გადმოიტანა ევროპაში მდიდრული ცხოვრება და ამისათვის იმას აღარ ჰყოფნიდა ის შემოსავალი გლახებიდან, რა შემოსავალიც ჰყოფნიდა საჯვარო ომების წინეთ 1). რასაკვირველია, იმას რომ ხელიდან გამოსელოდა რამე, მაშინ საქმე სხენაირათ წავიდოდა და გლახკაცობას ტანჯვა არ მოემატებოდა. მაგრამ უბედურობა ის იყო, რომ იმას სრულებით არა ჰქონდა თავი თავისი შრომით ეშოვნა ფულები და ისე დაეკმაყოფილებინა ის ახალი მოთხოვნათხილგებანი, რომლებიც დაბადა მასში აზიის გაცნობამ. აი ეს იყო პირველი მიზეზი, რომ საჯვარო ომების განმავლობაში და შემდეგ

1) თითონ აზიაში მოგზაურობასკდაც ცოტა ფულები კი ან ესაძგებოდა თავად-აზნაურობას. —

გლებ-კაცობას ტანჯვა ძრიელ ემატება და ამისათვის ძრიელდება მის და თავად-აზნაურობის შორის სიძულადი. ამ შემთხვევაში დასაყვეთ ევროპის გლებ-კაცობის ბელი ძრიელ ემგზავსება საქართველო გლებ-კაცობის ბელს. აქაც თავად-აზნაურობა ბრცქენიდა გლებ-კაცობას, მაგრამ ძილიან ბრცქენა დაუწყო შემდეგ იმისა, რაც რუსერმა მიილო საქართველო თავის მთავრობას ქვეშ. წინეთ ჩენი თავად-აზნაურობა მისდედა უბრალო ცხოვრებას; თავადს პური და ღვინო კი ჰქონოდა ბლომით, თორემ სხვა არა უნდოდა; იმან არ იცოდა ჩაის დილით და საღამოთი სმა; ფაიტონებით სვირობას ხომ სრულებით არ ეწყობოდა. რაც შეეხებო ჩაცმა-დახურვას, იმისათვის, საკმაო იყო ერთი სახლებიანი კაბა, ბუხრის ქუდი და უბრალო ახალუხბ. წინეთ ჩენი თავადები, როგორც თითონ იცვამდნენ უბრალოთ, ისე ცოლებსაც შევდნენ უბრალოთ. რადგანაც ასე უბრალოთ ცხოვრობდნენ საქართველოს თავადები და აზნაურები, ამისათვის იმათ გლებებს ტანჯვა არ

აღვა წინეთ, რა ტანჯეც დაადგათ მერე საქართველოს იმეერთება რუსეთთან და აქედამ იქ ხროვა-ხროვა თავად-აზნაურების მოგზაურობა ერთი-მეორე ვისაც კი ცოტა რამ უჭყავოდა ჯიბეში რუსეთისაკენ მიეშურებოდა. რასაკვირველია თავად-აზნაურობა რომ გონებით გახსნილი ყოფილიყო მაშინ იმათ მოგზაურობას რუსეთში სრულებით სხვა შედეგები ექნებოდა. უბედურება ის იყო, რომ ის გონებით გახსნილი არ იყო — რომ ის მოქმედობდა მესხიერებით და არა თუ აზრთენებით; ამისათვის იმის თვალში მნობნვლობა ჰქონდა მხოლოდ რუსების გარეგან ცხოვრებას რუსების ჩაცმა-დახურვად და სმა-ჭამა მიიპყრობდა იმის ყურადღებას რომ ნაირიად ჯერეთ კიდევ მოქმედობს ბევრ ჩვენს ყმაწვილ კაცზე რუსების ცხოვრება. აბა გამედეთი იზოგიერთს: აი ცხვირზე ჩამოუცვამს ორ თუმხიანი შანსე და ირემისავებ თავი მალლა აულო, ხელიებზე გაუკეთებია კარგი თათმანები და კოპწია ქალისავებ მალლა იჭერს, რომ რა არი ქვეყანას დაენახვოს; ფეხებზე აცვია შუბ-

ლეტები და წამ-და-უწუმ ზედ იყურება; ახლა ჩაკვირდი იმის ჭკუა-გონებას: აი თქვენ ხედავთ, რომ იმის თავში გაგონილი აზრები ირევა დომხალისავებ, რომ არც ერთი ამ აზრთაგანი იმას ზედმიწევნით არ ესმის და არც უნდა რომ გაიგოს. ასე ამ ჩვენ ყმაწვილ კაცს რუსეთში თავის მყოფობის დროს მიუქცევია ყურადღება მხოლოდ ცხოვრების გარეგანი მხრისთვის; იმას თავშიაც არ მოსვლია რუსების, ანუ ამათი შემწეობით დასაფლვეთ ევროპიელების ჭკუა-გონების შესაწავლა. —

რადგანაც თავად-აზნარობა რუსეთში მხოლოდ ჩაცმა დახურვას და სმა-ჭამას სწავლობდა, ამისთვის საქართველოში რომ ბრუნდებოდნ გლეხ-კაცობას სულ აქრობდა ფულების შეწევით. მოიგონეთ რა ჭაპან-წყვეტაში იყო ჩვენი ხალხი თავად-აზნაურობის წყალობით ამ შეიდი, ანუ ცხრა წლის წინეთ და მაშინ ცხადი იქნება თქვენთვის, თუ რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო ევროპიის გლეხ-კაცობა საქვარო ომების შემდეგ. როგორც

ჩვენი ქართველები რუსეთში მიეჩვივნენ მდიდრულ ჩაცმა-დახურვას და სმა-ჭამას, ისე ევროპის თაყაღ-აზნაურობა აზიაში მიეჩვია მდიდრულ ცხოვრებას და როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდა, მოუმატა გლეხ-კაცების ბცქენას, რომ თავისი ახალი მოთხოვილებანი დაეკმაყოფილებინა. —

აი ამნაირი რელიგიური და სოციალური გაწყობილება იყო ევროპაში მეთექვსმეტე საუკუნეს წინ! აი ამნაირ ტანჯვაში იყო ხალხი იესო ქრისტეს ცრუ-მოადგილეს და თაყაღ-აზნაურობის წყალობით! მაგრამ შესაძლო იყო, რომ ამგვარი გაწყობილობა, ამგვარი ხალხის შევიწროება დარჩენილიყო სამუდამოთ? განა შესაძლებელი საქმე იყო, რომ პაპას და თაყაღ-აზნაურობას სამუდამოთ ეპარპაშნათ ხალხის ოფლით ნაშოგვარ ავლა-დიდებაზე? ის გაწყობილობა არ არის უკვდავი, რომლის წყალობითაც ერთი მეორეს სარჩოზე ხარობს. იმ სამეფოს არა აქვს ბევრი დღე, რომელშიაც ერთი წელებზე ფეხს იდგამს შრომით, მეორე კი გულაღმა წევს

და სცემს ბოლოთს. ნუ თუ იმინ არ მოულო
 ბოლო რომის თმწერიას, რომ აქ იყო დიდი
 პატარობა, რომ აქ მცხოვრებლების რამდენიმე
 ნაწილი მონებათ ირიცხებოდნენ? განა საბერა
 ქნეთიც ამ გარემოებამ არ დალუპა? იმ გაწყობ
 ბილობას, რომელიც სუფევდა ევროპაში მე
 თექვსმეტე საუკუნემდინ, იმ ნაირი ფერი ედვა,
 რომ იმისი დღეგრძელობა მოუფიქრებელი საქ
 მე იყო. პაპის ლტოლვილება მისდამი, რომ
 მთელი ევროპა ხელში დაეჭირა და სამულამოთ
 ეწუწნა ხალხი, მღვდლების ბერების და სხვა სა
 ხულიერო პირების გარყვნილი ცხოვრება და
 მათი წრუბელასაფით მიკერობა ხალხის ზურგ
 ხე, თავად აზნაურობის მუქათა პურის ჭამა და
 პარპაში ხალხის ავლადიდებაზე — და მრავალი
 ამ გვარი ხალხის ქეთილდღეობისათვის მავნე
 ბელი გარემოება — ყველა ეს ბუნების კანონის
 წინააღმდეგი იყო და ამისათვის დღეს თუ ხვალ
 ბოლო უნდა მოდებოდეს არც ერთი ამათგანის
 სამულამოდ არსებობა შეუძლებელი საქმე იყო
 ვის უნდა მოელო ბოლო ყველა ამ გარემოე

ბეებისთვის? რასაკვირველია, ხალხსა. როდის? მაშინ, როდესაც ის გაიგებდა, რომ შეიძლება გამოიკვალოს ის რელიგიური და სოციალური მოწყობილობა, რომელიც აგრე სიცოცხლეს უმწარებდა; როდესაც იმას ჭკუა-გონება იმოდენათ გაეხსნებოდა, რომ მალალ სიტყვას გაბედამდა თავის გარემოებაზე. — ეს ამისათვის რომ ხალხს, როგორც თავის ადგილასა ესქვით, მხოლოთ მაშინ შეუძლიან გაბედოს სოციალური დაწყობილობის დარღვევა, როდესაც ის უცქერის იმას ისე, როგორც კაცისაგან და არა თუ ღვთისაგან დაარსებულს. გაუხსნელ კაცს როცა დაჭირება ემატება, ის მხოლოთ კენესას უმატებს და მალ-მალე იმეორებს: «ალბათ ღმერთს ასე სურს». ძნელათ მოხდება, რომ იმან თავის გარემოების წინაიღმდეგი გაბედოს რამე. მაგრამ რაკი მოსაზრება მას თამაშობას დაუწყებს, რაკი ის იმდენათ გაიხსნება, რომ იმ გარემოებებს, რომლებიც გარეშემო ახვევიან, დაუწყებს ცქერას კრიტიკულათ, გული აუჯანყდება იმ პირებზე, რომლებიც იმას ჯიბეებს

უთხელებენ, და ყოველ შემთხვევაში ეცდება თავიდან მოიშოროს ისინი. თუ ეს ასეა, აბა მაშ დავხატოთ ქვემო განყოფილებაში, თუ რამ შეუწყია ევროპიელებს ტვინი, რამ გააღვიძა მათში მოსაზრება, რანაირი მსვლელობა ჰქონდა ამ მოსაზრებას და რანაირად ერთბაშით ხალხს გააბედვინა მაღალი სიტყვა თავის გარემოებაზე.—

ნ. ცხვედაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში იქნება)

ჩიტი!

გაღია უკულა ერთია
აქროსი იყოს, გინდა; ხის
საბრალლო ჩიტი შიგ მჯდომი
გულ მოსაკლავად იძახის.

რა პატივითაც ინახათ
ქონდესთ უკულ-დღე თავს-კუთლებს;
ძანცა უტკბეს იმის თვის
ღარები თავისუფლებს.

ფრთის გაშლა, ცაში წავარდი,
თვით არსებობა, გალობა,
ხან გულ ამოსკვნით ჭიკჭიკი,
ხან ამოსტკვნით გალობა.

მაგრამა კაცი გულ-ქვავი,
სსვისი უფლების მტერია,
თვის სასარგებლოთ იმას იქმს,
რაც სსვისი არ საფერია.

ზირუტუკილ თავმოყვარებს,

ამსსვერპლებს სსვის იმედსა;
 რაც არ სურს, იმას აძალებს,
 რაც ჭსურს, უგარგავს იმ ბედსა.
 იმას გონია, ისა სჯობს,
 რაც მისი მოსაწონია
 და ბრძაღ სინდისის მინდობით
 თავი მარტალი ჭგონია.

მებრძავის ჩიტი ტყვეთ, კმნილი,
 ძალ-დატანებით მსტვინავი,
 ცხადათ ლქრეში ჩასმული
 ფიქრით ჭაკში მიუჩინავი.

რათ უნდა უცხელ პატივი,
 აღერსი ლქრეს გაჯია,
 თუ მონებაშიდ საბრალამ
 თვისი სიცოცხლე გაჯია.

მცირეთა გრძობა ენებზე

მზე მოგვეხლას, უკუნი ჩვენთვის
ხლარ-ს ქსელია:
ბოროტსა ჰსძლია კეთილმან...
ახსება მისი გრძელია!

(გეფხვის-ტყაოსანი)

О существѣ національной индивидуальности и
объ образовательномъ значеніи крупныхъ народныхъ
единицъ. (ახსება ნაციონალურის ინდივიდუალობისა
და დიდთა ხალხთა თვითოეულთა აღმზრდელო-
ბათი მნიშვნელობა.) დამატებული ბროშურა გასეთის
«Кавказъ» 1872 წ.

საკვირვლად კარგ დროს გამოვიდა ეს პა-
ტარა წიგნი! სწორედ მისწრებას რომ იტყვიან,
ის იყო ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ აქა-

ურ ადგილობრივის ენების (ქართულის, სომხურის და თათრულის) სწავლებაზე წრეულს დიდი ლაპარაკი იყო არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, აქაურს ქართულ სომხურ და რუსულ გაზეთებში, არამედ პეტერბურლის და მოსკოვის გაზეთებშიაცა. იყო სხვა და სხვა აზრი გამოთქმული, ზოგი სასარგებლო და ზოგი საწინააღმდეგო ჩვენშიაც და რუსულ გაზეთებშიაც. აქამდინ ისე გაცხარებული ლაპარაკი გაზეთებში და საზოგადოებაში ჩვენს ენებზედ არც ჩვენს მწერლობაში ყოფილა და არც რუსეთისაში. ამისგამო ყურადღება მიაქცია პატარა წიგნმა, რომელზედაც ჩვენ ვაპირებთ ლაპარაკსა. ამ წიგნში არის გამოთქმული აზრები, რომ ყველა პატარა ხალხების ენები უნდა გაუქმდეს და შემოვიდეს დიდი ხალხების ენები. ამ აზრის გამოთქმისა გამო ყველა, ვისაც კი რუსული კითხვა შეუძლია, ამ წიგნს ეწაფებოდა და კითხულობდა. მიზეზი ამისი, ზემოთ მოვიხსენეთ, საზოგადო ლაპარაკი იყო, თორემ რუსულ ლიტერატურაში ეს ძველის-ძველი ამ-

ბავია. აგერ ბარემ ათი წელიწადი იქნება, რომ ამისთანა საგანზე ბევრი სჯაა, ზოგჯერ ფიცხი ბაასიც ყოფილა და არის დღესაც მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შუა. პეტერბურლის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებს რომ თავი დავანებოთ, საკმაო იქნება მოვიგონოთ ჩვენი ქალაქის რუსული გაზეთი «კავკაზი», რომელშიც 1867 წელს იმგვარი აზრები იყო მოყვანილი, რომ სრულიად უსარგებლოა აქაურ ენებზე სამეცნიერო და სასწავლებელი წიგნების გამოცემა, და ამით თითქოს ის აზრი უნდოდა გამოეთქვა, რომ კარგი იქნება აქაური ენების მწერლობის და ბეჭდვის მოსპობაო. ამისთანა წრეს გასული აზრები, რამდენათაც ვიცით და გვახსოვს, არცერთს რუსულ პეტერბურლის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთს არ გამოუთქვამს. მაგრამ მაშინ, 1867 წელს, ბევრს არ მიუტყრია ყურადღება. ახლა კი ეს საგანი საზოგადოებისაგან ყურადღების ღირსი შეიქნა.

ამ უსახელო ბროშურაში გამოწურულია ის აზრები, რაც ამ ათიოდ წელიწადში გამოთქმუ-

ლა ენების გაუქმებაზე. ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთების სიბრძნე ავტორს ციფრებით და ნომრებით მუხლებათ დაუყვია; შეუდგენია აფორიზმები (პაგოდინის ისტორიულ აფორიზმებსავე) და გამოუცტია წიგნაკი. სამწუხაროდ იმით კი აღარ გაუბედნიერებია, რომ სრული ძხულება ეჩვენებინა, და არა ნახევარი. ნახევრის უფრო საჭირო ნაწილის ნახვის ღირსი კი არ ვიცი, როდის შევიქნებით.

ეს ბროშურა შეიცავს მარტო თეორიულს სჯასა, რომლისაც დამტკიცებას შემდეგს ნაწილში უნდა მოველოდეთ, და იმ განზრახვით არის დაწერილი (როგორც წინა სიტყვაობაშია მოხსენებული), რომ გამოიკვლიოს: ხელმწიფობის სხეულში, ესე იგი სახელმწიფო წყობილებაში და გამგეობაში რა ადგილი უნდა ექმროს წერილ ხალხებს თავისი ენებით დიდ ხალხთან.

ამ აზრის ახსნისათვის და დასკვნის გამოყენისათვის კარგი და საფუძვლიანი მეცნიერება საჭირო არამც თუ მხოლოდ ისტორიისა, თუ

ლოლოგიისა და ეთნოლოგიისა, როგორც ბროშურის დამწერი ჰგონებს, ფრამედ ჩვენის დროების ყველა სწავლა მეცნიერებაა საჭირო და იმისი დასკვნა; არამც თუ მართო სწავლაა საჭირო, თვით ჩვენი დროების ცხოვრების მომდინარეობის თვისების შეგნებაა საჭირო, რადგანაც ხშირად ხდება, რომ სწავლა და ცოდნა, მეცნიერება, ბევრს კითხვას ცხოვრებისას ვერ უპასუხებს თავის გაუხსნელობისა და შეუმუშავებლობის და გამოურკვეველობის მიზეზითა. სწავლა და მეცნიერების გაუხსნელობა და იმისი ჯერეთა სიყმაწვილე ყველა მეცნიერებისაგან არის შემეცნებული ერთი მხოლოდ წმინდა მათემატიკა არის აღიარებული ყველასგან ნამდვილ შეურყეველ ჭეშმარიტ მეცნიერებად. ერთი ცხადი ნიშანი მეცნიერებათა გაუხსნელობისა ის არის, რომ იმათი ჭკუასთან ახლო მრავალი დასკვნა უმრავლეს მსწავლეულებისაგანაც კი არ არის მიღებული და ჭეშმარიტებად აღიარებული ისე, როგორც მათემატიკაა მიღებული და აღიარებული. ცხოვ-

რების მომდინარეობა გვაჩვენებს, რომ ხალხის ცხოვრების საქმეების გამართვაში და შეცვლაში თუმცა მეცნიერებას ჰქონია მონაწილეობა, ეს მონაწილეობა მხოლოდ ერთ მხრივი გავლენა, ზედმოქმედება ყოფილა და არა სრული. ეს მეცნიერების მონაწილეობა, გავლენაც წმინდა მეცნიერებისა კი არა ყოფილა, არამედ ცხოვრებისაგან თავისებურად გადაკეთებული, გადასხვაფერებული და შეცვლილი. მეცნიერებისათვის ცხოვრებას თავისი გამოცდილებაც დაუერთავს და ამგვართ მიუცია მოძრაობა თავის ახალ მსვლელობისათვის. რა უბედური იქნებოდა ევროპის ხალხი, რომ მართლა და საშუალო საუკუნეებში, ანუ თუნდა ახალ საუკუნეებში თავისი ცხოვრება იმდროს მეცნიერების საფუძვლით გაემართა. ევროპის განათლებას და წინამსვლელობას აღსასრულის დღე მოუვიდოდა! მაგრამ ცხოველყოფილი ძალა ცხოვრებისა არ დაემორჩილა იმ სრულ მეცნიერებასა, რომელიც იმ დროს კეშმარტივებათა სწამდათ, და ხალხს კეთილდღეო-

ბას უახლოვებდა თან-და-თან თითქმის მხოლოდ თავისის საკუთარის ძალითა. მეცნიერებამ თავისი ძალის სათავე ამ ძალაში მოიპოვა.

მაგალითით ავხსნათ რუსეთის ცხოვრებისაგან. რუსეთში სოფლის თემობას ძველის-ძველათგანვე აქვს საერთო მამულები, სათემო მამულები, რომელსაც ერთსა და ორს კი არ ეკუთვნის, მრთელს სოფელს ეკუთვნის და მომჭირნო მამაკაცის რიცხვისდაგვართ იყოფება ხუთსათს ანუ თხუთმეტ წელიწადში ერთხელ. ამის გამო ამისთანა სოფლის ვაჟ კაცს ყოველთვის მამული აქვს, უმიწო არ არის. ამ უფლებას რუსეთის კანონები აძლევს ყოველ სოფელს. ეს ისეთი დაწესებაა, რომ, — როგორც რუსეთის და უცხო ქვეყნის ლიტერატურაში გამოუთქვამთ, და როგორც უკანასკნელი ეკონომიური სწავლა გვაჩვენებს, — რუსეთის ხალხი ასცდება ევროპის გლეხი ხალხის სიღარიბესა და უადგილმამულობასა. ეკონომიური სწავლა, სანამ გაიხსნებოდა, იმისთანა აზრისა იყო, რომ ეს სათემო მფლობელობა მიწისა ხალხისათვის მავნებელ

საქმეთ მიჩინდა და ზოგთ, ამ ძველი სწავლის მომ-
ხრეთა, მიჩინათ წარმოიდგინეთ რუსის ხალხის
უბედურობა, რომ ამჟამებლობას მი დროს
ეკლანომიურის სწავლისამებრ გადაეწყვიტა მამუ-
ლების დაყოფა სათვრთხოდ! ეს დიდი ჩაწარმო-
ები რუსეთის ხალხის გენიოსობისა, ეს ნაყოფი-
ერა საქმე შთამომავლობისათვის უნდა გამკრა-
ლიყო, ანამც თუ რუსეთისა და ევროპის სვე-
ტილ მდგომარეობისათვის, არამედ მსოფლიოს
სვეტილ-დღეობისათვის და ევროპის ამეცნიერე-
ბისათვის. ძველი მოზრეთი ერთი დასამტკიცებელი
აზრის მოჰყავდათ, რომ აქამდინ ნუარგს მეურნეობ-
ბას ფესვი იმიტომ ფერ გაუდგამს ჩვენს გლე-
ხობაშიც, რომ მამულები ითსაერთალო იდღეს
ერთს უჭირავს იხვალ სხვასაო და ამიტომ მამ-
მულის არაკეთებსო. იცხოვრებამ კესხვა დაამტ-
კიცა, 1866 წელს ერთ სოფლის საზოგადოე-
ბამ გადასწყვიტა, რომ სათემო მამულებს წილის
ურაში, გაკეთებულთ, გავატრეებულთ მამუ-
ლებით იმ გლეხებში იყო უნდა დაეაჩიოს, უთვინც
მამულის პატრიებს დააკეთებსო — ამისთანა მადე-

ლითები ბევრი შეიძლება მოეძებნათ როგორც
 დიდ ხალხების ცხოვრებაში, ისე აგრეთვე პატარა
 ხალხებისაში. ათ ცხოვრების მსვლელობას და
 პრაქტიკას რა შეუძლია აღმოაჩინოს ცხოვრება
 ამ მაგალითით კარგა დაფანახეთ, რა მნიშვნე-
 ლობა აქვს ცხოვრების გამოცდილებას. ამ
 ამ სახით ვხედავთ, რომ მართლაც მეცნიერება-
 შეუდამყარება არა კმარა. თუ კი მართლაც და
 საფუძვლიანად გვინდა დავსკვნათ რამე ცხოვ-
 რების შესახებ, სწავროთ თვით ცხოვრების გა-
 მოცდილების ცოდნა და შემეცნება ცხოვრების
 მსვლელობის მიმართულებისა.

ახლა დავხედავთ ბრომურს, ისეთი საფუძველი
 აქვს თუ არა?

გამოცემულ ნაწილში სჯა არარაზედ არის
 დამყარებული, სჯა თვით ბოლომდინ რღობა
 ლმატიკური აფორიზმებია და საზოგადოთ
 დაუმტკიცებელი, a priori აზრებია გამოთქმუ-
 ლი. ისტორიული დამტკიცება მეორეს ნაწილ-
 ში იქნება ზმგვარად ავტორი ისე მოქცეუ-
 ლა, რომ თავის მსჯელობისათვის დამტკიცება

წაურთმეფია და საბუთო მაშინვე კი არ წარმოუთქვამს, არამედ წარმოსთქვამს შემდეგ. რომელი კეთილ გონიერო მწერალი ირჯება ამგვართ? ისტორიული დამტკიცება შემდეგაო! — რა არის ისტორიული დამტკიცება ამისთანა საგანში, რომელსაც ეჭირება მეცნიერების ყოველის მხრითი დამტკიცება. ავტორი არც ფილოლოგიურ საბუთებს იხსენებს, არც პანთროპოლოგიურს, არც საკუთრად ფთნოლოგიურს, არც ფიზიოლოგიურს. ავტორი სრულეებით ყურადღებას არ აქცევს ცხოვრების გამოცდილებას და აწმყო მსგლელობას. როდისაც ცხოვრებას ეხება ორიოდ აღგიღოს, იქაც ძველის-ძველ ისტორიას აწყდება, და ავიწყდება, რომ მარტო ძველი მოთხრობა სპარსეთისა და ეგვიპტისა ისტორია არ არის; ავიწყდება, რომ ძველ ხალხებს გარდა ახალი ხალხებიც არიან ევროპისა და ამერიკისა. ესენი დაუნწყებულო აქვს და გარეთ განზე მიუგდია. რასაკვირველია, ჯერ ვერ ვიტყვი და წერილებით, მომავალში რა და რა ისტორიული ფაქტები ექნება ავტორს ჩამოთვლილი,

მაგრამ საზოგადოდ რასაც დაბეჭდილ წიგნში ვხედავთ, ის ფაქტები ვერაფერ დამტკიცებათ გამოადგება ავტორსა. პირიქით ეწინააღმდეგება დასამტკიცებელ აზრსა.

რა აზრი აქვს ავტორს დასამტკიცებელი მრთელს თავის თხზულებაში?

ის აზრი, რომ პატარა ხალხებო თან-და-თან თავის ენას თავს ანებებენ და სხვა დიდ ხალხების ერთ-ერთ ენას ითვისებენ. ეს წარმოსდგება იმ გარემოებისაგანაო, რომ, რადგანაც ყოველი კაცი, ხალხი და კაცობრიობა თავის ნივთიერსა და სულიერს სიკეთეს ეძებს, ამისათვის ერთმანერთს უერთდება და რადგანაც დიდი ხალხები უფრო კეთილ-დღეობაში არიანო, ამისა გამო პატარა ხალხები ამათ ხან ნებით, ხან უნებურათ უნდა შეუერთდნენო, საკუთრად ენას ითვისებენ, როგორც მარჯვე იარაღს კაცობრიობის განათლებისასაო.

აი მრთელი წიგნის შინაარსი.

პირველი აზრი, ავტორის დაწყობილი, აცხადებს, რომ ისტორიაში ვხედავთო, რიცხვ-მცი-

რე ხალხები ზიცვნიდის ხალხებს უერთდებიანო, ამ აზრს ამყარებს იმ კანონსა, რომ კაცი, თავის ვეთილდღეობისათვის ერთდება ჯერ ოჯახად, მერე თემად, ანუ ხალხად და ბოლოს პატარა ხალხი დიდს უერთდება.

სულ პირველად ავტორის ამ აზრს უნდა დაეაკვირდეთ, რომ ისტორიაში ასე ვხედავთ. ისტორიაში გვირს რასმე ვხედავთ, რომელიც არ შეგვიძლია აღვივროთ ისტორიის ნამდვილ კუთვნილებად, კაცობრიობის პროგრესის კუთვნილებად, არამედ წარმავალ, შემთხვევით მოვლინებად მხასგარდა ყველა, რაც მომხდარა ისტორიაში, იმას ხო არ გვიმტკიცებს, რომსა ულ ასე უნდა იყოსო, მაგალითად კაცობრიობის ისტორიაში ვიცით მაგალითები, რომ კაცები ერთმანერთსა სჭამდნენ და დღევანდლამდინ დასჭინდლათუვალიჭამიობა, დიდო კეანესიზოგიერთ კუნძულებზე ამ კაცის ჭამიობას თან-ლა, თან გადაეჩვიენ და ეხლა ცოტანტლა დარჩენილან ამ ტკბილი გემოვნების პატრონნი. უწინ ძველის ძველათ ცხენის კუდს მოაბამდნენ კაცსა,

და ათრეცდნენ სანამ ნაკუწი ნაკუწათ იქცეოდნა
 აღამიანის ტანი. ევროპაში ერთხელ კაცებს
 თვალებსა სთხრიდნენ, ყურებსა და ცხვირსა
 სჭრიდნენ, კაცებს ცეცხლში სწვადნენ; სადღა
 ეხლა ამისთანა ამბები ჩვენს დროში ევროპაში
 რუსეთში ამ რამდენისამე წლის წინად როგორ
 იცოდნენ? ეხლა აღარ არის, ნუთუ ეს დასჯა და
 წვალება არის უიქველი კანონი პროგრესისა
 კაცობრიობის წინაშე? არისა კერძო ენა
 ავტორი ამ აზრისა? არის. მაშასადამე ისტორი
 რიაში რაც ერთხელ ყოფილა, ბევრჯელს აღარ
 არის, თმას აღარა ეხედავთ.

მაგრამ იქნება მკითხველმა იფიქროს, რომ ენა
 თომც ჩვენ იმ აზრის წინააღმდეგი ვიყვნეთ, რომ
 ხალხების შეერთება ისტორიულ მოვლინებად
 არა ეფრწამდეს? არა, ჩვენ იმგვარს შეერთებაზე
 ვამბობთ, როგორც ბროშურის ავტორსა ჰგო-
 ნია.

ავტორი ამბობს, რომ მცირე რიცხვიან ხალ-
 ხის შეერთება ღიად რიცხვიანთან იმ გვარი შე-
 ერთებააო, რომ მცირე რიცხვიანი ური თანის

ენას დიდ რიცხვიანისაზე სცელის, რადგანაც
 ორი ხალხი ერთს საზოგადო სხეულს ვერ შეა-
 ღვენს. აქვე უნდა ეთქვათ რომ დიდი და პატა-
 რა ხალხების განმასხვავებელ თვისებად ენას
 აღიარებს..

ერთი ხალხი მეორეს ხალხისაგან განსხვავდე-
 ზა ენითა, ენა არის თვით ხალხი, ხალხის აგე-
 ბულება. ეს მართალი და ნამდვილი აზრია.
 მაგრამ ორი ენით მოლაპარაკენი რომ ერთად
 ვერ მოთავსდნენ, ეს ისეთი აზრია, რომ თითქოს
 კაცმა ახალი საუკუნოების ისტორია არ იცო-
 დესო.. სხვა და სხვა ენის ხალხები ერთ საზოგა-
 დოების სხეულს, ორგანიზმს ვერ შეადგენენო!
 ნეტავი კი გამორკვეული ჰქონდეს ავტორსა,
 რას უწოდებს საზოგადოებრთს ორგანიზმსა?
 სიტყვას საზოგადოებას მრავალ ფვარი მნიშვნე-
 ლობა აქვს. აქვს მნიშვნელობა ხალხის ნაწი-
 ლისა, მრთელი ხალხისა, სახელმწიფოსი, მრთელის
 კაცობრიობისა და ნაწილისა კაცობრიობისა, და
 ზოგი შეიღრვა მნიშვნელობას აძლევს. ბრო-

შუორის ავტორი ამ სიტყვას, რა განსაზღვრას აძლევს, კარგა ვერ გამოურკვევია. ესა ჩანს იქი-
 ღდან რომ ერთ ადგილს (10 გვერდი) ერთის მნიშვნელობითა ხმარობს ორს სიტყვას: ხალ-
 ხი და სახელმწიფო. აი არეულ-დარეულობა აზ-
 რებისა და გამოურკვეველად ხმარება სიტყვებისა! ხალხი და სახელმწიფო. განა ერთი და იგივეა? ფინ არ ოცის ამათი მნიშვნელობის განსხვავება? სახელმწიფო არის გარეგანი ფორმა, რომლითაც განგებულ და მართულ არის—ერთის მრთელის ხალხისა, ანუ ერთი ხალხის ნაწილისა, ანუ რამდენისამე ხალხების—საზოგადო საქმეები. ნუ თუ მაგალითად ეხლანდელი, ამ 1872 წლის ფრანციის ხალხი და ეხლანდელი ფრანციის სახელმწიფო სულ ერთია? ან უფრო უკეთესი ვთქვათ, ეხლანდელი გერმანიის სახელმწიფოები და გერმანიის ხალხი სულ ერთია. ამათში დიდი განსხვავებაა. ორი აზრის არევა იმისთანა საგანზე, რომელსაც ეხება ბროშურა, დიდად სამაგალითოა სამეცნიერო სჯაში.

დავანებოთ ამას თავი და ავტორის აზრითა

გაეშინჯათ, ორი ერთ მოლაპარაკე ხალხები ერთს სახელმწიფოს სურ შედგენენო.

ჩვენ მოაზრე მწერალი ისტორიის თეატრებზე ამყარებს თავის მსჯელობასა და ისტორიას კი სადღაც გაჰქცევია. თუ ახლავს, მართლაც ეყოლი ისტორია ახლავს. მართალია, რომ მოხდენილი ისეთი ამბები, რომ ერთ ხალხს თავისი ენა დაუვიწყნია და ვესხვისა მიუღია. მაგრამ რასაც ამბობენ უკელა ნამდვილია? მაგალითად სპარსელებმა დაიპყრეს სასირიელები და ქალდეელები. მრავალმა წლებმა და საუკუნეებმა გაიარეს, და ქალდეელების სახსენებელი აღარსად არის მისი, მართლაც აიხრცა ეს ხალხი და იმისი ენა დედამოწის ზურგისაგან? ასე გონია აიხრცათ მაგრამ აბა ახლოდგან დააკვირდეს კაცი. ისინი არიან ქრისტიანები, აქვთ თავიანთი ენაზე უკოლები, წიწვალოცვა, სტამბები და წიგნებსაიჭებენ. იმათს ნაწილს (ნესტორიანებს) თავისი კათოლიკობი (მარმონი) ჰყავთ. ესეები რომ არა გეცოდნოდა, როგორც აზიასთან დაახლოვებულ მეზობლებს და ჩვენს თვალში არ გვენახა მეთულო-

ხეები, ხომ იმ აზრისა ვიქნებოდით, რომ ეითომც ქალდეელები და იმათი ენა გამქრალან ამიერ ქვეყნითა. — მაგრამ, ვთქვათ რომ სხვა პატარა ხალხები გამქრალან; ეს რას დაგვიმტკიცებს? გამქრალან ქვეყანაზე დიდი ხალხებიცა, რომაელები და ძველი ბერძნები. იმ ბნელსა და უკუნ ლამეში, რომელსაც ძველ საუკუნეებს უწოდებენ, ხალხები კი არა, თვითოეული ხალხის ნაწილები, და არამც თუ ნაწილები, კაცი კაცთან ერთი ერთთან ვერა თავსდებოდა; მუდამ ერთს მეორეზე ბატონობა სურდა, ერთი მეორეს იპონებდა, სისხლს ღვრიდა და ერთი მეორეს ექსორიას უშვებოდა, სოგორცო სალმანასარმა ანუ რომაელებმა უყვეს ებრაელებსა. განა ამის თანა ისტორიაზე შეიძლება ჩისამე სჯის დამყარება? ვაქციოთ პირი ამ ბნელსა და საუკუნოდ წაწყმედილს დროსა და მივაპყრათ ნათელსა და მრავალის კეთილით მუცლად-ღებულს ახალ დროსა.

რას ვხედავთ ახალს საუკუნოებში? იმასა, რომ კაცი კაცს უახლოვდება თავის თავის კუთვნი-

ლის საკუთრებოს დაუკარგავად, ხალხის ერთი
 ნაწილი მუდარეს ემოყვრება იტაბოლოს, ერთი
 ხალხი მებრე ხალხს და ხალხებს კავშირს უწყ
 ყობს, ხალხი ვხედავთ იმ საზარელ სისხლისღვრა-
 ს, რომ წლების წლიბამდინ და საუკუნითი საუკ
 კუნემდე აღამიანს მოსვენებას არ აძლევდა; ომუ-
 ბი თან და თან მცირდება, მშვიდობიანობის
 მრასურნეობა თან და თან ვრცელდება და ლო-
 ზიერდება. იმისთანა სადავო საქმე რომ ლოქთვი-
 საცოჭი ხალხე ხოლომე და მინელოთ იმებო გაიმარ-
 თებოდნ და ინდუელსაც აბთქმისაც და რწმუ-
 ნებული არ იყოთ ევროპა რომ მშვიდობით გა-
 თავებულიყო, ორ ძლიერს სახელმწიფოებს შუა
 შეერთებულ მტრებსა და ინგლისსა, ეს საქმე-
 მედიატორების სამართლით გაარდასწყდა და
 ორივე მხარე ემაყოფილნ დარჩა. ამგვარი მაგა-
 ლითი კიდევ თრეცემოხდა წრეულისვე ერთს
 წელიწადში სამი მაგალითი დიდი საქმეს კაცო-
 ბრიობის მომავალ კეთილდღეობისათვის, და
 წლითი წლიმდე თან და თან ეს მშვიდობიანო-
 ბის სურვილი ვავრცელდება. ნუ თუ თვალები

უნდა დაეხუჭროთ და მარტო მველი საუკუნეებზე დაეინახოთ? ბროტურის ავტორი არა მგონია რომ კეთილის თან და თან აღორძინებაზე იმედგადაწყვეტილი იყოს. თუ კეთილი არა ხვამხ, მაშასადამე კაკობრიობის წინწახელოც არა ჰრწმენა.

მაგრამ აბა ერთი დავაკვირდეთ ახალი საუკუნოების სახელმწიფოთ შედგენილობასა, ამერიკის შეერთებულ შტატები, რუსეთი და შვეიცარია ხომ სახელმწიფოებია, რრი დიდი და ერთი პატარა. რასა ვხედავთ ამ სახელმწიფოებში? შეერთებულ შტატებში არის ისეთი ნაწილები, სადაც ნემეცური ანუ ფრანკო-სპანო-ინების არ გაუქმებულა და ხალხი დღევანდლამდე ხმარობს. მგვიკარიაში ერთ სახელმწიფოთ სამი ხალხია შეერთებული: ფრანკო-სპანო-ციხა და იტალიახისა; რუსეთის სახელმწიფოში არის ფინლანდიის ხალხი ყველს ესენი თვითონ სახელმწიფოში არიან და კავშირებული არის, რომ ერთი ხალხი მეორესთან მშვიდობიანათა სცხოვრობს და სახელმწიფო გაშვება

ამას შესაძლო საქმეთა ჰხედავს. რუსეთის სახელმწიფოში არამც თუ ფინლანდიის ხალხი, არამედ თვით პოლშის ხალხი მინისტრის ტოლსტოის სიტყვისამებრ, რუსულის ენის შეტანის გაძლიერებით სასწავლებლებში «მმართველობა სრულებით არა ფიქრობს რუსებათ გადააქციოს ეს ვერა შეიძლებოდა.» (ნახე სიტყვა ხალხის განათლების მინისტრის ტოლსტოისა, ნათქვამი ვენკენისთვის 12-ს, 1868 ვარშავის უმაღლეს სასწავლებელში). ავიღოთ მაგალითად ავსტრია რამდენი სხვა და სხვა ხალხები არიან: ნემეცები, ვენგრიელები, სლოვენების სხვა და სხვა თემები. ერთხელ ავსტრიაში იმ აზრისანი იყვნენ, როგორც ბროშურის ავტორი, რომ ერთენა უნდა აერთებდეს ხალხებსაო. ჟამთა ვითარებამ სხვა თქვა და ეხლა სხვა და სხვა ენით მოლაპარაკენი უფრო უძლიერესს სახელმწიფოს შეადგენენ, ვიდრე აღრე. აი ეს ოთხი სახელმწიფო სადაც რამდენიმე ენის ხალხი თვითო სახელმწიფოს შეადგენს. ახლა ავიღოთ სხვა მაგალითი. ირლანდიის ხალხი ერთის ენითა

ლაპარაკობს ინგლისებთან ერთ სახელმწიფოს შეადგენს და რასა ეხედავთ? ირლანდიის ხალხი მუდამ აღშფოთებაშია და დღე მუდამ იმათა ცდილობს, რომ ინგლისს მოშორდეს. საკვირველი არ არის ეს მოვლინება? ნუ თუ საზოგადო ენა აერთებს, აკავშირებს ერთ ხალხებსა, ეს მაგალითები ეგონებ სრულებით ამას არ გვისჩნია. ერთ შემთხვევაში სხვა და სხვა ხალხები ერთდებიან ერთ სახელმწიფოდ; მეორეს შემთხვევაში ერთის ენით მოლაპარაკენი ერთმანეთის დაშორებას აპირებენ! შვეიცარიაში ნუ მეცებს გერმანიასთან შეერთებისთვის პირი მოუქცევია და იტალიის და ფრანკოების ხალხის ნაწილებთან, ამგვართვე განკერძოებულებთან, შეერთებულად; დიდ თავის მოძმე და ერთ სისხლტომს დაშორებიან ნემეცებიც, ფრანკოებშიც და იტალიელებშიც და წვრილ-წვრილად შეჯგუფულან ერთ პატარა მამულში! რა არის ეს მოვლინება ისტორიაში? რას გვისჩნია ეს ფაქტები, ნუ თუ ბროშურის დამწერი ამებს არ დაჰკვირვებია? არ ვიცით ამების დავიწყება შე-

იძლებოდა ისტორიის ფაქტებზე დამყარებულად სჯისათვის? დიან ისეა, რომ დაფიქრებია ავტორს, თორემ ხარ იტყოდა, რომ ენა არის სახელწმინდვას შემყურთებელი იარაღიო.

დავაკვირდეთ უფრო ვრცელათა განახლებებს ერთმანეთთან ენა ერთებს? ყველა ადამიანის წადილით გეთალი ცხადვრება, კეთილდღეობაჲ ჩეთიერთებს სულერთი სიმდიდრეა, ამას თვითონ ავტორი ამბობს. ყველა ადამიანისა, ყველა ხალხების სურვილი ერთი კდა იგივეა. მაშასადამე ყველას წადილი ერთია, ამისაგანო კაცი კაცს უერთდება მოჯახობად, მოჯახი მოჯახს უერთდება თემათ, თემები ხალხად ამითიც არა თავდებანეს ერთობა, ბროშურის აზრისამებრ; ხალხებიც თან და თან ერთმანეთს უკავშირდებიან, ერთი ხალხის მეორესთან კავშირი დროებითე კი არ არის, როგორცა ჰგონებს ავტორი სჯისა, არამედ ისეთივე მკვადრიან, როგორც თვეთ კეთილდღეობის სურვილი კაცობრიობება. რამდენათაც ხალხები გარკვევით დაინახავენ თავის ნამდვილს და ჰეშმარითს სეჭირთებასა, იმდენათ

თანდათან უფროს და უფროს გაძლიერდება იმათი შორის მადლიანი ჯგუფების გამოცემა და განათქვამი გვარათებს დატრანციაში, კლესპანიაში და სხვა ტალიანო ტრიალებს ცხრილს სამთა ხალხთან შეკავშირების, შეეცადოს სახელმწიფოსადგომი აიწმინდოს გვეუბნება მრთელი ისტორია კაცობრიობისა და მენტრი ლაპარაკი სუჭიროა მღვდლის გვონებთ ეს ადვილი მგასაგებდნითა და ავტორი ვინ კავშირს მარტო კავთეფიულის ხალხში ჰპოვებს და იმ აზრისა, რომ ორ ხალხებს შუა კავშირი თუ არის, დროებითია. ეს აზრი იმ უსაფუძვლო აზრისაგან წარმომდგარა, რომ ადამიანის უმაღლესს კავშირათ ავტორს ერთტომობა, ერთისგანით მოლაპარაკე ხალხი ჰგონია. მართალია ისტორიაში დროებითი, როგორც ავტორი უწოდებს, «მეხანიკური» კავშირი ბევრი ყოფილა, მაგრამ ამას ხო კავშირი ძალიან ჰქვია. ჩვენ იმ კავშირს ვაზნობთ, რომელსაც ახალი ისტორია გვაჩვენებს და რომელიც ჩვენ თვალწინ თანდათან ძლიერდება ხალხებს შუა ჩვენ თვალწინ სახელმწიფოები ერთმანერთს ეკვრიან სხვა

და სხვა ტრაქტატებით და კონვენციებით, რადგანაცა ხედვენ, რომ ერთი და იგივე მიზან-აზრით აქვთ თუ ეპრობაში, თუ მისვლა-მოსვლაში, თუ ფოჩტაში და დამოფნაში, თუ სამეცნიერო საგნებში, სწავლაში და ხელოვნებაში მუდამ წელსა ვხედავთ ამ ერთობის გახშირებასა. რას გვიჩვენებენ ესენი, თუ არ წინამორბედს საქმესა ხალხების ერთმანეთთან ნამდვილ დაკავშირებისასა. ამას შემდეგ უკითხავთ: შეიძლება რომ კაცმა ერთს ხალხს ცალკეთ შეერთებულს უმაღლესი კავშირი უწოდოს? მაშასადამე უმაღლესი ერთობა ხალხების ერთმანეთთან კავშირი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთობისაგან კი არა, არამედ საზოგადო უცხოვრების ინტერესისაგან.

რასაკვირველია ესევე ინტერესი ხალხებისა მოითხოვს ერთმანეთის ენების ცოდნასა. ეს ლაზე ვხედავთ, ევროპის მსწავლეულებში, საკმაოდ ნასწავლს არ ეძახიან იმ კაცსა, რომელმაც თავის საკუთარ ენას გარდა, სხვა ენა არ იცის, მაგალ. ფრანკუზმა თუ ნემეცური და ინგლი-

სური არ იცის, ანუ ნემეცმა ფრანკუზული და ინგლიზური.

შემდეგ ბროშურა იმ აზრსა ხანის, რომ მცირე რიცხვიანი ხალხი ვერ შეადგენს ისტორიულ ხალხსა; ესე იგი არ ექნება სრული ღონისძიება საზოგადოების გაუმჯობესობისაო. მცირე რიცხვიან ხალხს ვერ შეუძლია თავისი ენა კაცობრობის განკთლების იარაღათ გახა-

რა არის ისტორიული ხალხი? ეს ძალიან მოგონილი აზრია: ერთი ხალხი არის ისტორიული და მეორე არაო. განა ყველა ხალხებს ერთი და იგივე საჭიროება არა აქვთ, ერთი და იგივე სურველია არა ჰქონიათ. ეს ძველებური მოგონებული სიტყვები ჯერაც დარჩენილა მეცნიერების გამოუკვლევლობისაგან. ყველა ხალხების ისტორია რომ ვიცოდეთ, რაქდენიც უცხოვრიათ, უეჭველად რასმე ვიპოვნიდით, რომ მსოფლიო ისტორიას შეეხებოდეს. მაგალითად

მსოფლიო ისტორიაში რუსეთს, ვენგრიას, პოლ-
 შას საჩენო ადგილი უჭირავთ, რადგანაც ამ
 სამმა ხალხმა შეაყენა ოსმალები და მონგოლე-
 ბი, რომელნიც კინალამ მოედვნენ მრთელს
 ევროპასა. ამ გვარივე დანიშნულება აღასრუ-
 ლა საქართველომ, რომელსაც დაეცნენ მონ-
 გოლები, რომელშიაც ექვსჯერ გაიარა ლანგ-
 თემურმა იმასთან მეზობლ ხალხში, და რომე-
 ლიც რამდენიმე საუკუნე ეზობოდნ ოსმალებსა.
 რუსეთმა, ვენგრიამ, პოლშამ და საქართველომ
 ამითი დასდევს ევროპის განათლებისათვის დი-
 დი ღვაწლი, და რასა ვხედავთ? საქართველოსა
 მსოფლიო ისტორიაში ძალიან იშვიათად იხსენ-
 ნიებენ. ყოველ პატარა ხალხზედ ესევე შეგვი-
 ძლია უთქვათ. ვინ იცის ხალხების ადგილის
 ცვლში და გადასახლებაში, ომებში და მშვიდ-
 დობიანობაში, სხვა და სხვა ხალხებთან ერთო-
 ბაში რამდენი ღვაწლი დაეღვასთ ევროპრი-
 ობისათვის? ვინ გვიამბობს, რომისოსიძეელისა
 გამო გარდმონაცემისა და მიიწინილა იმითი
 ცხოვრებისა? ეს ყველაფერი მასტორიული ხალხ-

ხელის გამოუტყვევებელი სიტყვებია. ზოგნი ერთს რომელსაჲმე ხალხს ისტორიულად ეძახიან, ზოგნი კი არა, აი მაგალითად ამოსკოვის უწყებებია (№ 206, 1872.) რუსეთს ამბობენ, რომ რაც კი რუსებს იგონებდით, მხრით უმუშავენიათ, სულ რომ გაქრესო, ისტორიული კაცობრიობა ბუნთაჲს ცხოვრებამონაკლულევანებას არცკი იგრძნობსო, ამოდიოდა ამანზრს დაეთანხმეთ! მეორე შემთხვევა საქართველოს პროგორცზე მოთუ ვთქვით ისტორიულ ქვეყნათ: არ ნიხენი ებენ, უფ. ლომანსკი კი, რომლისაც კორი მზრი მოყვანილია ბროშურაში, თავის ლექციებში (სლონოვენ ხალხების ლიტერატურის ისტორიაში) საქართველოსა და სომხეთს ისტორიულ ქვეყნებს უწოდებს, მოდიო, და თქვენ გაარჩიეთ ერთი პუბლიცისტი რუსეთს ისტორიულ ქვეყნად არ აღიარებს, მეორე პროფესორი საქართველოსა და სომხეთს ისტორიულ ქვეყნებათა სივლის.

მაგრამ ავტორი უმატებს ამ ორ სიტყვას: ხსნასა, რომელიც შემოთ მოვიყვანეთ; ესე იგი მცირე

რიცხვიან ხალხს არა აქვს სრული ღონისძიება საზოგადოების გაუმჯობესობისათ. განა არის იმისთანა ხალხი, თუნდა რიცხვ-მრავალი, რომ სხვის ხალხის გონებითი ანუ ნივთიერი ნაწარმოებები არ ეჭირებოდეს? განა შეუძლია ნემეცის ხალხს უფრანკუზებოთ თავისი ცხოვრების წინ წაყვანა, გაუმჯობესობა? ყოველი ხალხი, რომელიც თავის მიჯნებში ჩაჯდა და ჩაიკეტა კარი, დაემსგავსება ჩინეთის უძრავ ხალხსა. თვით ჩინეთის ამ უკანასკნელ დროებში თავს ანებებს ძველი თავის ჩაკეტილობას, რაში მდგომარეობს ისტორიული დიდი მნიშვნელობა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობისა, თუ არა ამ ხალხების გონებითი და ნივთიერი ნაწარმოებებით ერთმანერთის გამდიდრებაში? ესევე უნდა ვთქვათ იმ აზრზე, რომ მცირე რიცხვიანის ხალხის ენა ვერ განდობა კაცობრიობის განათლების იარაღათაო. რომელი ენა შეგვიძლია დავასახელოთ, რომ ეს არის კაცობრიობის განათლების იარაღი? ყველა ენებზე შეგვიძლია ვთქვათ, და არაცა.

არც ერთი ენა არ არის დედა მიწის ზურგზე,

რომ კაცობრიობის სიბრძნე დაეტიოს. არამც თუ ჯგანათლებულესი პირნი მეცნოერებისა, არამედ შუათანათ განათლებულნი არას დროს თავის საკუთარ ენას არ კმაყოფილდებიან. ინგლისი ფრანცუზულს, ნემეცურს, და სხვა ენებსა სწავლობს. ყოველი გამჭრიახე ადამიანი არას დროს თავის საკუთარ ენას არა სჯერდება. მეორეს მხრით ყველა ენაზე (ველურ ამერიკის ენებზეა ეჭვი) შეიძლება კაცობრიობის სიბრძნე გავრცელდეს. ნუ თუ ავტორი ბროშურისა მცირე მნიშვნელობას აძლევს ქრისტეს სახარებასა? ნუ თუ სახარებას არა ჰქონდა კაცობრიული ისტორიული მნიშვნელობა? ეს საიდგან წარმოადგა, თუ არ სახარების თარგმნით და ერში გავრცელებით ყველგან, დიდსაცა და პატარა ხალხებშიაცა?

მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს ბროშურის ავტორსა. ის აზრი რომ რამდენიც გონებით მუშა ბევრია, იმდენად გონებითი გახსნა ხალხის მალლა დგასო. რასაკვირველია ეს ნამდვილ აზრია. რამდენათაც ხალხში გონებითი ძალა მე-

ტია, რამდენიც უნდა იქნება, მასწავლებელი, ლატერატორი მეტია, იმდენს უნდა ხალობდნენ არის, მაგრამ ამ აზრის საფუძველი ქვიშაზეა დამყარებული. ავტორს ასე ჰგონია, რომ რიცხვი ძვლებისათვის მომუშავე კაცებისა დამოკიდებულია ხალხის რიცხვზე. კილცე დავიწყებია ისტორია. რამდენი რიცხვ-მრავალი ხალხები ყოფილან და არიან, რომ წიგნიც არაა სკოლაზე და რამდენი რიცხვ-მცირე, რომ უმეორესი განათლებულია ჰქონიათ? ნუ თუ ჩვენს ყველას და ლანგთონ მურის ურდოები რუსის ანუ ქართველ ხალხზე გონებით გახსნილნი იყვნენ? ნუ თუ ძველი ჰა-წაწინა საბერძნეთის ხალხს განათლება, რიცხვზე იყო დამყარებული? ესლანდელი ხალხებს ინგლიზების, ჰგოდლანდიელების, ჰელგეილების კეთილმდგომარეობა ნუ თუ რიცხვზე არის დამოკიდებული? ავტორის აზრები იაქაც არეულ დარეულან.

ყველა ხალხის გონებითი ძალა ხალხის უბრალო რიცხვზე კი არ არის დამყარებული, ჯერ სიმდიდრის ქონებაზეა და შემდეგ განათლებაზეა.

გონებითს შრომისათვის უფალი დრო, მოკლად
უნდა; მოკლობათვის ღონისძიება ეჭირება. აწერ-
ლებს, მსწავლეულებს, მსწავლებელთა, საზოგადო
საქმის მკეთებელთა, რასაკვირველია ღონის-
ძიება უნდებოთ, რომ თაეც ირჩინონ და საზო-
გადო საქმეც გააგეთონ, განა ამისთანა კაცები
უეჭველად იმ ხალხში ჩნდებიან, რომელიც რიცხვ
მრავალია, თუ სხვა პატარა ხალხებშია ცა ჩნდე-
ბიან? ეს ყველა მცოდნე კაცმა იცის, რომ სწავ-
ლა და განათლება იმისთანა ხალხებშია, დიდებ-
შია ც და პატარებშია ც, სადაც მოქალაქობრივი
განწყობილება უკეთესია, სადაც ხალხის შემა-
დგენელ ნაწილებს შორის უფრო ადამიანური
ერთობაა და სადაც მეტს მცხოვრებელს საზო-
გადო საქმე თავის საკუთარ საქმედ მიაჩნია. ევრო-
პის ხალხების რიცხვი რომ შევადაროთ აზიის
ხალხებს, აზიე უები რიცხვ-მრავალნი გამოვლენ
საქმითუკი ყველამ უწყის, რომ ევროპიელების
უკანასკნელი რიცხვმცირე ხალხი დაწინაურე-
უბლია აზიის უმრავლესს რიცხვ-დიდს ერზე.
დიდი და მცირე რიცხვიანი ხალხები რომ სრუ-

ლებით ერთგვარ ეკონომიურს და პოლიტიკურს მდგომარეობაში იყვნენ, ერთგვარი ბუნება ერთგვარ და ერთგვარი სიმდიდრე ბუნებისა, ერთგვარი წარსული ისტორიული ცხოვრება ჰქონოდესთ, ყოველივე სათვითაოდ და ყველავსეები ერთად, მაშინაც კი საეჭვოა რომ რიცხვით გაიშინჯებოდეს გონებითი ძალა ხალხებისა. ავტორი რასაკვირველია თავის აზრს ამყარებს იმ საფუძველზე, რომ თეთრი ტომის (რასის) ხალხნი ერთისნიჭისანი არიანო, და ჩვენა ვთქვით რომ ყველა კაცს ერთი მიზან-აზრი აქვს ცხოვრებაში და ამისგამო თანდათან ერთმანეთს უახლოვდებიან, რადგანაც თანდათან წინ მიდიან გახსნიტა; მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ სანამ ისე გაიხსნებოდნენ, რომ ერთის ხალხის შედარება მეორესთან მარტო რიცხვით შეიძლებოდეს, მანამდინ იმისთანა მაგალითებსა ვნახავთ, რომ ერთის ენით მოლაპარაკე ხალხი იშლება ნაწილ-ნაწილათა, როგორც ინგლისს შორდება ირლანდია და როგორც სამი ხალხის ნაწილი მოშორებიდა თავისას და შეერთებულა კავშირით შვეიცარიაში.

აი რა რიგათა აქვს დამტკიცებული და მოგ-
 ყვანილი სჯა პატარა ხალხების ენების გაუქმე-
 ბაზე! საიდვან წარმომდგარა ესეთი სჯა და კან-
 რები? იმ თვარიდვან, რომელიც ნაბოლევონ
 პიოველის შემდეგ აღმოჩნდა: ამასა ჰქვიან სახელ-
 მწითოვის ერთ-დონობა, თან ტოლოზა (парховъ-
 еіе). ამთეორიის ძალით ევროპაში უნდოდათ, რომ
 ყველა სახელმწიფო თავის მიჯნებში დარჩეს და
 არც წინ წაადგმევინონ თეხა და არც უკან.
 სწორეთ ამ გვარათ ჰუიქრობს ბროშურის
 ავტორი მსოფლიოს კაცობრიობის დაყოფასა
 და ჩამოთვლილი აქვს, რა და რა ხალხებმა
 უნდა დაიყონ მრთელი დედამიწის ზურგი! უკუ-
 ქველად ეს აზრები აღ რა ნაირად წარმოესდგე-
 ბოდა: მსოფლიო კაცობრიობა წარმატებაში
 ნელნელა შედის, და ბიჯს წინა სდგამს მძიმეთ; ამას-
 თანავე ვხედავთ, რომ ძლიერი ხალხები მიჯ-
 ნებს თან და თან განზე იწევენ. ბოლოც ერთი
 ძლიერი სახელმწიფო მეორეს უნდა დახედეს.
 რაკი ამ გვარად ძლიერი სახელმწიფოები შენ-
 ვდებიან ერთმანეთს, დარწმუნდებიან რომ კარა

მიჯნის გაგანძიება და ესლა შინაგანი საქმეები უნდა მართონ, ესე იგი, როგორც ავტორი ამბობს, თავიანთი ძალა ბუნების შემუშავებას და თავის გამდიდრებას უნდა მოახმარონ. სჯამი და ლაპარაკში, თითქოს, ეს აზრი ჭკუასთან ახლოს იყოს; მაგრამ ფრიად შესანიშნავი მაგალითები რომ ყოფილა ისტორიაში, ესეც არ უნდა დავივიწყოთ. არას დროს ერთს სახელმწიფოს თავისთვის არ დაუდვია მიჯნა. თუნდა სხვას ვანესაზღვროს, თვითოეული სასარგებლოთა ჰხედავს რომლისაზე მხრით, რომ საჭიროა კიდევ სხვა ადგილიც დაიჭიროს. მეორეთაც, ევროპის ხალხებმა გვიჩვენეს, რომ ტყვიასავით ყალიბში ჩამოსხმა ხალხებისა ისტორიულ გახსნას ეწინააღმდეგება. აი ამისგამო ეს თეორია რამდენჯერ იქმნა დარღვეული 1815 წლიდან ვიდრე ჩვენამდე.

დავასრულოთ ეს ლაპარაკი და შეუდგეთ თვითენის არსებასა. რა არის ენა კაცისა, ხალხისა? ენა არის ნიუთონი იარაღი ჩვენის აზრისა, ჩვენის მსჯელობისა. სახელოვანი და გამოჩენილი ფილოსო-

ლოგოსტომოფილური ამბობს: ცნება არის ყურად
 სმენით შესმენილი გამოთქმა იმისთანა საქმინ-
 ნობისა, რომელიც ნივთიერათა ვერებზე ერთმა-
 ნერთსა და დამოკიდებულსა ჰყოფს ტყინისა და
 სიტყვისა იარაღსა შენობასა თანაერთის ნერვები-
 თა; უძლეობითა ეს მუსკულებითა და სხვათა ამ
 გვარად ენა არის გამოთქმა ჩვენის ტყინისა იდე-
 ენის მუშაობისა. როგორც მზეს ნათელიობა
 დივსდისა — ამგვარავე ენას ყურთან სასმენი ქმა
 გამოსდის როგორც მზის სინათლისა დვისე-
 მბა წარმოსდგება ნივთიერისა (მატერიალურის)
 მიწისისაგან, იგვრებენ აქაც სმისი თვისებათ.
 ამისთვის ენას ყურებთ ისე, თითქოს რაღაცა
 ნივთიერისა მსება ხუთს, თუმცა არც ხელით შეხე-
 ბა შეგვიძლია, არც თვალთ შედვა მხალოდ
 ნ. მარტო ითითქმის სურვილი მივძლებთ, ამისაგამო,
 როგორც სოფელი კარლანოს მოქმედება, კაცის
 ცაგებულებისა (მუსკულებისა, ტყინისა, კუჭისა)
 დეითოეულის ორგანოს თვისებაზეა დამოკიდე-
 ბული. გრებთვე დეითოეული ენა დამოკიდებუ-
 ილია ლაშარაკის ძარღვების თვისებაზე. შლეი-

ხერცე განაგრძობს, «თუ ადამიანის სიტყვაა, ენა
 მდგომარეობს, ჩვენისა და ენის კარლანოკ გენ
 სწორულს, შენობაში, დედა ენას გარდა, ერთს
 ან უკრამდენისა მე ენის შემთავისებუ როგორ შეიქ-
 ლებთა, მკითხვენი, მე შემიძლიან მოკლეთ ცოც-
 ჰასუნობს, რომ ათხი თავე შეიძლება სიარული და
 ერთის ხელითაც, მაგრამ არავეს ექვათ არ მოუყა,
 რომ ჩვენი ნამდვილი სიარული ჩვენსავებუ
 სლებაზეა დამოკიდებული. ყველაზე პირველათ
 ესეკითხვა იბადება: უცხო ენა როდისმე ეთვი-
 (სება კაცსა სრულიად და შემთავრებით მე რომ
 მიიხრან, აი იმესა და ეს ცაცი ერთგვარათ
 ეკარგათ დასწერს და ლაპარაკობს მნემეცურად,
 ფრანცუზულათ და ინგლიზურათ, ამისთანა ფაქ-
 ეტის არსებობაზე აუარს ფიტყრო.»
 ამ ცოცხალდეს სიტყვებში უმდენი აზრია, რომ
 კარგად იცნობს აზრსა მოუწდება და თქმის მრთელი
 ევროპის და წახევარ აზრის ხალხები, რომ ცოცხალ
 შემეცნიერებით გამოეკლებულია, ყველანი ისულ
 წიბველათ ერთის ხალხისაგან წარმოებულან და
 მოფენილან სხვა და სხვა მდგომარეობაში, ახიამი

და ევროპაში. ანტიკის დაგვარათ შესცვ-
ლიათ ზიზის სახის და ტანის მოყვანილობა,
ფერის კანისა და თმისა და ინტონაციის ენა-
ბუნებას დიდი მჯერდენა ჰქონდა, აქეს კაცობა
და შექნება. ამ ბუნების დაგვარათ იცვლე-
ბა კაცის აგებულება. მაგალითად მთის ვაცმა
სხვა სიარული იცა ინტონირებ შარისამ, — მხე-
რა-მოხერა, ფეხის გადაღმა, სირბილი, ჯღრმა
სული სხვა და სხვა აქეთ. ენაც სწორად ამ გვა-
რათ ე იცვლება. პირველი ზღმზღვლო კაცობა
ის ბუნებაა, რასაც თავის გარშემო ჰხედავს. პირ-
ველი ამისი აზრებთ ამ ბუნების მოვლინების
ქვეშევრდომობაში იბადება, იზრდება და იხსნე-
ბა. წამ და უწყობი დაყვარება გარეშე მყოფ
ბუნებისა ჰბადებს შედარებასა მანებინასა, და
იმათისთვისებისას, მოქმედებისას. ამ გვარად არ-

*) დაკვირვებას აქვს მთელს ნიჭი თანვის ნიჭში იტა-
ლის წამბოქაშიაობის მგაღობი, რომლისაგანაც კელა-
ში ნემყტ მთხედებს შეეძენს თანებაში-თმა და ფეა-
ლქის მგაშეკებისათ.

სდება წყაფშით კაცის გონებასა და ბუნებას. შო-
რას და ეს კაწშირთ წარმოშობს ხალხის თეი-
თოცულ გონების ჭანგსა, მოსაზრების წყობასა,
შეზავებას (რომელსაც რუსები უწოდებენ *смирна*).
ეს ჭანგი თვით ცნის ხმსაც ეთესება, და ენაზე
ინეთი 'მეტრს' მეტი გავლენა აქვს, რომ აღზრინ-
დელ მოძმე ენას სრულებით ვერ დაამგზავს.
კაცი აბა ერთი მითხარით რა ერთობა აქვთ
ამ ორ სიტყვას? რუსულს «ხოროში» და ქართულს
კარგი. თავად ეს ორი სიტყვა უთუთო ერთნი
უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ ქართველი ხალხი,
რადგან მთრან აღდილას დასახლებულა, ისე
ასობათ შეუცვლია, რომ მთაშია ცნა კაცს გაა-
გონოს, რადგანაც კდა გ უფრო ძრიელი ხმია
ნთა, ვიდრე ხ და შ — ეს რა? სიტყვა ვარგისი ცუ-
ლება კიდევ, და ხშირად ხალხში გავიგონებთ
კარქი. — ასო ხ მთებში ისე ხმარობენ, — თითქო
ორი ასო იყოსო ქ. ძველ წიგნებში გხედავთ
სიტყვას «ხოროხა» ეხლა ეხმარობთ ძირხა? ხ-
იცვლება d-ად, ა კიდევ ჯ (აბჯან და — აბჯან-
და), d იცვლება ჯ-ად (დაბუნია, ჯაბანი) —

ასე, რომ რუსულ სიტყვას «დერკი» ქართველი კაცი იძახის «დარჯი», თითქოს უნდა თქვას «დაიქი». აი რა დიდი გველენა აქვს ბუნებასა ყველა კაცი, რაც უნდა მოლაპარაკე მოიყვანოს მთაში, ის ბოლოს ისე გადააკეთებს თავის სიტყვის ხმასა, რომ პირველისას აღარ ემსგავსება. ჩვენს მოაზრეს ეს ბუნების გველენა სრულებით დაფიწყებია, რომ ერთის ენით მოლაპარაკე მალე დაიწყობდა სხვა და სხვა ენის შედგენასა.

მეორე გარემოება ის დაფიწყებია, რომ სხვა და სხვა ხალხისაგან რომლისამე ენის მიღებისათანავე, ენა მალე გადასხვაფერდება. მაქს შულოფრის სიტყვით, ეხლანდელი ფრანკუზული, ესპანიური და იტალიანური ენების განსხვავება წარმოსდგა მარტო ლათინურისაგან კი არა, არამედ სხვა და სხვა ლათინის ხალხების ყველა ენებისაგან და პროვინციის ხალხების ენებისაგან. ლათინური ენის ქვედა ენები მიიღეს, მაგალითად ფრანციაში, და შესდგა ფრანკუზული ენა ამ გვარათვე იტალიაში.

მთავრად ამბობენ არ გათავებულა. იტალიაში ხალხი
 სინამარტო წმინდა იტალიანურის ენით არა ლა-
 ზანაკობს. არამედ სხვა და სხვა ნაწილებში გა-
 დასხვავებებით. მაგალითად ქლაქ ნეაპოლის
 ლაპარაკმა წმინდა იტალიანური ლაპარაკი არ
 იცის და თითქმის არ ესმის. ვენეციელი კიდევ
 სხვა კილოთი ლაპარაკობს ფლორენციელზე;
 ტრანციაში პროვანსის ენა გადასხვავებულია;
 ფრანკო-სულდი, იტალიის და ფრანციის მიჯნა-
 ზე ორივე ენები თითქოს შერეულა და ორსა-
 ვე შორდება. ბუნება ესე მძლეველად იჩენს
 ხაფის კანონის ძალს, რომ ყოველივე თან და
 თან იმისი ნაწარმოები განსხვავდება.

ეს განსხვავების აღმოჩენა, დიფერენტივობა
 სწაინს მრთელს ბუნებაში; ამავე კანონსა ვხე-
 დავთ კაცობრიობის ნაშუშეფარში, სადაც ყო-
 ველივე იმისი მოქმედება იყოფება, სხვავდება,
 დიფერენტივობს. დავაკვირდეთ ამ კანონსა.
 მრთელის მსოფლიო, რომელსაც შეადგენენ
 წერილი და ღრდი ხეციური მნათობები, ვარ-
 სკვლავებზე და მხეები, პირველში ყოფილან

არცულ ომბრეარ მსგავს მასსად; მასუკან თერთო
 მნათობის, თერთო მზის წყობად, სისტემად დაყოფი-
 ლა. მზის წყობა ამგვარადვე დაყოფილა უმთავ-
 რეს მზედ და პლანეტებად; ამ პლანეტებში ზევზე
 დედამიწაც ასე განსხვავებულა. დედამიწაზე შედუ-
 ლების, შემტკიცების შემდეგ, აღმზარენილა მცენა-
 რეობა და სულდგმულობა; თერთოეული ამათგანნი
 პირველში ერთმსგავსი ყოფილა და მერე თან და
 თან განსხვავებულა, ეხლაც სხვადება შეუყენებ-
 ლად, და ეხდავთ სიმრავლეს სხვა და სხვა შცე-
 ნარისას და სულდგმულისასა. გადავიდეთ ადამი-
 მიანზე, კაცობრიობა დაყოფილია რამდენსამე
 რასსებადა, ესენი იყოფებიან ტომებად, ტომები
 ქიედა ტომებად, ბოლოს (გეოგრაფიულის მნი-
 შენებლობით) თემებად. ზვილოთ კაცობრიობის
 საზოგადოებოთი მოვლინებას მაგალითად მმარ-
 თებლობითი უფლება უფლება ჯერ შერეუ-
 ლია; მერე იყოფება: კანონმდებელ, სამსაჯულო
 და აღმასრულებელ უფლებად. დაეხედოთ ხალ-
 ხის ცხოვრების სახსარს: პირველათ შერეულია,
 ერთი და იგივე კაცი ველურ მდგომარეობაში,

პურის მომყვანიც არის, მკერვალიც არის, ფეიქარიც არის და ვაჭარიცა. მერე იყოფება ხალხის მუშაობა სათვითაოდ, და ჩნდება მიწისმოქმედი, ფაბრიკანტი ანუ ხელოსანი და ვაჭარი. შინა ოჯახში მოსამსახურობა რა არის? იქაც ეხედავთ განყოფასა. პირველ მდგომარეობაში მსახური მზარეულიც არის, მაინძელიც (ლაქიაც) ყმაწვილების მამვლელიც; მერე კი ეს შერეული საქმე სათვითაოდ იყოფება.

აი რა კანონი ყოფილა ბუნებაში და კაცის ცხოვრებაში, ნუ თუ მარტო ენისათვის, სხვა კანონები უნდა იყოს? ამას არ გვეუბნება წასული ისტორია ენებისა. სულ პირველში, როცა გორცა ესთქვით, ნახევარ აზრის და თითქმის მთელი ევროპის ხალხების, (ინდოევროპიელების) წინაპართა ერთის ენით ულაპარაკნიათ; შემდეგ თან და თან ეს ენა შეცვლილა და გაცალ-ცალკეებულა. აი კიდევ; დიდი ნაწილი შეერთებული შტატების ხალხისა გადასახლებულა ინგლისიდან ამერიკაში და ლაპარაკობს ინგლისურის ენით. ერთი გამოჩენილი ნატურალისტის ლაიელლის

აზრით გადასახლებულ ხალხის ენას შეუძლია გაძლება, თუ დედა-ქვეყნიდან მოსახლეები უწყვეტელად შემოვლენ ხალხში ამ ხალხში. მაგრამ ამასთანავე ეხედება, რომ თუმცა შეერთებულ შტატებში ახალი მოსახლეები შედიან, მაინც და მაინც ფილოლოგოსები კარგა გარყვევით ამცნევენ რომ ინგლისური ენა ამერიკაში თან და თან იცვლება და შორდება დედა ენას, ამგვარსავე და უფრო ძლიერს მოვლენასა ეხედავით მაგალითად ჩვენს გადმოსახლებულ ნემეცებში და რუსებში. ნემეცები (მეტადრე სოფლებში) ითვისებენ ქართულ ენას საქართველოში და იციან ადვილად ლაპარაკი მეორეს და მესამე თაობაში მრთელის სოფლობით; ნემეცები და რუსის დუხობორები კოსმალის მიჯნებზე ითვისებენ ამგვარათივე სომხურს ანუ თათრულს; სომხები საქართველოში ქართულს.

მაშასადამე ამ გვარად ენაც ზემოხსენებულ განსხვავების კანონს ექვემდებარება, ესე იგი ექვემდებარება ბუნებას, რომელიც მას გარს არტყია, და რომელიც ზრდის იმის აზრსა, აზ-

ზის წყობასა და ხმის თვისებას. ამისა გამო, ზოგორც კარლო ფოგტი ამბობს, მსულოელობა იქნებოდა ერთი ენა შრთელის კაცობრიობისათვისაო. ეს ენა არაფერს მოახოენილებას არ ზთანხმებოდაო და მალე შეცვლით იმგეაოათვე დაიყოფებოდა, ზოგორც ინდოეეოოპიელები ჰირველი ენა, ესე იგი დაიყოფებოდა დამოუკუნდებელ ენებათ, რომელნიც მხოლოდ თმეისის საძირკელით გვაჩვენებდნენ ერთობას შთან მომავლობისასა.»

რასაკვირველია, თვით ბროშურის ავტორი წინააღმდეგია იმ აზრისა, რომ საყოველთაო ენა შესდგეს როდისმე. მაგრამ თუ ვი კაცობრიობის გონების და ნიეთიერის განდიდრებაზე ამყარებს რამდენისამე ენების აღორძინებვასა და გაძლიერებასა, რატო არ შეიძლება, რომ ისიც კი ვიფიქროთ, რომ ბოლოესობინიც შეეერთდებიან, რომ ყოველივე სიბრძნე კაცისა ერთენაში დაიტვიოს და ადვილი იარაღი გახდეს ეს ენა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. უკვე ეს არის, რომ ანტარს თავისი სჯა მარ-

ტო სჯაზე და მოფიქრებაზე დაუმყარებია და არა ბუნების კანონზე.

რა საშინელი მდგომარეობა უნდა წარმოდგარდეთ კაცობრიობისათვის, რომ მართლახალხებს თავისი ენები დაეგდოთ, ზემოხსენებული გჰმოჩინილი ინატურალისტი ფოგტი ამბობს, შვეიცარიის ერთ ნაწილში, «ვატლანდის კანტონის მცხოვრებლები (ნემეცები) ფრანკუზულათ ლაპარაკობენ, ფრანკუზულათა სწავლობენ,—ერთის სიტყვით ფრანკუზობა უნდათ; მაგრამ, ამისდა წინააღმდეგ, საგანი ნემეცურად ესმისთ, ნემეცურად წყობა აქვსთ გონებისა და აზრებისა, და ამისაგამო ისინი არას დროს არათერს არ აწარმოებენ თვითმყოფობითს, თვითარსებობითს, რადგანსც, ხმათი ენა არ ეთანხმება იმათს—სულიერსა მზათს მხინფობას.»

რადღა უნდა იყოს იმ ხალხის მდგომარეობა, რომელიც უახე დაეცემა, რომ თავისი გონებითის სიმდიდრის გარდმოცემა აღარ შეეძლოს იმეორთად ერთის იპრალით, რომელსაც ენა ჰქონან, მაშასადამე ამგვარი ხალხი გონებითს

ასპარეზზე ისეთი მუშაკი კი აღარ იქნებოდა, ბროშურის ავტორის აზრისამებრ, როგორც განმანათლებელი ენის ხალხები არიან; არამედ იქნებოდა თვით უქნელი უნაყოფო, მოუქმედებელი და სხვის იმედით მცხოვრებელი, სხვის მომლოდინე, და მამასადამე პარაზიტი და არა მოქმედი გონებითს და ნივთიერს წარმატებაში. მაგრამ აქაც უკვდავი კანონი ბუნებისა მუშაობს, და ვხედავთ, რომ ერთხელ დაჩაგრული ენები სლოვენებისა გვდარჩენენ ნემეცურის ძლიერებასა, ბერძნული — ოსმალურსა, ქართული — სპარსულს, არაბულს და ოსმალურს სომხური — ოსმალურს და სპარსულს — არაბულს და თათრულს.

რა სათუქვეელი უპოვნინ ბროშურის ავტორს სწავლა-მეცნიერებაში თავისის აზრის დასვენებასათვის. თვით ბროშურაში კი არ აღარის მოხსენებულნი, მაგრამ ეგონებთ ავტორი დამყარებია დარვინის ერთს აზრს, მოყვანილს იქაცის წარმოებაში, რომ ეგავრცელებულნი იქნებიან შობის ბუნებრივ და სხვა ენებს მკვლევრს.

ერთ გავრცელებულ ენად (ინგლისური) ენა აღიარებულია მაგრამ ეს ენა ინდოეთში იქაურ ენებს არა ჰკლავს. (ინდოეთის ენები უტყველად ამისათვის ბროშურის ავტორს შოშაეალში ძლიერ ენებად უღიარებია, (თუმცა ენა ამავს ძლიერს არაფერ უწოდებს.) საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დარწმუნებს ეს აზრი საზოგადოდ აქვს მოყვანილი. ამისათვის ეს სიკვდილი ენა შივეწერათ ველურ ამერიკელების ენებს, რომელთაგან ზოგს მრთელი თავისი სიტყვები ორმოციოდზე და ასიოდზე შეტის რიცხვისა არ არის, და ამასთანავე ენის გაძლიერება შეერთებულია საზოგადოდ თეთრის ტომის ხალხს გაძლიერებაზე ამერიკის და ავსტრალიის ველურ ხალხებში. ძალიან სამწუხარია რომ ასე შეუტყობელი დარჩენილია ბროშურაში ეს აზრი და მიზეზი ყოფილად არეც დარწმუნისა.

დაახ და ძნელი საქმეა აზრებს გამოუტყველობა და არეც-დარეცა აზრების ანაზრხია. თუთ ავტორი გვეთანხმება იმაში. ავტორი დაწესს რომ ვანტარა ხალხების ენის საქმე არეულობა

სხვა დასხვა საქმეებთან და იმიტომ გულგრილად და მხეჯითად ვერ გამოკვლეულაო საქმეების არე-დარევის, ანარხიის მიზეზს. ჰპოვნეს აზრების ანირხიაში, და დასამტკიცებელად მოჰყავს ორი აზრი, ერთი რენანისა, რომელიც ერთს შემთხვევაში ძმობასა ჰქადაგებს და მეორეს შემთხვევაში თეთრ ტომის ხალხს ბატონობას აღილევს შავსა და ყვითელ კანთან ტომებზე; მეორე ის აზრი ნემეცებისა, რომ ნემეცები უნდა ბატონობდნენ სლოვენის და ლათონის ხალხებზე. სწორედ სამწუხაროა ამისთანა არე-დარევა აზრებისა და მოქმედებისა. მაგრამ ესც უნდა ესთქვათ, რომ აზრი და მოქმედება კაცისა მუდამ შეერთებულია ერთმანეთთან. აზრების გაწმენდა დიალ პატიოსანი საქმეა, გამოკვლევა საგნისა დიდ სასარგებლოა; მაგრამ ყოველივე მოქმედებაზეა დამყარებული პირველად მოქმედების სწმინდე აიყვანს კაცსა მესწერების სიწმინდესა და აზრებს დასწმენდას და მერე დაემყარება ხელახლად ცხოვრების თანამემწეობისათვის. ბედნიერი არიან ისინი ვინც ვსახეობებიან გაწ-

წმენდასა და ცხოვრების განათლებასა. ჩვენი ლოცვა—კურთხევა იმათ, რომელნიც|თავის შრომას დასდებენ აზრების გაწმენდისათვის! სამწუხარო ეს არის, რომ აზრების გაწმენდას ბევრი მუშაკი არა ჰყავს. პირიქით ხშირად რაც ევროპის ცხოვრებას და სწავლა—განათლებას მოუტანია ხალხებისათვის, იმ გამოცდილებას და ცოდნასაც ურევვენ და ჰხლართვენ. ეს რევა და დახლართვა ხალხის ცხოვრების მუშაკთა მიუხევედრობაზეა დამოკიდებული, რომელთაც ვერ გაურჩევიათ: დღეს რა გვეჭირება და ხვალ რა? რას საგანსაც მიაწყდებიან ისა ჰგონიათ ცხოვრების საჭიროება და არა ისა, რასაც თანამედროულე ცხოვრება ეუბნება თავისის მომდინარეობითა და ხალხის საჭიროების მიმართულებითა.

მაგრამ დავეშორდით ბროშურის გარჩევასა. ჩვენ მაგდენს არაფერს აღარ ვიტყვით იმ ნაწილზე, რომელშიაც ავტორი ლაპარაკობს: რა ადგილი უნდა ეჭიროს სახელმწიფოს წყობაში პატარა ხალხების ენებს, სანამ სრულებით გაუქმდე

ზიანო? ავტორის აზრით ადგილობრივ ენებს რაც ალაგი უჭირავთ, იქაც კი არ უნდა მიეცეს არა მარტობითი, არამედ სახელმწიფო ენასთან პარალელელათ უფლება; სახელმწიფო ენა ადგილობრივს ენებთან უნდა იყოსო თანასწორად ყველგან, უკანასკნელ სახალხო სოფლის შკოლაშიაც. ადგილობრივ ენებს იმიტომ უნდა დაეთმოს ადგილიო, რომ ბუნებითი ენა შეიქნას ძლიერის ენას მიღების ადვილ იარაღათაო. ეს აზრი ეკუთვნის ერთს მსწავლულს, უფალს უ — რს. ფილოლოგიისათვის მშრომელს, რომელსაც სრულებით ეთანხმება ჩვენი ავტორი. *) ბოლოს ამბობს,

*) უფაღმა უ — რმა შეადგინა კავკასიის ენების ანბანები, რომელთაც ანბანი შესდგება რუსულისა, რაშიოდ ქართულისა (წ, ჭ) და რაშიოდ ლათინურისაგან (ი, ე). ეს იქნებაათი-თარმეტი წელიწადი იმას სურს, რომ მძაწთებლობამ მთიულთა შკოლებში გავრცელდეს ეს ანბანი. სურვილი იქნება კარგი იყოს, მაგრამ იმისთვის კი არ მიუხერია ეურადღება, რომ ყველა მამადიან საფსებში მიღებულნი აქვთ აწაბული ანბანი და ყველგან, საცა ძველადგანვე საკეთარი ჭქონიათ, მაგალხვარსეთში, იქაც კი გადავარდნილა და შესულა აწაბული; მეორედ, მთებში ესლავე აწაბული წყარა-კითხვა გავრცელებულია საფსში და შესამედ, ამასთახ თანატოგურათ შესედვენ რუსულ — ქართულ-ლათინურ ანბანს. რადგან ქრისტიანებისა. ახა რა პრაქტიკული აწაბი!

რომ ამ აზრის ასრულება სხვა და სხვა ვეარ მოხმარებას ითხოვსო, რომელიც წმინდათ სახელმწიფოს პალიტიკურს ვითარებაზეა დამოკიდებულიო. ყოველს დათმობაში ადგილობრივი ენების სასარგებლოდ ერთი ხელმძღვანელი აზრი ის უნდა იყოსო, რომ რაც დაუთმონ ადგილობრივს ენებს, იმდენად უნდა დაუთმონო, რამდენათაც მცხოვრებლების ნ ა მ დ ვ ი ლ ი გონებითი და ზნეობითი საჭიროება მოითხოვს და არა მეტი. ეს დათმობა იმ ზომისა უნდა, რომ სახელმწიფოს ენება და განხრწნა არ მიეცესო.

აი ამ სიტყვებით თავდება ბროშურა. უკანასკნელი აზრები ისე არეულ-დარეული აზრებია, რომ გაწმენდა ეჭირება. მმართველობას ყველა ქვეყანაში ბევრი ორგანოები აქვს, რომლითაც თავიდგან იშორებს სახელმწიფოს ენებასა და განხრწნასა: მოქმედებისთვის სამსჯავროა და ლიტერატურისთვის ცენზურა, და ორივესთვის სასჯელი. ეს სიფრთხილე სახელმწიფოს დაცვისა ყველა სახელმწიფოებშია და მაშასადამე ენაზე ამ მხრით ლაპარაკს საჭიროება არ მოით-

ხოვს. მაგრამ რა ზომით და წონით უნდა განისაზღვროს ენის მდგომარეობა? ავტორი ამბობს იმ ზომით, რამდენათაც ენება არ მოაქვს სახელმწიფოსათვის და რამდენათაც მოითხოვს ადგილობრივი ხალხის გონებითი და ზნეობითი ნამდვილი საჭიროებაო. მაინც და მაინც ეს საჭიროება რით უნდა გაიზომოს, რა უნდა იყოს საზომი? მაგალითად: მმართველობა ადგილობრივ ენების სწავლებას საჭიროთა ჰხედავს; ვაზეთი «მოსკოვის უწყებები» ამ აზრის წინააღმდეგია და გამოსთქვა, რომ მმართველობა სახელმწიფო სასწავლებლებში ადგილობრივ ენებს არ უნდა ასწავლიდესო, «დაე, როგორც უნდოდეს, აყვავდეს ქართული, სომხური და თათრული ლიტერატურაო», მმართველობას ხელი არ უნდა ჰქონდესო. ავტორი უფალის უ—რის აზრისა არის, რომ ადგილობრივი ენები, როგორც იარაღები, მმართველობამ უნდა ხელში ჩაიგდოსო და მოიხმაროსო; როგორცა ვთქვით, «მოსკოვის უწყებები» ამ აზრის წინააღმდეგია. არის კიდევ

კერძო აზრები, რომ კავკასიის ენებზე სწავლა, წერა, სტამბა და სხვანი არ არის საჭირო... რომელი აზრი უნდა მივიღოთ ამათში? ვინ უნდა განგვისაზღვროს გამორკვევით მიჯნა ენის ხმარებისა? ნუ თუ ავტორს შეუძლია ამისი ახსნა? აი რასა ჰქვიან აზრების არევ-დარევა და ანარხია! ვისაც ენების როლის განსაზღვრა უნდა, ჯერ უნდა კარგა დაფიქრდეს აზრების ანარხიაზე, დამოკიდებულს ყოფაქცევის ანარხიაზე.

მ. ზეტრიაძე

გუილისის გახსრებასე (*).

ვის გახსრავსთ ქალაქი, ყოველით ქებული,
მას შიგ მკსოვრები, კეკლეუც — ნაზნი განშკენებულ,
აწ მიდით, ნასეთ, რაგორ აზის ახსრებული,
მისნი შკენიერ ქალ-ვაჟ-კატნი დაატყვებული!

მიკვიჩს ბატონი, თუჩას ფიქრობს მოთმინებული.

ყაი ქალაქი რა მწუნარეთ სატირალია,
რამდენის წლისა აღშენებული, ძველის ძველია!
ის რაგორ ადვილგასამეტათ დასაწველია!
რად არა გუვანდათ თავის გვარათ დაშქარ მცველია,
რამ მტრის მოსლვასედ ყოფილიყენენ ზანუხ-
მგებელი.

მიკვიჩს ბატონი, თუ რას ფიქრობს მოთმინებელი.

ნეტამც გვეოლოდინენ ჩვენ დაშქარნი, რეგულნი
ჭარნი

(*) ეს ლექსი ავთანდილ ხასტამაშვილის ქალაქ-
დებში იზოგა მისმა ასულმა და გადმოგვცა დასა-
ბეჭდათ.

ან უფილიყუნენ ღომნაჭამნი მასიანულნი.
უფროსი ერთი ამათ მოგვცეს დიდი სიანი.
სულ მათ დაცარცკეს, ან თუ მოგვცეს შ.მწეობანი.
მტერს გამოქცუნენ, ჩვენ მოგვადგუნენ დაწაწმულები.

მიგვიწს ბატონი, თუწას ფიქრობს მოთმინებელი.

ეს რა გარდაგზვდა ძნელი საქმე, ეშმაკ-ქაჯური
სახლებიც გარდასწევს სუფიქლასი მიწურ-გაჯური
ჯავრი ჩავკვება ერანისა მეტათ განჯური.
მტერი მოგვარეს ანა კაცი სოჯა საჭერი.

მიგვიწს ბატონი, თუწას ფიქრობს მოთმინებელი.

მისი ლაშქარი სანასავათ იყო ძნელია
სიმრავლისაგან სულ აღიესო მინდორ'-ველია
მრავლად გვეჩვენენ, ვით ჭაობში ლელწამლეულია,
ამ მიზეზითა ან ვიყავით მომზადებული.

მიგვიწს ბატონი, თუწას ფიქრობს მოთმინებელი.

ჩვენ წასადენლათ დმერთმან მოგვცა ურგები
გვარნი.

სულ შეაძწუნა უომროთა მათნი მნასველნი
ან ვისლა შეგვჩა სალარცავი ხატნი და ჯვარნი
ჩვენის ცოდვითა, სულ შეიქნენ ცუცსლში დაძწვარნი
რაც თვალმან ნახოს, შეიქმნება გაცვიფრებელი.

მიგვიწს ბატონი თუწას ფიქრობს მოთმინებელი.

კრებული

ფერმანგოვ, ვგონებ, ღკთით გაეხსრდეს თაჭრან-
ქირმანი

ქარტლზედ მკეკრას თავრის ხლი შაქი შირვანი.

ყენს მიუსტნეს გაუახრან რჯული იმანი

ამი აჭვიდონ, ზედ მიჭფინონ ტეტსლის წვიმანი.

დრე-ყამმა უყოს მაგიერი ფას ღირებული.

მიგვირს ბატონი, თურას ფიქრებს მართმინებული.



[Faint handwritten signature]

[Faint handwritten signature]

[Faint handwritten signature]

ამ დღის ვითარება.

— ნახშირის სუნი. — მადნეული სუნი — გი-
ყუბი მადნის ძიებით. — გიყუბი სიმდიდრის მო-
ჩვენებით. — ბანკის საქმე. — ქართველების უთვის-
ტობა. — რეინის გზა კავკასიაში. — ქალების
გაჩათლება. — ჩვენი ახალი მიმართულება. — რე-
მული გზა გვიხსნის.

— ყოველთვის მოვიფიქრებდი და ნახშირს თუ
ამდენი ფასი დაედებოდა, არ მეგონა. — მეუბნე-
ბოდა ერთი პატროსანი ღვედელი ვაგონში. — რომ
არ გაგონილა, ისეთი ტკბილი სუნი გაიცა ნახ-
შირმა ამ უკანასკნელს ხანში. ოქრო არ უძებ-
ნიათ, ასე მწარეთ, რაც ახლა ნახშირს ეძებენ.
დაუჭერიათ, ბატონო, ხელში კაფები, მისდგო-
მიან ჩვენ მთებსა და გამწარებული ჩიჩქიან მი-
წას. — რას ეძებ, რომ ჰკითხო. — ნახშირს, ბატო-
ნოვო. ერთს კაცს ჩვენში განუზრახებია თავის

ხელქვეითები ნახშირის საძებნათ: ეინცკი იყოს თქვენს გასამგებოში—დიდი და პატარა, ქალი ან ვაჟი, მკითხაფი და კუდიანი—ყველა ამ ნახშირის ძებნას დაახვეითო. ზოგი ცას შესცქეროდესო, ზოგი მიწას, ზოგი მთას თხრიდეს, ზოგი წყალში ყურყუმალებდეს და მონახონ... ისეთი მთა კი უნდა მონახონ უსათუოთ, რომ ათი «ტყიბულის». ოდენი იყოსო. რათ მინდაო? — იმათ რომ «ტყიბულის» მთა ერთ ჩვენებურს ახალგაზდას ჩაეარდნია ხელში და ასეთი მარცახები და ჩანგლები მოუტყერია ზედ, რომ ვერას ღონისძიებით ველარ გამოგლეჯენო და, რომ მარტო იმან არ ისარგებლოს, მაგიერათ ჩვენ ნახული მთით მოგების ლილახანა გაუფუჭოთო. სწორეთ საცინელია ამ მთის ისტორია. როგორც მოგეხსენებათ ეს მთა ადამის წლიდგან მოკიდებული აქამდის სულ უსარგებლოთ იდგა «ტყიბულში». აბა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს შავი მთა ჩვენ დროში ოქროთ გადიქცეოდა. იმის მეპატრონები უწინ ამბობდენ: ამ უნაყოფო შავ მთას ბარი ადგილის ერთი ქცევა მიწა მირჩვენიაო. ოცი

მანეთი რომ მიგეცა იმათთვის ამ ოცდა ათი წლის წინათ, მგონია, ტყიბულის მთა კი არა, მთელს ტყიბულის სოფელსაც მოგყიდიდენ. ბოლოს ერთმა ახალგაზდამ უთხრა მთის მეპატრონებს: თქვენ რომ ოც მანეთად აფასებთ, მე ოცი ათას თუმანს მოგცემთო და მრმეციითო. — «მასხარაო!» — უპასუხეს მეპატრონეებმა. — «ეგრე გადასაყრელათ თუ გქონია ტყულები, მოგვეცი და რადგან შავი ნახშირი ეგრე შეგყვარებია, თუ გსურს ჩვენც ნახშირით შევიმურებით, ჩვენს ქონებასაც სულ ნახშირით გავაშავებთ და ყოფაცხოვრებით წამოგყვებითო. — არაო, მე მონაობა არ მიყვარსო, ნურც ეგრე დაიმცირებთ თავს, რომ ანგარების მოყვარებამ ზანგებათ გაგხადოსთო. ჩემთვის ისიც საკმაოა, თუ მარტო ნახშირის მთას მომყიდით და მერე თქვენ გინდა ზანგებათ გახდით, გინდა ზანგების მონებათო.

— კარგი.

— კარგი,

— აბა, შევეკრათ პირობაო — უთხრეს მეპატ-

ხელქვეითები ნახშირის საძებნათ: ეინცკი იყოს თქვენს გასამგებოში—დიდი და პატარა, ქალი ან ვაჟი, მკითხავი და კუდიანი—ყველა ამ ნახშირის ძებნას დაახვეითო. ზოგი ცას შესცქეროდესო, ზოგი მიწას, ზოგი მთას თხრიდეს, ზოგი წყალში ყურყუმალეზდეს და მონახონ... ისეთი მთა კი უნდა მონახონ უსათუოთ, რომ ათი «ტყიბულის». ოდენი იყოსო. რათ მინდაო? — იმათ რომ «ტყიბულის» მთა ერთ ჩვენებურს ახალგაზდას ჩაფარდნია ხელში და ასეთი მარცახები და ჩანგლები მოუჭერია ზედ, რომ ვერას ღონისძიებით ველარ გამოგლეჯენო და, რომ მარტო იმან არ ისარგებლოს, მაგიერათ ჩვენ ნახული მთით მოგების ლილახანა გაუფუჭოთო. სწორეთ საცინელია ამ მთის ისტორია. როგორც მოგეხსენებათ ეს მთა ადამის წლიდგან მოკიდებული აქამდის სულ უსარგებლოთ იდგა «ტყიბულში». აბა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს შავი მთა ჩვენ დროში ოქროთ გადიქცეოდა. იმის მეპატრონები უწინ ამბობდენ: ამ უნაყოფო შავ მთას ბარი ადგილის ერთი ქცევა მიწა მირჩვენიაო. ოცი

მანეთი რომ მიგეცა იმათთვის ამ ოცლა ათი წლის წინათ, მგონია, ტყიბულის მთა კი არა, მთელს ტყიბულის სოფელსაც მოგყიდიდენ. ბოლოს ერთმა ახალგაზდამ უთხრა მთის მეპატრონებს: თქვენ რომ ოც მანეთად აფასებთ, მე ოცი ათას თუმანს მოგცემთო და მომეცითო. — «მასხარაო!» — უპასუხეს მეპატრონეებმა. — «ეგრე გადასაყრელათ თუ გქონია ფულები, მოგვეცი და რადგან შავი ნახშირი ეგრე შეგყვარებია, თუ გსურს ჩვენც ნახშირით შევიმურებით, ჩვენს ქონებასაც სულ ნახშირით გავაშავებთ და ყოფაცხოვრებით წამოგყევითო. — არაო, მე მონაობა არ მიყვარსო, ნურც ეგრე დაიმცირებთ თავს, რომ ანგარების მოყვარებამ ზანგებათ გაგხადოსთო. ჩემთვის ისიც საკმაოა, თუ ძარტო ნახშირის მთას მომყიდით და მერე თქვენ გინდა ზანგებათ გახდით, გინდა ზანგების მონებათო.

— კარგი.

— კარგი.

— აბა, შევეკრათ პირობაო — უთხრეს მეპატ-

რონება. — შეეკრათო, უპასუხა ახალგაზდამ. როცა ერთმანეთში მოლაპარაკება გაათავეს და ახალგაზდა მართლაც შეუდგა პატიოსნათ თავის პირობის ასრულებას, მეპატრონებმა ერთმანეთს შეეკრიჭეს. მერე შეხტენ, შემოტრიალდენ, დაიწყეს გაგიჟებით ცეკვა თავის წარმოუდგენელ სიმდიდრისათვის, მივარდენ მთას და შეაფურთხეს: — ფუ შენს «ურგებობასაო». თუ მართლა მაგდენათ, ღირდი, აქამდის რატომ არ დაიყვირე, ათასი წელიწადი «ურგებს» გეძახდით, მაგ გაფხეკილს ფერდებზე გიციქროდით, რატომ მოწყალების თვლით არ შემოგვხედე, შიმშილით ფერდები რომ გექონდა გამოფენტხილიო. შენ ოხერო, რას გვიკეთებდი აქამდისო. ამ დროს ერთი იმათგანი წამოდგა, სიბრძნის ნიშნათ გადიგრიხა ულვაშები, შედგა ცერებზე და დაიწყო: — მე თქვენ გეტყვით, რომ აქ რაღაც ოსტატობა უნდა იყოს იმ ახალგაზდა ყმაწვილის მხრითო. მე შემდეგ მრავლის ფიქრისა და მკითხავებთან სიარულისა დაერწმუნდიო და კიდევ მივხვდი იმ ყმაწვილის ოსტატობასაო. იმას საზღვარს გარეთ ერ-

თი დედაბერი უნახავს, საკვირველი მკითხავი, უკითხვინებია იმისთვის და იმ დედაბერს უთქვამს: თქვენ ქვეყანაში ერთი ნახშირის მთაა და იმ მთის გულში ძევს იმდენი ოქროს განძი, რომ მთელ ხმელეთს მოჰფენს, რომ მოაბნიოგო. ამასთანავე მთის გასაღები და დასაკლავი ლოცვაც კი უსწავლებია თურმე. ახლა ჩვენ ვასე უნდა მოვიქცეთ, როგორც მოვიდეს ჩვენთან, მაშინთვე ჩაუშალოთ ჩვენი პირობები, ვუთხრათ, შენ ჩვენი მოტყუება გინდა, მაგრამ ვერ მოგართვი—თქვა. შევიტყვეთ, რაც ეშმაკობა გქონია გულში. ახლათ-ახლავე თუ ერთი იმდენი ზედ არ წაგვიმატე, რისაც მოცემას დაგვიპირდი-თქვა, ტყუილათ მთასთან ნუ მოსუნავთქვა». ამ ნაირი ყმაწვილური მოქცევით, თურმე უჭირვებენ ტყიბულის მეპატრონები იმ ახალგაზდა კაცს საქმეს და ის კი არ იცინა იმ საწყლებმა, რომ ამით თავის თავს უფრო აზარალებენ. მთა, როგორც აქამდის მდგარა «ურგებათ», აწცა ისე იდგება, თუ ჭკუა არ იხმარეს და პირობის ასრულებაზე მალე არ დათან-

ხმდენ, ის კი არა, მე როგორც გავიგონე, მთის მეპატრონები, თუ ყმაწვილურს ოცობოდოს თავი არ დაანებეს, იმ მთასაც ცეცხლს წაუკიდებენ და თავის სახლკარიანათ შიგ გამოიწვიან. ამ ნახშირის ამბავმა სხვებიც იმდენათ გააღვიძა, რომ არც დღე და არც ღამე ჩვენებურებს მოსვენება აღარ აქვთ. ისინი ამბობენ, იქნება ჩვენც ვნახოთ ერთი მთა და ჩვენც, იმ ტყიბულის მეპატრონებსავეთ ხელგაუნძრევლათ გავმდიდრდეთო. ამისთანა ძიებამ ჩვენში მოჩვენებებიც დაბადა. ერთ კაცს ამას წინეთ იმერეთში დასიზრმებოდა: «ხვალ დილით აღრე ადექი, გამოდრ გარეთ, წინ კარზე მელის კვალს ნახავ, და ადექი მას და სადაც კვალმა მიგიყვანოს, იქ მიწა ამოჩიქნე და ნახშირს იპოვიო. მართლაც მეორე დღეს ეს კაცი წასულა, მელის კვალის მაგიერათ ძაღლის კვალი უნახავს, გაჰყოლია იმას და უნახავს ნახშირი. ეს ამბავი ჩაწვეთებია ყურში ერთ ღიდებულ კაცს, რომელსაც შეჰქნია სიხარული და დიდი მეჯლიში, შეუდგენიათ პროექტები, ოქროს მარნების საკეთებლათ,

ჯიბები მოუმზადებიათ და ბოლოს გაუგზავ-
 ნიათ მედიკებელნი ახალნაპოვნნი ნახშირის მთის
 გამოსაზომათ. მაგრამ, დახე სოფლის სიმუხთლეს!
 ნახშირის მთის მაგიერათ, დახვედრიათ სამი დამწვა-
 რი ხე მიწაში ჩაფლული. ახას შემდეგ ბევრი
 უთხრიათ გარშემო: იქნება ეს სამი დამწვარი
 ხე ნახშირის მთის კვალს მოასწავებდესო, მაგ-
 ძრამ მეტი თქვენს მტერს ნუ რა უნახავს, მე-
 იებლებმა აყალო მიწის მეტი ვერა ნახეს რა
 ამ საქმეს თურმე ის «კაცი» ძალიან შეუ-
 წუხებია, და იმის ხელქვეითებს ყურები
 ისევ ჩამოუშვიათ. ამ ქამათ საცა არ გაიხედავ,
 ყველას ნახშირის სუნი ესმის, ამასაც ამბობენ
 კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანან ლურჯათ,
 რომ ნახშირის კომლი აქვთ გარს შემომდგარი,
 რომელიც მთების გულიდგან გამოდისო და
 ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის
 მთების გული სულ ნახშირიათ. — ამისი კი
 რა მოგახსენო და ზოგიერთი ქართველების
 გული, და განსაკუთრებით იმერლებისა რომ
 ნახშირიათ — ეს კი მართალია. ამ ნახშირის

სუნმა და კომლმა ისე გაიტაცა ჩენი საზოგადოება, რომ რაც შავია, სულ ოქრო ჰგონია და ამისგამო შავ ჩირქიან ზნესაც აღარ თაკილობენ, ერთი ამ შავი ნახშირის მეძიებელი შემხვდა ამ დღეებში და მითხრა: «მეშველაო!.. ბოლოს ენახე, რატიც იქნაო. იმის გიჟურმა თვალების ბრიალმა არ მასიაშოვნა. ვოქვი, სიმდიდრის ძიებაში ტვინი გადაბრუნებია—მეთქი. მინდოდა გვერდი ამეგლო. გიჟების ნახვას საზოგადოთ ჩემზე ცუდი ზედმოქმედება აქვს, რადგან იმათმა ნიადაგ ცქერამ ზაფხრის ქარები ამიშალა. მაგრამ ამ ახალმა გიჟმა ჩამავლო კალთაში ხელი და მომძახოდა: — «გაიგე და-!.. გაიგე, რა ვიპოვე! ბაქოსკენ წაველ და ოთხი ნაეთის ჭა ვიპოვეო, თითო ამ—სამ თუმნათ ვიყიდე, სულ დამიჯდა თორმეტი თუმანიო. ეხლა იცი, რას ვაპირებ! წავალ საზღვარს გარეთ მოვიყვან კაპიტალისტებს და გავმართავ ნაეთის კამპანიასო, ჩემ საწილოდ წელიწადში უკანასკნელი ასი ათასი მანეთი შემოსავალი მექნება. ამ დროს ძირს დავიხედე

და იმის ცერს წალაში თავი გამოეყო. თუ —
 ვგრეა, მაშ შენ ფეხას ცერსაც ეღირს ება,
 გათბობა — ეთქვი გონებაში. ამ დროს ჩემი
 აქციონ-ერიც ყურზე წამომწვდა და მიჩურ-
 ჩულა: — გეთაყვა, იქნება ხუთი მანეთი გქონდეს
 მასესხე, ფაეტონის ფული არა მაქვს, პასპორტი
 მინდა პოლიციიდან გამოვიტანო, თორემ
 ნავთის კამპანიის შედგენა და მიგვიანდებაო.
 ღეთის წინაშე გზის ფულიც მჭირდება, ისიც
 არა მაქვსო. «კაი მასალა, გკლებია შამაშვილო-
 ბაძა» — მეთქი ბოლოს ჩემი ჯიბე რომ ისე ცა-
 რიელი დაურჩა, როგორც თავისი, უკმაყოფი-
 ლების ნიშნათ უხეიროთ გაიღობა და გამ-
 შორდა. ამას შემდეგ ერთი კვირა არ გასულა,
 რომ ერთი ძველი მეგობარი შემხვდა ტფილი-
 სის ტროტუარზედ და კაპიტალისტისებურ თავ-
 მოწონებით მითხრა: — იმ თვეში ბანკიდან ასი
 ათასი მანეთი მაქვს ასაღებიო. — მეგონა ხუმრობა
 და წარმოიდგინეთ ჩემი გაცემა, რომ მეორე
 დღეს ეს დარბაისელი კაცი გიყვების სადგომში
 ვნახე გამოჯგიმული, ხელში ეჭირა ერთი ქა-

ღალღის ნაგლეჯი და როგორც შევდგი ფეხი
 იმის ოთახში, პატივის ცემით მომეგება, მომცა
 სალამი და ასე მითხრა: — თქვენო ბრწყინვალე-
 ბავ, პრუსიის სახელმწიფოს მინისტრო და სა-
 ხელ განთქმულო, ბისმარკო! ამდენმა ღოდინმა
 თაფი მომაბეზრა. 1807 წელს პრუსიის სახელ-
 მწიფომ პაპი ჩემისგან ისესხა ერთი მილიარ-
 დი და ვთქვათ. თქვენს სახელმწიფოს აქამდის
 არ შეეძლო იმის გადახდა, მაგრამ ახლს მაინც
 რაღა აბრკოლებს, როდესაც საფრანგეთიდგან
 სამი მილიარდი სამხედრო გადასახადი უკვე აიღო.
 მალე დააჩქარეთ ჩემი ფალის გადახდა, თორემ
 ხალხთა შორის სამედიატორს სამართალში გი-
 ჩივლებ და სულ მოვიგებთ, რაც საფრანგეთი-
 დგან ფული წამოგიღიათ. — მეც რასაკვირვე-
 ლია მის აღმატებულებას მოუახსენე, ჯერ კო-
 დეც ფულის მიღებაზე ანგარიში არგაუთავე-
 ბით და როგორც გაათავებენ, იმავ წამს მო-
 გერთმევათ თქვენი ფული — მეტქი. შემდეგ მოვ-
 ქუსლოე იქიდგან. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა
 — ქუჩაში რომ გამოვედი თავს შავი ფიქრებე

დამეხვა ნახშირის კომლსავეთ: «ოჰ, შენ ოხერო ნახშირო! მას აქეთ, რაც რკინის მატარებელმა (ლოკომოტივმა) პირველ იწივლა კავკასიაში და ყელიდგან ნახშირის კომლი ამოუშვა, ჩვენს საზოგადოებას ნახ შირი მეტად შეუყვარდა. საითკენაც უნდა გაიხედგამოიხედო, ვისაც უნდა დაელაპარაკო, ყველა გეუბნება: ჩემს მამულში ქვის ნახშირის კვალია, ან სპილენძის ან ვეცხლის მადანი იპოება, ან ნავთის წყაროები გამოდისო, ან ოქრო და ვეცხლის ქვიშა ითხრებაო. ერთი სიტყვით მადნეულით გამდიდრება ახლა მოდათ შემოვიდა. ხელგაუნძრეველათ გამდიდრების სურვილმა სწორეთ ყველა გააგიჟა—მეთქი—ვიფიქრე ჩემს გონებაში. ახლა რომელს ქართველსაც უნდა შეხვდე, ყველას თეალებში ამას წაიკითხავ: ჩემს მამულში ოქროს მადანი უნდა იყვესო.

ნაყოფიერ შრომის დაწყებისმაგიერათ, რომელიც არის მხოლოდ ერთად ერთი აწყაროს მიმდიდრისა, ქართველები ბუზანკალიანებსავეთ დარბიან, იძახიან მადნები გაგვიჩნდაო და

საქმეს კი ხელს არა ჰკიდებენ. შენი მტერი რაც აქედგან ხეირი არ გამოდის. ამით ჩვენს ცხოვრებას საშუალება არ ემატება და ვალი კი თან და თან უდიდდებათ...

— მადნით გამდიდრებისა არ იყოს, ბანკის დაარსებაშიც ხელგაუნძრეველათ გამდიდრების სურვილი გამოგვაჩნდა. ვინ მოსთელის, რამდენი ვაი უშეღებელი, ბრძოლა, დავი-დარაბა არ ატყდა, ამბოლოს დროს ტფილისში ბანკის გამართვისგამო. ყველანი ძალიან მონდომებულნი იყვნენ ბანკის გამართვაზე, ამიტომ რომ ყველას უჭირდა ფული, ყველასთვის საჭირო იყო ნდობა. მაგრამ საქმე რომ წეს-დების შედგენაზე მივიდა, აქ ერთი ახირებული კითხვა აღიძრა: ყველა თანასწორი მონაწილე უნდა გავხდეთ ბანკში, თუ არაო? — აქ აღმოჩნდა, რომ მის გასამართლავათ ზოგს გამოეღო წილი თავის ხვედრი საგლენო ფულიდგან, ზოგს კი არა. და ლაპარაკი ვამ უკანასკნელებზე ატყდა. ესენი, როგორც საზოგადოთ ქართველებს სჩვევიან, იძახოდნენ: აბა გავმართოთ და, ბანკი! ფული გვჭირიანო.

— გაემართოთ რო იძახით, აბა, გვიანგარი-
შეთ, რამდენი ფული შემოგიტანიათ იმის გა-
სამართავათო—უთხრა ამათ მეორე მხარემ. რაც
შემოიტანე, ეგეც კმარაო. უთხრეს სხვის
ჭირში მომღერებლებმა. აქ, ნამდვილათ გა-
მოსჩნდა პირნათელი ხასიათი ქართველისა:

«ღმერთს მოუცია საბუროთ,

დავსხდეთ და ლხინი ვნახოთ...»

მაგრამ ამ შემთხვევაში ფულის გამოძებნი
გონიერულათ მოექცენ.—რადგან თქვენ ეგ
გაგიძრახავთ, მაში ჩვენც ამას მოვახსენებთო:
«უსაქმურა დიდ მუცელავ, განზე გადექ, ნუ
გვერევი!» ამით ცხადათ დაუმტკიცეს ფულის
შეპატრონეებმა, რომ ტყულა მჭამელები შინაც
ბევრი გვეყავს, თქვენით კიდევ ჭირი არ გავიმ-
ბადლოთო. სხვის ჭირში მომღერებს მეტი რა
ღონე ჰქონდათ, ხმა უნდა ჩაეწყვიტათ და გო-
ნიერ გადაწყვეტილებას უნდა დათანხმებოდნენ.
თუ ბანკში გარევა ჰსურდათ, ამათაც უნდა შე-
მოეტანათ თავისი წილი. ამ შემთხვევაში ქუ-
თაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მოქმედებით

გონიერებას კიდევ გადაამეტებს, როგორც მე იმა-
თი საქმე შემიტყვია. მაგალითად, რა ემჯობინება
იმას, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობამ ტფი-
ლისის სააზნაურო ბანკს შეუერთოს თავისი
ფული და ამ ორი გუბერნიისათვის ერთი დი-
დი ბანკი გაკეთდეს. — მაგრამ ისინი ამბობენ:
როგორ შეიძლება! .. ჩვენი ფული მეტია ტფი-
ლისის სააზნაურო ბანკისაზე და რომ შეუერ-
თოდ ქართლელები და კახელები სულ დაიტა-
ცებენ ჩვენს ფულსაო და ჩვენ კი რიყეზე
დაფრჩხებითო. თუმცა ჩვენებს ხშირათ სჩვეიათ
სხვის სუფრაზე მაყრულის დაწყება, მაგრამ ამ
შემთხვევაში კი ქუთაისელებს უფრო უცოდ-
ნარობით მოსდით დაუნდობლობა. ბანკის
წარმოება ცოტა ოდნათ არის მაინც რომ გაგებო-
დათ, ისინი როგორ წარმოსთქვამდენ ამისთანა
ხეპრუს აზრს, რომელიც ზემოთ მოვიყვა-
ნეთ, ერთი რომ რაც უფრო დიდი ფონდი
ძირი-თავნი ექნება, ბანკს იმდენათ ღიდს ნდო-
ბას მოიპოვებს ვაჭრობაში და იმის ბილეთებიც
იმდენათ უფრო რიგიან ფასათ გაეღენ. რაი-

ცა შეეხება ქუთაისის თავად აზნაურობის ფულს, რომელიც შეუერთდება ქართლ-კახეთისას, ამისი ანგარიში ხომ ბანკის დავთრებში დაწვრილებით იქნება გამოყვანილი და სესხის მიცემის დროს ერთი კაპეიკიც არ გადავარდება მომეტებული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაკენ? ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთს თავის სასესხებელი ფონდი ექნება ბანკში და იმერლებს თავისი. შეერთებას მხოლოდ ვაჭრობაში და გარეშე საზოგადოებაში ექნება კეთილი ნაყოფი, რადგან ისინი ყოველთვის ასე იფიქრებენ: «საქართველოს ბანკს ამდენი და ამდენი ნაღდი ფონდი (თაენი) აქვს. მაშასადამე იმისი ბილეთები საღიაო, ამ შემთხვევაში ბანკის შეერთებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს გარეშე მოვაჭრე კაცების თვალში, როგორც ორი სახელმწიფოს კავშირს და მეგობრულ შეერთებას მტრის თვალში. მტერი იმას ხომ არ შიამკცევს ყურადღებას, რომ ესა და ეს სახელმწიფო თავ-თავის ჯარს ცალ-ცალკე პრჩინო, სამხედრო წყობილობა გაცალკევებული

აქეთო და რადგან თითო-თითოთ ჩემთან ვერ
 მოვლენ, შევებმებ და ცალ-ცალკედ ორივეს
 მტვერს აწადენო. არა. ასე უგუნური კი არ
 არის, რომ ეს თქვას. ის ფიქრობს, თუშცა ისი-
 ნი ცალკე მუშაობენ, ცალკე აწარმოებენ თა-
 ვიანთ სამხედრო საქმეებს, მაგრამ რომი თუ და-
 ვუწყე, სინი მაშინვე ურთიანეთს ხელს შისტე-
 მენ, ერთად დამიწყებენ ბრძოლას და გამათუ-
 ჭებენო. ამის გამო სუსტი სახელმწიფოების ერ-
 თად შეერთებას მტრისაგან პატივის ცე-
 მა მოსდევს. ქუთაისისა და ტფილისის ბანკის
 შეერთებასაც ვაჭრობისა და გარეშე საზოგა-
 დობის თვალში ნდობის გადიდების მეტი, იმის
 ბილეთების კარგათ გასაღების მეტი ცუდი არა
 მოსდევს. რა ქუთაისის თავად-აზნაურობის
 უციდინარობამ სხვაც ბევრი აწაო იმათ ბანკის
 საქმეს. წარმოიდგინეთ, რომ იმათ შეკრებილს
 თავს თურმე ორმოცდაათი ათასი მანეთი აკლია.
 ვინ წაიღო? ზოგი ამბობს, თავებმა შეხრეს
 ბილეთებო, ზოგი კი ამასაც ამბობს, ვითომც
 ის ბილეთები წითელ ტყავში ყოფილიყოს

გამოხვეული, მშვიტი ძაღლის ხორცი ჰგონებოდეს, პირიქით ეწელოს და წაელოს ჩემისაზრით, ეს სულ უგუნურის კაცებისაგან გაგონილი ქორები. მაგრამ ეს კომპინც მართალია, რომ რმათი შეგროვებულს ფულს რომოცდაათი ათასი მანეთი დაჰკლები. ეს კიდევ არაფერი, თორეთის თავად-აზნაურობას ამოურჩევია გამოხიანი ბანკის პროექტის შესადგენათ ისეთი პირობები, რომელთაც «ოტნოშენიებისა» და არძის წერის მეტი მის დღეში არცნა უკეთებიათ, რა და არც უსწავლიათ. აბა რა ბანკის პროექტს დასწერდენ - ესენი. ბევრი უცუდავნიათ კარჩაუკეტილ ოთახში და ბოლოს რომ ველარა გაუწყვიათ რა, ვერა მოუგონიათ რა, ჩუმად დაუბარებიათ ერთი ფულის ცულაპია დაწიმიდისთვის უთქვამთ. ბანკის პროექტი შეგვიდგინე და ამოღენსა და ამდენს მოგცემთო. იმისაც ბევრი არ უფიქრია უთქვამს, თქვენ ვეგ ახლავე მომეცითო, რასაც დამპირდითო. და ამერი იმე დაგიწერთ ასეთს პროექტს, რომ სულ ოქროები დაგაკვრებიანოთო. ჩუმად ვი სკობინის გბანკისკენ გა-

უსწავლებია ისინი. იმერეთის საზოგადოება ამის-
თანა მოქმედებას კამისიისას უცოდინარობის-
გამო ვერ იცებს და ამისთვის შეიძლება
დანარჩენი საბანკე ფულიც ისე შეხრას თავებ-
მა, როგორც ორმოცდაათი ათასი მანეთი, თუ
ეხლავე ტფილისის ბანკის წესდებულებით არ
ისარგებლებს და არ შეერთდენ. ბანკის დონე
უფრო დაგირავებულ მამულებშია და არა იმის
ნაღდ ფულში; ამისგამო იმერეთის მამუ-
ლები რომ იმერეთის თავად-აზნაურობის
სესხათ ტფილისის სააზნაურო ბანკში დაგირაფ-
დეს, ამითი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა
საიდგან დაიტაცებს იმის სახვედრო სესხსა?
იქნება იმერეთის მებატონეებს ეგონოს, რომ
ბანკის წარმოება მარტო ტფილისში გაიმარ-
თოს და იმერლებისათვის შორს დარჩეს? სრულე-
ბითაც არა. ოღონდ ეს არის, რომ ბანკს ექნება
ერთობის სახელი, თორემ იმის განყოფილება. ესე
იგი კანტორები, სესხის მისაცემათ მარტო ტფი-
ლისში კი არ იქნება, ქუთაისში და ზოგიერთ
უეზლებშიაც გაიმართება. მაშ რა უნდა აბრკო-

ლებდეს იმერლებს შეერთებაზე. სრულიად არაფერი, უმეცრებისა და უთვისტომობის გარდა.

ჩვენი წარსული ორი ათასი წლის უბედურება თითქმის ამ უკანასკნელს ნაკლულევანებას — უთვისტომობას — მიეწერება. ჯერ კიდევ გონებას ვერ მოვეგენით კარგათ. რაღაც ბუნებით ისეთი უბედური ნიჭი დაგვეოლია ქართველობას, რომ თავის დღეში განკრძალებულ სარგებლობის გარეშე ვერა დაგვინახავს რა. ჩვენი გონების მხედველობა ისე შორს ვეღარ წასულა, რომ წარმოიდგინოს საზოგადო სარგებლობის უკეთესობა კერძო სარგებლობაზე. ეს ვერ შეგვიტყვია, რომ თუ ჩვენ ძმებს თვალით დავანახებთ ჩვენს გულკეთილობას, იმათ სარგებლობისთვის ზრუნვას, მაშინ ისინიც ჩვენს სასარგებლოთ ეცდებიან, ერთმანერთს ზურგებს მოუბამენ და ყველას წელი გაგვიმაგრდება. როდესაც ალა-მანმაღხანმა ტფილისის ციხის კარები შეამტვროა, იმერეთის ჯარმა ქალაქი გაცარცვა და შინ წამოვიდა. ამ სთანა მხეცური ინსტიკტები აქამდისაც რომ ტვინში

ჩაგვრჩენია, ამიტომაც ვიძახით ბანკის ფულებს როგორ შეგაერთებთ, სხვები დაიტაცებენ და ჩვენ კი პირღია დავრჩებითო მტაცებლობი-მეტი რომ თავში არა გვიტრიალებს რა, იმი-ტომაც ვართ ასე დაწყვეტილი ჯაჭვის რგო-ლებსავეით და ჩვენს ერთად მობმას და დაკავ-შირებას კ ა ვ კ ა ს ი ის რ კ ი ნ ის გ ზ ა ც ვერ ახერხებს...

— ხუმრობა იქით იყოს და ეს დალოცვილი რკინის გზაც ერთობ ჩქარ ჩქარა წყდება, თით-ქოს ჩვენს გამაკერძოებელს თვისებას აქამდის ნება არ მიესცეს იმისთვის ერთ გძელ ზოლათ გამბულიყო, თითქოს მეტის მეტი ქიმიითა და ცოდვილით ძაფსავეით წყდებოდეს. — იმის მკეთებ-ლები მაინც სულ ბუნებას აბრალებენ რკინის გზის ხდენას: — ჩვენი რა ბრალია, რომ თვითონ ბუნება არ გუობს იმისთანა გზის გატანას, რომელიც მკვიდრათ შეგვაერთებს შემდეგში. მართლაც სასაცილო იყო ამას წინეთ ჩემი მოგ-ზაურობა ფოთი-ტფილდის რკინის გზაზე. ბე-ჭანუბნამდის მყუდროთ მოვედით და აქ კი

გეითხრეს: კიბიტკებში ჩაბძანდითო. ჩავსხედით ერთს ვიწრო კიბიტკაში მე და ჩემი ფრანცუზი და შეუდექით მთისკენ. როცა სურამისკენ დავეშვით, თოვლმა უმატა? ბურუსი დაეხვა და სუსხი ქარი თოვლ ჭყავს პირში გვაყრიდა; წვერებზე დავეკიდა ყინულები და სიცივისაგან მოკუნტულები გამოვიცქირებოდით პაწაწა კიბიტკიდან.

— ჩვენ ეხლა კავკასიის რკინის გზით ემგზავრობთო. — ჩაიცინა ფრანცუზმა.

— მაშ რა გგონიათ; ჩვენ კავკასიელებს რკინის გზა სულ სხვა წესზე გვაქვს გამართული — მეთქი. აბა, ამ რკინის მატარებელს თქვენი ლოკომოტივები სისწრაფით როგორ შეედრებიან — მეთქი — და ამდროს ვუჩვენე სამ ვახრეკილ ცხენზე, რომელნიც კიბიტკაში გვებენ. ამ ლაპარაკში კავკასური ვაგონის ღერძი ჩავიტყდა და ჩვენ დაეკოტრიალდით თოვლიან ფერდზე.

— მუსიო, — გული ნუ შეგიშინდებათ, არა გვიჭირს რა: — ლოკომოტივები ერთმანეთს

დაეტაკენ და მისთვის შეგვემოხვა ეს ფათერაკი —მეთქი.

— ჩემს ფრანცუზს სიცილით კუჭი ასქდებოდა, ზე წამოდგა და რომ შეხედა ტალახში ჩაწოლილ კიბიტკას, უცებ ამოიღო ქაღალდი, კარანდაში და დაუწყო ხატვა.

— რას ხატავთ—მეთქი.

— კავკასიის რკინის გზაზე ჩვენს მოგზაურობას და ამ ჩვენს ჭეგონსო —მომიგო დაცინებით. მინდა ჩვენს ქვეყანაში მიხუშათ გაფგზავენოვო.

— თუ ამისთანა ვაგონები და მატარებელი არ ვახმარეთ, კავკასიაში რკინის გზა ვერ გაკეთდებაო. — იძახიან კავკასიის ინჟინრებიც. აქ ყოველს ამ გვარ საქმეებს თვითონ ბუნება ეწინააღმდეგებაო...

— კარგი და კეთილი, მაგრამ ქალების განათლებას რაღა ეწინააღმდეგება? ნუთუ-ესეც კავკასიის ბუნების სათაკილო საქმეა? —ჰო. ეგეც თავისებური ბუნებაა, რომელსაც ჩვენ ვეძახით კაცობრიობის ცხოვრების შემაყენებელ ძველს

ჩვეულებას. ამ კარგი თვისების ძალით განიღვენება ყოველი ახალი უჩვევი აზრი, რომელიც ცხოვრების შემბორკველს წესს შლის და აყენებს იმას უკეთესს გზაზე. ამ კარგი თვისების ძალით ამ ქამად, სდევნათ არამც თუ ჩვენში, სხვა უფრო განათლებულს ქვეყნებშიაც ქალების წადილს, რომ მოქმედებით და უფლებით კაცებთან განსწორდენ ყოველნაირ ცხოვრების ასპარესზე. ისინი იძახიან ჩვენ აქამდის კაცის ცხოველურ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ ვიყავით, ამასგარდა სხვა არა გვიკეთებია რაო არც მზეს, არც სიციფეს არ გვაკარებდენ, ვიყავით ღარიბ ქოხში, ან დიდებულ კოშკში კარჩაკეტილი, დაგვარქვეს მზეთ უნახავები, აბრეშუმის ჭიებსავეთ გვაძლევდენ საზღოს და გვაკეთებინებდენ ქსოვილებსაო. ჩვენთვის არც ზრდა იყო. არც სწავლა და არც ცხოვრების გზა გამოსაცდელათ, გავხდით ტიკინებათ, დედოფალათ, გონებით მსუბუქი, სხეულით სუსტი და ცხოვრებაში სამძიმო ტვირთი. ანუ თუ ჩვენც კაცის არსება არა ვართო?. მოგვეციო

სრულათ გონებისა და სხეულის წვრთნის ნება და საქმეს გაეზიარებთ, მუშაობაში დაგეხმარებით, თქვენ მიძიმე ტვირთი ჩამოგეცლებათ და გვერდით ამოგიდგებით საზოგადო კეთილ მდგომარეობის მოსაპოვებლათო. ვინ იტყვის, რომ ამ შემთხვევაში ქალების სურვილს გონიერი საფუძველი არ ჰქონდეს. მაგრამ კაცები და მთელი საზოგადოება ამას ეუბნება; დადექით თქვენთვის, უგნურათ ნუ როშავთ. რაც არ ექნას პაპს თქვენსა, ნურც თქვენ დახვეთ ფართაშებსაო. ამ უგუნურ მსჯელობის გამორჩევა ზოგიერთმა ახალ გაზდა ქალმა ისურვა მომატებული სწავლა, ესე იგი საზღვარ გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში კურსის დასრულება, ჩვენმა მშობლებმა ტუჩი აიბზუეს და მრისხანებით წარმო-სთქვეს: -ღმერთო დაგვიფარე როსკიპებისგანო» მაგრამ ეს ახალგაზდობა რომ ცუდი გვეზდება, ვინ არის დანაშაული? — ქალების საფუძველიანი უსწააღელობაო — მოგძახებს იგივე საზოგადოება. ცოლშვილის ხარჯს რომ ვერ აესულოვართ, ვინ არის დამნაშავე? — ქალის უსაქმობაო — იმი

სი ტყუილათ ჯდომათ მსუბუქ გონების გამო ბევრის ხარჯვა სულ უსარგებლოთ, მაშ მიეცი სწავლის გზა-თქო უთხარი საზოგადოებას. მიეცი თქო თანასწორი უფლება, რომ თვითონ ქალი შეიქნეს თავის მრჩენელი, თვითონ გამოზარდოს და კიდევ არჩინოს თავის შეიღებები. ნახავ, თუ ამ სიტყვებისთვის იმან საზოგადოების წნის გამყრენელი არ დაგიძახოს, შენ იკითხავ, ეს რა ამბავია, რას მიეწერება ასეთი უსაფუძვლოება საზოგადოების მსჯელობისა, რათ არის, რომ საზოგადოება გრძნობს თავის გაჭირებას, იცის კიდევ რა წამალი უნდა ამისთანა სენს, მაგრამ რომ უთხრა «იხმარეთ», გარეთ გაგადღებს. ნეტა რათ არის ასეთი გაუგებარი? — იმისთვის, ჩემო მკითხველო, რომ ძველი ჩვეულების მუხრუჭი არამც თუ ჩვენ მშობლებს, კაცობრიობასაც ტვინზე აქვს მოჭირებული და იმდენათ დაჰკარგვია გაეცება, რომ ამისთანა მარტივს აზრსაც ჯერ ვერ მიმხედარა. ტყუილათ კი არა თქვა ერთმა წარჩინებულმა მოაზრემ: კაცობრიობას იმდენათ შეშინებია წარყენისა, რომ

ტვინი გადაბრუნებია და მას აქეთ სწორ მსჯელობაში გზას მიძიმეთ იკვლევსო. სწორეთ ამ თვისებისამებრ მოქმედებს ჩვენი საზოგადოებაც, ახალგაზდა ქალების განათლებას რომ წინ დასდგომია და არ აძლევს იმათ საზღვარს გარეთ გასვლის ნებას უმაღლესი სწავლის მისაღებათ. მაგრამ ამასაც ვიტყვი, რაც უნდა ბევრი ეცადოს ჩვენი საზოგადოება, ახალი ცხოვრების წყარო იმდენათ გადიდებულა, რომ იმის მძლავრს მოთხოვნილებას მაინც ველარ შეაყენებს.

მაშ გასწით ქალსო, «ასალსო ვასნო»

და გაიტანეთ ეგ დიდი სკრელი.

ისე ნუ იზამთ, რომ არა ვნასო

ბინდის გაქრობით მსისა ნათელი.

ეგ «გსა უკალი, თქვენგან თელილი,

მეობად ქალთათვის შარათ «დარჩება».

ნეტა ვი ვნასო ის დღე ნათელი!

ჩემს გუფს სსგა არ ჭსუწს, ტკბილათ მოკვდება.

არის ბევრი ასეთი ნიშნები, რომ ამ ახალ მიმართულების გზას უნდა დაადგეს ჩვენი უთანამოქმედობაცა ახლა ყველასთვის ცხადია,

რომ რაც დღე გამოდის, ისე, თანდა თან უფრო უახლოვდებით დასავლეთის ევროპას, რომელიც არის ნამდვილი წყარო კაცობრიობის განათლებისა. ჩვენს ახალგაზღვრაში თან-და-თან უფრო იღვიძებს სურვილი საფუძვლიანი სწავლის მოსაპოვებლად. მაშასადამე აღარე თუ გვიან ჩვენი ახალმოზარდი თაობა დასავლეთისკენ უნდა მიიქცეს გასანათლებლათ. ამას მოითხოვს ბუნების წესი, ჰავა და ეკონომიური მდგომარეობა.

ვისაც ცოტაოდნათ მაინც გაუცენია ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრება, ის მაშინვე დარწმუნდება, რომ სულ ძველიდგანვე განათლების სხივი ჩვენს მხარეს დასავლეთიდან მოსდგომია ხოლმე. ჯერ განათლებას შავი ზღვის პირები და რიონის სართავი გაუნათლებია ხოლმე და მერე ლიხის მთის აქეთაც გადმოსულა. ჩვენი ხალხის ცნობა ისტორიულათ დაიწყება ეგვიპტის ფარნაოზის რამზესა დიდდგან, რომელსაც გამოუსხამს კოლხიდაში ეგვიპტელები და ამათ შემოუდგიათ კანათის თესვა და სამოსლის კეთება.

ანდრია ზირველ წოდებული პირველ საუკუნეში მოსულა შავი ზღვით ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლათ. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ წმინდანინო ჭანეთით მოვიდა და სამცხით. მეცხრე საუკუნიდგან დაწყებული მეთე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში ჩვენი გონების საუნჯე სულ საბერძნეთიდგან მოზიდულა შავი ზღვით. თვითონ საშუალ ქვეყნის ზღვაში ათონის მთაზე მეცხრე საუკუნიდგან აერთო განათლების ლამპარი — ივერიის მონასტერი, — რომელიც იყო მას აქეთ მეცხრამეტე საუკუნემდის ჩვენი მეცნიერებისა და სწავლის ბუდე. საუკეთესო სწავლული კაცები სულ იქიდგან ჰფენდენ ჩვენს ქვეყანაში განათლების სხვის. მეთვრამეტე საუკუნეში საბა ორბელიანმა მიაწია იტალიამდის და პაპთან მივიდა. იქიდგან დაბრუნების შემდეგ იმან დასტოვა აღზრდის წიგნი, სახელათ «სიბრძნე სიცრუე», რომელიც არის აქამომდე ჩვენი საზოგადოების შინაური გამწვრთნელი წყარო. ისე ვინ დაიწყებს ანბანის სწავლას, რომ «სიბრძნე სიცრუიდგან» რამდენიმე ზნეო-

ბითი მწერთნელი არაა დაისწავლოს. თუ-
თონ ეს გზა დასავლეთისკენ უფრო მოხერხებული
იყო და ბუნების წესიც ამ გზას გვირჩევდა
გასანათლებლად ჩვენს ისტორიულს ცხოვრე-
ბაში.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს აქამომდე გა-
რემოებამ ახალი გზა გახსნა განათლებისა, რომ-
ლის ძალით ჩვენი ახალ-გაზდობა გაემართა
ჩრდილოეთისკენ სასწავლებლათ. ჩვენი განათ-
ლების უმთავრეს წყაროთ შეიქმნა მოსკოვისა
და პეტერბურღის სასწავლებლები. ჩვენი ახალ-
გაზდობის პირველი წრე ცხოვრებისა ჩავა-
რდა უჩვევს ცივს ჰავაში. ახლა განვიხილოთ
სამოცდაათი წლის შემდეგ რა მგომარეობაშია
ჩვენი განათლების საქმე ბუნების სიმკაცრისაგან.
საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ რიცხვს
ახალგაზდობისას, რომელიც რუსეთს იგზავ-
ნებოდა გასანათლებლათ კორპუსებში და
სხვა უფრო უმაღლეს სასწავლებლებში. მარ-
ტო ტფილისის გუბერნიიდან წელიწადში სულ
რომ მოეთვალათ, უკანასკნელი ორმოცდა-
ათი ახალგაზდა მაინც გაიგზავნება ხოლმე.
გადაშალეთ სიება კავკასიის სამოსწავლო მთა-
ვრობისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს

წლიური რიცხვი ახალგაზდობისა, თუ ცოტა არა, ბევრი არ იქნება. მაშასადამე ხუთმეტე წლის განმავლობაში, ზოგი რომ კიდევ დახოცილიყო ბუნების წესით, ექვსასი გამოზდილი ვაჟკაცი მაინც უნდა დაგვბრუნებოდა მარტო ტფილისის გუბერნიაში. ახლა ავიღოთ მეორე თუთხმეტე წელსაც ამდენი რიცხვი და მაშინ დავრწმუნდებით, რომ ყოველ ოცდაათის წლის განმავლობაში ~~აქ~~ ანასკნელი ათას ორასი დამთავრებული და ახალმოზარდი ყმაწვილი მაინც უნდა ჰყავდეს ხოლმეტფილისის გუბერნიას, ამის ორი მესამედი ქუთაისის გუბერნიის საწილოთ რომ ჩავაგდოთ, მაშინ მარტო ქართველობა უმაღლესს სასწავლებელში გამოზდილი და მოსწავლე ორი ათასამდის მაინც უნდა იყოს თავის ქვეყანაში. შევადაროთ ეს რიცხვი ნამდვილს, რომელიც ხელში გვაქვს და მაშინ გავოცდებით: ტფილისსა და ქუთასში რაც რუხეთში გამოზდილი ახალგაზდობა იმყოფება ამჟამათ, სულ რომ მოვთვალოთ, ას ორმოცდაათი კაცი ძლივს გამოვა, ესე იგი იმის მეთუთხმეტედი ნაწილიც არ მოიპოვება, რომელიც ნამდვილათ უნდა ყოფილიყო. მაშ რა იქნენ

ორიათას ახალ-გაზდა ქართველ განათლებულ კაცებში, რომ ას ორმოცდაათის მეტი არ დარჩენილა, და ამ რიცხვშიაც ორმოცდაათი რომ სულ ქლექიანებია? — სულსასტიკმა ცივმა ჰაევამ და შეუბრალებელმა, უჩვემა ბუნების გარემოებამ წაიღო. მოსკოვისა და პეტერბურგის ჰავა შეადარე თჩვენს ჰავას და დარწმუნდებით რომ ჩვენში ზამთარში ხანდახან ყინვასაც დასდებს და იქ, ზოგჯერ ისეთი ზამთარი ყოფილა, რომ გაგეფუროთხებინა, სანამ მიწაზე დაეცემოდა, მანამდის გაჰყინავდა.

ჰავის სხვა-და სხვაობა თუ რამდენათ მოქმედებს კაცებზე, ამას ჩვენ ქვეყანაში მომხდარ მაგალითებითაც აღვიღათ დარწმუნდება კაცი. ვაშებს დადიანმა რომ აფხაზებზე ჩხუბი გამართა, დადეშკელიანი იშველა სამასი სვანით. სვანეთია კავკასიის უმთავრეს ქედის ფერდზე, ძალიან მაღლობი ალაგი. ოჩამჩირე კი შავი ზღვის პირათ მდებარეობს. სვანები გაჰყვენ მეგრელებს აბხაზეთში და მიატანეს ოჩამჩირემდის. სამი თვის შემდეგ, ომი რომ გათავდა იმ სამასი კაცისაგან, მარტო დადეშკელიანი მობრუნდა ცოცხალი და ისიც საშინელი ცივების სენით იყო შე-

ყრობილი. სულ ბარის ავამ გასწყვიტა; იმათში ერთიც არ მოუკლავს მტრის ტყვიას. ამ დროის პირველი მეცნიერი დარვინი ამბობს, რომ არც ხატკი არი, არც ჩხუბი, არც არავეითარი უბედურება, ისე უწყალოდ არ სწყვეტს კაცის შთამოებას, როგორც ჰაეის სიმძვინვარეო. ეკვატორის სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში მდებარეობს ორი ვერსის მალლოზზე ზღვიდგან, მაგრამ არც ერთი იქაური მცხოვრები ისე ვერ ჩამობედავს ზღვს პირათ, რომ თავის ლეშტ იქ არ დასტოვოს საუკუნოთ.

თუ მნის ხალხზე ბარის ჰავა ასე მკაცრათ მოქმედებს, რა გასაკვირველია, რომ ჰეტერობურგის, მოსკოფის და სხვა ჩდილოეთის გუბერნიის ქალაქის ჰავა ასე მკაცრათ მოქმედებდეს თბილ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებზე. მართლაც ვინ იქნება ახლა ისე უმეცარი ჩვენში, რომ უჩვენოთაც თავის დაკვირვებით არ იცოდეს, თუ რამდენათ მავნებელია ჩრდილოეთის ცავი ჰავა ნორჩ ახალგაზდობის ავებულებაზე. ჩვენი მემატყანენი ამტკიცებენ, რომ რაც უნდა მოახრებულ იყო მტრისაგან ჩვენი ქვეყანა, რაცუნდა გაწყვეტილიყო ხალხი, საკმაო იქნებოდა, ორ-

მოცი ან ორმოცდა ათი წელი ჩვენს ქვეყნისთვის, რომ ხალხი უწინუდულათვე გამრავლებულიყო, და აოხრებული ქალაქები და სოფლები ისევ დაშენებულიყო. ახლა თითქმის ოთხმოცი წელიწადი ჩვენს ქვეყანას მტერი თვალით არ უნახავს, მაგრამ სტატისტიკურს ცნობებიდან ჩახედეთ და შეიტყობთ, რომ ჩვენს ხალხს რიცხვით ბევრი არ უმატნია. ეს ამიტომ რომ მთელი ჩვენი ახალგაზღვრა ყმაწვილობიდანვე არის გავლებული სასტიკს ცივს ჩრდილოეთის ჰავაში. ამის გამო თუმცა ჩვენ ამ ჟამათ განათლების წყარო უფრო მკვიდრი და დიდი გვაქვს, უნამც ძველათ, მაგრამ ეს განათლება თვითონ ჩვენს ქვეყანაში ვერ უწევს, რადგან ქვეყნის გამნათლებელი ახალგაზღვრა ამ წყაროს მდინარესვე მიაქვს საუკუნოთ. ამის გამო განათლებასთან თუ ჰვაც არ სწყალობს ხალხს, ანუ რომელსამე ქვეყანას, იქ ცხოვრების წარმატება ძნელათ მოიკიდებს ფეხსა.

ამ შემთხვევაში ევროპის დასაფლეთის და სამხრეთის ქვეყნები და თითქმის რუსეთის სამხრეთიც საკვირველათ ედარებიან ჩვენს ქვეყანას ჰავით: საბერძნეთი, შვეიცარია, იტალია, სამ-

ხრეთის ფრანცია და ჩვენი ქვეყანა თითქმის ერთი ჰაერის არიან. მაშასადამე ჩვენი ახალგაზდობა იმ ქვეყნებში ისე იქნებიან, თითქოს თავის ქვეყანაში ცხოვრებულნი იყვნენ. ბუნების მხრით იმათ არაფითარი დაბრკოლება არ ექნებათ. რაიცა შეეხება განათლებას და ცხოვრების წარმატებას, ამ შემთხვევაში შევიტარიან და საფრანგეთი თითქმის მთელი ქვეყნის მოწინავე ხალხებათ ჩაფარდებიან ისე და იქ რომ იაფია ცხოვრება თითქმის არსათ არის; იქ რომ ცოტა საშუალებით იცხოვრებს კაცი, ისე იაფათ პეტერბურგში და მოსკოვში ცხოვრება არ მოხერხდება. გზის ფასიც ასე გასინჯეთ რაც პეტერბურგამდის მოუნდება, შევიტარიანდინაც მეტი არ დასჭირდება კაცს. ამა გარემოების ძალით ჩვენი ქვეყნის ბუნებითი გზა განათლებისა და სავლეთისკენ და სამხრეთ რუსეთისკენ უნდა მიიქცეს და ამ გზისაგანაც უნდა მოველოდეთ დიდ წარმატებას.

ბ. წერეთელი.

ჩვენი მწერლობა

(კრიტიკული მიმოხილვა)

თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართული ქალებისაგან (წიგნი პირველი, 1872ს). — «მნათობი», 1872 № 8 და 9. —

«ქართველ ქალების» შრომა სწორეთ-საამო და ბედნიერი მოვლენაა ჩვენ ბედ-შავ მწერლობაში, თუ კი კაცი, მის დაფასებისთვის, უფრო ამ შრომის მიზანს, მის სიახლეს და მშრომლების გულკეთილობას იქონიებს მხედველობაში, ვინემ თვითონ შრომის ნაყოფს მართლაც, რომელ ხეირიან კაცს, ჩვენი საზოგადოების და მწერლობისთვის კეთილის მსურველს, არ იამება ის აქამდის უნახავი მაგალითი, ამ «ქართველმა ქალებმა» რომ ჩვენ დაგვანახეს? სკეპტიკის თვალში, რასაკვირველია, ეს საქმე

დიდი არაფერია: ის იტყვის, რომ სამმა-ოთხმა ახალ გაზდა ქალმა, თვითონ უსაქმოებით მობეზრებულებმა, ბოლოს გამოიღეს ხელი ადვილი შრომით, რომ ხუთიოდე თხზულების ამორჩევას და გადმოთარგმნას არც დიდი შრომა და არც დიდი ცოდნა სჭიროდაო, და ამ ადვილ შრომას ერთი ათად აჯილდოებს მათი კმაყოფილება თავიანთ თავზე, ნაცნობების მადლობა და გაზეთისგან მოძღვნილი ქება. ბევრს მისთანას იტყვის სკეპტიკი, როცა «ქართველ ქალების» «თარგმნებს» თვალს გადააფლებს, მაგრამ დამიჯერეთ ძლიერ შეცდება, თუ მარტო ამ სჯახზე ფეხს დააბჯენს და სხვა გარემოებასაც არ გაიხსენებს. შრომის, მოქმედების და აზრის დამცირება და გინება ძნელი საქმე არ არის, როცა ეს შრომა გაკეთებულია, როცა ეს მოქმედება შესრულებულია და აზრი გამოთქმულია; უფრო ძნელია ამ შრომის გამოძებნა და დაწყება, მოქმედების გაბეჭვა, აზრის გამოთქმა, და რაგონდ ნაკლულეყანება შევაჩნით ჩვენ ამ შრომას, მოქმედებას, აზრს, იმას არასოდეს არ

უნდა ვივიწყებდეთ, თუ რა მგდომარეობაში იყავი უწინ საქმე, რა ნიჭი და მიგნება სჩანს მის გამოდებნაში და წაყვანაში, და რამდენი ხეირიანი და გონიერათ მოხმარებული ძალი და კსხვერპლი მონღომებია მის ასრულებას. სკეპტიკებმა ამას ნიადაგი ივიწყებენ. ამათთვის კი არ გასმოუთქვამს ჩვენ ხალხს ძველი და ბრძენი ანდაზა: „ასულ არარაობას ცალ-უღელი ხარისჯობიაო“, — იმათ ერთიანათ დამზადებული, გამოჩხრხული, უნაკლულევანო და მართლად ძვირფასი ნაყოფი თუ არ მიეცით ხელში, ისე ვერასგზით ვერ დააკმაყოფილებთ და ვერ ათქმევინებთ — «ჰო, კარგი რამ არისო»; თითქმის დიდ რასმე შეადგენს იმათი ქება, თითქმის ძვირათ ღირდეს იმათ პირში ეს სამი სიტყვა: «კარგი რამ არის!»

სწორეთ სამწუხაროა ამ სკეპტიკების სიბრმავე, და დროა, დიდი ხანია დროა, თვალზე აუხარსნას მათ კაცმა და დაუმტკიცოს, რომ ეს საქმის წარმოების დროს ნაყოფი კი არა, მიმართულება და გულ-კეთილობაა დასაფასებელი, თუმცა

ისინი წიაღაგ იმას ამბობენ, რომ გულ-კეთი-
ლობას ჩვენ დროში ყველანი იჩემებენო, და
ხეირიან მიმართულებას ასი და ათასი ურგო
პირები მიიწერენო, მაგრამ უეჭველია, იმის უარს
მანც ვერ იტყვიან, რომ გონება ჩვენ იმისთვის
მოგვანიჭა ღმერთმა, რომ გავსინჯოთ და და-
ვაფასოთ მართალია ეს დაჩემება და მიწერა,
თუ არა.—მაშ ამ სკეპტიკების აზრის განხილვა-
სა შეუდგეთ.

ყველაზე უფრო შესანიშნავი და საამო მხა-
რე იმ საქმისა, რომელიც «ქართველ ქალებს»
უკისრიათ, ჩვენის აზრით იმაში მდგომარეობს,
როდემ ქალებს ახალი საქმე დაუწყიათ. იმათ, უეჭ-
ველია, ადვილათ შეეძლოთ თავიანთი დრო სულ-
სხვა ნაირათ გაეტარებიათ და სულ სხვა ნაირი
სიამოვნებით დაევიწყნათ უსაქმოების მობეზრე-
ბა, როგორც სხვა ჩვენი ქალბატონები შერე-
ბიან. ამისთანა იაფი და ადვილი სიამოვნების
მაგიერათ იმათ შრომა აურჩევიათ, ისეთი შრო-
მა, რომელიც, მათი აზრით, გაართობს, ასია-
მოვნებს და სარგებლობას მოუტანს არათუ

მარტო თვითონ იმახ, მაგრამ მთელ ჩვენ მკითხველ საზოგადოებასაც. ის ფუტლები რომელსაც ჩვენებური ქალები საზოგადოთ ფაეტონებში, ხელთათმანებში და ათასნაირ ტანსაცმელში და ჩვრებში ფანტვენ, იმათ შეუწირათ საზოგადო საქმისთვის, და ვინ იცის, რამდენ ყმაწვილურ ალტაცებას, რამდენ სიამოვნებას და ქეიფს მოჰკლებიან ისინი იმ აზრით, რომ რამდენიმე მანეთი მოენარჩუნათ, და ამრიგათ თითო-ოროლა მანეთით შეკრებულნი ფულით დაეხედათ თავიანთი ნაღვაწი? ვინ არ ჰფანტავს, ჩვენ საზოგადოებაში, ხუთ-ექვს თუმანს მაინც წელიწადში ისე, რომ არც ღმერთს და არც კაცს ამ ფანტვიდან ზვირი არ რჩება. მაგრამ ვის მოსვლია ჩვენში, აქნამდი, ის კეთილნი აზრი, რომ თხატრებში და ბალებში დასაპარჯავი ფულით, რომ მოინდომოს კაცმა, ჩვენი საზოგადოების წარმატების წახმარება შესაძლებელია? ბარაქალა, ათასჯერ ბარაქალა. «ქართველ ქალებსა,» რომ იმათ ჩვენ საზოგადოებას ამისთანა თავის შევიწროების და სხვერპლის

მაგალითი დანახეს! აქ ის კი არ არის შესანიშნავი, დიდი ხარჯი მოუვიდათ იმათ თუ პატარა; საქმე იმაშია, რომ იმათ საზოგადოებას თავიანთი სვამოვნება შესწირეს, თავიანთ თავს დააკლეს, თავიანთ სინდისში ჩახედეს, და ცხოველი მაგალითით აჩვენეს ჩვენ ქალებს—და უფრო კაცებს,—რომ დროა ჩვენ შადას და კოპწიობას ლაგამი აუღვათ, დროა მცირედი რამე მაინც გადავდეთ საზოგადო საქმისთვის იმ ქაუნჯისგან, რომელიც ჩვენ დაუმსახურებლათ გვრგებია და რომელსაც ჩვენ დაუზოგველათ და წინდაუხედველათ ვფანტავთ. ვიმეორებთ, ბარაქალა «ქართველ, ქალებს,» ბარაქალა! მათი სხვერპლი სწორეთ რომ სთქვას კაცმა, ჩვენ თვალში იმრიგათვე ძვირფასი და სამადლოა, როგორც სახარებაში მოხსენებული ქვრივის შენაწირი.

ეს ორი შხარე—ხეირიანი და სასარგებლო სიამოვნების არჩევა, (როცა აღვილი იყო უფრო შხატე და უფერ სიამოვნებაში გართობა) და თავისი საკუთარი ჯიბის და სიტკბოების შემცინ

რება სასოგადო საქმის და სარგებლობისთვის, — გვიჩვენებს ჩვენ, რომ «ქართველ ქალებს» დიანაც კეთილი და მტკიცე განზრახვა და გული ჰქონიათ, და მათი საქმე დიანაც პატივსაცემი და ქების ღირსი ყოფილა. მაგრამ თუ ჩვენ მართლა გვწამს ჩვენი მომავლის ღირსება და სიკეთე, ჩვენ ისე მჩატეთ და უზრუნველათ კი არ უნდა მოვეპყროთ «ქართველი ქალების» შრომას, როგორც ჩვენი სკეპტიკები და ზოგიერთი ასხვა პირებიც შერებიან. ჩვენ არც იმ შემცდარი აზრით უნდა მივადგეთ ამ შრომას, როგორც სკეპტიკებს ნადავ თაფში უძევთ, და არ უნდა დავიწუნოთ ეს შრომა მართლ იმ საფუძვლით, რომ ის უნაკლულევიანო არ არის, არც იმგვართ უნდა მოვეპყროთ იმას, როგორც კაცი ბავშვის პირველ ნაბიჯის გადგმას, ან პირველი სიტყვის გამოთქმას აფასებს, და არ უნდა გვქონდეს ის დაფარული აზრი, რომ «თქვენგან ბავშვებიდან ესეც კარგიაო, არც ამას მოველოდითო». ჩვენი აზრით, როგორც ჩვენი მადლობა შესრულებული შრომისთვის, ისე

ჩვენს იმედი მომავალი საქმისთვის იმით უნდა გამოითქმოდეს, რომ ჩვენ ნამდვილ გულწრფელობით დავაფასოთ ეს ნაწარმოები და მოვეყრატო «ქართველ ქალებს» როგორც ტრალიტოლს, კიცურად, პირუთნელათ და გულგამლილათ. ჩვენ იმათ როდი უნდა ვაკადროთ არც ბავშური თავზე ხელის დასმა, არც ყმაწვილური მალალ-ქალოიანობა. ერთი სიტყვით ჩვენ მწერლობას მართლ პირდაპირი და სინდისიანი სჯით შეუძლია ნამდვილი მადლის გარდახდა ჩვენი სოზოგადოების მხრით. აი ეს უნდა გვეჩინდეს ჩვენ ხახეში, თუ «ქართველი ქალების» შრომს დაფასება ვესურს.

ნათქვამიდან, გვეგონია, საკმაოდ სჩანს, რომ რაც ამ შრომის მიზანს და მიმართულებას შეეხება, მისი დაწყება და სისრულეში მოყვანა ყოვლად-საქები და საამო საქმეა, და როგორიც უნდა ყოფილიყო შრომის ნაყოფი, მისი დაწყებაც კეთილი და სასარგებლო საქმე იქნებოდა, თუიარა ნაყოფზე სჯა კისულ სხვა საქმეა. ნაყოფის დაფასებისთვის ჩვენ სულ სხვა ზომა

და მოთხოვნებილებზე გეჭირდება. და თუ მართლა გესურს, რომ ამდენი ქალების შემდეგ ურომამ ამოდ არ ჩაიბრუნოს, და როგორც ამ «ქართველმა ქალებმა», აგრეთვე სხვებმა მათმა მიმბაძვეებმა (თუ ღმერთმა ქნა და იმათ მიმბაძვეებიც გამოუჩინდნ) სრული ის სარგებლობა მოიტანონ, რომლისთვისაც ისინი ურომობენ, ან იშრომეს, ჩვენ აქვე გარკვევით უნდა გამოვთქვათ, თუ რა აკლია ჩვენ წინ მდებარე ურომას და რა უნდა იქონიონ სახეში მშრომელებმა შემდეგი მუშაობის დროს.

ჩვენ ამ საგანზე საუბარო იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ «ქართველ ქალებს» ძლიერ საფუძვლიანათ დაუნახავთ ყოველივე ამგვარი ურომის უმთავრესი მიზანი, — მკითხველი საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა. მართლაც, როგორც მთელ მწიგნობრობას, ისე იმ მის ნაწილს, რომელსაც საამო საკითხავი წიგნები შეადგენენ, მიუცილებლათ ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზოგადოებან სარგებლობა მოუტანოს, ხალხის სიკეთე ეძიოს და ღონისდა-

გვართ დაეხმაროს საზოგადოების გონების გახსნას და მდგომარეობის გაუმჯობესობას. ეს დედა აზრი მუდამ ზომით უნდა ჰქონდეს მწერალს და მთარგმნელს, როცა ის მწერლობის ნაყოფს სჯის ან არჩევს. მაშასადამე, ჩვენ «ქართველ ქალებსაც» ხელში ეს ზომა უნდა ჰქონოდეთ, გადმოსათარგმნელი თხზულებების ამორჩევის დროს.

ენახოთ ეხლა, რამდენათ ეთანხმება ამ ზომას გადმოსათარგმნელი თხზულებები, და რამდენათ შესაძლებელია, ეხლანდელ ჩვენ მდგომარეობაში, ამ ზომის ხეირიანი ხმარება და გამოყენება.

ამ კითხვის გასასინჯველათ, ხომ, კაცმა თავდაპირველათ ის უნდა განიხილოს, თუ ვისგან და რისგან შესდგება ის საზოგადოება, რომლის სარგებლობას ეძებს მწერალი, რა მოთხოვნილება აქვს მის გონებას და ხასიათს, რა საჭიროება გაუჩენია მის მდგომარეობას. ამ აზრით ერთი თვალი რომ გადავაფლოთ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ დავინახავთ, რომ ის შემდგარია — უმეტეს ნაწილათ, რასაკვირველია — სრულიად უსწავლელ

და გონება გაუსხნელ პირებიდგან. გონიერებით და ნიჭით ეს პირები იქნება სხვა ქვეყნის მცხოვრებლებს უკან არ ჩამოუარდენ, და ზოგს შეიძლება კიდევ აჯობონ; მაგრამ შეძენილი სწავლით, ტვინის გაწაფვით, ფიქრში გაჩვევით და გამოცდილებით ისინი ყოველ ცოტაოდნათ განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებზე უკან დგანან. ჩვენ გვაკლია არა თუ მარტო ის სწავლა, რომელსაც შკოლებში და მასწავლებლებისგან იძენს კაცი, ჩვენ გვაკლია თვითონ ჩვენი ცხოვრების ცოდნა, ის ცოდნა, რომელიც თვალს უხელს კაცს და აჩვევს ცხოვრების მოვლინების გაგებას, კაცის ხასიათის დაფასებას და ზეირიანათ მოპყრობას! მახლობლებთან და თანამემამულეებთან. ამ ორ ძვირფას ცოდნას გარდა ჩვენ მესამე, ყველაზე უფრო მძიე ნაკლებეფანება გვაქვს: ჩვენ სრულიად არ გვისწავლია სიყმაწვილიდამ ჩვენი საკუთარი ხასიათის გაწრთენა, ნიადაგ კარგის ავისაგან გაცალკეება, ჯვის ძულვა და კეთილისადმი მიმართვა, ერთი სიტყვით ჩვენი ზნეობითი, მოქალაქებო

რიგე მხარე თითქო არ არსებობს, არ აყვავებულა. ამ მიზეზების გამო ჩვენ ცხოვრობთ უმიზნოთ. უაზროთ, პირდაღებულები, სხვისი იმედით და ქკუით. ჩვენ არ ვეცით შრომა, ამიტომ რომ სწავლა არა გვაქვს, არ ვიცით ხეირიანი, კაცობრივი გაწყობილების გამართვაო მძებლობლებთან, ამიტომ რომ ცხოვრებას არ ვიცნობთ, არ ვიცით თავის დაცვა და პატროსნათ ცხოვრება, ამიტომ რომ ზნეობით რეგვენები ვართ. ყოველი ცხოვრების მოვლენა უელვასაგით გაჰკრავს ჩვენ თვალ წინ, ერთე წამს გაგვანათებს და მაშინვე ჰქრება, ჩვენ გან გაუგებარი, დაუფასებელი, აუსხნელი. რაც უნდა მოხდეს ქვეყანაზე რაც უნდა დაემართოს ჩვენს მახლობელს, რა სისაძაგლეშია რაც უნდა ჩავარდეთ ჩვენ თითონ, — ჩვენ ამას ვერ ვიტყობთ და ვერ ვგრძნობთ და ამ უხეირო მდგომარეობაში, ჩვენი ცხოვრება გადის უმიზნო ხეტებაში, თითქო ბრძების სიარული იყოს: ვეტაკვებით ჩვენ ურთმანეთს, ერთი მეორეს შუბლსა და გულ-მკერდს ვამტყრევთ, ერთი მეორეს ვთელავთ და ვტანჯავთ.

უმიზნოთ, უმიზნოთ, უნაყოფოთ, მაშინ, როდესაც რამე რომ ვიცოდეთ და გონება, გახსნილი რომ ვიყოთ, ჩვენ არც ამოდენა ტანჯვლა არც ამოდენა ჩეუება და გვეჭირდებოდნათ და ჯერ უჭებდნენ გაწყობილებით გასამართლებათ და კაცობრივი სწავლებით დასათქვამობლან.

იოანე მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებას რა გინდ მდამჯდარათ და სწავლებლიანათ უქადაგოს კაცმა, რა გინდ ბრძნული ტრაქტატები და წიგნები უბეჭდოს, იმის გულის და ტვინის გზას მაინც ვერ სიბოვას. მისი ტვინი ურჩმას ჯერ არღ შეჩვევია, რომ ნაწერის აზრს სდიოს, აზრის დამტკიცებები კრიალოპნის მარკულებივით ერთი მეთოფზე ჩათვალოს და ჩაამწკრიოს. მისი ტვინი ამისთანა მძიმე საკვებას ვერ მოინელებს, იმის მსუბუქი, სდვილი რამ სჭირია, ისეთი რამ, რომ მისდა უნდომლათ გვართოს, მისდა უნებურათ მადაზე მოიყვანოს და სთან მის ტვინში კვალი დასტოვოს.

რაკი ჩვენ ვიცნობთ იმ საზოგადოებას, რომლისთვის ურომოდენ „ქართული ქალები,“ ჩვენ

ადვილათ შეგვიძლია მივხედეთ, რომ ამ საზოგადოების სიკეთისთვის საჭირო იყო ისეთი თხზულებების გამორჩევა, რომელთაც თავიანთი გარეგანი შნოთი და სიხალისით ჩვენი ზნეტი მკითხველების მადაზე მოყვანა შესძლებოდათ, და თავიანთი შინაგანი ღირსებით, შინაარსით და მიზნით ამ მკითხველების ტვინში ხეირიანი კვალი დაეჩნიათ. დაუმატოთ ამას, რომ «ხეირიან კვალათ» აქ ჩვენ ის უნდა მიგვაჩნდეს, რაც მკითხველს სასარგებლო ცოდნას აძლევს, რაც იმას კაცურ ცხოვრებას აჩვევს, რაც იმაში პატიოსან ხასიათს ზღის, და ჩვენ გვარიანათ გვეცოდინება, თუ რაიანი თხზულებები სჭირია ჩვენ საზოგადოებას და რა შეეფერება მის ეხლანდელ გონების და ხასიათის გარემოებას.

ჩვენდა სამწუხაროთ, «ქართველი ქალების» შრომა ამ მოთხოვნილებას და საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს. ის იწყება, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგოს თხზულებიდან «პარიჟელი ბიჭი» ვინც ამ ნათარგმნს გარეგან მხარეს დააკვირდება, ის, რასაკვირველია, იტყვის, რომ ეს ნაწყვეტი ხე-

ორიანათ ვრის ნათარგმნი, მით უფრო, რომ ვიქტორ ჰიუგო ნიღაღ ახორებული ენით სწერს თავის თხზულებებს, ისეთი ენით და ისეთნაირათ, რომ მისი თარგმნა სწორეთ გაჭირვებაა. მაგრამ რაკი თხზულების შინაგან ღირსებას მოიხსენებს კაცო, და განსაკუთრებით იმ ზომას მოიგონებს, რომელიც, — როგორც წელან ნათქვამი იყო, — ჩვენებურ მწერალს და მთარგმნელს თვალწინ უნდა ჰქონდეს, მაშინ სულ სხვა სჯა იბადება თავში. ეს ნაწყვეტი მართალია, ჩინებული რამ არის, და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში «საბრალონი» მარგალიტივით ბრწყინავს. მაგრამ ჩვენ მწერლობაში რა ღირსებამ გაუკვალა გზა ამ ნაწყვეტს? რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის? რომელი მხრით აკმაყოფილებს ის იმ მოთხოვნებს, რომელზედაც წინეთ გვექონდა ლაპარაკი? ასწავლის რასმე მკითხველს? აცნობებს ცხოვრების და სადამიანის თვასებას? უკეთილშობილებს ხასიათს, უღვიძებს დაკვირვებას, უსხნის გონებას? არა, ვერც ერთს ამათგანს ვერ ვხე-

დაეთიხმის: ის მხოლოდ რიგიანათ დახატული სურათია იმ ახრებული და საკვარელი ქმნილებების, რომელსაც პარიჟელ გამენრას ეძახიან, და მხოლოდ მისი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამენების ხასიათს გაცნობებს არა გვერნია, რომ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას მიუცვილებლათ და დაუყოვნებლივ სჭიროს და ამ გამენების გაცნობა, მაგრამ, თუ მაინც და მაინც ასე საჭირო ყოფილა ეს გაცნობა განივიქტორიჭტუგოს ნაწყვეტზე უკეთესი, რამ ვერ გამოჩნჩე კლან ფრანსუზულ მწერლობაში? ვიქტორიჭტუგოს თხზულების ნაწყვეტი, ვიმეორებთ, გვარჩინათ არის დაწერილი; მაგრამ ასჯერ უკეთესია, ამ გამენებს ხასიათის გასაცნობათ, ანტი მონიეს სურათები, ან ზოგიერთი «ლეგენდები» გავარჩინას, ხელოვნური გაგონჩრხეთ, შთაბეჭდილების ძალით, ცხოვრების ნამდვილი და შეუფერავი გამოხატებით ვიქტორიჭტუგო, ამ საგანში მაინც, ვერ შეედრება ამ მწერალს და მხატვარს. მათ რატომ მონიეს თხზულება არ გადმოთარგმნეს «ქართულში» ქალებ-

მათ და ზედ გავარნის წარწერაები წარ დახმა
ტყის თუ მაინცა და მაინც ჩვენი საზოგადოების
თვის პარიჟელი გამენის ჩვენება სურდათ? ინტელ

ესეც არ უნდა დაგვიწყობ, რომ პარიჟში
და უცხო ქვეყნებში გამენებს გარდა, სხვაც
ბევრივრამ უცხო და შესანიშნავა, მაგრამ ყვე-
ლაფრის ჩვენება კი არაა საჭირო ჩვენი საზო-
გადოებისთვის, ჯერ-ჯერობით მაინც გაცნო-
ბაცა უმიზნო და უსჯრგებლო როდეს უნდა იყოს,
თუ გე უჩს, რომ ჩვენი შრომა ნაყოფიერი და
მომავლიანი იქნეს (გასაცნობათ) ჩვენ ისეთი სა-
გნები უნდა მოვუარჩიოთ, რომელთაც რამე ნამ-
დვილი პრაქტიკული და კეთილი მნიშვნელო-
ბა ქვეთ ჩვენებური საზოგადოებისთვის. ეს სა-
ზოგადოება არც ფსიხოლოგია და არც ფსიხო-
ლოგია, რომ მისთვის საჭირო იყოს პარიჟელი
გამენის ტვიჩის, ხასიათის და ხორებულო ჩვე-
ულებების გამოკვლევა, ვერც ტვიჩის ძალით,
ვერც ნიადგი ერთი მაზნის სდევნით, ვერც
ხასიათის უმანკობით ეს გამენი ჩვენ მკით-
ხველს მაგალითად ვერც გამოადგება და ამ

გრძელ ნაწყვეტის წაკითხვას მის ტენზე ისეთი გავლენა ექნება, როგორც ჩვეულებრივ თუთიყუშის ან მაიმუნების ჩვენებას აქვს ყმაწვილებზე და მოახლეებზე:

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და ქაჯი, იფიქრებს ჩვენებური მკითხველი, როგორც ფიქრობს თუთიყუშის მნახველი, სოფლები რაები არ მოიპოება ამ დედ მიწაზე, რა ფერად ფერადი და უცნაური ცხოველები ყოფილან დაილოცა ღმერთო შენი სახსენებელი!...

ვიმეორებთ, არც პარიჯის გამენის გაცნობა სრულიად უსარგებლო რამ, მაგრამ რა ღირსება აქვს ამ ნაწყვეტს ისეთი რომლის მიხედვით ეს ნაწყვეტი აურჩევიათ ქართულ ქალებს, როცა ათბ და თუთხმეტი უკეთესი სურათების მოძებნა შეეძლოთ იმავე საგნის გამოსახატავათ? თუნდ ავიღოთ იმავე ვიქტორ ჰიუგოს მცირედი სურათი, რომე ღშიაც იგივე პარიჯელი გამენი იხატება, და ვნახოთ ღირდა მთელი ოცდა თოთხმეტი გვერდის მოცდენა ამ საგნის გამოსახატავათ? იმავე სურათს უფრო აზრიანათ და ცხოვე-

ლათ ჰხატავს იგივე ვიქტორ ჰიუგო მართლ-
ორ გვერდზე: *)

«უწმინდური სისხლით შესვრილს და წმინდა სის-
ხლით გაბანილს ქეებს შუა, ბარკადასუ, ვაუკაცებს
გვერდით თანხმეტი წლის ემაწილი დაიჭირებს.
— მენც ამათთაგანი ხარ, შენა? ბავშვი ეუბნება «გასა-
ვართო.» — ძამ კარგი, უთხრა აფიცრმა, მენც ეს-
ლავ დაგსვრეტენ, შენი რიგიც მოვაო. ბავშვის თვალ-
წინ უელავს თათვის ტეტსლი და ეველა მისი ამხანა-
გები კედლის ძირში ჰკედებიან. ის ჰკითხავს
აფიცრს «ნებას მომცემთ, აი ეს ხანთი შინ დედა-
ჩემს წაუღლო?» — გაქცევა «გინდა? ისევ დაკბრუნ-
დები.» — ამ მაწანწალებს შიში გადგომიათ! სად
დგახარ? «აქვე, შადრევანთან. მე დაკბრუნდები, უფ. ვაში-
ტანო.» — წადი, სუელლო. ბავშვი მიდის. — რა მოიც-
რუვაო, იტინოდენ სალდათები თავიანთი აფიცრით,
და მომაკვდავების ხროტინი ამ სიტყვს ბანს ამლეკ-

*) ეს ლექსი გადმოღებულია ვიქტორ ჰიუგოს
წიგნიდან «საშინელი წელიწადი.» იმაში აწერილია ჰა-
რის კომმუნის დატყობის სცენა.

და მკრამ სიცილი ძალე შექსწედა, რდგანაც შიშ-
მკრთალი ბავსი უეცრათ დაბრუნდა, კედელს ამაყათ
მიეუღა და თქვა: «აი, მოველთ.»

ესუფგულა ხავედილს შერცხვა, და ჭფიტეშბ
ბავსებს ამატია.

«ჭაბუკო, ამ საშინელი ქაჩიშხალის დროს, რამე-
ლიც ქქრის და ერთმანეთში ურქვს ვეკლავებს, აკის
და კარგს, გშირსა და გვსავს, მარ ვიცი რამ გავთის
შენ ამ ბრძოლაში, მაგრამ იმას ვი ვამბობ, რომ შე-
ნი მარტივი სული წაწინებული სულსა გეთილად
და მამაცა, უფსკრულის სიწმუდით შეს, რა საბოც
ადგამ: ერთს დედისკენ, მეორეს სიკვდილისკენ. უძა-
წვილს გულისსიწმინდე აქვს, და კაცს — სისინულა
მაგრამ შენ ჰასუსი არ მოგეთხოვება იმამი, რაც
სსკის წყალბით მოიქმედე. დიდებულთა ის უძაწვილი,
რომელმაც გაქტეკას, სიცოცხლეს, განთიადს, თა-
მაშს და გასაფსუფს ბნელი კედელი ამჯობინა, სა-
დაც დაეცენ მისი ამსანაკები.»

ეს აღვრილი ჩვენ უფრო იმისთვის ვთარგმნეთ,
რომ გვეჩვენებინა, თუ რა აღვილია რამდენიმე
ბეზღზე გამოხატული სურათი უფროც ცხვე-

ღი და აზრიანი მოძებნოს კაცმა იმავე გამენი-
 სა, რომელიც აწერილია «პარიჟელ ბიჭში.» და
 ეს ორიოდვე გვერდი, ვკონებთ, სრულიად სა-
 კმაოა პარიჟელი გამენის გასაცნობლათ ჩვენი
 საზოგადოებისთვის... მაშ როგორ არ იწუხოს
 კაცმა, რომ ის ხეირიანი შრომა, რომელიც
 «პარიჟელი ბიჭის» თარგმანზე მოუწოდომებიათ,
 უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩვენ
 მკითხველ საზოგადოებას, სხვა რამე უფრო აზ-
 რიანი და გავლენის მექონი თხზულება რომადმო-
 ელოთ. როგორ არ ისურვოს კაცმა, რომ შემე-
 დეგში ამნაირ შრომისა და ცდის ფანტეას აღარ
 მოვესწროთ?

სწორეთ ამნაირივე სჯა უნდა გამოიჩქვას
 «ნათანიელ როსსელის უკანასკნელ დღეებზე.»
 ამ ახალკაზდა კაცის შედი, რასაკვირველია, მე-
 ტის მეტათ შესაბრალისი და გულის დამწვე-
 ლია, მაგრამ რაგინდ შესანიშნავი ყოფილიყოს
 მასი სამხედრო ნიჭი, რაგინდ უმანკო და თავ-
 გაწირული ყოფილიყოს მისი ხასიათი, რაგინდ
 საქები ყოფილიყოს მისი ყოფიქცევა მეტის და

ცემის დროს და მისატყევებელი—პარიჭის აჯანყებაში, ყოველი გონიერი კაცო იტყვის, რომ მისი უკანასკნელი დღიური ისეთს არასფერს წარმოადგენს, რომ სრული თარგმნის ღირსი იყოს. მართალია, ამ დღიურში დიდი ტანჯვა სჩანს და მწვაფი გულის წაღილი, ისე რომ გულ-კეთილი კაცო და განსაკუთრებით გულ-ჩვილი ქალი ორთოდ ცრემლს ჩაყლაპავს მისს კითხვის დროს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი შთაბეჭდილება როდღე რჩება მისს მკითხველს, ამის მიზეზის არის, რომ იმ ბოლოს, რომელიც როსსეოს შიადგა, და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ის ჩააყენა სიკვდილით დასჯამ, სულ სხვანაირი კილო, სხვა წერა, სხვა გრძნობა შემეფერებოდა. მკითხველი ელის გაიგონოს მხნე, მამაცი რომელსაც უხმის, რომ მისი საქმის სიწმინდე, მომავალი და სარგებლობა ითხოვს მისგან მარჯვეთ მოკედომას, რომელიც დამძვიდებულათ ელის სიკვდილს, და ამტერს არც თავისი მწუხარების გამოთქმით, არც თხოვნით, არც თავის დამდაბლებით გულს არ უხარებს, და

რომელიც თითქმის სიხარულით გრძნობს, როგმ თავისი სიკვდილით და სისხლით ათასჯერ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს თავის საქმეს, ვინემ მთელი ასი წლის სიცოცხლით; და ამგვარი პირის მაგიერათ მკითხველს ხელში რჩება ახალგაზდა კაცი, რომელიც ვერ ჰუარავს რომ სიცოცხლე უყვარს და ცხოვრება უნდა, და რომელიც მთასა და ბარს ედება გადარჩენასთვის, სწუხს, თითქმის სტირის და მტერსა და მოკვარეს ატყობინებს, რომ სიკვდილის ლოდინით იტანჯება არა, ასე არ იქცევა გმირო, და გმირის ხასიათის მაგიერათ საბრალო ახალგაზდა კაცის ხასიათი გამოსჭვრეტს როსსელის დღიურიდამ.

ჩვენ უფრო იმ აზრით ვამბობთ ამ მწარე სიყვეებს როსსელზე, რომ ეს მეორეჯერ იბეჭდება ქართულათ მისი დღიური, და ეს მოასწავებს, რომ მთარგმნელებს ის ალბათ მართლად გმირათ მიაჩნიათ. «დროებაში» რომ დაიბეჭდა როსსელის დღიური, ამის წინააღმდეგს ვერავენ ვერას იტყოდან, რადგანც იმდროს როსსელზე

შკითხვებების ყურადღება იყო მიქცეული და გაზეთში ყოველგვარ ცნობას იმაზე ადგილი უნდა მისცემოდა. მაგრამ ხელმეორეთ გადმოთარგმნა ამავე დღიურისა ბერე ერთი «საამო საკითხავ» წიგნისთვის სწორეთ შეცთომა და დაუფიქრებლობაა, რომელიც, იმედი გვაქვს, სხვა დროს აღარ გამეორდება.

«ჟულ ტარროზედ» ითქმის, რომ ეს ისეთი მოთხრობაა, რომელსაც ჟურნალებში «ბალლასტს» ეძახიან, და რომელსაც საზოგადოთ იმისთვის ბეჭედენ, რომ ჟურნალის დანაკლისი თაბახები შეავსონ. დიდი მნიშვნელობა იმას არა აქვს რა, და არც მისი დამწერის ნიქია დიდი რამ. ამისთანა მოთხრობებს ასობით და ათასობით შეხედება კაცი უცხო ქვეყნების მწერლობაში. მაგრამ, ჩვენი აზრით, შიგ მაინც ორიოდ-სამი სურათია ისეთი, რომ მათი წაკითვა სასიამოვნო და სასარგებლოც უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის. ყველაზე უფრო მოგვეწონა ის ადგილი, სადაც გამოხატულია ტუსკრეტენის ქალაქის საზოგადოება, მისი უფრო-

სები და გამგებლები, ტარროს მოსვლა და ის მოძრაობა, რომელიც მისმა აზრებმა ქალაქში მოახდინა, ლაპარაკი მის სტატიებზე და სხ. ტუსქრეტენის სახელის მაგიერათ ზოგიერთი სხვა უფრო ახლობელი ქალაქის სახელი რომ ებეჭდოს, კაცს ეგონება, რომ ახლობელი მოთხოვნააო და საფრანგეთში კი არა, უფრო ახლოა დაწერილიო. დანარჩენი უფრო სუსტია, და ათასჯერ უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ თხზულების ადგილზე რამე ისეთი თხზულების თარგმანი დაბეჭდილიყოს, რომელსაც ხანგრძლივი მნიშვნელობა და ძლიერი შთაბეჭდილება მოსდევს.

უფრო შესანიშნავია, «ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნეში.» ამ თარგმანს ის ღირსება ექნება, რომ აჩვენებს—ვისაც დანახვა ჰსურს და შეუძლია—თუ როგორ სცხოვრებენ სხვა ქვეყნის ქალები, რა ძალა და შრომა უხმარიათ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და როგორი გზით უვლიათ ამ ძნელ და საამო გზაზე...

საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის, უფრო ხშირათ რომ ითარგმნებოდეს იმისთანა თხზულებანი, რომელნიც ან ხასიათის გაუმჯობესებაში გამოადგება ჩვენ საზოგადოებას, ან ურგო ჩვეულებების მიტოვებისათვის, ახალი, კაცობრივი წესის შექმნებისთვის, ანა და გაუხსნიან იმას გონებას და აჩვენენ უკეთესის სურვილს, სიბოროტას ძულაოს, და ამ რაგათ ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა დაამზადებენ ჩვენი ხალხისთვის უკეთეს მომავალს.

ამ მიზნისთვის, რასაკვირველია, «ქართველმა ქალუბმა» მუდველ რებაში ისიც უნდა იქონიონ, რომ არამთუ მარტო მოთხრობები და რომანები, მოგზაურობები, ისტორიული სურათებიც და ეტნოგრაფიული შენიშვნებიც დიდძალ მკითხველს იზიფენ და არც ის იქნება კარგი ამკვარი სწორეთ «საამო და სასარგებლო თხზულებები რომ დაგვაფიწყოს კაცმა იმისთანა სტატიებისთვის, როგორც «პარიჟის ბიჭი» სიბო-

სელოს დღიური,» და თუნდ «ქულტაროც.» შეგვიძლია დავარწმუნოთ «ქართული ქალები» რომ მკითხველები ამ თხზულებებს ეხლანდელ «თარგმნების» წიგნზე ნაკლებათ არ მიიღებენ ხეირიან ისტორიულ წიგნს, ან მოგზაურობას...

მინამ «თარგმნისთვის» თავი არ დაგინებებია, ორიოდ სიტყვა ვთქვათ მის წინასიტყვაობაზე. საზოგადოთ წინასიტყვაობაში საქმის ან წიგნის დედა-აზრს გამოთქვამენ ხოლმე, და ამ მხრით, «თარგმანების» წინასიტყვაობა ძლიერ მოგვეწონა, მით უფრო, რომ საფუძვლათ იმას ორნ ძლიერ ხეირიანი პრინციპი უძევს. სურათების სინამდვილე ცხოვრებაათან და საზოგადოლის მოტანა საზოგადოებისთვის. ჩვენ და საწინაარაოთ მიგაც სჩანს ცოტადენი შეკლავა უფრო წვირლმან აზრებში, მაგრამ დიდი არაფერია, მაგალითად ისა ვითომ უწინდელ მწერლობაში სულ სიყვარულზე და ამისთანა რამე-რამეზე სწერდნენ, და ახლა კი სულ რეალურ თხზულებებს სწერენ, თითქო უწინ გოტე და ლესინგი, მოლირი და ათასი სხვა მწერლები არ

ყოფილიყვნენ; და ვითომ, კიდევ, ეხლა კი არ იყვნენ ათასობით პოლ-დე-კოკები, ბორნები და ემსები, როგორც ისტორიაში, ისე აქაც ძველ მწერლებში ძლიერ ბევრ მასალას იპოვიან «ქართველი ქალები» მეორე წიგნის გამოსვლისთვის. მაშინ იმედია, მათი გამოცემა ასცილდება იმ ნაკლულევეანებებს, რომელიც ხშირათ პირველს ნაბიჯს და ცდას არ სცილდება.

აქვე ადგილი უნდა მივცეთ მეორე შენიშვნასაც ამავე წინასიტყვაობაზე. «ქართველი ქალები,» როგორც ქალურ თავშეუკავებულობას შეეფერება, ძლიერ მკაცრათ ჰკიცხვენ იმ მწერლების თხზულებებს, რომელნიც, მათი სიტყვით, «სწერდნენ მხოლოდ სიყვარულზე, შეყვარებულების კვნესა-ოხვრაზე, ამკობდნენ ბუნების სიმშვენსიერეს და დამღეროდნენ ბუღბუღლსა და ვარდის ტრფობას.» ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის, რომ ამ სიტყვებით «ქართველს ქალებს» მართლა საკიცხავი და საძრახი მწერლობა აქვთ სახეში, მაგრამ, იმათთვის იქნება უსარგებლო არ იყოს, დაუმატოთ, რომ ყველა თხზულება

«სიყვარულზე» და სხ. ასე აღვიღათ გასაკიცხავი და უკუმისაგდები როდია. თუმცა ათასს და იქნება მეტ თხზულებას სიყვარულზე მკითხველებისთვის ენების მეტი არა მოუტანიათ. რა, მაგრამ ასი და იქნება ხუთასი თხზულებაც მოიძებნებოდეს ამავე საგანზე ისეთი, რომელთაც ნამდვილი და დაუფიქარი სარგებლობა მოუტანიათ მკითხველების და მთელი კაცობრიობისთვის, თუ კაცს თავისი ველური მდგომარეობა მიუტოვებია და ცოტაოდნათ მაინც აუღლაგმავს თავისი მხეცური ინსტინქტები, თუ დღეს ქალს საზოგადოებაში მცირეოდენი ხმა და პატივისცემა აქვს, და უწინდელივით მართო ველური დაკმაყოფილების ჭურჭელი აღარ არის, ამის მიზეზი—ეს «ქართველ ქალებს» არ უნდა ავიწყდებოდეს—ის რომანები და თხზულებებია, რომელთაც საგნათ «სიყვარული» და ოხვრა—კენესა ჰქონდათ. თითქმის მთელი ოჯახობის წესი, ცოლ ქრობის ურთიერთი დამოკიდებულება, ბავშვის ბედი, საზოგადოებრივი ყოფა-ქცევა შეუცვლია და შეუქმნია ამ რო-

მანებსა. და, ჩვენი აზრით, ძლიერ დიდი სარგებლობა იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისთვის, ზოგიერთი ამ რომანების გადმოთარგმნისაგან, მით უფრო, რომ ჩვენში ცოლისა და ქალის მდგომარეობს ოჯახში, ყმაწვილების დამოკიდებულება, საზოგადოების ხასიათი და ჩვეულებები თითქმის იმავე მდგომარეობაშია დღეს, როგორშიაც იყო უცხო ქვეყნებსა საზოგადოებათა რომანების გაქრცელებამდის. ვიმეორებთ, ძლიერ კარგს იზმიან ჩვენი «ქართველი ქალები» ორიოდუ რომანი, ან მოთხუობა რომ გადმობეჭდონ, მაგალითად, ჟორჟსანდის თხზულებიდან, თუმც უმჯობესს და გავლენიან მის ნაწერებში ამხლოლდ სოკარულსკ, მკუკაეებელ კვენესა ოხკრაზე და სხვა არის ლაპარაკი იმასაც ჩუ დაივწყებენ «ქართველი ქალები», რომ ამ თხზულებებს (ჩვენ აქ, რასაკვირველია, ყველსზე კი არა, უკეთესებზე - გლაპარაკობთ), იმ მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ კაცის გულის და ხასიათს აკეთილშობილებენ სხვის მდგომარეობაში და გულში ჩახედვას.

სხვის შებრალებას და დახმარებას, აჩენენ საზოგადოებას და კაცობას და ქალის ხასიათს, გულს და მოაზრებას. მაგრამ აქ აღვილი არა აქვს ამ საგანზე ვრცლათ ლაპარაკს. ჩვენ ორიოდ სიტყვა ამაზე მარტო მისთვის ვთქვით, რომ შევნიშნეთ ნათარგმნი სტატიების ხასიათში, თითქო «ქართული ქალები» თაკილობდნენ ზემოხსენებული თხზულებების თარგმნას და ამის გამო საჭიროთ დაენახეთ ამ აზრებსზე მათი ყურადღების მიქცევა.

ვათავებთ უმდაბლესი თხოვნით, რომ შემდეგ მეორე წიგნს მიეცეს უფრო ცხოველი, სასარგებლო და მკვიდრი მნიშვნელობა, ისე რომ წიგნი ისეთი რევეულების კრებას აღარ ჰგავდეს, რომელსაც აუკინძავსთ უთავბოლოთ და უანგარიშოთ და რომელსაც სიზმრათაც არ მოჩვენებია მტკიცე მიმართულების და გამოკვლეული მიზნის ხასიათი და სული.

«ქართველ ქალების» შრომაზე ჩვენ მეგობრულათ და სიამაღენებით ვიბაძვით და გულ-

წრფელათ გამოეტქვით ჩვენი შენიშვნები და ახრი. მართალიც რომ ეთქვათ, ჩვენ ნამეტნათ სასტიკთაც მოვეპყარით იმათ წიგნს, ამიტომ რომ ვიცით, თვითონ იმათი და მათი მიმბაძველების შრომიდან შემდეგში შეიძლება ხეირიანი სარგებლობა გამოვიდეს და მაშასადამე საჭიროა მათი პირველი შრომის გულ-და-გულათ განხილვა. «მნათობი» კი სხვაა. იმას სულ სხვანაირათ უნდა მოვექცეთ: ამ რედაქციის შრომისგან ჩვენ არაფერს აღარ მოველოთ; ის წიგნები, რომელიც დღეს უნდა დავაფასოთ, რედაქციის პირმო ნაყოფი კი არა, გვეგონია, უკანასკნელიც არიან; რედაქციის და მისი თანამშრომლების ნიჭი და ძალა დიდი ხანია გამოაშკარავებულია, ერთი სიტყვით—ჩვენ ვიცნობთ მის საბრალოდ წარსულს და არ გეწამს მისი მომავალი. მაშასადამე ჩვენ ამ ჟურნალს მოვეპყრობით სრულიად გულგრილად, როგორც გარეშე საგანს, და იმის დაფასების დროს ახრათაც არ გვექნება, რომ ჩვენ სიტყვებს ან მისთვის ან მისი მწერლებისთვის სარგებლობის

მოტანა შეეძლოთ. ჩვენ თვალში მხოლოდ ერთი მიზანი და ერთი სარგებლობა გვექნება: ვაჩვენოთ მკითხველს და განსაკუთრებით ახალგაზღვრებს, თუ რა ვნება შეუძლია და რა შედეგი მოსდევს მწერლობაში იმისთანა საქმის თაოსნობას, რომლისთვისაც კაცი დამზადებული არ არის და რომლის ასასრულებლათ იმას საკმაო გონება და ძალა არა აქვს.

«მნათობის» მერვე და მეცხრე წიგნში მარტო ორი ორიგინალური სტატიაა დაბეჭდილი: «ათი მტერს და ერთი მეგობარს» უფ. ანტონ ფურცელაძისა და «მიმოხილვა» უფ. ჯანაშვილისა. დანარჩენი წიგნი სულ ნათარგმნებისაგან არის შემდგარი. გადმოთარგმნილია შილოერის «ფიესკოს შემთქმულება» (ნათ. ნ. ავალიშვილისაგან), ბაირონის «დონ-ჟუანი» (ნათ. ი. ბაქრაძისა), და ლევალის «ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ» (ნათ. ეკ. ღვინიაშვილისაგან). ლექსებიდან ორი—ორიგინალურია და ერთი ნათარგმნი.

აქედგან იმას ნურავინ გამოიყვანს, ვითომ

ჩვენ ვიწუნებდეთ თარგმნების სიმრავლეს. არა, უხეირო ორიგინალურ სტატიას არათუ ხეირიანი, უხეირო ნათარგმნიც გვირჩევნია, თუკი თარგმნის ღირსი თხზულება გადმოუღლიათ. მაგრამ, თუშც უხეირო თარგმანი «მნათობის» მწერლების უხეირო თხზულებებს გვირჩევნია, აქედამ არც ის უნდა იფიქროს ვინმე, ვითომ «მნათობის» ნათარგმნები რათმე ღირდენ. ჩვენ ღიღი ხანია შეგვინიშნავს, რომ «მნათობის» რედაქციას და მწერლებს ერთი შეტის შეტათ ახირებული თვისება სჭირთ: ისინი ნიადაგ თითქოს საგანგებოთ ისეთ საქმეს და ისეთ თხზულებებს ეპოტინებიან, რომ არათუ მორევბ, გაგებაც კი გაუჭირდებათ. ამას-წინეთ ისინი თავს ინტერვიუდენ ორიგინალური სტატიების წერაში ისეთ საგნებზე, რომ მათ ცოდნას და ნიქს არ შეეფერებოდათ. ამის დამნაზავი ჩვენ ვურჩიეთ იმათ «დროებაში», ამ მძიმე საგნებს და უფრო უმიძმესების წერაში თავი დაანებეთქო და რისიმე თარგმანს შეუდევით, იქნება ეს უფრო მოგიხდესთ და თქვენი მართის შესაფერი იყვესთქო. მისდგო-

მიან, მასაქეთ. ეს ვაჟბატონები შილლერს და ბაირონს და აწიოკებენ უმაღლოთ და უღვთოთ. ეს იმას ჰგავს, უხეირო მსაჯულს რომ უთხრათ, გირჩევნია ხელში ბარი აიღო ქუჩის გასაწმენდ-გასასწორებლათ თქო, და იმან კი მთაწმინდას მიაგდეს და თხრა დაუწყოს, აქაოდა ამ მთას გადაეთხრი და მაშინ თფილისს გაშლილი მდებარეობა ენებაო. დაილოცა ღმერთო შენი განგება. რა მიხვედრას და გამჭრიახობას აძლევ ზოგი ერთს შენს განაჩენს!..

რა ძნელი მოსააზრებელია, თუ ღმერთი გწამთ, რომ რომელიმე მწერლის გადმოსათარგმნელათ თავდაპირველათ იმისი ენის ცოდნაა საჭირო? ვინ არ იცის, თარგმნის ლირსება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება უფრო ახლო და სწორეთ გადმოსცეს მწერლის აზრი, და ამისთვის აუცილებლათ საჭიროა, მთარგმნელი იმოდენათ მაინც გონება გასხნილი და დამზადებული იყოს, რომ ამ აზრის გამოკვლევა და გაგება შეეძლოს? იმას ვინღა დაეძებს, რომ ამას გარდა მთარგმნელი მარტო ისეთ თხზულების გადმო-

თარგმნას ჰკისრულობდეს, რომ შინაარსი, დედა აზრი და გარეგანი ფორმა მის ხასიათს და ტვინის მიმართულებას ეთანხმებოდეს, ისე რომ იმას, თარგმნის დროს, იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუფუდეს ტვინში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა. არც ერთი ამ მოთხოვნილების გაგება არ აქვთ «მნათობის» მთარგმნელებს. ისინი ჩაიგდებენ თუ არა ხელში რუსულათ დამახინჯებულ თხზულებას, მაშინვე თარგმნას დაუწყებენ, და აკვეტიბუნ ამ თარგმანს «მნათობში.» რა გაჭირვებისათვის, რა აზრით? ეს მარტო ღმერთმა იცის. ან ეს რა საკითხავია? რა გაჭირება ადგია იმ კინტოს, «ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელს» რომ სთარგმნის რუსურათ აი ასე: «კუსოკ—კუსოკ ობლაკ ილოთ ოტ ვისოკ ნებუ-უ?»—თარგმნის ეშხის მეტი, სხვა არაფერი. აი, სწორეთ ეს თარგმნის ეშხი ამოქმედებს «მნათობის» მთარგმნელსაც.

რა გაბოდის ამნაირი თარგმნისაგან, ან თუ გინდათ, ამას გვაჩვენებს ჩვენ ორიოდე მაგალითი. ავიღოთ, ვთქვათ, «დონ-ჟუანი» და ვნახოთ,

რანაირათ არის ის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე.

აი ბაირონის «დონ-ჟუანიდამ» პირველი სტროფა მეორე თავისა (ან ხმისა):

Oh ye! who teach the ingenious youth o
nations,

Holland, France, England, Germany or Spain,
I pray ye flog them upon all occasions,
It mends their morals, never mind the pain;
The best of mothers and of educations

In Juan's case were but employd in vain,
Since, in a way that's rather of the oddest, he
Became divested of his native modesty.

ესე იგი: «გაკვდრებით თქვენ, ვინც ზღით სსვა და სსვა ს:ლხების, ღოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ან ესპანიის უმანკო ახალგაზდობას, სტეძეთ ისინი ყოველ შემთხვევაში. ეს მათ ზნეობას მოუხდება, ტკივილზე კი ნურასოდეს ნუ იზრუნებთ. ყველაზე უკეთესი დედის ყოლა და უმჯობესი სწავლის მიღება დონ-ჟუანს არათ გამოადგა: იმან მაინც დაკარგა თავისი უმანკოება და დაკარგა ძლიერ სულელურათ.»

გინდათ ეხლა ნახოთ, რანაირათ არის გად-
მოთარგმნილი ეს ადგილი «მნათობში» აი, რო-
გორ:

«ყველა ქვეყნების შკოლების მასწავლებლები,
რომ ჩვენ ხსენება გავასწოროთ ეძაწვილებისა,
გვიქადაგებენ, რომ ვისმართო მუდამ რაზგები.

ცუმა უნდა... რა არს ტვივალი ტუკისათვისა?

ჩვენ მაგალითად ხელს მ. გიშკერთ დონ-ჟუანსკად:
თუშტა რომ დედა ბეკრს ცდილობდა მის აღსწდასკდა
და იმისათვის არაფერსა არ იძულებდა,

მაგრამ ბოლოს კი უროზგობას ბეკრსა ხანობდა.»

აი, ამას ეძახის «მნათობი» თარგმნას! საწ-
ყალი «მნათობი»!

ადგილი რომ არ გვეშურებოდეს, ადვილათ
შეგვეძლება მკითხელის გართვა «მნათობის»
თარგმანების შედარებით მათ ორიგინალთან.
მაგრამ ეს ერთი მაგალითიც გვეყოფა, მით
უფრო, რომ ის საგანგებოთ მოძებნილი რო-
დია: ჩვენ ავიღეთ პირველი სტროფა დონ-ჟუა-
ნის იმ ნაწილისა, რომელიც ამ უკანასკნელ წიგ-
ნშია დაბეჭდილი, და შევადარეთ ის თავის დე-

ღანს. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა ნაირათ-
ესმისთ «მნათობის» მთარგმნელებს, და იმ რე-
დაქციას, რომელიც ამ მთარგმანებს ბეჭდავს,
დედანის აზრი, ირონია და კილო.

ან სხვა რა უნდა გამოასულიყო ამ მთარგმა-
ნიდამ? ვინ «მნათობი» და ვინ ბაირონის
«დონ-ჟუანი»? ის სამართებელსავეთ მკრელი ირო-
ნია, ის მდულარე გრძნობა და ბრაზიანი სი-
ძულვილი, რომლითაც სავსეა ეს პიემა, დაუჭმუჭ-
უნელად აბა როგორ ჩაიკეცებოდა «მნათობის»
თავში? მაშ რათ უნდა გვიკვირდეს ეს რიგი თარ-
გმნა?

«ფიესკოს შეთქმულობა» — თუ კი ეს შესაძ-
ლებელი საქმე იყო — უფრო უგვაროთაა ვად-
მომთარგმნილი. უფ. ნ. ავალიშვილი ითვლება
ჩვენში კარგ მთარგმნელათ, ჩინებულ მშრომე-
ლათ, — მაგრამ საუბედუროთ იმას ისეთი თხზუ-
ლება აუღია, რომლის გადმომთარგმნას, ბევრი
შრომა და დრო სჭიროდა, ენების ცოდნას
გარდა ამ შემთხვევაში იმის ნათარგმნა სწორეთ,
ხელში აღებათაც არ ღირს, რადგანაც თარგ-

გმანს არათუ დამწერის აზრი დაჰკარგვია, ქართული ენის კილოც ვერ მიუგნია. წააკითხეთ, აბა, ვისაც გასურდეთ აი, ეს ალაგი (მეორე მოქმედების თავი) და გვითხარით, გაიგო თქვენმა მკითხველმა ერთი სიტყვა მაინც, რისი თქმა უნდოდა დამწერს?

— აბა, — არა! დაძვინჯეთ, რომ შექცდარი სართ და ის არის. შუიანობამ კვლავ დაგანახათ რიგინად.

— ლეონოზა — აჰ, აჰ (??) სწორეთ იულიას სურათი იყო შესე კერძოდ დაძვინჯებ არაობას. ჩემი სილუეტი ცისფერ ლენტსედ ება, ის კი ალისფერსედ არას. გადაწვეტილია ჩემი ბედი», და სსვ.

სწორეთ ამ ნირიფა მესამე ნათარგმნი, ბარბეს ლექსი, გადომანახებული უფ. ლომაუ-რისაგან. მაგრამ მიუტევოთ ამათ შეცოდებანი მათე, რადგანაც არ იციან, რას შერებინ, და ვუთხრათ, გამოთხარების დროს, რომ უფ. ბაქრაძეს ტყუილიათ ეს არ გადაუსხვათერებია ბაირონი: ის დაძვინჯეთ უფა, რომ როზგები ძლიერ

კარგი, ჩემ არის და სასარგებლოც «მნათობის»
 მთარგნელებისთვის, თუ სხვათაზე არა, ლექსთა
 წყობისთვის მაინც. ჩვენ კი იმ დონე უნდა
 დედანს უნდა შევადაროთ, რომელიც, როგორც
 გვარწმუნებს უფ. ი. ბაქრაძე «ურაზგასა ბეჭდს
 ხაზობდა.» სანამ «მნათობის» მთარგმნებს თავს
 დაფანტებდეთ, ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ
 ჭანის ლევალიძის «ქალების წინააღმდეგ» და
 სასარგებლოთ. ეს თხზულება, რასაკვირველია,
 ადვილი გადმოსათარგმნელი იყო, რადგანაც
 ის იმ ხელოვნების საუნჯეებს არ ჩამოგავს,
 რომელიც ბიძისთანა გენიოსებს შეუძლებელია,
 როგორც მილოერი და ბაირონი, და რომლის
 გადმოსათარგმნის დროს თავი უნდა ინტერის-
 კაცმა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ წერ-
 ტილზე. ეს თხზულება სულ სხვა ნაირია, უფ-
 რო ადვილი გასაგები და გადმოსაღები, მაგრამ
 რასთვის მისი ის გადმოსათარგმნელი? ნუთუ
 «მნათობს» თავისი საკუთარი საქმე და შეხე-
 დულობა ექვს ნუთუ «მნათობი» არ გრძობს,
 რომ ჩვენში ქალების საქმე სულ სხვა ნაირია

სდგას და სხვა ნაირათ უნდა განიხილოს ჟურნალმა, ვინემ მაგალითად გერმანიაში, ინგლისში ან ამერიკაში. ნუ თუ «მნათობს» ყური არსად მოუკრავს მაინც, რომ ქალები პოლიტიკურ უფლებებს მარტო იმ ქვეყნებში თხოულობენ, სადაც იმათ კაი ხანია მიუღიათ სხვა საზოგადოებრივი უფლებები, რომელნიც ჩვენში კიდევ საძიებელნი არიან? მაშ რათ ბეჭდავს «მნათობი» თანნი ლეველდის თხზულებას, რომლის უმთავრესი ძალა პოლიტიკურ მოთხოვნილებაზე არის დამყარებული? რატომ სხვა რამ არ ამოურჩევია ისეთი, რომელიც თავისი აზრით და მიმართულებით ჩვენთვის პირდაპირი გამოსადეჟი იყოს, ესე იგი რომელიც გვაჩვენებს ჩვენ, თუ რა უნდა ქნან ჩვენმა ქალებმა, რომ მტკიცეთ გაიკეთონ გზა გაუმჯობესებრსა?

მაგრამ ან ეს რა საკითხავია? «მნათობი» უმიზნოთ ბეჭდავს ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდება. განა იმას შეუძლია გვიპასუხოს «დონ-ჟუანის» რისთვის დაბეჭდა და არა «მანჭრე-

დი» ან «სარდნაპალი»? რათ, სთარგმნა «ფიესკო და არა «ზარზე სიმღერა» ან სხვა რამე? — მისთვისო გეტყვის, რომ უფ. ბაქრაძემ გადმოთარგმნა და მოგვცაო. წადით და ჰკითხეთ მაშინ უფ. ბაქრაძეს და ის გიპასუხებს — რა ეიცო, შემხვდა და დაუჯექიო. შეგვეფერება ჩვენ თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რამე ზედმოქმედება, თუ არა? აძლევს ნათარგმნი თხზულება პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ან ეხლა აფიქრებს საზოგადოებას, ან მოკლე ხანში აფიქრებს, — ამისას ნურას ჰკითხაკთ «მნათობს» და მის მთარგმნელებს, ან, პირებს და იმ რედაქციას, რომელიც თარგმნას კისრულობს და არც სხვა ქვეყნების ენა იცის, არც ლიტერატურის ისტორიას არის გაჩვეული...

კმარა თარგმნებზედ. გადავხედოთ, ეხლა ორი გინალურ სტატიებსა.

უფ. ანტონ ფურცელაძის სტატია «ათი მტერს და ერთი მეგობარს» «დროებაზე» გამოლაშქრებაა. აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც

ეს სახარებულო კაცი გაცხარებულათ ებრძვის «კრებულ-დროებას», ფავის ათროდე მკითხველს არწმუნებს, რომ «კრებულ-დროებას» საჭმეს უჭირვებო. ამდენი ხანია «კრებულ-დროება» ხან დაცნობით დასცქეროლა ამ აღიაქოთს, ხან ამბობდა შეუძლებელია ამ რიგ კაცთან ლიტერატურული ბაასის გამართვაო, და ამას ერთი ანათ გადაურევია ჩვენი ანტონი. დღეს ეს ერთომ «დროების» შინაარს სინჯავს 1871 წლისას, და სინჯავს ეს მისი ჩვეულებრივი სინიღისიანობით. ჩვენ ამ თხზულებაზე თითქმის არაფერს ვიტყვოდით იმის მეტს, რომ ის ავთომყოფი თავმოყვარების ნაყოფია, მაგრამ როცა გავიხსენებთ, რომ ეს სტატია მისი პირველი შეცდომა არაა, და თუ კიდევ წაუყრუეთ, არც უკანასკნელი იქნება, ჩვენ საჭიროთ ვხედავთ გულდაგულათ გამოვემუსაიფოთ უფ. ფურცელადეს და მისი თავმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, პასუხის მიცემით თუ არა, პასუხის მოთხოვით მაინც. იმისგამო ვიხსენებთ ერთბაშათ მის პოლემიკურ წარსულს და უმოზრჩილუსად

ფიზიკურად ყურის დაგდებას.

ამ სტრიქონების დამწერს ბევრჯერ ამართ ურჩევია უფ. ფურცელაძისათვის თავის დაკაფება და ლიტერატურული მორცხობა, მაგრამ უფ. ფურცელაძეს მაინც თავი ვერ მოუკავებია. იუძეცა მის წარსულს, მის გონებისოდლას, ამის ცოდნას უნდა ერჩია მისთვის ბაქა-ბუქის და თავხედობის მიტოვება, იმან ყურად მაინც არ აახლოვა ამ გონიერს და მისთვის სასარგებლო რჩევას და მაინცა და მაინც გამობრძანდა სალიტერატურო სამჯაეროს ასპარეზზე. იყო ღრო, როცა ამის დამწერი პირის-პირ ეუბნებოდა უფ. ფურცელაძეს, რომ ჩვენი მწერლები სასაფლაოზე ერთი საშინელი დანა მარხია, რომელიც უფ. ფურცელაძეს ერთი გაჰკვრით ყელს გემოსჭრის, და ურჩევდა იმ დანას ნუ გამოგვადებინებთო. თავის საუბედუროთ, უფ. ფურცელაძემ მაინც თხარა თხარა და იმოდენი თხარა, რომ ეს დანა გამოთხარა და ხელში მოგვაჩეხა ჩვენი ბრალი არ იქნება, თუ ამით მის ყელს საქმე გაუჭირდა.

ეს ახირებული კაცი—რომელსაც ჩვენ, მარტო ზდილობის მიხედვით, შწერლის სახელს არ მოვაკლებთ—გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე და მკითხველებს გვაბეზღებს: «კრებულ-დროება», ამბობს ის, მიმდგომია, უსინიდისოა, ამხანაგობით აქებს და საკუთარი თაემოყვარეობით, ხარბობით აძაგებს მწერლებსო; «კრებულ-დროებას» არც ლიტერატურული, არც კერძობითი პატიოსნება და სინიდისი აქვსო, ის მკითხველი საზოგადოებას ატყუებსო და სხ. და სხვ. და სხვ. ამასთანავე ის ამტკიცებს, ვითომ ჩვენ ნაწერებში აზრი და გაგება არ მოიძიებოდეს და ჩვენ ყველანი ერთიანათ უნიჭოები და უსინიდისო «ცრუ-პენტელები» ვიყოთ. გვაქვს ჩვენ ნიჭი, სჩანს ჩვენს ნაწერში აზრი და მიმართულება თუ არა, ეს უფ. ან. ფურცელაძის ჭკუის საქმე არ არის. მკითხველი, იმედია, არ დაგვემღურება და კიდევ დაგვიმადლებს, თუ ჩვენ ან. ფურცელაძის «მსჯელობას» ყურადღებას არ მივაქცევთ. მისი აზრი იმოდნათ დასაუასებელი არ არის, რომ კაცმა მის დასარჯ-

ღვევლათ თავი შეიწუხოს, როცა თითოეულ მკითხველს ადვილათ შეუძლია ჩვენი ნაწერის აღება და ანტ. ფურცელაძის «მსჯელობასთან» შედარება. ჩვენ იმოდნათ დარწმუნებული ვართ მკითხველის განაჩენის მიუდგომლობაზე, და ან. ფურცელაძის «მსჯელობის» სისუსტეზე, რომ ამ მხრით ხმის ამოღებასაც საჭიროთ არ ვთვლით.

მაგრამ ლიტერატურული მსჯელობის მეტი ორი სხვა ისეთი მხარე აქვს ან. ფურცელაძის პოლემიკას, რომელზედაც ჩვენ ხმის ამოუღებლობა არ შეგვიძლია: ეს ორი მხარე ორი ცილის წამებიდამ შესდგება—ერთი ვითომ ჩვენ უსინდისოთ ვხმარობდეთ ჩვენ ლიტერატურულ მდგომარეობას და მკითხველს, თვალს უხვევდენ მიდგომით და სიხარბით, და მეორე ვითომ ჩვენ ცუდი კაცები ვიყოთ ჩვენ კერძო ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ საგანზე ლაპარაკი რასაკვირველია, შეუძლებელია, ამიტომ რომ უსაფუძვლოთ, უსაბუთოთ გამოთქმულ აზრზე პასუხად მარტო ის თქმის:—არა, ჩვენ ძლიერ პატიოსა-

ნი... ცუკები ეართო, და აბა ამის თქმა ვის ეკადრება? მაგრამ რამდენათ დამჯდარათ დასაფუძვლიანათ სჯის ამისთანა საქმეებზე უფ. ან. ფურცელადე, გვაჩვენებს ჩვენ პირველი ცილისა წამების განხილვა, — ჩვენი მიდგომის და ხარბობის თაობაზე. აი, ამ საგანს შეუდგებით ჩვენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საქმის გარემოება მკითხველს თვალს წინ არა აქეს, და ჩვენი და ფურცელადის გასამართლება იმას ჩვენს მხრით საბუთების წარუდგენელათ არ შეუძლია. იმით თუ უფ. ფურცელადეს ესმის ლიტერატურული ბაასის კანონებო, ის ამ დასაწყისის ტონოდანაც გაიგებდა, რომ დღევანდელი ჩვენი და მისი სოლომეკა ხუმრობა არ არის. ეს ისეთი ბაასი და ჯიროთია, რომელშიაც ასპარეზზე მკვიდრათ უნდა დარჩეს ან ჩვენი, ან მისი რეპუტაცია. თუ კი მართლა დამტკიცდა, რომ ჩვენ მიდგომით, მკვობრობით, სიხარბით, ან სხვა ამგვარი პიროვანი გრძნობით, ვაქებთ ან ვაძაგებთ მწერლებს და მათ ნაწარმოებს, და ამნაირათ ჩვენი მკითხველების გულდანდობილებას

გატყუებთ და ვაცდენთ, ჩვენ ისეთი უპატიოს-
ნო და უსდნიდისო მწერლები ვყოფილვართ,
რომ ჩვენი ნაწერი ხელში ასაღებათაც არ არის.
და თუ კი „ეს არ“ დამტკიცდა, თუ აღმოსჩნდა,
რომ ამ ცოდნებში ჩვენ დანაშაულები არა ვართ,
მაშინ ცხადი საქმე იქნება, რომ ის, ვინც ჩვენ
უსაფუძლოთ ამისთანა საშინელ ბრალს გვდებას,
ყოფილა უმსგავსო ცილისმწამებელი. ცხადია,
რომ ამ სჯგში „გამტყუნებული მკვდრათ უნდა
ჩაითვალოს.

უფ. ანტ. ფურცელაძე გვაბრალებს, ვითომ
ჩვენ მიდგომით და მეგობრობით გვექოს ისეთი
უნიჭო და უხეირო თხზულებები, როგორც
გ. წერეთლის „ჯიბრი“ და ამ სტრიქონების
დამწერის „მელალუმე“ და აგრეთვე მიდგომით
და ხარობით წაგვეყრუოს უფ. დიმიტრი ბაქ-
რაძის „საქართველოზე“ და გვედაგებინოს თვით
უფ. ანტ. ფურცელაძის თხზულებები;—ესა არის,
ზომ, უფ. ფურცელაძე, თქვენი საფუძველი?

გავსინჯოთ ეს საფუძველები და ვნახოთ, რამ-
დენათ საფუძველიანი არიან თუითონ ესენი.

«ჯიბრის» დაბეჭდვის დროს «კრებული» ჯერ კიდევ ჟურნალათ არ გამოდიოდა და მისი რედაქცია გ. წერეთლის ხელში არ ყოფილა. ამ სტრიქონების მწერმა მისცა «ჯიბრს» დიდი მნიშვნელობა და პირველი ადგილი «კრებულის» მეორე წიგნში, და «დროებასაც» ორჯერ-სამჯერ ის აზრი გამოთქვა, რომ «ჯიბრი» ძრიელ შესანიშნავი თხზულებააო. აი, რა საფუძველი გვქონდა ჩვენ, როცა «ჯიბრს» ებეჭდვით და ვაქებდით, და ვნახოთ, როცა ჩვენ ამ საფუძველს მკითხველებს წარუდგენთ, დაგვეთანხმებიან თუ არა მკითხველები, რომ «ჯიბრის», ბეჭდვაში და ქებაში ჩვენ შეგობრობით კი არა კრიტიკული მსჯელობით ხელმძღვანელობდით.

ჩვენ ლიტერატურაში ბევრი კომედიები მოიძებნება, და არც სცენები, არც დრამა, არც ტრაგედია დაკლებია ჩვენს მწერლობას. მაგრამ ჩვენ კრიტიკას — კრიტიკა რომ ვაგვაჩნდეს — არ შეეძლო, არ შეენიშნა, რომ თითქმის ყველა ეს კომედიები და დრამები, ერთ კალაპოტზე იყვნენ ჩამოსხმულნი, მერე უგვარო კალაპოტზე,

ისეთზე, რომელიც ნიადაგ ყოველ თხზულებას ახდენდა, თითქმის ნიჭიერსაც. ჩვენ კომედიებში მაგალითად, ყველაში ერთი და იგივე აზრი ერთი და იგივე ინტრიგა, ერთი და იგივე მოქმედება და მოქმედი პირები გამოჰყავდათ მწერლებს; ვისაც ერთი კომედია ენახა, ნანახი ჰქონდა ყველა დანარჩენები. ყოველ კომედიაში უნდა ყოფილიყო გასუქებული სომეხი, მოლაპარაკე დამტვრეული ქართული ენით, ისეთი ენით, რომელსაც არა თუ ჩვენი სომხები, გუშინდელი მოსული ყიზილბაშიც არ ხმარობს. ყოველ კომედიაში მეორე კომიკურ პირათ უნდა ყოფილიყო «იმერელი», დაგრეხილი, დამახინჯებული ლაპარაკით, რომლითაც სრულიად არც ერთი ხალხი და არც ერთი კაცი არ ლაპარაკობს კავკასიაში. უნდა ყოფილიყო «რუსეთუმე» აფიცერი, ან ჩინოენიკი, ახალგაზდა ქალი—მისი მოარშიყე გოგო, დედა და მამა. ახალგაზდა კაცს ქალი უნდა ყვარებოდა, იმერელს—გოგო, და ორი ან სამი მოქმედების ბოლოას მცქერალს ორი ქორწილი ერთათ მიერთებოდა. — ასეა ეს, თუ არა?

ენახლათ ეხლა, რა უნდა ეთქვა ამ საგანზე კეთილ სინდისხანს მწერალს, ვისაც ახალი თხზულებების არჩევა და დაფასება რეგებია?

იმას, რასაკვირველია, ეს კითხვა, უნდა განეხილა: რა და რომელი მხარე ჩვენი ნამდვილი ცხოვრებისა, ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი ხალხის მდგომარეობის და ხასიათის გამოგვიჩინა და თვალწინ დაგვიხატა იმ კომედიებმა? ვხედავთ შიგ ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას? გგვხატება შიგ ჩვენი ხალხის საზოგადოების ღიბნი, ან ჭირი, გვიღებთ თვალ წინ ჩვენი ენაცნობი პირებზე, რომელთაც ცხოვრებაში ხშირათ ვხედავთ, მაგრამ კარგათ, შესალოამოთ კი მაინც ვერ ვერცნობთ? ყოვლად უეჭველია, რომ რაკი ის ამ კითხვებს გაიხსენებდა, იმ წამშივე უნდა ეთქვა: არა, ათასჯერ არაო! ამიტომ რომ, რაცა საზოგადოთ ყველა კომედიებზეა ნათქვამი, ერთი-ორი ხეირიანი პიესა როდილა ითვლება.

სწორეთ ამ აზრის ვიყავით ჩვენ, როცა გთწერეთელმა აჯიბრი დაწერა. ამ თხზულებებში არც ერთი წინეთ მოთვლილი ნაკლულევენება

არ იპოვება. მწერალს ჩვენ ერთბაშით გადავყავართ სრულიად უცნობ წრეში, იმ წრეში, რომელშიაც გამოიხდებოდა თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზდობა, მაგრამ რომელიც არ გამოხატულა ჯერ მწერლობაში. იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ თითქმის დაგეროტიკული სიმართლით გადმოხატულებს. ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა,—ეს არაფერია, მაგრამ ძალა იმაშია, რომ ჩვენ თვალებს წინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოაზრება, მათი ტვინი და გული, რამდენს უთქვამს, «ჯიბრის» წაკითხვის შემდეგ, «რა საკვირველათ ჩამოგავს «ჯიბრის» გამდელი ჩემსასო!» საზოგადოთ, «ჯიბრის» სურათების სინამდვილე ყველამ აღიარა, ყველამ იცნო და გამოთქვა.

ჩვენ ვხედავთ კიდევ, რომ ამ წრეშიაც სდულს «ბრძოლა.» ჩვენდა საუბედუროთ ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულს—ქალის იყოს, გინდ მამულის,—თითქმის არასოდეს აღვიღი არ უკავია.

იმას არც არაფერს გრძნობს, არც არაფერს ეძებს, ან, თუ ეძებს, მისთვის არაფერს იბრძვის. ჩვენში, როგორც ყოველ ღარიბ და ბინძურ საზოგადოებაში, ბრძოლა, ხასიათი, ვაჟკაცობა, დრო და ძალა ლუკმა-პურის და მიწის ნაგლეჯისთვის იხარჯება. რადგან ჩვენი ცხოვრება თითქმის არც ერთ თავის შემთხვევას არ წარმოგვიდგენს, რომ კაცს ებძოლოს და თავისი სიცოცხლე და ბელი შეეწიროს ან ქალის, ან მამულის სიყვარულისათვის, რა ნაირათ, ან რისთვის უნდა ვწერდეთ ჩვენ ისეთ კომედიებს, რომელშიაც მოძრავ ძალათ სიყვარული და გრძნობა სჩნდება, და რომლებშიაც მოქმედება სიყვარულზეა დაფუძნებული? ეს ჩვენ არ გვესმის, და გვგონია, რომ გ. წერეთელმა ნამდვილი არტისტული გრძნობა გამოიჩინა, როცა «ჯიბრის» მოძრავ ძალათ და მიზნათ მებატონის სალარო გამოხატა.

ერთი სიტყვით, როგორც წრის, ეგრეთვე მოქმედი პირების, ისე ბოლოს მოქმედების გამორჩევით, ჩვენის აზრით, «ჯიბრი» ახალი მათ

ნერის, ახალი ცომედიების (პროტოტიპი) გახდა. ამ აზრით ჩვენ დაგბეჭდეთ და ვაქეთ ეს თხზულება და დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგშიაც ჩვენ მწერლობას ხეივანი ადგილი ექნება მიჩენილი «ჯიბრისათვის.» — თქვით, ეხლა, მკითხველო, ღირებულა «ჯიბრი» ამ ქებათ თუ არა?

«მელალუმე» ამ სტრიქონების დამწერის თხზულებაა და, ამისგამო, ამ მოთხრობაზე ჩვენ იმის მეტი არა გვეთქმის რა, რომ იმას დიდი ღირსება არა აქვს რა და ძლიერ სუსტი თხზულებაა. ამაში ჩვენ უფ. ფურცელაძეს ვეთანხმებით. — მაშ, იტყვის ეს ვაქებატონი, მე ამაში მართალი ვყოფილვარ, და თქვენ კი მტყუანიო. — არა, ჩვენო ბატონო, აქ, ამაშიაც როგორც სხვაში ყველაფერში, თქვენა ხართ მტყუანი, და მართო თქვენ. თუმც ამ «მელალუმის» ავტორი «დროებას» ძლიერ უყვარს, თუმცა ის «დროების» რედაქტორის მეგობარია, აგრეთვე როგორც ვ. წერეთლის, იცით რა აზრი გამოთქვა «მელალუმეზე» ვ. წერეთელმა

და ბრაიანში დაბეჭდა «დროებაში» აიღეთ 1871 წლის «დროება» № 00, და წაიკითხეთ შიგ. გ. წერეთლის ფელეტონი, რომელშიაც, «მელაღუმის» შეცთომების და ნაკლულეფანების ჩამოთვლის ბოლოს ნათქვამია, რომ ეს თხზულება მეტათსუსტათ, ულაზათოთ და ცუღლუტურათ დაწერილიაო მიდგომა და მეგობრობა ამას ჰქვია თქვენში?

აი ეს გახლავსთ, მკითხველო, ჩვენი მიდგომით და მეგობრობით ნაქებები. ვნახოთ, აბა ეხლა ხარბობით და მიდგომით ნაქებები,

უფ. დიმიტრი ბაქრაძის «საქართველოზე» ჩვენ ორჯერ-სამჯერ განხილვა კინალამ დაწვერეთ «კრებულში», მაგრამ ეს განხილვა ნამეტნად სასტიკი გამოდიოდა ჩვენ დიდი პატივისცემა გვაქვს უფ. დიმ, ბაქრაძისა, ამიტომ რომ ვაფასებთ მის შრომას ქართული მწერლობის სასარგებლოთ, იმ შრომას, რომელიც თითქმის თუთხმეტი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. უფ. დ. ბაქრაძემ დაბეჭდა ოდესმე «ცისკარში» იმდროსთვის ჩინებული და ეხლაც სასარგებლო

სტატიები, მაგალითად «ბაგრატ მესამე» «კრე-
ბა დავით ჰლამაშენებელის დროს» და სხ. ამ
სტატიებს მკითხველებში საქართველოს ისტო-
რიის გაცნობის სურვილი უნდა აღეძრათ, ისი-
ნი ისტორიის მასალებათ უნდა გამოდგომი-
ლიყვნენ. შემდეგ უფ. დ. ბაქრაძეს შრომა არ
შეუწყვეტია, და — რაც კი შეეძლო, რის ნებას
სწავლა და მასალები აძლევდა, დასწერა და ებ-
ლაც ისწერს. ერთი სიტყვიდ მისი შრომა, ჩვენს
თვალში, პატიოსანი შრომაა.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა, ჩვენი
მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობაში, შე-
უძლებელი საქმეა ხეირიანი ისტორიის დაწე-
რა, არა თუ საქართველოსი, ერთი რომელიმე
საუკუნის ან მეფობისა. ჩვენ გვაკლია მასალები,
გვაკლია გამოძიებები, რომლის შემწეობით
ჩვენ უნდა შეგვეძლო აზრის შედგენა მაშინ-
დელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე
და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩვეულებებზე
და ზნებზე, მაშინდელ აზრისა და გონების გახ-
სნაზე და სხ. რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს,

რას ეძებდა, რას არა? ხალხი, ხოცმ ისტორიის პირველი მოქმედი პირია, და რა ნაირათ დაიწერება ისტორია, თუ მისი პირველი მოქმედი პირსე ჩვენ სრულიად არაფერი გავება არა გვაქვს?

სანამ ამნაირთ მასალები არ გამოიძებნება და არ გაიჩიევა, არა თუ უფ. ბაქრაძე, თვით ბოკლიც რომ გაცოცხლოთ და შემწეთ გლოტი, ნიბურემ ვოლტერი და ათასი სხვა ისტორიკოსი მისცეთ, «საქართველოს» ხეირიან ისტორიას ვერ დასწერს და ვერ შეადგენს. მართლაც, უფ. ბაქრაძის «საქართველოსი» პირველი რეცეულის გადაკითხვამ უფრო დაგვირწმუნა ამ აზრში, და თან ის ახალი აზრიც მოგვეგვარა თავში, რომ ისტორიის კი არა, საქართველოს ხეირიანი ტოპოგრაფიის შედგენა მტრის მტკათ ძნელობა, და უფ. ბაქრაძის შრომა ამ მხრივაც სუსტია.

მაშასადამე, ჩვენ ან უნდა გვედაგებონა უფ. ბაქრაძის თანუღლები უნდა გამოგვეშკრავენონა მისი სისუსტე, უსაფუძლოება და ანაკლო-

ლევანება, უნდა ეთქვა, რომის უსარგებლოა, ან სრულებით ხმა არ უნდა გამოგვეღო ამ შრომაზე. გამოვტყდებით, ან ფურცელაძეს რომ დაეწერა «საქართველო», ჩვენ იმას არც ერთს დაცინვას, არც ერთ უპატიურებას არ დავაკლებდით. მაგრამ უფ. ბაქრაძე და ფურცელაძე სხვა და სხვა მწერლებია, უფ. ბაქრაძეს არ ეკადრება ის, რაც უნდა აკადროს კაცმა ფურცელაძეს, — რისთვის, ეს დაბლა იქნება ახსნილი ამისთვის, ჩვენ ვარჩიეთ სრულებით ხმა არ გამოგვეღო უფ. ბაქრაძის შრომაზე, იმ პატივისცემის ხსოვნით, რომელიც გვაქვს ჩვენ — და რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ქართული ლიტერატურის მომხრეს, — უფ. ბაქრაძის პატიოსანი ლიტერატურული წარსულისა და ამაღისთვის. — თუ ეს მიდგომაა, უპატიოსნო გრძნობით მიუდევით ჩვენ უფ. ბაქრაძეს? გასაჯოს ეს მკითხველმა და თვითონ უფ. ლიბიტრი ბაქრაძემ.

დაგვიჩუ მაშ უფ. ანტ. ფურცელაძე, თავისი მოენიძითურთ.

აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც უფრო ან-
ტონ ფურცელაძე ცოდვილობს ჩვენს ლიტე-
რატურაში, და, იმედია, ათობად წელიწადს
კიდევ ძცოდვილებს. მისდა შესაუბედუროთ, ეს
ცოდვილობა იმას ფუჭათ ჩაუვლის. ათი წლის
განმავლობაში ვერ გაუთელია იმას გზა მკითხ-
ხველი საზოგადოების გულისა და ტვინის
მოსაგებათ. ჩინთვის და როგორ მოხდა, რომ
კაცო, რომელიც ოფლის ღვრით, ჯაპანწყვეტით
და ვაიფაგლახით სწერს და ბეჭდებს თავის თხზუ-
ლებებს ათი წლის განმავლობაში, მკითხველ
საზოგადოებას მწერლათ არ მიაჩნია? რა მიზე-
ზია, რომ მის სიტყვას და ნაწერს იმდენი ვაგ-
ლენაც არა აქვს საზოგადოებაზე, რამდენიც
აქვს გუშინდელ ან გუშინწინდელ მწერა ლს?
არ ამის მიზეზები?

ჯერ ერთი ეს, რომ არც ერთხელ არ ვა-
მართუტყვამს უფ. ფურცელაძეს არც ერთი ისეთი
მტკიცე, მარჯვე და საფუძვლიანი აზრი, რომ
მელიც პირ-და-პირ, გახურებულხე შანთივით,
შედის მკითხველი საზოგადოების ტვინში და

მკითხველს უნებურათ ათქმევინებს: «ღვთის მადლმა ეს მართალიაო!» არც ერთხელ არ მიუყვანია უფ. ფურცელაძეს ამისთანა აზრისთვის და არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია თავის სიცოცხლეში ისეთი, რომელშიაც მართალ აზრს კუდათ გამობმული ზარ ჰქონდეს ისეთი უგვარაო და უზარმაზარი შეცთობა, ვადაჭარბება, ან სიცრუე, რომელიც ერთბაშით ძალას უკარგავს მის თხზულებას და მკითხველს ათქმევინებს: — «ძმობილო, სტყუვიო!»

მეორე მიზეზი უფ. ფურცელაძის უსარგებლო და უნაყოფო ცოდვილობისა არის უფ. ფურცელაძის «ცოდვიანობა.» ესე იგი ის, რომ უფ. ფურცელაძეს შუბლზე ჯნია ერთი მომაკვდინებელი ცოდვის დაღი, რომელიც საფლავამდის არ ასცილდება და საფლავშიაც გაუწევს შუბლის ძვალს. ეს «ცოდვა» აი, რაში მდგომარეობს.

1863 ილია ქავჭავაძემ დაიწყო «საქართველოს მოამბის» გამოცემა. ეს არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრე-

ბა თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალ-
 ში შესვლას აპირებდა, «ან, უფრო სწორეთ რომ
 ეთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შე-
 სულიყო, და როცა მეორეს მხრით ატყდა დას-
 ტიკი ბრძოლა ახალგაზდობისა—ესე იგი ახალი
 ცხოვრების, და ძველი კაცობის, ესე იგი ძველს
 წესს და სჯულს შუბ? როცა ატეხილია ბრძო-
 ლა, როცა სდულს ცხოვრება, ყოველი პატიო-
 სანი კაცის ვალია ან ერთ რაჭმში, ან მეორეს
 ში ჩადგეს, როგორც უჩვენეს გული, ან რი და
 მიმართულება. ბრძოლა, ესთქით, სასტიკი ატ-
 ყდა. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე
 ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ
 იცნოს პატიოსანი მომავლის დროშა, რო-
 გელიც მხნეთ ეკავა იღო. ჭაფქავადეს. ძველმა
 წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა «ცისკა რ-
 ში,» და ამნაირათ რმ ბრძოლაში, რომელიც
 გაიმართა «საქართველოს მოამბესა» და «ცის-
 კარს» შუა ზჩნდა ის ნამდვილი და ძლიერი
 ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველს
 და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში.

ბრძოლას ქვეყნის შექნადა ერთი და იგივე კანონი ჰქონია, და ქვეყნის დაბოლოებამდე ერთი და იგივე კანონი ექნება: ბრძოლის ველზე ერთგულება, დისციპლინა და თავისი თავის დავიწყება და შეწირვა მთელი რაზმის სასიკეთოდ ყოველთვის ყოვილა, არის და იქნება უალჩესი კანონი ყოველი პატროსანი მებრძოლისა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ რაზმიდამ გამოხტა ერთი უბრალო მოლაშკრე, შეცუნდრუკდა, შეხტა, შეტრიალდა, თუ რატომ მე არ მიქირავს დროშაო, ან სხვა რამე მიზეზით, და გაიქცა მტრის რაზმისკენ, მტერს გვერდით ამოუდგა და ხელი გაუწყო წაეხმარა, გზა აჩვენა, ეს მაგალითი იშვიათია, ამიტომ რომ ბუნების და პატროსნების უპირველესი კანონების წინააღმდეგია. მაგრამ ეს მაგალითი მოხდა ჩვენში, მოხდა ჩვენს მწერლობაში და ეს მაგალითი მოახდინა უფ. ანტ. ფურცელაძემ.

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა «საქართველოს მოამბის» საქმე, მაგრამ არც 1863 იყო ეს დაფარული ვისმენტვის ყვე-

ლა უგრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ «საქართველოს მოამბეს» უნდა ჩაება ჩენი ახალგაზდობისთვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექნა ახალი სასიყვარულო მიზანი. — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვაფი სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველ საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას. საზოგადო. საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო. საქმისა და სიკეთისთვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატროსან ეკაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება და მისი ძლიერების მომატება ახალგაზდობაში.

— რა ჰქნა ამ დროს უფ. ფურცელაძემ?

ეს ბედშაფი ვითომ-მწერალი აღვა და მიადგა კარზე უფ. კერესელიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხეირი ჰქონდა ახალ-თაობასთან ბრძოლაში გამოსასვლელათ. ეს ორი ერთივე ღირსების მწერალი შეატყუბა ერთმა და იმავე გრძნობამ — «საქართველოს მოამბის» სიძულადობა და ამ ბუნების-წინააღმდე-

გი, ბინძურ დაკავშირებიდამ გამოვიდა პოლემიკა «საქართველოს მოამბის» წინააღმდეგ.

რას ამბობდა უფ, ფურცელაძე?

იმას რომ «საქართველოს მოამბე» უნიჭოა, რომ მისი მწერლები მიდგომით და მეცობრობით სწერენ და მოქმედებენ, რომ იმას უფ, ფურცელაძე სძულს, «ცისკრის» ხელის მომწერლები ეხარბება ნამდვილი რწმუნება არა აქვს, რომ ჭაფიჭავაძის ლექსები ლექსები კი არა, ოფლის ღერაა, რომ მათში ცრუ, მოგონილი გძრობის მეტია არაფერი, რომ «მუშა» უგვარი და «გუთნის დე» და «უხეირო ლექსია, და სხ. ისამტკიცებდა, რომ «საქართველოს მოამბეს» არც ერთი წვეთი მამულის სიყვარული არა აქვს და ნამდვილი მამულის სიყვარული, ნამდვილი პათიოსანი შრომა, ნამდვილი ლიბერალობა უძღვის მართლ «ცისკრის» რედაქტორს უფ. ივ. კერესელიძეს და ანტ. ფურცელაძეს, და არა ჭაფიჭავაძეს და მის «მოამბეს.» რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან? დიდი არაფერი, იმას გარდა, რომ ცხოვრების ახალ წრეში

შესვლით გაბრუებულმა ძველკაცობამ ცოტათი სული მოიბრუნა, როცა დაინახა, რომ ახალს, საშიშს მტერს, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ქადაგებდა, შეუყვება და შეეტაკა ახალგაზდა კაცი, რომელიც ბრძოლაში ახალ-ახალ სიტყვებს ხმარობდა. მაგრამ თუმცა ამის მეტი ვნების მოტანის ღონე და ძალა არ მისცა უფ. ფურცელაძეს მისმა ნიჭმა და ცოდნამ, უეჭველი კი არის, რომ თვითონ იმას ძლიერი გულით უნდოდა უმეტესი ვნების მოტანა, უაღრესი ბაიყუშობის ჩადენა: იმას უნდოდა ახალგაზდობის გულში ეჭვი და გულგრილობა ჩაეწვეთნა იმ მიმართულებისთვის, რომელიც გამოითქმებოდა «მოამბეში» და რომელშიაც იყო მომავლის ძალა და იმედი. ამ სიკეთის დაყრას ცდილობდა უფ. ფურცელაძე, ამას უმზადებდა ის ჩვენს მწერლობას, როცა ეს მწერლობა აკვანში იწვა.

და ეხლა ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატივი სცეს იმას, რომ ამ მწერ-

ლობამ შეირიგოს ის ვინც შეუგინა და შეურაცხყო ამ მწერლობის ძუძუს მაწოგებელი დედა, და რომელმაც აკვანი ტალახით და მტყურობით გაუესო. როცა მწერლობა აკვანში ხელოფებს ჩაკრული და შესუდრული იწვა? ამას იტხოვს ჩვენგან უფ. ფურცელაძე, როცა გვაყვედრის სიძულვილის, დენას.

ღიახაც, ჩვენ ვსდევნიდით და ვსდევნიით უფ. ფურცელაძეს. როგორც ჩვენ ჩვენს დღეში ხელს არ მივცემთ და არ შეუზრიდებთ იმას, ვინც შეგვიგინა დედა ან და, ისე შეუძლებელია ჩვენსა და ფურცელაძეს შუა კეთილი განწყობილება, ეს, მგონია, ადვილად გასაგებია. უსამართლობა იქნება, განა, შენის მხრით, ან მიდგომა, მკითხველო, უარი რომ სთქვა იმ კაცთან ცხოვრებაზე და მეგობრობაზე, რომელმაც თავისი კერძო სიამოვნებისათვის მოსწამლა ვინმე? არა, გეგონია; და თუ ჩვენ ამაში ვსტყუით, ქვეყანაზე აღარ ყოფილა აღარც სიკეთის სიყვარული, არც ცუდის სიძულილი.

დაი, ეს არის ჩვენი «მიდგომა», ეს არის ჩვენი

გრძნობა უფ. ფურცელაძის შესახებ. — «დროე-
 ბის» რუდაქცია, როცა ის გ. წერეთლის ხელში
 იყო და შემდეგაც, სცდებოდა, ჩვენის აზრით,
 რომ ბეჭდდა უფ. ფურცელაძის თხზულებებს,
 მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შეცდომა
 იქნას სულგრძელებით ან გულკეთილობით მო-
 დიოდა. და რადგანც გულკეთილობა ხშირად
 უხასიათო გულრბილობას ჰგავს, ეხლა რასა-
 კვირველია, ათასჯერ ურჩევნოდა მისი ნაჯღაბ-
 ნი არ დაებეჭდა და უპირატესობა მიეცა ვინმე
 მოენიძისათვის, რომელსაც არ ეცხო უფ. ფურ-
 ცელაძის ტლაპო ამითიც სარგებლობს ეხლა
 უფ. ფურცელაძე, ვაი ამისთანა სარგებლობას!
 ეს იმასა ჰგავს მასკარადში ხელი რომ მისცე და
 გამოელაპარაკოთ კარგათ შეხვეწულს და პირ-და-
 მალულ დიაცს, რომელსაც მოძრავი თვალების,
 თეთრი კბილების და პაწია ხელების მეტი არა
 მოუჩანს რა, და მეორე დღეს ისევ დიაცი პირ-
 გადაშლილი რომ მოგადგეს, და ლანძღუ და-
 გიწყოსთ, რატომ მკლავს მკლავში არ მიყრი
 და ისე არ მასეირნებ საზოგადოებაშიო, გუ-

შინ არ იყო, მასკარადში მთელი საათი რომ მელაპარაკე, როცა ლურჯი მასკა მედვან პირზე და შევ-დომინოში ვიყავი შესუდრულიო.

ჩვენი საქმე ადვილათ გასასჯელია, თუ მოიძიება ერთი ხეირიანი მკითხველი, რომელიც იტყვის და დაგვიმტკიცებს, რომ უფ. ანტ. ფურცელაძეს ხეირიანი მწერლის ნიჭი სწავლა, თავდაკაფება, მიმართულება და სინიღისი აქვს, და თუ ამას გარდა ის დაგვიმტკიცებს, რომ მისი «ცოდვა» მისატოვებელია, — ბატონი ბრძანდებოთ, ვიტყვი, რძნაშაულები ვართ-ოქო, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. ეს ისე ცხადია, როგორც ცხადია ის, რომ რასაც სწერდა უფ. ფურცელაძე 1863 ჭაფჭაფაძის და «საქართველოს მოამბის» წინააღმდეგ, იმასვე სწერს ისეხლა ჩვენს წინააღმდეგ. ის ხმარობს «კრებულის» და «დროების» შესათხუზნავათ სწორეთ იმ ტალახს, რომელსაც ხმარობდა «საქართველოს მოამბისთვის» ჭაფჭაფაძეს და «საქართველოს მოამბეს» ამით ბევრი არაფერი დააკლდა, და იმედი გვაქვს არც არა რამ ბევრი «დროებას» და «კრებულს»

დააკლდება, მაგრამ იარაღი და ბაიყუში კი იგი-
 ეყარა მაშასადამე ჩვენ არ უნდა დაწივიწყლოთ
 უწინდელი შეგინება, იმით უფრო, რომ ეხლან-
 დელსაც იგივე წყარო, ხასიათი და მიმართუ-
 ლება აქვს.

რას იტყვის ამხვე უფ. ფურცელადე? ალბათ
 იმას, რომ რასაც ვფიქრობდა და ფგრძნობდი,
 იმას ვწერდო. მაგრამ მისდა საუბედურობა,
 ჩვენ ამისი თქმის შეძლებაც მრუკვეთეთ, აი,
 რა ნაირათი 1870 «დროების» რედაქციას მო-
 უკიდა უფ. ანტ. ფურცელადის კორრესპონდენ-
 ცია «გორიდგან», რომელშიაც ნაქები და ზე-
 ცამდი აყვანილი იყო მიხედვით აბა ზინ და
 რა? — ილია ქავჭავაძის ლექსები!!!. რასაკვირვე-
 ლია, ეს კორრესპონდენცია ჩვენ მაშინვე დაფ-
 ბეჭდეთ, მაგრამ დამწერის სახელი კი არ მო-
 ვაწერეთ, და მხოლოდ ორი მისი ასო დაუსვით
 ა. და ფ. («დროება» 1870, № —) ამას შემდეგ
 თქვას აბა უფ. ფურცელადემ, რომ გულწრფე-
 ლათ და სინიღისიანათ ვამტკიცებდით ქავჭავაძის
 ლექსების უხეირობას და ცრუ გრძნობით წე-
 რასდას...

ან, იქნება, ის თქვას, ყველაფერში არ ეეთანხმებოდლი «მოამბესო» და ჭავჭავაძის ნაწერებსა? ვინ არ იცის, რომ ყველაფერი ორი ან სამი კაცო თანხმა იშვიათათ იქნება. განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს ან ს. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა და სხვა აზრისა ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს, ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულათ ვმსახურებთ, და თუ წერილმან აზრებში, წერილმან საგნებზე, ან შემთხვევებზე ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწევინებს. ასეა ყოველგან, ყოველ შრომაში. უამისოთ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძლებელია.

თუ ასეა და, უფ. ანტ. ფურცელაძეს ერთი-
ლა პასუხი რჩება: უმთავრესი მიზანი ჩვენ (ესე

იგი იმას და ჭავჭავაძეს) ერთი და იგივე არა გვექონიაო.—მადლობა ღმერთს, თუ ეს გამოთქვა უფ. ფურცელაძემ. თუ ეს ითქვას, მაშ რისთვის უნდა ვიყოთ მისი თანამოაზრე? რისთვის უნდა ვთვლიდეთ იმას ქართული ლიტერატურის წევრათ და მშრომელათ, თუ იმას ქართული ლიტერატურის მიზანი არ აქვს სახეში, თუ ის ამ ლიტერატურის მიმართულეობას არ იცნობს და მის საქმეს არ ემსახურება?

მეტი არა აქვს სათქმელი უფ. ფურცელაძეს,—ამას ჩვენ ვეღარ წარმოვიდგენთ.

მაგრამ ჩვენ კი გვაქვს კიდევ სათქმელი.

რა აზრი უნდა იქონიოს კაცმა იმ მწერალზე, რომელსაც არ შეუძლია წარმოიდგინოს სხვაში ან გულწრფელი და პატიოსანი შრომის სურვილი, ან უანგარო სიყვარული საზოგადო სიკეთისა და რომელიც ყოველ მწერალში ხედავს მხოლოდ ხარბ, უსინდისო და უპატიოსნო კაცს? ამისთანა მწერალზე კაცმა უნდა იფიქროს, რომ თუ იმას პატიოსნების წარმო-

დგენა არ შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ პატიოსნობის გაგება არა აქვს, რადგანც კაცი მარტო იმას იგებს და ცნობს სხვაში, რასაც თვითონ გრძნობს და რაც თვითონვე აქვს.

მეორე ორიგინალური სტატია «მნათობისა» ეკუთვნის უფ. ინგილო-ჯანაშვილს. ამ სტატიას ჰქვია «მიმოხილვა. კორრესპონდენცია საინგილოდგან.» უფ. ინგილო-ჯანაშვილს უწინდელ დროში დაუბეჭდია «დროებაში» ძლიერ შესანიშნავი სტატიები ინგილოებზე და ინგილოზე. ამ სტატიების ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ აცნობებდა ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ინგილოების მდგომარეობას, წარსულს, ჩვეულებებს, ხასიათს და სხვ. უფ. ჯანაშვილი მღვდელია ინგილოებში განწესებული, როგორც კაცს, რომელსაც ცოტა ოდენი სწავლა მიუღია, და რომელიც ერთბაშად ჩასახლებულა სრულიად უცნობ მხარეში და ხალხში, იმას სწორეთ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი მწერლობისთვის და მართალიც რომ სთქვას კაცმა,

მის სტატიებს საზოგადოთ ყოველთვის რაიმე ღირსება და ინტერესი აქვთ. დიდი ბედნიერება იქნება ჩვენ მწერლობითვის, იმისთანა პირები, რომელიც უფ. ჯანაშვილსავეთ ნიადაგ ხალხში ცხოვრებენ, რომ დააკვირდებოდნენ ამ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას. მის გონებით ცხოვრებას, და ჰკრეფდენ და სწერდენ მის ნაამბობს, ლექსებს, მის მოგონებებს და იმედს. მხოლოთ ამნაირათ შეისწავლება რომელიმე ხალხის ეტნოგრაფია, და თვით საზოგადოებრივსმეცნიერებასაც დიდს სარგებლობას მოუტანს ამგვარი დაკვირვებანი, რადგანაც მის ერთ, უმთავრესს საქმეს არიგებს — აცნობებს ხალხის ეხლანდელ მოთხოვნილებას და მდგომარეობას.

მაგრამ იმისთვის, რომ ეს შრომა გამოსადეგი და ხეირიანი შეიქმნეს, აუცილებლათ საჭიროა, რომ დამკვირვებელს ის ნაკლულევაანება არ ჰქონდეს, რომელიც, საუბედუროთ, უფ. ჯანაშვილს დაჰყოლია. ამ მწერალს უფრო თავისი საკუთარი მოაზრების და ფიქრების გამოთ

ქმა და აწერა უყვარს, ვინემ ნანახი ან ნახამო-
ბი ფაქტების სწორი აწერა. ამისგანო მის სტა-
ტიებს ეკარგება ძალა და გავლენა საინტერესო
ფაქტები იბურდებიან უსარგებლო და უმარადო
მოაზრებებში. და მკითხველს ის ძლიერი შთა-
ბეჭდილება როდიღა რჩება, რომელსაც დაუ-
ტოვებდა ფაქტების შეუფერავი და გონივ-
რი აწერა. ვაქცევთ ამ გარემოებაზე უფ. ჯა-
ნაშვილის და საზოგადოთ ხალხში მცხოვრები
პირების ყურადღებას, იმ იმედით, რომ ისინიც
დაგვეთანხმება ჩვენი შენიშვნის სიმართლეს და
ამით შემდეგ მათ ღვაწლს ის ძალა და მნიშ-
ვნელობა მიეცემა, რომელიც უსათუოდ უნდა
ჰქონდეს ხალხის აღმწერის თხზულებებს.

ჩვენ აქ მარტო ამ საზოგადო შენიშვნას
ვუშვრებით უფ. ჯანაშვილის შრომას, მით
უფრო, რომ ეს ახალი სტატია თავისი ღირსე-
ბით და ნაკლულებანებით სრულიად ეთანხმე-
ბა უწინდელ მის სტატიებს?

სხვა «მნათობში» არაფერია ორიოდე «ლექ-
სის» მეტი, რომელნიც უფ. ლომაურის და-

ზურაბ მოენიძის მუშებს ეკუთვნიან, მაგრამ
მკითხველი ადვილათ გაგვათავისუფლებს
ლექსების გარჩევისაგან.

ნ. სკანდელი

ნ. სკანდელი

5 825
1872